

K269.901
3

საქართველოს
საბავშვო ლიტერატურის
ცენტრი

ნიკო
პრეხუიაშვილი

ქართული
საბავშვო
ფენტაზური

თბილისი 1964



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ Сსრ-ის
განმარტობის
Государственный музей Грузии им. С. Джанашиа

Н. Б. РЕХВИАШВИЛИ

НАРОДНАЯ МЕТАЛЛУРГИЯ
ГРУЗИЙ
ОБРАБОТКА ЖЕЛЕЗА

(Этнографический очерк)

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“

ТБИЛИСИ — 1964

902.4(ც9222)+621.73



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ნ. რუსუიძეილი

ქართული ხალხური მეტაფორგია

რკინა-ძვედლობა

(ეთნოგრაფიული ნარკვევა)

~~175.1193~~
3

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი — 1964





ქართული
ბიბლიოთეკა

902.7 (c 41)
902.7 (47.922)
h 522

ნაშრომი ეხება ქართველი ხალხის სამეცნიერო ცხოვრების ერთ-ერთ უძველეს და ძირითად დარგს — რკინის მეტალურგიას. რომელიც ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე ქართველ ტომებში ძველიდანვე იციდებოდა ფეხს და მაღალ განვითარებას აღწევს. უხვი და მრავალმხრივი ფაქტიური მასალის მკაცრად ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ქართული ხალხური მედიტინის ძლიერი ტრადიციები და მონაპოვარი, რომლითაც თავი ისახელეს და სუფთად აღიარებდნენ. მათთვის ჩვენმა წინაპრებმა მოიხსნა კულტურულ ცხოვრებაში.

K 269.901



საქართველოს
პატენტების
ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

რკინის კულტურამ უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის წინსვლის საქმეში¹. ამიტომ, ბუნებრივია ის მეცნიერული დაინტერესება, რასაც ამ მეტალის წარსულის გარკვევა იწვევს. მოუხდავად ამისა, მკვლევართა შორის არ არის ერთი საერთო აზრი ამ საგანზე და დავას იწვევს საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზით და როგორ გაიცნო ადამიანმა რკინა თავდაპირველად. სად, როდის და ვის მიერ იქნა აღმოჩენილი რკინის მიღების საიდუმლოება? ერთ-ნი ფიქრობენ, რომ რკინის ათვისებას წინ უძღოდა თვითნაბადი ოქროსა და სპილენძის დამუშავების ხანგრძლივი გამოცდილება. რამაც ადამიანი პირდაპირ მიაყენა რკინის შემუშავების საქმეობას². მეორეთა შეხედულებით, ფერადი ლითონების წარმოების კულტურა, რომელიც ემყარებოდა ცივად კვერვის წესს, ვერ გახდებოდა უშუალო და პირდაპირი საფუძველი ცხელ კვერვაზე გადასვლისათვის. ვინაიდან რკინის მადანი თავისი ფიზიკური და ქიმიური თვისებების გამო განსხვავებულ მიდგომას და რთულ დამუშავებას მოითხოვდა. ვენის უნივერსიტეტის პროფესორი დ. ფ. მ. ზიპპე-ს აზრით, რკინის გამოღობის ხელოვნება შეიძლება დიდ-

¹ კ. მარქსი, ფრ. ენციკლსი, რუსული ნაწერები, ტ. III, თბ., 1950, გვ. 374; P. Шмидт. Очерки по истории горного дела и металлообработки производящего производства в античной Греции, Изв. ГАИМК, М.—Л., 1936, вып. 108, გვ. 266; Ф. Ратцель, Народоведение, т. II, СПб., 1902, გვ. 79.

² J. de Morgan, Mission scientifique au Caucase, т. I, Paris, 1889.



ხანს დარჩენილიყო უცნობი, ან სრულებით მიუგნებელი, არსებულებით სხვა გზა მის დასაუფლებლად. ეს გზა იყო ბუნებრივი. „მეტეორიტული“ რკინის არსებობის ფაქტი. უდაოა, რომ ეს ბუნებრივი რკინა, რომელიც თავისი წარმოშობით „ზემიწიერი“ა, გახდა პირველყოვლისა მიზეზი და საფუძველი იმისა, რომ ამოეცნოთ მასში ლითონი და დაეწყოთ ჰედვა რკინისა¹. იგი ასახელებს კაპიტან როსის ცნობას, რომლის მიხედვითაც ბატიანის ყურეში მყოფი ესკიმოსები თავის სამეურნეო იარაღებს სწორედ მეტეორიტული რკინისაგან ამზადებდნენ. ამასთან დაკავშირებით, რეი ხაზს უსვამს იმ ამბავს, რომ ზემო სამყაროს ფენებიდან ქვა-მეტალთა მიწაზე ცვენა და მათი თაყვანისცემა ძველიდანვე შემჩნეულია. მაგალითისათვის ასახელებს 1749 წელს, რუსი კაზაკის მედვედიევია მიერ ციმბირში მიკვლეულ მეტეორიტს (წონით 1400 გირვანქა, იგი 1772 წელს აკად. პალასის მიერ გადმოტანილ იქნა ქ. პეტერბურგში), რომელიც ადგილობრივი თათარი მოსახლეობისათვის წარმოადგენდა თაყვანისცემის საგანს. მასთან ამ მოსახლეობის ჩვენებით, მსგავსი „ციური ქვები“ ძველ დროში დამუშავებისათვის გამოუყენებიათ². ამგვარად. — დაასკენის ზიპე. — მას შემდეგ, რაც ეს რკინა ცნობილ იქნა მეტალად, მისდანი ინტერესი გაძლიერდა და შეეცადნენ მის მიღებას, ალბათ, სხვა სუბსტანციებიდან. ადვილი შესაძლებელია, „თუბალ-კაინი“ გახდა ამგვარი გამოძვინებული. რაკი მოხდა ერთხელვე რკინის აღმოჩენა, მან საერთო გავრცელება კპოვა და პირველმა ხალხებმა შეითვისეს რკინის ცოდნა ძირეული წინაპრების — „ნოახიდთაგან“. ის, რომ ადამიანთა თაობები წარღვნამდე იცნობდნენ რკინას, კარგად ჩანს ნოეს კიდობნის აშენებიდან.

¹ D. F. X. M. Zippe, Geschichte der Metalle, Wein, 1857.

² მიუხედავად იმისა, მივიჩნევთ, თუ არა დასაშვებლად ზიპეს შეხედულებას იმის შესახებ, რომ რკინის გამოღობისა და ჰედვის ხელოვნებას ადამიანმა მიალწია მეტეორიტული, „თვინაბადი“ რკინის გაცნობის საფუძველზე. მაინც არ ხერხდება რკინის დამორჩილების ზუსტი ქრონოლოგიური საწყისების დადგენა. საერთოდ უნდა ვივარაუდოთ, რომ რკინის კულტურა თითოეულ ქვეყანასა და კუთხეში გაპირობებული იყო გარკვეული ბუნებრივი, ისტორიული ფაქტორებით. ამ მხრივ, რკინის დამუშავების ხელოვნება სხვადასხვა ადგილას, სხვადასხვა დროსა და ვითარებაში უნდა წარმოქმნილიყო. მასთან, ეს უდიდესი საეკონომიკო მონაოვარი ერთი რომელიმე ქვეყნისა და ხალხის „მხოლოდ-შობილ“ მოვლენად არ შეიძლება მივიჩნიოთ.



შემდეგში, მონათესავე ტომების ხალხებად შეერთებისას წარმოადგინა პართიან მემკვიდრეობით მიღებული მეტალურგიული კულტურის თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ივსებოდა. ავტორის შეხედულებით, „დაბადებაში“ არის სათანადო მითითება რკინის გამოსდნობელ და ჭედვის მომგონ პირთა და დროს შესახებ. მიუხედავად ამისა, მისი აზრით, რკინის წარმოების კულტურა დაინერგა არიელი ტომების მიერ, რომელნიც გამოვიდნენ სპარსეთის ზეგანიდან და მდ. ინდის ზემო ხეობაში დასახლდნენ.

ამგვარად, ზიპპეს, რკინის წარმოების უძველეს კერად მიაჩნია ინდოეთი და იქ მოსახლე არიელი მოდგმა⁵. თუმცა, ნაწილობრივ თავიდანვე აბათილებს ამ შეხედულებას, როდესაც ამბობს: — უძველეს ხალხთა — ეგვიპტელების, ბაბილონელებისა და ინდოელების მიერ რკინის მოხმარება და მისი მიღების ხელოვნება მათი ისტორიის წყვილიაღში იკარგება, მის შესახებ არავითარი მითები და თქმულებანი არ დარჩენილა მაშინ, როდესაც გუთნის მომგონი ეგვიპტეში ითვლებოდა ღვთაებად-ო. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, — განაგრძობს იგი, — ჩვენი მტკიცედ უნდა ვირწმუნოთ ის გარემოება, რომ ეგვიპტელთა საარქიტექტურო მშენებლობა — უზარმაზარი ქვის პირამიდების აგება, მაგარი ლითონის, რკინის იარაღების გარეშე, წარმოუდგენელია⁶. მართალია, ეგვიპტისა და ბაბილონის ქვეყნების გეოგნოსტიკური პირობები ხელს არ უწყობდა იქ რკინის მეტალურგიის აღმოცენებას, მაგრამ რკინის მოთხოვნილებას ისინი მეზობელი ქვეყნებიდან შეტანილი ნაწარმით ეკმაყოფილებდნენ-ო. განსაკუთრებით, ეგვიპტე სინას ნახევარკუნძულიდან მარაგდებოდა ფინიკიელების მიერ-ო. ეგვიპტეში, რკინის წარმოების მაჩვენებლებად მიაჩნია შემოხსენებულ ავტორს „დაბადების“ ქვემოთ მოყვანილი მითითება: „დღესა შინა, რომელსა ამოვიყვანენ იგინი (ებრაელები ნ. რ.) ქვეყნისაგან ეგვიპტისა, საჭუმდლისაგან რკინისა“ (იერ. თ. 11,4). სადაც ეგვიპტე შედარებულია რკინის გამოსადნობელ ლუმელს. საკუთრივ, ძველი ისრაელის ტერიტორიაზე — სინას ნახევარკუნძულზე საკმაო რაოდენობით მოიპოვებოდა რკინის მადნეული, რომელსაც ალბათ, ამუშავებდნენ ძველად-ო. ამისათვის

⁵ ამჟამად, საბჭოთა მკვლევარებს ეს შეხედულება დაუსაბუთებელ და გაუართლებლად მიაჩნიათ, როგორც რეაქციული ტენდენციის მქონე.

⁶ შტრ. Ю. Липс. Происхождение вшей. М., 1954, გვ. 149.



დასახელებულია ბიბლიიდან მოტანილი ფაქტი, რომლის მიხედვითაც იაბინას ერთ-ერთ მთავარსარდალს — ქანაანთა მეფეს⁷ რას, სამხედრო მოქმედებისათვის თან ახლდა 900 ეტლი რკინისა: „...და მოუწოდა სისარა ყოველსა ეტლებსა მასსა, ცხრაასსა ეტლსა რკინისასა“ (მსაჯ. თ. 4, 13). აქედან ჩანს, რომ ისრაელთა და ქანანელთა შორის რკინის მოპოვება-დამუშავებას გარკვეული აღვილი ეჭირა ამ დროს-ო.

რაც შეეხება ბაბილონს, — განაგრძობს ავტორი. — ადრეულ ხანაში რკინის ხმარება არუნდა ყოფილიყო. ამას მისი საამშენებლო სისტემა და წესი აუცილებლად არც მოითხოვდა. ორ მდინარეს შორის გაწვდილი ვაკე, სადაც ბაბილონი მდებარეობდა, არ შეიცავდა რკინის წიაღისეულს. მაგრამ მის ჩრდილოეთით მდებარე მთიანი ქვეყანა-კი ნამდვილად უნდა ყოფილიყო რკინის დამუშავების კერა უაღრესად ადრეულ ხანაში-ო⁸.

მეტალურგიის საკითხების ცნობილი მკვლევარი თ. რიკარდი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რკინის წარმოება და მისი დამუშავების ხელოვნება არ შეიძლება აღმოცენებულიყო ნილოსისა და ევფრატის დაბლობებში იქაური გეოგნოსტიკური პირობების გამო⁹. ასეთივე მოსაზრება აქვს გამოთქმული ბ. ჰროზნის: — მეტალურგიისათვის ბაბილონსა და ეგვიპტეში არ არსებობდა ბუნებრივი პირობები, ჩვენ მისი სათავე უნდა ვეძიოთ ჩრდილოეთით, უწინარესად — კავკასიასა, აკავკასიასა და სომხეთში⁹. მასთან, ავტორის აზრით შემერთა მეორე ფენამ. თავისი ყოფნით აკ-ში. შესაძლოა კავკასიაშიც, შეძლო მიეღწია ლითონთა დამორჩილების ახალი ცოდნისათვის, ამ მხრივ, მესამე ძველი ქვეყანა — ინდოეთი უთუოდ იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ უძველესი წარმოების შესახებ მასალები არ ჩანს. ფაქტიურად, ინდოეთში რკინის წარმოების შესახებ ცნობები მხოლოდ მოგვიანო ხანების რკინის დამუშავებას ეხება და ისიც, უმთავრესად, მისი დამზადების ტექნიკას, როგორც მაგალითად — ისტორიკოს ქტეზის მახვილის აღწერილობა, რომ ის დამზადებული იყო ინდური ფოლადისაგან, ახასიათებდა სიმაგრე

⁷ შ. ზიპე, დასახ. ნაშრ.
⁸ T. Ricard, Man und Mettals, V. II, London, 1932, გვ. 870.
⁹ Б. Грозный, Доисторические судьбы Передней Азии, ВДИ, 1940, № 3—4, გვ. 35—38.



და მოქნილობა, და რომ იგი აჩუქა მას სპარსეთის მეფემ არქიმენდის სერსიმ. ეს მახვილი, -- ამბობს იგი, -- დამასკურ მახვილებს გვაგონებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საკმაო დროს უნდა განველო მას შემდეგ, რაც მიღწეულ იქნა ასეთი მაღალი ღირსების ნაბე-
ლავი რკინეული. ამასვე ნიშნობს ინდოეთის ძველ ნაგებობათა შეს-
წავლა, რომელთა მშენებლობა მოითხოვდა სრულყოფილი სახის.
მაგარი ლითონის იარაღს-ო¹⁰.

ამგვარად, იმ დიდი და განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო, რომელიც ჰქონდა რკინას ამა თუ იმ ქვეყნის სამეურნეო და საზო-
გადოებრივი ცხოვრებისათვის, მკვლევართა გონების თვალი, პირ-
ველ რიგში, მიპყრობილი იყო ძველი კულტურული ქვეყნების --
ეგვიპტის, ბაბილონისა და ინდოეთისაკენ. ფაქრობდნენ, ალბათ,
აქედან გავრცელდა საკაცობრიო კულტურის ეს უდიდესი მონა-
პოვარი-ო, მაგრამ ისტორიული კვლევა-ძიების შედეგებმა ეს ვა-
რაუდი არ გაამართლა. გაირკვა, რომ ეს ქვეყნები თავისი მდიდარი
და მრავალმხრივი კულტურით, მართალია ყველაზე მეტად საჭი-
როებდნენ რკინასა და მის პროდუქტს და უფრო დაინტერესებუ-
ლი უნდა ყოფილიყვნენ რკინის დამორჩილების საქმით, მაგრამ
აქედან სრულებითაც არ უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ უსათუოდ
ეს ქვეყნები, ან რომელიმე მათგანი იყო, რომელმაც პირველად
დააარწია რკინის კულტურის აკვანი. სინამდვილეში, აღნიშნული
ქვეყნები იყვნენ ძირითადად მომხმარებელნი და არა პირველი
მწარმოებელნი რკინის კულტურისა სრულიად გარკვეული მიზე-
ზით. არც ბაბილონის და არც ეგვიპტის გეოგნოსტიკური გარემოე-
ბა არ იძლეოდა მელითონეობის ჩასახვისა და განვითარების პი-
რობებს. არ იყო რკინის მადნის საბადოები და საწვავი მასალის
მარაგი. ინდოეთში, მართალია არსებობდა მადნეულის საბადოები,
მაგრამ მათი ადრეული დამუშავების შესახებ საჭირო ცნობები
არ არსებობს. ვარაუდი კი მეცნიერულ საბუთად არ გამოდგება.

თუ დავენდობით ებრაელთა ძველ მემკთიანეთ და ასურულა
ტექსტების ცნობებს, ასევე ბერძნულ-რომაულ წყაროებს, აღმოჩ-
ნდება, რომ კლასიკური ქვეყნების წინაშე მცირე აზია -- კავკასიის
სამყარო, წარმოადგენს ერთ-ერთ პირველთაგანს, სადაც ჩაისაბა
და განვითარდა რკინის წარმოება¹¹. არქეოლოგიური მეცნიერების

¹⁰ Б. Грозный დასახ. ნაშ., გვ. 38

¹¹ პროფ. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია,
II, ტბ., 1944, გვ. 60.



თებელი ჩანს დ. ზიპეს თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ რკინის კულტურის თავდაპირველი გამოგონნი და გამავრცელებელი იყვნენ ჯერ კიდევ ადრეულ ხანებში შუა აზიის ზეგანიდან გამოსული არიელი ტომები. მიუხედავად ზოგიერთი დაეჭვებისა, ფაქტების ლოლიკა მკვლევართა თვალს ისევ მცირე აზიისა და კავკასიის ქვეყნებისაკენ მიაპყრობს, სადაც მელითონეობის კულტურა ადრევე ჩაისახა და მაღალ განვითარებას მიაღწია. ამასთან, ზიპე ნახს უსვამს იმ ვარაუდებს, რომ უკვე ადრეულ ხანებში იყვნენ რკინის წარმოებით განთქმული ქვეყნები. მათ შორის, (მაგალითისათვის) ასახელებს ხალიბთა ქვეყანას, რომელიც მდებარეობდა პონტოსთან.

„აქ სტრაბონის დროს კიდევ არსებობდა რკინის საწური ღუმელების კვალი, სადაც არისტოტელეს ცნობების მიხედვით (იგულისხმება ფსევდო არისტოტელე) ხალიბები რკინას წურავდნენ მდინარეთა მიერ შემოტანილი რკინა-ქვიშისაგან. ძველი „ხალიბურთა“ შთამომავალი აღმოაჩინეს, ადგილობრივი მჭედლების სახით, ჯერ კიდევ 1837 წელს. რკინის წარმოების ამ ძირეული ადგილიდან შემდეგში გადატანილ აქნა რკინის დამუშავების ხელობა მთიან სომხეთში — ერზერუმსა და სხვაგან, რომელთა რკინის ნაწარმი დღემდე განთქმულია სპარსეთსა და თურქეთში-ო“¹².

ცხადია, მელითონეობის კულტურის მკვლევარი გვარდს ვერ აუხვევს იმ ჭეშმარიტებას, რომ მცირე აზიისა და კავკასიის ხალხთა სამყარო წარმოადგენს მელითონეობის ერთ-ერთ უძველეს კერას. სადაც ყველაზე ცხოვლად და სრულყოფილად შემოინახა რკინის დამორჩილების ხელოვნება და მასთან დაკავშირებული მითები და თქმულებანი.

ხალიბთა მიერ მდინარეთა ქვიშისაგან (რომელიც რკინას შეიცავდა) რკინის დამზადებას ხაზგასმით აღნიშნავს ფსევდო არისტოტელე. იგი ამბობს: „იუწყებიან ხალიბური და ამისური რკინის განსაკუთრებულ წარმოქმნის შესახებ. იგი მზადდება მდინარეთა მიერ მოტანილი ქვიშისაგან. ქვიშას რამდენჯერმე რეცხავენ და შემდეგ სწურავენ რკინად. მასთან, დნობის დროს მას უმატებენ ერთგვარ ცაცხლგამძლე ქვას, რომელიც მათ ქვეყანაში ბევრიაო (რო-

¹² D. Zippe, დასახ. ნაშრომი.



როგორც ცნობილია, საქართველოს მიწა-წყალზე წარმოდგენილი რკინის მადნეული ძირითადად ჰემატიტისა და მაგნეტიტისაგან შედგება. ეს ორი ჯიშის მადანი ყველაზე ხარისხიანი და უკეთესი რკინის მომცემად ითვლება. ამის მიხედვით შემოხსენებული მკვლევარი — ჰ. კვირინგი¹⁴ აკავკასიის საბადოებს მიიჩნევს შენადული რკინის შემუშავების საფუძვლად. მისი აზრით, აკავკასიაში უნდა მიეკვლიათ, პირველად, ზის ნახშირზე, ხელმოკრდ გახურების გზით, რკინის დაფოლადებისათვის, საიდანაც გავრცელ-

¹² В. Латышев. Известия древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, СПб., 1893, т. II, гл. 380.

¹⁴ H. Quiring. Die Erzgrundlager der ältesten Eisen Erzeugung, Zeitschrift für praktische Geologie, August, 1933, гл. 128.



და ეს ხელობა მეზობელ კუთხეებშიც. ეს აზრმანვილი დასაცმა სავსებით გამართლებას ჰპოვებს საქართველოს ეთნოგრაფიულ უოფის დამახასიათებელი რკინის დამუშავების წესების მიხედვით. მაგალითად, წედისის რკინის წარმოებაში რკინის დაფოლადების საქმეში ნახშირი გადამწყვეტ როლს თამაშობდა. მიღებულ პირველ დაწურულ ლუგვ რკინას ხელახლა გადაადნობდნენ ახალი, სხვა ხასიათის ხის ნახშირის საშუალებით. ასევე, ნახშირის „რეში“ იხმარებოდა ნახელავის გასამაგრებლად ცეცხლში „გამოშუშებისას“. ამგვარად, ბიბლიურ-ეთნოგრაფიული მარკენებლების მიხედვით („დაბადება“, წიგნი მოსესი — „შესაქმე“, თავი X), რასაც ეთანხმება ასურული ლურსმული ტექსტების ცნობები — „თობალა“¹⁵ „თუბალი და „მეშები“ (მესხი), რომელთაც XII—X სს. ძ. წ. ტიგრ-ევფრატის სთავეები და კაზადოკია უჭირავთ. ძლიერ ნაციებად იხსენიებიან. წინასწარმეტყველი იეზეკიელი მათ იხსენიებს ფინიკიელებთან ვაჭრობაში. შემდეგ, პეროდოტე სპარსეთის 19 სატრაქში შემავალ ხალხთა შორის ასახელებს — მოსხებს და ტაბარებს¹⁶ > თაბალებს, რომელნიც ა. წ. მე-2 საუკუნიდან, ალექსანდრიელი მეცნიერის იოსებ ფლავიუსის მიხედვით, უკვე იბერებად იწოდებიან. „დაველიდან, — ამბობს იგი, — ჩაისახნენ ფოველები (თუბალები, თობელები), რომელნიც ჩვენ დროს იბერებად იწოდებიან.“¹⁶ ე. დუ-მორგანი მართებულად შენიშნავს, რომ — „კავკასია იყო ერთ-ერთი კერა რკინის გამოგონებისა; ბუნებრივია, ბიბლია და ყველა ძველი ტექსტები ჰქმნიან ამ ნიადაგზე პუნქტს, რომლითაც ყველა მეტალი აქ გაჩენილად იჩინეული. შემდგომ, — განაგრძობს იგი, — ჩანს, კავკასიის ხალხები ბრინჯაოს გაცეცხენ აღმოსავლეთის საშუალებით, მაგრამ რკინა თავად გამოიგონეს, რკინის აღმოჩენა, უეჭველად XX ს. ადრე უნდა ვივარაუდოთ.“¹⁷

პროფ. ბ. პროზნის მიხედვით: „კავკასია“ წარმოადგენს მარჯვე სახელს იმ მთიანი მხარისას, რომელიც იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეტალურგიული ცენტრი არა მარტო ძველი აღმოსავლეთისა, არამედ საერთოდ. იგი წარმოადგენდა უზარმაზარ მე-

¹⁵ ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარნი, იბერი, ენციკლ. მოამბე, ტ. I.
¹⁶ F Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, ტ. IV, გვ., 336—38.
¹⁷ იხ. J. de-Morgan, Mission scientifique au Caucase, t. I, Paris, 1899, გვ. 43, 97.


ტალურგიულ სახელოსნოს. აქედან ლითონთა დამუშავება ვრცელდებოდა მსოფლიოს ყველა კუთხეში — აზიასა, აფრიკასა და ევროპაში-ო¹⁸. ასევე, ცნობილი არქეოლოგი გ. ჩაილდი კავკასიაში იწინეს ისეთ კუთხედ, სადაც უნდა მიეკვლიათ რკინის მიღების საიდუმლოებისათვის¹⁹. ცხადია, ყველა ამ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ერთი ვითარება — წინააზიის ჩრდილო მთიანეთი წარმოადგენდა ყოველ მხრივ ხელსაყრელ გარემოს მელითონების, კერძოდ, რკინის კულტურის აღმოცენება-განვითარებისათვის. აქ შექმნილი იყო ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები, როგორც ლითონური ნედლეულის, ისე მისი დამუშავებისათვის საჭირო საწვავი მასალის მხრივ. რაც მთავარია, აქ უძველესი დროიდანვე ჩანს მადნეული საბადოების „გამოწვევას“ მძლავრი ნაკვალევი. მათი დამუშავების მდიდარი, ნივთიერი მაჩვენებლები — საწარმოო აგრეგატების და ნაგებობათა ნაშთები, მადნეულის ნარჩენები, წარმოების ადგილებში რკინაწილის დიდი რაოდენობა და მასთან ჩვენებანი ძველი წერილობითი წყაროებისა. ისე, რომ ფაქტიური პინამდვილე ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ამ შემთხვევაში ჩვენ არაფერს ვამბობთ იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ მხრივ იმ საწარმოო წესებსა და მასთან დაკავშირებულ შრომით ჩვევებს და ცოდნა-გამოცდილებას, რომელიც საუკუნეთა სიღრმიდან დღემდე დაუტავს წინააზიის ხალხთა სამყაროს სხვადასხვა სახით.

რკინა, ქართველთა წინაპრებმა — სუბარულმა ტომებმა, ჯერ კიდევ II ათასწლეულის შუა ხანებში შემოიღეს ხმარებაში²⁰. ისინი ფართო აღებ-მიცემას აწარმოებდნენ როგორც მახლობელ, ისე შორეულ ხმელთაშუა ზღვისა და ეგვიპტის ქვეყნებთან. ამ ურთიერთობაში მათ ბრინჯაოს რგოლებიც კი გამოუყენებიათ ფულად. უნდა ვივარაუდოთ, რომ საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა ლითონი, კერძოდ, მაგარი რკინა, რომლის დამუშავების კულტურამ სუბარულ (დაბადების—თობალი) ხალხთა სამ-

¹⁸ Б. Грозный, Пренсторические письма и их расшифровка, Вестник древней истории, 2, 1940, г. 17—18.

¹⁹ Г. Чайлд, Прогресс и археология, М., 1949, г. 72.

²⁰ ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 29; საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, თავი IV.



ყაროში მალალ განვითარებას მიაღწია და საერთო აღიარება ვა ყველგან.

მკვლევართა შეხედულებით, ეგვიპტე რკინას ღებულობდა წინააზიიდან სამხედრო ნადავლისა, ხარკისა და ვაჭრობის გზით. ახალი სამეფოს პერიოდში ხეთებმა გააცნეს მათ მაგარი რკინა, რომელსაც ჩვენ ფოლადს ვუწოდებთ.

რაც შეეხება ივეის წრეს, აქ რკინა, მიქენის კულტურის ბოლომდე, საკმაოდ იშვიათად გვხვდება. მხოლოდ ჰომეროსის ხანიდან შედის იგი ყოფაში. ბერძნები იხსენიებენ მას „ილიადაში“ როგორც სამეურნეო იარაღებისათვის სახმარსა და ძნელად დასამუშავებელ ლითონს.

საყურადღებოა, რომ ჰერცფელდის აზრით — დიდი უმეტესობა ასირიის ცენტრში აღმოჩენილი ლითონეულისა არაა ასირიული წარმოშობის, ისინი ნადავლის სახით, წინააზიის სწვადასხვა ქვეყნებიდანაა შეტანილი. თვით ტექსტი სარგონისა, მუსასირის განძარცვის შესახებ, ამასვე მოწმობს-ო²¹.

მეცნიერული კვლევა-ძიების მონაცემების მიხედვით ირკვევა, რომ სუბარებმა, რომელთაც ჩრდ. მესოპოტამიიდან მოკიდებული კავკასიონამდე ტერიტორია ეჭირათ, ძ. წ. XVIII ს. მიწურულში დიდ სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას მიაღწიეს. მათი სამხედრო აღჭურვილობა ლითონისა, თავის დროისათვის საუკეთესო იყო და ნაწილობრივ უკვე შეიცავდა რკინის იარაღს. ამ ხანებში რკინას მხოლოდ შავი ზღვის საზღვრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მთიან რაიონებში ამუშავებდნენ. ეს იყო მდ. ჰოროხისა, ღალისისა, ტიგრ-ეფრატისა და მტკვრის სათავეთა აუზებში გაწვდილი მთიანეთი, რომელიც შეიცავდა ლითონის ნედლეულის მდიდარ კერებს, რომელთა დამუშავება ძველიდანვე სწარმოებდა და არ შეწყვეტილა დღემდე. ეს კუთხე და იქ მოსახლე სუბართა ტომების მეტალურგიული დაწინაურება ძველი კულტურული სამყაროსათვის კარგად იყო ცნობილი. მე-2 ათასწლეულის ბოლო ხანებში, როდესაც წინააზიაში ასურეთი გაბატონდა, ხეთურ-სუბარული ტომები წვრილ სამთაგროებად დაიქსაქსა. ამ დროს, მათ შორის ყველაზე ძლიერნი ყოფილან მუსკები. მერმინდელი მესხები და

²¹ E. Herzfeld, Chaltische und Chaldische Bronzen. „Janus“, I, 1921, გვ. 40.

ლეს ძველი სინონიმური სახელია „ხალიბი“. სახელწოდება—ხალიბი, ხალდი, „გორდი“ ცნობილია ბერძნული წყაროების მხედველობით. პეკატე მილეთელის ცნობით (ძ. წ. VI ს) ხალიბები, ანუ ხალიბები არმენიელთა მეზობლად, ჩრდილოეთით ცხოვრობდნენ. მომდევნო საუკუნეების მწერალი ქსენეფონტე აღნიშნავს, რომ ხალიბებს ამ დროს სამხრეთ ურარტუს ვაკეები უკვე აღარ ეჭირათ და უფრო ჩრდილოეთით მთებისაკენ იყვნენ მიჯრილნი. ისინი მედგრად იბრძოდნენ დაკარგული ადგილების დასაბრუნებლად-ო. ხალდები რომ იგივე ხალიბები არიან ეს სტრაბონმა კარგად იცის. ის ამბობს: „ხალიბი“ ძველი სახელწოდებაა „ხალდი-სა“ ეს უკანასკნელი უფრო ახალია-ო²⁴.

როგორც ცნობილია, ხალდებმა, განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშეს ურარტუს რკინის კულტურის განვითარებაში. მათი დამსახურება ამ საქმეში იმდენად დიდია, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით — სხვა ადგილებზე უწინარეს აქ გამოჩნდა და ხმარებაში შევიდა რკინა²⁵. ფ. შანერმაირის შეხედულებით, ურარტული (ხალდური) კულტურის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მეტალურგიის (იგულისხმება რკინის) მაღალი განვითარება და მისი ახლო კავშირი ხეთებისა და შიტანიელთა ტრადიციებთან. ამასთან მათი ლითონის ნაწარმი ექსპორტირებული იყო ჩრდ-მაიკოპამდე, დასავლეთით — ეგეის ზღვამდე, სირიასა, მესოპოტამიასა, მიდიასა და ირანში-ო²⁶.

ბ. პიოტროვსკი რომელმაც ურარტუს ვრცელი მონოგრაფია უძღვნა, ხაზგასმით აღნიშნავს: წინააზიის ისტორიის ერთ-ერთ პრობლემას ძველი მეტალურგიის შესწავლა წარმოადგენს, რომლის მაღალ განვითარების შესახებაც ძველი წყაროები იუწყებიან და ამ საკითხში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ურარტუს-ო²⁷. მასთან, მიუთითებს იმ ფაქტს, რომ „ნაშრომებში, რკინის ისტორიის შესახებ, ფართო გავრცელება ჰპოვა იმ აზრმა, რომ რკინის დამუშავება დაიწყო მე-2 ათასწლეულს შუა ხანებში ხალიბთა

²⁴ ივ. ჭავჭავაძის შვილი, ნ. ბერძენიშვილი, ქს. ჯანაშია, სს. კართელის ისტორია, თბ., 1943, გვ. 25—41; Г. Меликишвили, Наир-Урарту, Тб. 1954, გვ. 414—421; ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრო.

²⁵ А. Тураев, История Древнего Востока, II, СПб., 1914, გვ. 53

²⁶ F. Schachermeyer, Tuschra, „Reallexicon der Vorgeschichte“, XIII. Berlin, 1929.

²⁷ Б. Пиотровский, Ванское царство (Урарту), М., 1959, გვ. 161.



ლი „პრელისა“, რომელთა დამახასიათებელ თავისებურებებს მოადგენს სისადავე და მონუმენტალურობა, ამასთან ერთად ვალფეროვანება და სიღიაღვე.

საყურადღებოა, რომ 1404 წელს ხალდიის თემში გზად გაუვლია ესპანეთის ელჩს კლავიხოს. მას, რომელსაც აღუწერია ხალდიის პროვინცია გუმისხანე-ეკლეთისა და ბაიბურთის საზღვრებში. 1774 წელს საქართველოს მეფე ერეკლე II-მ, როდესაც განიზრახა სამთო-მადნო საქმის განახლება, მან ოსმალეთიდან, სწორედ გუმისხანის რაიონიდან მოიწვია სამთო-მადნო დარგის სპეციალისტები, რომელთაც აღადგინეს ასტალა-ალავერდის მადნების დამუშავება. თითქოს განგებამ ხალიბ-ხალთა მემკვიდრე ჰანთა ოემიდან „რკინის კაცები“, წინაპართა ნაკვალევ ადგილებში, ისევ ჩვეულ მელითონეობას დააწაფა.

ამ დროს ერეკლე II-სთან მყოფი რუსეთის წარმომადგენელი გულდენშტეტი, რომელმაც მეფესთან ერთად მოიარა ქვემო ქართლისა და ზოგიერთი სხვა ლითონის საბადოები, შემდეგსა წერს: „«Царь имеет некоторое горное производство с плавильными заводами для железа, меди, свинца и серебра, но оно столь недостаточно, что не заслуживает описания. Хорошия сей промыслы, при надлежащих мерах много обещает успеха и прибылей»³⁰.

ივ. მექმარიაშვილი, ქართული მეტალურგიის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით ამ პერიოდის შესახებ წერს: „XVIII ს. მანუფაქტურული მეურნეობა საქართველოში საკმაოდ განვითარებული იყო. ლითონთა გადამამუშავებას თბილისსა და მის გარეო აწარმოებდნენ ყმები — ბეგარაში, აგრეთვე დაქირავებული მუშები. ფრანგი მოგზაური დელაპორტი, რომელიც იყო საქართველოში 1769 წ. ამბობს: რომ მან თავად ნახა აქ ზარბაზნების ჩამოსასხმელი, აგრეთვე, ყუმბარებისა და ტყვია-წამლის დამამზადებელი თოფხანა, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევდა რუსეთსა და ევროპაში განსწავლული არტილერისტი პაატა ანდრონიკაშვილი“—³¹.

როგორც ცნობილია, ქვემო ქართლის სამხრეთი პროვინციები—ლორე, ბორჩალო ძველი ლითონური კულტურის მდიდარი კე-

³⁰ იხ. Географическое и статистическое описание Грузии и Кавказа из Путешествия г-на акад. И. А. Гильденштедта, СПб., 1809, გვ. 262.

³¹ ივ. მექმარიაშვილი, ნაკვეთები ქართული მეტალურგიის ისტორიიდან, ხელნაწერი, 1960, გვ. 48—57.



რები იყო. მეორე ლითონური კერის — ჯორჯის აუზის მეორე მუხის მთავარ საწარმოო უბანს წარმოადგენდა ანტიკური ხანის დან. მე-19 საუკუნის დასასრულს ეს მიდამოები და ძველ წარმოების ნაშთები დაათვალიერა ფრანგმა მკვლევარმა ე. დე-მორგანმა, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ „აქაურ მელითონეებს მკიდრო კავშირი უნდა ჰქონოდათ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ბერძნულ (?) ქალაქ სინოპთან, რაც იმას მოწმობს, რომ რკინა-სპილენძის და ვერცხლის დამუშავებას ბორჩალოსა და ლორეს მხარეში ადგილი ჰქონდა ძ. წ. VIII—VI სს-ში“-ო³². ამეამად ძნელია იმის მტკიცება, თუ როდის და რა პირობებში შეწყდა ამ ადგილებში სამთომეტალურგიული წარმოება. დადგენილია მხოლოდ ის, რომ ერთკლე მეორის მოიჯარადე, ანატოლის მხრიდან მოსულმა მემადნეებმა მუშაობა დაიწყეს და განაახლეს ძველი დაუქმებული წარმოება XVIII საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან.

აღსანიშნავია, რომ ბოლნისის სამხრეთ დასავლეთით მდებარე ლელვარის მთების კალთებზე გაწვილი ძველი გამონამუშევრებისა და წარმოების ნაყარის ახლო გაცნობის საფუძველზე აკად. აბიხი ამტკიცებს, რომ ძველ დროში აქ რკინისა და სპილენძის წარმოება უეჭველია³³. ბოლო წლებში ქვემო ქართლში ჩატარებული ისტორიულ-არქეოლოგიურ-ეთნოგრაფიული ექსპედიციები აკად. ნ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით, ასევე გეოლოგიურ-მინერალოგიური საძიებო სამუშაოები, რომელსაც აწარმოებს გეოლოგიური სამმართველო, ცხადყოფს იმ ამბავს, რომ როგორც ჯორჯის აუზი, ისე ქვემო ქართლის სამხრეთი პროვინციები წარმოადგენდა ლითონული ნედლეულისა და მელითონების უდიდეს კერებს.

ქართველი ტომების უძველესი მელითონების ეს დაუშრეტელი კერები, ისტორიულად სამთავადნო დოვლათის გული ადგილები იყო, იგი სათავეს აძლევდა ერთი კულტურის ორ უზარმაზარ ნაკადს — კოლხურს (დასავლურ ქართულს) და იბერულს,

³² J. de Morgan. Mission scientifique au Caucase, ტ. I, Paris, 1889; შტრ. გრძნული მედეას შესახებ მოგვითხრობენ და იმ ქვეყნის სიბღიღრეზე, რომელიც ოჭრის, ვერცხლის, რკინისა და სპილენძისაგან შედგება, რაც იყო მიზეზი ლაშქრობისა, (იგულისხმება — არგონავტთა ლაშქრობა კოლხეთში, თ. ყაუხჩიშვილი, სტრაპონის გეოგრაფია, 1957, გვ. 71).

³³ Г. Аби х. Соображение о важности рудных месторождений. нижнего Кавказа, „Горный журнал“, 1850, ч. II, кн. 5, гв. 316.



(აღმოსავლურ ქართულს). მათ ერთვოდა, საქართველოს მიწა-წყალზე, მელითონეობას სხვა მძლავრი კერები — მდ. ენგურის, სოხის, ჭხენისწყლის, რიონის, ყვირილას, სუფსას, ნატანების და კოდორის აუზში მოქცეული „სარკინები“. ძველი ქართული მელითონეობის ისტორიული სურათი გვაგონებს უხვწყლიან მდინარეა, რომელიც ბევრჯერ ამოვარდნილა კალაპოტიდან. მაგრამ წყალი „ნაწყალზე“ დარჩენილა.

ამჟამად, საქართველოს ტერიტორიაზე გევმაშეწონილი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად, რომელსაც ავსებს სხვა მომიჯნავე დისციპლინების მონაცემებიც, გამოვლინებულია ძველი ქართული მეტალურგიის ამსახველი მდიდარი ნივთიერი მასალა, რომლის მიხედვითაც თვალწინ წარმოგვიდგება მამა-პაპის განვლილ საქმეთა გაბმული სურათი ამ დარგში.

ნივთიერი ფაქტების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, ქართველი ტომების როლი და მნიშვნელობა მელითონეობისა და კერძოდ, რკინის კულტურის განვითარების დარგში იმდენად დიდი და თვალსაჩინოა, რომ მისი უარყოფა ჭეშმარიტების ღალატი იქნებოდა. გამოჩენილი მკვლევარი ჩაილდ გორდონი პირდაპირ ამბობს: „... Напротив совокупность данных Анатолии, Эгейских островов и северного Ирана подтверждает гипотезу Френкфорта, что первоначальною каменную металлургию было Закавказье“³⁴. აკად. გ. აბიხი აღნიშნავდა: „აწინდელი საქართველო არა მარტო „დაბადების“ თობალი, არამედ—ბერძენ მწერალთა „იბერია“ და ხალიბთა ქვეყანა. სადაც წარმოებდა ლითონთა დამუშავება. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, განვსაზღვროთ ადგილი, სადაც ხალიბნი ქედღნენ ფოლადს. იმ მეტალთა შორის, რომელთაც შეიცავს საქართველოსა და სომხეთის მთები, რკინა და სპილენძი ემდებოდ დიდ როლს თამაშობს. რომ ფართო მეტალურგიული მნიშვნელობა ძველი იბერიისა და ფუძემდებელი იყო რკინა-სპილენძის მადნეულის ხშირს გავრცელებაზე-ო“³⁵. ასევე, აკ. წერეთელი იმოწმებს რა წყაროებს, აღნიშნავს: „ესხილი (525—456 ძ. წ.) ხალიბების შესახებ წერს. „პონტის მარცხენა მხარეზე ცხოვრობენ რკინის მოხელე ხალიბები, აკეთებენ რკინის იარაღს ელადაში გასაყიდად, რომელსაც „ქლიბი“ (ხალე-

³⁴ Гордон Чайлд, Древнейший Восток в свете новых раскопок, М., 1956

³⁵ Г. А б и х, Соображение о Важности рудных месторождений нижнего Кавказа, „Горный журнал“, 1850, ч. II., кн. 5, გვ. 316.



ფი, ნ. რ.) ჰქვია. ამასვე ამტკიცებს არიანე ნიკომიდელი. მისი აზრით უველაზე ადრე ხალიბებმა შეისწავლეს რკინის ტელობა³⁶.
 თოდ. ქართველი ტომების კავშირს ელნიურ სამყაროსთან მრავალი ფაქტი მოწმობს. წერილობითი წყაროები მიუთითებენ, რომ „... ელინისტურ ხანაში, ისევე როგორც მის წინა პერიოდში, წინააზიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ხალიბთა თემი, რომელსაც განთქმული იყო თავისი რკინის წარმოებით და ნედლეულით, ამარაგებდა რკინის მადნითა და რკინა „ქედილი“ და „უქედველით“ ელინისტურ სამყაროს“³⁷.

გამოჩენილი ორიენტალისტი ფრ. ლენორმანი აღნიშნავს, რომ ძველად XVII—XIV-სს (ძ. წ.) ფინიკიელები აღებამიციემას აწარმოებდნენ ქართველ ტომებთან. მათი გემები მიადგებოდა ხოლმე კოლხიდას და იქიდან დატვირთული ბრუნდებოდნენ უკანო. მათთან მიჰქონდათ კოლხიდაში შექმნილი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმი და ლითონეული: ვერცხლი, ტყვია, რვალი, წმინდად გაგლინული რკინა და ისეთი ფოლადი, რომლის დარი არცერთ სხვა ქვეყანას არ გააჩნდა; ოქრო, რომელსაც კოლხიდელები იქაურ მდინარეებში პოულობდნენ, კალა, რომელიც აუცილებელი საჭირო იყო ბრინჯაოს დასამუშავებლად და რომელსაც იბერნი და ალბანელნი სთხრიდნენ კავკასიონის მთებში-ო³⁸.

ამასთან, ლენორმანი სახელდებულად მიუთითებს, რომ ძველმა სამყარომ იცოდა სამი დიდი საბადო კალისა: დიდ ბრიტანეთში, კავკასიის იბერიაში და პაროპანიზში-ო. პირველში, ფინიკიელების მისვლამდე არ უწარმოებიათ მადნეულის დამუშავება, ორ უკანასკნელ ქვეყანაში კი მადნებს ამუშავებდენ გაცილებით ადრე, ვიდრე ფინიკიელები გამოჩნდებოდნენ კასიიტერიდის კუნძულზე-ო³⁹. ავტორის შეხედულებით ეგვიპტეში ბრინჯაოს საწარმოებლად ადგილობრივი კალა არ გააჩნდათ და იგი უმთავრესად კავკასიიდან, ან ინდოეთიდან შეჰქონდათ. ასევე მენესის, კუფუს და შაფრის მცხოვრებთ საჭირო კალა ქარავენებით კავკასიიდან გაჰქონდათ⁴⁰.

³⁶ იხ. „კავის კრებულო“. 1897, № 11. I განყ., გვ. 33.

³⁷ Эллинистическая техника, Сборник статей, под редакцией акад. И. И. Толстого. М.—Л. 1949, გვ. 18; ფ. თავაძე, შ. მესხია, ვ. ბარჭაია. ფურცლოვანი ლითონების ჩარბზე დამუშავება ძველ საქართველოში, თბ., 1954, გვ. 8—10.

³⁸ Fr. Lenormant, Manuel d'histoire ancienne de l'Orient, 1869, 83, 147.

³⁹ Fr. Lenormant, Histoire ancienne de l'Orient, 1881, გვ. 119.

⁴⁰ Fr. Lenormant, დასახ. ნაშრ., გვ. 461.



ლენორმანის ეს შეხედულება მოითხოვს კრიტიკულ დამოკიდებულებას, ვინაიდან კალის პრობლემა კავკასიის, კერძოდ, აკადემიკოსების მეტალურგიის ისტორიაში საკმაოდ გაურკვეველია, ვინაიდან ჯერაც არ არის დადგენილი მისი საბადოების არსებობა აღნიშნულ ტერიტორიაზე. ქართველი არქეოლოგების მიერ დადგენილია კალის შემცველი ლითონის ფართოდ გამოყენება ბრინჯაოს მეტალურგიაში⁴¹.

ამ მიმართულებით, ყურადღებას იქცევს მასპეროს შეხედულება, რომელიც ასევე, კალას კავკასიის საიმპორტო საგნად მიიჩნევს. იგი წერს:—კავკასიონის ძირას ცხოვრობდნენ იბერები, კოლხები (ფაზისის ნაპირებზე ევქსინის პონტის პირას), სასპირები, ხალიბები, რომელნიც ლითონებს: კალას (?), სპილენძს, რკინას და ოქრო-ვერცხლსაც კი აწვდიდნენ ხალხთა უმეტესობას-ო⁴². მასვე გამოთქმული აქვს საინტერესო მოსაზრება იმის შესახებ, რომ ხეტები და მათი მონათესავე თუბალები, მუშაკები (მესხები —ნ. რ.) ეკუთვნიან ერთ მოდგმას, რომელიც ცხოვრობდა კავკასიაში. ხეტები პირველად დასახლდნენ კაპადოკიის მაღალ ადგილებში და შემდეგ თავრის ხეობით შევიდნენ ჩრდ. სირიასა და კილიკიაში-ო⁴³.

ხეტების შესახებ კონტენო ამბობს: — დღევანდელმა კვლევამ ძიებამ ნათელყო ის ფაქტი, რომ ხეტების ზეგავლენით აზიაში გავრცელდა მაღალი კივილიზაცია. ისინი წარმოადგენდნენ კონფედერატულ ძლიერ სახელმწიფოს, რომლის სათავეში იდგა მეფე. მათ ჰქონდათ დაწერილი კანონმდებლობა და სხვ⁴⁴.

ძველი ქართული მელითონეობის სინამდვილეში დადგენილია რკინის დამუშავების მრავალი საყურადღებო საწარმოო წესი და ტექნიკური ხერხი, რომელთაც დღემდე არ დაუკარგავთ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ფოლადის დამზადების პრაქტიკაში მარგანეცის (ფაშას) გამოყენების ფაქტები, რასაც რკინის დამუშავების ისტორიაში ბადალი არ გააჩნია. შეიძლება დაბეჭდვით ითქვას: ძველი ქართული მელითონეობა მხოლოდ ამ მხრით რომ აგ-

⁴¹ ა. ა. ფ. ა. ქ. ძ. ე. ანტიმონის წარმოების ისტორიისათვის საქართველოში, საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIII—B, გვ. 225.

⁴² Г. Масперо, Древняя история народов востока, 2-е изд., М. 1911, გვ. 239.

⁴³ Масперо, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

⁴⁴ Г. Контеио, Хеты и хетская культура. Под. ред. Бороздина, М.—Л., 1924.



წონ-დავწონოთ, არ შეიძლება არ ვალიაოთ მისი დიდი მოწოდებით
ლობა და საწარმოო მიღწევები.

ქართული მელითონეობის საკითხების კეთილსინდისიერა
მკვლევარი ი. მექმარიაშვილი აი რას წერს ამ საკითხის შესახებ:
„...წედისელები რკინის დნობისას იყენებდნენ „ფაშას“, ანუ მარ-
განეცს. იგი რკინის ბუდობების მეზობლად მოიპოვება დღესაც
როგორც წედისში, ისე ჩასავალში. ძველი მეტალურგიის ისტო-
რიაში მარგანეცის გამოყენება რკინის დნობისას ლითონის ხარის-
ხის ასამაღლებლად აღნიშნულია მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ის-
იც, როგორც მარგანეციანი რკინის მადნის გამოდნობით და არა
როგორც რკინის მადნის ცალკე სამატად გამოყენებით. რაც შე-
ეხება წედისელების მიერ მე-19 ს. ნახევარში „ფაშას“, ანუ მარ-
განეცის გამოყენებას, რკინის დნობისას ლითონის ხარისხის ასამაღ-
ლებლად დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია, იმ მხრით, რომ
რაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ბესმერის კონსტრუქ-
ციის კონვერტორში თუჯის ფოლადად გადამუშავების ცდები და-
იწყეს, კარგი ხარისხის ფოლადი მამინ მიიღეს, როცა თუჯის კაზ-
მში მარგანეცი შეუერთეს და შემდეგ მი-იან წლებში ფოლადის გა-
საწმენდად უკანასკნელ ფაზაში ფერომარგანეცი შეუტრეს. აქე-
დან დაიწყო თანამედროვე მეტალურგიის ახალი ხანა. ვინ იცოდა,
რომ ბესმერზე უფრო ადრე, დიდი ხნით, მარგანეცის გამოყენება
ხარისხოვანი რკინის მისაღებად წედისელმა მკვლევებმა შემოიღეს“⁴⁵.

განსვენებული ავტორი — ივ. მექმარიაშვილი იყო სამთო სა-
ქმის კარგი მცოდნე და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომ-
ლის თვალსაზრისი ამ საკითხში ანგარიშგასაწევია. სხვათაშორის,
იგი ერთობ საინტერესო საკითხს აყენებს და თავის შეხედულება-
საც გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, თუ რა იყო ის „ცეცხლ-
გამძლე ქვა“, რომელსაც ხალიბები ურევდნენ რკინის მადანში
დნობის დროს და ან ის მიწა, რომელსაც მოსინიკები ხმარობდნენ
სპილენძის მადნის გამოსადნობად? ავტორი არ ეთანხმება არსე-
ბულ შეხედულებებს ამ საკითხზე და თავის მოსაზრებას, აყენებს:
„თუ ჩვენ ამ საკითხებს სათანადოდ გავარკვევთ — ნათელი გაჩ-
დება ქართველი ტომების წინაპართა — ხალიბებისა და მოსინი-
კების ნოვატორული როლი მელითონეობის განვითარებაში. ხალი-
ბების მიერ ხმარებული „სარევი ქვა“, ზოგიერთის აზრით ის კირ-

⁴⁵ ივ. მექმარიაშვილი, რკინის ძველი წარმოება დასავლეთ საქარ-
თველოში, ხელნაწერი, თბ., 1960, გვ. 65.



ქვები უნდა ყოფილიყო, რომელსაც დღეს მეტალურგიაში წარმოებაში ხმარობენ და „ფლიუსად“ იწოდება. მაგრამ მასზე თუჯს მაღალ ტემპერატურაზე აღნობენ, რისთვისაც საჭიროა ასეთი „ფლიუსი“ დნობის გასაადვილებლად. ძველად კი დნობა სწარმოებდა ცივი ბერვის საშუალებით 700°—900° ტემპერატურაზე, სადაც კირქვა საჭარო არ იყო. აქედან დასკვნა — „ქვა“, რომელსაც ხალიბები იყენებდნენ უქანგავი რკინის მისაღებად, უნდა ყოფილიყო კრისტალურ-თიხოვან-კაყოვანი ქანი, რომელიც წარმოადგენს სილიკატურ-ალუმინურ შენაერთს, რომელიც ბლომადაა ჭოროხის ხეობაში. ამრიგად, ხალიბები იყენენ ნოვატორები უქანგავი რკინის მისაღებად ბუნებრივი გამყანგავი ქანების გამოყენებაში. ასევე, მოსინიკების მიერ სპილენძის დნობაში გამოყენებულ თეთრი მიწა იყო მინერალოგიაში ცნობილი „სმიტსონიტი“ (თუთია), რომლის შერევითაც სპილენძთან მიიღებოდა ახალი ლითონი — თითბერი. ამოთ მოსინიკებმა პირველად შემოიღეს კალას მაციერ თუთიის გარევა სპილენძის მადანში და მიიღეს სხვადასხვა ფერი თითბერი. ამასთან დაკავშირებით, მართებულა ზოგიერთი კლასიკური ხანის მწერლის აზრი იმის შესახებ, რომ ხალიბები და მოსინიკები მჭობლობის მასწავლებლები იყვნენ მეტალურგიაში⁴⁶.

უნდა ითქვას, რომ ქართველმა ხალხმა სხვა კულტურულ მონაპოვართან ერთად, საუკუნოებით გამოატარა რკინის დამორჩილების წესები და ამ დარგში დაგროვილი მდიდარი ემპირიული ცოდნა და საწარმოო გამოცდილება.

რკინის დამუშავების მაღალი ტრადიციების საფუძველზე, ქართველი ხალხის წინაპრებმა — ხეთურ-სუბარულმა ტომებმა ხალიბ-ხალდ-ქანებმა თავის დროზე მიადწიეს მაგარი რკინის, ანუ ფოლადის მიღებას, რითაც საქვეყნოდ ესაჩვენეს თავი. „დაბადება“ (ბიბლია), ხოლო შემდეგ ბერძნული სამყარო მათ თვლის რკინის დამუშავებისა და საერთოდ, კვერით ხურობის ხელოვნების მფლობელად, რომელთაც იციან ფხიანი და უქანგავი რკინის მიღების საიდუმლოება. სხვა კუთხის რკინეულის წინაშე, აქაურ რკინას, ბერძნები მაღლა აყენებდნენ და მას მათგან გასარჩევად „ხალიბურს“ (ხალუფდიკოს, ბერძნ.) უწოდებდნენ⁴⁷. როგორც ცნობილია.

⁴⁶ ი. მეძმარიაშვილი, დასახ. ნაშრომი, თ. 1, გვ. 17.

⁴⁷ ივ. ჭავჭავაძე, ქართველი ერის ისტორია, 1², 1928, გვ. 20.



ხალიბური რკინის თავისებურება კლასიკური მწერლობის ცნობებით იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი რკინის მადანში ურვევად ერთგვარ ადგილობრივი ჯიშის ქვას, რომელიც მათ ქვეყანაში მოიპოვებოდა. რა ქვა იყო ეს, ან რაში მდგომარეობდა მისი როლი აუხსნელი რჩებოდა. მაგრამ ხალიბთა დიდი ტრადიციები. მისი უშუალო მემკვიდრეებისა და გამგრძელებელთა სახით, დღეგრძელი აღმოჩნდა. „რკინის კაცობმა“ ქართლსა და რაჭაში მე-19 ს. 80-იან წლებამდე ცხოვლად შემონახეს მაგარი რკინის დამზადების საყურადღებო წესი—რკინის მადანში შავი ქვას, ანუ მანგანიუმის დართვის ხერხი და ეს ისტორიული მნიშვნელობის მონაპოვარი ჩვენს თაობას გადმოსცეს. ამით ხალიბური რკინის საიდუმლოება საცნაური გახდა⁴⁵. ამ მიმართულებით საყურადღებოა კორესპონდენტის—ჭიათურის მალაროს მუშის ს. ხითარაშვილის ცნობა სოფ. რგანის კლდის გამოქვაბულში მიკვლეულ წინაპართა ნაკვალევის შესახებ, სადაც მისი სიტყვით ნახული იყო — „როდინის მაგარი ათი ორმო. თითოეული ორმოს სიღრმე = 20—25 სმ., დიამეტრი— 10—15 სმ. ორმოებში აღმოჩნდა მარგანეცის ფხვნილი. გამოქვაბულის ახლო-მახლო არ ყოფილა შემჩნეული მარგანეცის ფენები. აქ აღმოჩნდა აგრეთვე ღრუდანი აგურიით ნაშენი ქუჩის ნაშთები. სადაც თითქოს დნობის წარმოების კვალიც არის“. სამწუხაროდ, ამ ძველი ნაშთების თარიღის შესახებ მას არაფერი აქვს ნათქვამი, მიუხედავად ამისა თავად ფაქტის დასახელებასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მარგანეცის გამოყენების შესახებ ძველ მეტალურგიაში.

ჩვენ აღვნიშნავდით, რომ რკინის დამუშავების კულტურა ქართველ ტომებში, არსებითად, ერთიანი საწყისიდან მომდინარე ერთი საერთო შემოქმედების მთლიანი ჯაჭვია, რომლის თითოეული რგოლი, ადგილისა და დროის მიხედვით, გარკვეულ ეთნიურ თავისებურებასა და კუთხურ იერს ატარებს. საერთოდ რკინასა და რკინეულს განარჩევდნენ სწავდასხვა ნიშან-თვისებით და ამის კვალობაზე სადაურობის მიხედვით. ამ მიმართებით, ბევრის მანიშნებელია საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული მაგარი რკინის აღმნიშვნელი სახელები: „ტობართინი“. „ხალდი“. „ჭანარი“ „შანარი“. საინტერესოა და შეიძლება შემთხვევითი არ იყოს, რომ თითოეული ეს ტერმინი რკინის თვისებასა და ეთნიურ ხასიათს ამჟღავნებს.

⁴⁵ შტრ. ი. მეძმარიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 116—20, 165.



აკად. ს. ჯანაშიას სატომო სახელი „ქანი“ მიაჩნია „კენჭისფერი“ (პლინიუსი, IV, § II) ფონეტიკურ სახესხვაობად, სადაც „კ“ შენაცვლებულია ზგერა — „კ“ -სთან⁴⁹. ასეთი ენობრივი მოვლენა სავსებით კანონზომიერად ითვლება ქანური ენისათვის, როგორც ეს საფუძვლიანად აქვს დადგენილი აკად. ა. ჩიქობავას⁵⁰. ასევე, აკად. ნ. მარის აზრით სახელი — „რკინა“—კინა, წარმოადგენს ჰან-ლაზთა სატომო სახელწოდებას, რომლის კვალი ჩანს „დაბადებაში“ თუბალ-კაინის სახით (შესაქმე, 4,22)⁵¹. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ ბერძნულ სამყაროდან მომდინარე, მაგრამ ანალოგიური ხასიათის, ხალიბების ეთნიკურ სახელთან დაკავშირებულ ფოლადის ბერძნულ სახელს — „ხალვფსს“, აღმოჩნდება, რომ ის, რაც ხსოვნას წართმევია, ენას დაუცავს და შეუნახავს. ამასთან დაკავშირებით მავონდება ცნობილი ენათმეცნიერის მაქს შიულერის შემდეგი სიტყვები: „ენა მივეიძღვის დროებს წყვილიადში ბევრით შორს, ვიდრე ასირიისა და ბაბილონის ლურსმული და ეგვიპტის იეროგლიფური დამწერლობა“⁵².

ამ მიმართებით შეიძლება აღინიშნოს, რომ ქართველი ტომების: თუბალების, ხალიბების, ხალდების, ქანების ეთნიურ სახელთან დაკავშირებით, ზემოხსენებული ტერმინების მეცნიერული ანალიზი და მისი ამ თვალსაზრისით გაშუქება ქართველ ენათმეცნიერთა წმინდა მოვალეობაა და მათ უნდა მივანდოთ.

საერთოდ, „თუბალ-მკედლის“ კვერით ხურობის ხელოვნება ხალიბ-ხალდ-ქანთა და შემდგომად მათი ამ საქმის გამგრძელებელ ქართველ „რკინისკაცთა“ ხელში დიდ სისრულეს და მოწიფულობას აღწევს. წედური ფოლადის ფაქტები ამას ნათლად მოწმობს.

ფაქტიური ვითარება — ბოლო ხანებში საქართველოს მიწა-წყალზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, სავსებით უეჭ-

⁴⁹ აკად. ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარნი, იბერი, შრომები, III, 1959, გვ. 33.
⁵⁰ აკად. ა. ჩიქობავა, ქანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936, გვ. 15, 16.
⁵¹ Н. Марр, Яфетические элементы в языках Армении, I, ИАН, 1911, гв. 141—142.
⁵² М. Мюллер, Лекции по науке о языке, СПб., 1865, гв. 19.

ველს ხდის იმ ამბავს, რომ რკინის მეტალურგია და საერთოდ მეტალურგია საქართველოს სინამდვილეში გარედან დამუნილი კულტურა კი არ არის, არამედ სისხლხორცეულად ორგანული და თავისთავადია.

ამ მიმართულებით. საქართველოს ძველი მეტალურგიის საკითხებით დაინტერესება და მისი შესწავლისათვის მუშაობის ფართოდ გაშლა, რომელსაც აკად. ნ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობს, შორსმწვდომი მნიშვნელობისაა. თავის დროზე აკად. ი. ჯავახიშვილი ქართველ მეცნიერთა წინაშე, ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში, უახლოეს ამოცანათა შორის აყენებდა, სახელდობრ, ლითონის გამოყენებისა და მისი ჩამოსხმა-ჭედვის ხელობის გაჩენის თავდაპირველ კერებრსა და გავრცელების გზების საკითხს⁵³. საკითხის აქტუალობას ისიც აძლიერებს, რომ არქეოლოგიური მონაპოვარის მიხედვით საესებით ცხადი ხდება ანტიკური მწერლების მკაფიოდ გაშოთქმული მოსახრება ქართველი ტომების განსაკუთრებული როლის შესახებ მეტალურგიული კულტურის, კერძოდ, რკინის დამორჩილების საქმეში.

უწინ, ჩვენი ქვეყნის მოწინავე აღმზინებისა და მესვეურთა განსაკუთრებული ზრუნვა მადნეულით მდიდარი სამხრეთ რაიონების შემომტკიცებისათვის იმითაც იჩხსნება, რომ ისინი ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივ-სამხედრო თვალსაზრისით უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ თემების პოლიმეტალურ წიაღისეულს.

მადნეულის ეს უზარმაზარი კერა უხვად კვებავდა ლითონეულით როგორც მახლობელ, ისე შორეულ რაიონებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს დედაქალაქი მცხეთა და შემდეგ თბილისი, წარმოადგენდა ამ სამხრეთის რაიონებიდან მოწოდებულს, ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების სახით, — „უქედელი“ რკინა-სპილენძის მთავარ დამამუშავებელ ცენტრებს. ამ აზრის საფუძველს გვაძლევს „ქართლის ცხოვრების“ ძველი სარკინესტრიტორიაზე — („გრძელი მინდორი“, „სარკინე ვორა“) არქეოლოგების ა. აფაქიძის, გ. ვობეჯიშვილის, ნ. ლამბაშიძის მიერ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული

⁵³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 95—96.



მასალები, რკინის ლუგები, მადნეული, ნახევარ-ფაბრიკატურები
წარმი და სხვა⁵⁴.

საქართველოს
წიგლიერთა კავშირი

ქვემო ქართლის მელითონეობის ფართო ხასიათის მაჩვენებელია, განსაკუთრებით მადნეულის ძველი გამონამუშევართა ნაშთები, რომლებითაც მოფენილია ვრცელი ტერიტორია მადნეული საბადოებისა⁵⁵. აქ გამოყენებული ხერხები შახტების გამართვისა — კლდეთა ზერეტა და იქიდან წიაღისეულის გამოკოდვის წესები მაღალ დახელოვნებასა და დიდ ტრადიციებს მოწმობს. ამასთანავე, მელითონეობასთან დაკავშირებულ ძველ ნაგებობათა საწარმოო აგრეგატების (მადნეულის გამოსაწვავი და გამოსადნობი ქურების), ნედლეულის და მათი თანაარსი ინვენტარის ნაშთები ამასვე აქტივებს. ადგილზე ჩატარებული საველე-ეთნოგრაფიული მუშაობისა და არქეოლოგიური გათხრების საფუძველზე მიკვლეულ სამთო-მეტალურგიული წარმოების მთელი რიგი ცენტრები — „თალა“, „სარკინე“, „ბაღდადი“, „სორჯუ“, „ათაშენი“, „საკოლია“ და სხვ., მჭერმეტყველურად ღალადებენ აქ უძველესი მელითონეობის სიმკვიდრის შესახებ. სამთოელების და „რკინის კაცების“ მთელი უბნების ნასახლართა კვალი — „სორჯუსა“, „თალასა“ და ბაღდადის ნასოფლარზე, ამასვე გვიჩვენებს.

მეფე ერეკლე II, რომელსაც მშენივრად ესმოდა სამთო წარმოებისა და მეტალურგიის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებისა და სამეურნეო ცხოვრებისათვის, განსაკუთრებულად იყო დაინტერესებული მელითონეობის დარგით. ამასვე უკარანახებდა მას სამხედრო აღჭურვილობათა ტექნიკური გაუმჯობესების აუცილებლობა და საგარეო მდგომარეობით გამოწვეული ეკონომიური საჭიროება. ცნობილია, რომ ამ მიმართულებით მან მთელი რიგი ღონისძიებანი ჩაატარა. როგორც ზემოთ ითქვა, ამავე მიზნით იგათვისი ფეხით გაყვა აკადემიკოს გულდენშტედტს მადნეული საბადოების მოსახილველად და წარმოებისათვის შესამოწმებლად. ერეკლეს სურდა ამ მცოდნე პირის საშუალებით არსებული მეტალურგიული წარმოების ტექნიკური გაუმჯობესება და ფართო

⁵⁴ ა. აფაქიძე, საქართველოს უძველესი კულტურა ახალ არქეოლოგიურ აღმოჩენათა შუქზე, საქარო ლექციის სტენოგრაფია, 1956, გვ. 18, 31.

⁵⁵ იხ. ა. კოკლავაშვილი, ნ. რეხვიასვილი, რკინის წარმოების ნაშთები ბოლნისის რაიონში, ხელნაწერი, 1956, გვ. 5-30;

აღორძინება. ერეკლემ წინადადება მისცა გულდენშტედტს. მოლა ამ საქმეს სათავეში, მაგრამ უარი მიიღო მისგან. მიზეზად რუსეთის მთავრობისაგან საამისოდ რწმუნების უქონლობა დასახელა⁵⁶.

ამ მხრივ, მართებულად არ მიგვაჩნია ის შეხედულება, რომლის მიხედვითაც მეტალურგია, კერძოდ, რკინის დამუშავება ერეკლეს დროინდელ წარმოყვებადაა მიჩნეული.

ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებული ძველი მელითონეობის ნაშთების მეცნიერული შესწავლა საკვებით აქარწყლებს ზემოხსენებულ ფუძე და უსაფუძვლო მოსაზრებას⁵⁷. როგორც ზემოთაც ითქვა, სამიოდე წლის წინ ბოლნისის „სარკინეთა“ გათხრებმა ნათლად წარმოაჩინა ნივთიერი მჩვენებლები ანტიკურ და ფეოდალურ პერიოდში აქ წარმოებულ სამთო-მეტალურგიულ სამუშაოთა შესახებ. არსებობს საბუთი იმისა, რომ XIII-ს მონგოლების მიერ დაბეგრლი იყო საქართველოში რკინის მოხელე მჭედლები და რკინის მწარმოებელი პირები⁵⁸. აქედან ჩანს, რომ ფეოდალურ საქართველოში ხალხური რკინის მეტალურგია კარგად განვითარებულ წარმოება იყო.

საერთოდ, საქართველოს ტერიტორიაზე მიკვლეული სამთო წარმოებისა და მეტალურგიის ნაშთები დროის სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. ქართველ არქეოლოგთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ადრეული რკინის ხანა, დაახლოებით ძ. წ. I ათასწლეულის დასაწყისით უნდა დათარიღდეს⁵⁹. ამ შემთხვევაში მათი ამოსავალი წერტილია სამთავროს გათხრებით მოპოვებული ნივთიერი მჩვენებლები.

საკითხთან დაკავშირებით არქეოლოგი გ. ვობეჯიშვილი შეკვდივს აღნიშნავს: „სამთავროს სამაროვანმა, განსაკუთრებით გაითქვა საწელი გვიანდელი ბრინჯაოს და ადრეული რკინის ხანის ძეგ-

⁵⁶ იხ. გულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილს თარგმანი, თბ., 1961.

⁵⁷ ალ. კოჭლავეაშვილი, რუსეთის როლი საქართველოს სამთო-მეტალურგიული მრეწველობის განვითარებაში, თბ., 1955, გვ. 330-340.

⁵⁸ Д. Пурцеладзе, Гуджари, გვ. 78-79; С. Аваляни, Крестьянский вопрос в Закавказье, Тб., 1933, გვ. 63.

⁵⁹ განსხვავებულ მოსაზრებას აყენებს არქეოლოგი ზ. აბრამიშვილი (იხ. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, საქ. მეზეუმის მოამბე, XXI—B, გვ. 293).



ლებით. ეს პერიოდი მოდის დაახლოებით ძ. წ. XIII—X ს. მართალია, მე-XIII—X ს. სამარხებში რკინა არ ჩნდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შიდა ქართლში ამ ლითონს არ იცნობდნენ“-ო⁶⁰.

დათარიღების ეს საზღვრები არქეოლოგ რ. აბრამიშვილს მართებულად არ მიაჩნია და გარკვეული საბუთიანობის მიხედვით საჭიროდ თვლის მის უფრო ღრმად გადაწევას. ამის საფუძველს იგი ხედავს, განსაკუთრებით, თრიალეთის ს. ბეშთაშენისა და ზოგიერთი სხვა კუთხის არქეოლოგიურ მასალაში, სადაც რკინა წარმოდგენილია გვიან ბრინჯაოს ხანის ადრეული პერიოდის ბრინჯაოს ნივთებთან ერთად, რაც მისი აზრით რკინის ათვისების ადრეულ პერიოდზე მიგვიჩივებს. აქედან დასკვნა: რკინის ათვისების თარიღი აღმოსავლეთ საქართველოში დგება არა X ს. ძ. წ., არამედ უფრო ადრე XIV—XIII ს. მიჯნაზე⁶¹. ავტორმა ამ პრობლემას სპეციალური ნაშრომი უძღვნა, რომელიც მოიცავს პერიოდს XIV—VI სს. ძ. წ. იგი საფუძვლიანად იხილავს ადრეული რკინის ათვისების საკითხებს აღმოსავლეთ საქართველოში და მართებული მეცნიერული ანალიზის საფუძველზე საინტერესო დასკვნამდე მიდის. დასაბუთებულია, რომ მის ზოგიერთ მოსაზრებას არ ამაგრებს ეთნოგრაფიული მონაცემები, რაც საერთოდ უგულებელყოფილია.

რკინა, ძველი მეტალების წყებიდან, მიჩნეულია უმცროსი ასაკის ლითონად⁶². იგი სამეურნეო ხასიათს იღებს მხოლოდ კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლის დროიდან. ესაა ხანა გვაროვნული წყობილების დაშლისა და მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბებისა⁶³.

⁶⁰ გ. გ. ბ. გ. ჯ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952 გვ. 74; შდრ., თ. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები სოფ. თორაში, თბილისის საბ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 65, 1957, გვ. 194—196; Б. А. Куптин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941 გვ. 52—53; ი. ჯქელიშვილი, სამთა წარმოების და მეტალურგიის უძველესი კერა ბონისში, მოხსენებათა თეზისები, 1959, გვ. 22—24.

⁶¹ რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოში ტერიტორიაზე, საქ. მეზეუმის მოამბე, XXII—B, გვ. 293—295;

⁶² Ю. Липс, Происхождение вещей, М., 1954 გვ. 140.

⁶³ ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 11, თბ., 1950, გვ. 374.



საერთოდ, ლითონთა წარმოების პირველი ეტაპი მკიდრისა და კრძანის დაკავშირებული ნედლეულის წყაროსთან. ნედლეულის მრავალგვანუყოფელი ამ ნედლეულის დამუშავებასთან. შემდეგ ეტაპზე კი ლითონის ხელობა ცალკე გამოეყო მეტალურგიას. როგორც მკვლევარნი მიიჩნევენ, ეს გამოყოფა ადრევე, სპილენძის ხანაშივე, მომხდარა. გვაროვნული საზოგადოების დაშლის პერიოდში, მართალია, მეტალურგია და ლითონთა დამუშავების ხელობა უკვე გამოიჯნული არიან, მაგრამ მისი ხასიათი ჯერ კიდევ ნატურალურია და სასაქონლო მიზნებს არ ისახავს. შემდეგში, როგორც წესი, ლითონის ნაწარმი ალებ-მიცემის საგანი ხდება და თანდათან სასაქონლო ხასიათს იღებს. ლითონი, კერძოდ რკინა — „ქვილი“. თუ „უქვილი“ სახით, წარმოადგენს გაცხოველებული ეკონომიური ურთიერთობის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს საშინაო და საგარეო ბაზარზე.

როგორც ცნობილია, თემურ-გვაროვნული წყობილების დროს მელითონეობა ატარებდა საერთო წარმოების ხასიათს. იგი თემის, გვარისა და ტომის საზოგადო საკუთრებას წარმოადგენდა. ზოგიერთ ცნობებით ამგვარ ხასიათს ატარებდა ამ უკანასკნელ ხანებამდე. რკინის დამუშავება აფრიკის ცალკეულ ხალხებში⁶⁴. ანალოგიური სახისა უნდა ყოფილიყო რკინის წარმოების საზოგადოებრივი ფორმა ქართველ ტომებში — ხალიბებსა და მოსინიკებში ძველად, როგორც ამის შესახებ იუწყებიან ანტიკური მწერლების ცნობები. საყურადღებოა, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში უკანასკნელ დრომდე შემოინახა რკინის დამორჩილების კოლექტიური წესები გადმონაშთების სახით. XIX ს. I ნახევარამდე კიდევ მოქმედებდნენ „სარკინეთში“-წედისი. ოკრიბა, ბოლნისი (ჩათახი), ამხანაგობის პრინციპზე გაერთიანებული „რკინისკაცები“.

საკითხთან დაკავშირებით საჭიროა ყურადღება მიექცეს ერთ გარემოებას. რკინის წარმოება თვით საწყის ფორმებში შეიცავდა რთულ სამუშაოებს, რომელთა შესრულება ერთი და ორი პირის ძალღონეს აღემატებოდა. თუ მადნეულის მიგნება-მიკვლევა ერთ

⁶⁴ Л. Морган, Древнее общество, I, 1934, гл. 10;

Р. Шмидт, Очерки по истории горного дела и металлообработки-вающего производства в античной Греции, Изв. ГАИМК, М.-Л., 1936, Вып. 108.



კაცსაც შეეძლო, მისი მოპოვება-დამუშავება შრომის მოითხოვდა. რაც არ უნდა ადვილი და მარტივი ყოფილიყო რკინის წარმოება პირველ ხანებში, ძალთა კოლექტიური გაერთიანების გარეშე უშედეგო იქნებოდა. ეს მომენტი თავიდანვე განსაზღვრავდა რკინის დამუშავების სოციალ-ეკონომიურ ხასიათს. საერთოდ, რკინის დამუშავების კულტურა, რომელსაც თან ახლდა საზოგადოების სამურნეო ცხოვრების სწრაფი წინსვლა, წარმოადგენს კლასობრივ საზოგადოებაში, არა მარტო ტექნიკური პროგრესის ბაზას, არამედ სოციალური და პოლიტიკური პრივილეგიების ერთ-ერთ ძირითად წყაროს. სამეურნეო და საბრძოლო რკინის იარაღი მფლობელის ხელში იყო არა მარტო საარსებო საშუალება, არამედ გარკვეული უპირატესობათა მიზეზი, ამიტომ ყველა ცდილობდა ამ წყაროს გადაგდებას თავის არხში.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თემურ-გვაროვნული წყობილებისაა მელითონეობის საქმის მორგანიზებელი ხელწიფება თვით თემს ეკუთვნოდა, რომელსაც სათავეში ედგა ხალხის მიერ არჩეული გვარის საბჭო, ხოლო მისი დაშლის პერიოდში თემი ირი (თემის ხელმძღვანელი). კლასობრივი საზოგადოების — მონათმფლობელური წყობილების ჩამოყალიბების შემდეგ, წარმოების ეს დარგი გაბატონებულ კლასის ხელში მშრომელთა ექსპლოატაციის ერთ-ერთ საშუალებად იქცევა. მომდევნო ფორმაციების — ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის პერიოდში, რკინის წარმოება საზოგადოების ცხოვრებაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. გაბატონებული მმართველი კლასები ყველა ძალით ცდილობენ, რათა მეურნეობის ეს დარგი დაუკავშირონ თავის ინტერესებს და იგი ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური ზეგავლენისათვის გამოიყენონ.

საქართველოს ტერიტორიაზე მიცვლელი სამთო-მადნო წარმოების, დამზადებული მადნეული, რკინაწილის ყორეები, მადნის ნივთიერი ნაკვალევნი — გულგამოცლილი რკინის საბადოები, საწური ქურები და სხვა აღჭურვილობათა ნაშთები მოწმობენ, რომ ძველ მელითონეებს ჩაუტარებიათ უდიდესი მოცულობის შრომატევადი სამუშაოები, რომელთა განხორციელება მოითხოვდა გარკვეულ საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და სახელმწიფოებრივ მზრუნველობას. მეორე მხრივ, ეს ფაქტები მოწმობს, რომ ადრეულ ხანებიდანვე რკინის კულტურას ხარბად დაწაფებიან ჩვენი წინაპრები და იგი თავიდანვე გაუხდიათ თავისი ზრუნვის საგნად. ჩანს.



მათ კარგად ჰქონიათ შეგნებული მისი როლი და მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო და სამაეღრო-პოლიტიკური ცხოვრებისათვის. შენობა ვივარაუდოთ, რომ საუკუნეთა მანძილზე ჭართველი ხალხის გმირულ ბრძოლას, რიცხობრივად აღმატებულ მტერთა წინააღმდეგ, განაპირობებდა ლითონთა დამორჩილების მაღალი კულტურის საფუძველზე შემუშავებული უმჯობესი საქურველი უკანასკნელ ხანებში, საქართველოს მიწა-წყალზე წარმოებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებულია მდიდარი ნივთიერი მასალა, რომელიც მკაფიოდ გვისურათებს საქართველოს ისტორიის განვლილ ეპოქებს და სამეურნეო ცხოვრების ცალკეულ საფეხურებს. საქართველოს მუზეუმებსა და სიძველეთა საცავებში თავმოყრილი და დაუნჯებელია ძველი მელითონეობის ამსახველი არა მარტო „ხელაღი“, არამედ მათ დასამზადებლად განკუთვნილი ლითონის ყალიბები (ნაირი სახის), ნახევრადნაშადი საგნები და რაც მთავარია, მზა მასალა, ლითონის კვერები, ლუგვები, შოლტები, და სხვ. ეს ყველაფერი იმას მოწმობს, რომ მელითონეობა ქართველი ხალხისათვის იყო არა „სხვაგნითური“ და გარეშე, არამედ „თავისიანი“ და „შინაური“, როგორც ხვესურნი იტყვიან: „ვითა ცას ნამი და მიწას ბალაბი, ისე მათ ეს ხელობა დასაწყისიდან მოდგამდათ“.

სინამდვილეში, ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე გამოატარა, გააღრმავა და სრულყო ხალხური მელითონეობა, რომელშიაც ბევრი საყურადღებო და გამოსადეგი ხალხური სიბრძნე და ცოდნა-გამოცდილებაა ჩაქსოვილი. ამ მიღწევათა პრაქტიკული მნიშვნელობა ახლაც დიდია და თამამად ინერგება ცხოვრებაში, კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საჭიროებისათვის. ამ მიმართებით, ძველი ქართული ხალხური მელითონეობის საკითხი კულტურულ-ისტორიულ მნიშვნელობასთან ერთად პრაქტიკული ღირებულებისაა სახალხო-სამეურნეო ამოცანების თვალსაზრისით.

უნდა ითქვას, რომ ქვეყნის წინსვლა-განვითარების საქმეში რკინის როლი და მნიშვნელობა საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. განსაკუთრებით დიდია მისი ხვედრიწონა ქართველი ხალხის ცხოვრებაში ისტორიულად⁶⁵. რკინის კულტურა, რომელმაც ადრე-

⁶⁵ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 13, თბ., 1928; გ. ჩიტაია, რაჭული სახენელი, ენიშვი-ს მოამბე, ტ. 1, გვ. 288.



ვე მოიკიდა აქ ფეხი. მალე მათი სამეურნეო და საზოგადოებრივი ყოფის მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება ქართველი ტომები, ლეღუღიანი რკინის კულტურას, კმნიან დაწინაურებული დასახლებული უბნების იარაღს, რომლის ბაზაზე წარმოებს მონუმენტურ ნაგებობათა — საცხოვრებელ, სამეურნეო და საკულტო შრამელთა მშენებლობა⁶⁶, კლდეთა გამოკვეთვა მაღალი ხელოვნებით; ხეზე, ძვალზე, ქვაზე, ლითონზე მოსახვა-მოჭრელება იშვიათი გემოვნებით, შინამრეწველობის, ხელოსნობის ცალკეული დარგების ჩამოყალიბება-დაფუძნება და რაც მთავარია, რთული, ინტენსიური „მიწარობის“ განვითარება — ახოს აღება⁶⁷, რუსსმულეების გაწყობა და საერთოდ, სარწყავი და საირიგაციო სისტემების შექმნა⁶⁸, მევენახეობის, მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარება და სხვა. განსაკუთრებით გადამწყვეტ მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა რკინას, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და ბრძოლისუნარიანობისათვის. ხელმარჯვე და საგულდაგულოდ ნაქედი საქურველი, ქართველის მარჯვენას მატებდა ძლიერებასა და შემართებას. ამ მიმართებით, რკინა, დაპურების წყაროც იყო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საშუალებაც. ქართველს ცალი ხელი რომ გუთნისათვის ეკიოდა, ცალით მუხვილი ეპყრა. მიწარობა და მელითონეობა ერთიმეორეს აესებდა. ასე გამოატარა ისტორიულ ქარცეცხლში ქართველმა ხალხმა სახალხო მეურნეობის ეს ორი ძლიერი და მნიშვნელოვანი დარგი.

ამიტომ, საკვირველი არ უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიაზე უღემდე დაშენილი რკინის წარმოების მრავალი ნაკვალავი და „რკინის კაცების“ მიერ „მორკინული“ საბადოები, რაც უუქ-

⁶⁶გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I, თბ., 1936; შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I, თბ., 1944.

⁶⁷G. Tschitaiia, *Hakbau in westlichen Georgien (Kolchis), Agrar ethnographie, Veröffentlichungen des instituts für Deutsche Volkskunde, Band 13, Berlin, 1927.*

გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960, გვ. 13.

ვ. ითონიშვილი, ზენა-თესვა ხეში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, 1953, №5.

⁶⁸ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 141—190; შ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961;



თუ იმ ხალხის ცხოვრებაში მკაფიოდ ჩანს ებრაელთა მემკვიდრეობის იმ ცნობებით, რომელიც შეეხება ფილისტიმელთა დამოკიდებულებას ისრაელთადმი „...ხოლო მკედელნი რკინისანი არა იპოვნეს ყოველსა შორის ქვეყანასა ისრაელისასა, რამეთუ თქვიან უცხო თესლთა (ფელისტიმელთ — ნ. რ.) ნუ უკვე იქმოდინა ებრაელნი მახვილსა და შუბსა. და ვიდოდნენ ყოველნი ძენი ისრაელისანი ქვეყანასა და უცხო თესლთა ჰედად თვითეული თვისისა მანგლისა, და საქურველისა მათისა“ (1 მეფეთა, თ. 13—30). ი. ლიპსი სამართლიანად შენიშნავს: „ჩანს, რკინის დაუფლება იმ დროს სწყვეტდა ბრძოლის ბედს და განსაზღვრავდა მსოფლიო ისტორიის მსვლელობას“-ო⁶⁹. ასევე, ნაირსახის სამიწათმოქმედო რკინის იარაღების შემუშავებისა და რთული სახვნელი იარაღების — სახნის-საკვეთელთა დამზადების საქმეში, ადგილობრივი ნედლეულის საფუძველზე, რკინის მასალის თანაარსებობა წარმოადგენდა მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განაპირობებდა განვითარებული და მოწინავე მიწათმოქმედების ჩამოყალიბებას საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში⁷⁰. ამ მიმართულებით პლინი მართებულად აღნიშნავს: „რკინის საბადოები აძლევს ადამიანს საუკეთესო მასალას, რომელსაც იყენებს იგი თავის საკეთილდღეოდ. მაგრამ ამასთანავე, ბოროტი საქმისათვისაც. რკინის იარაღებით ვაჭურვავთ მიწას, ვკაფავთ ტყეებს, ვსხლავთ ხეხილს, ვაშენებთ სახლებს. ვაჭურვავთ ქვას, ხეს, ვამზადებთ სხვადასხვა სახმარ საგნებს. მაგრამ რკინის იარაღსავე ვხმარობთ ომის საწარმოებლად და ძარცვა-გლეჯისათვის. ჩემის აზრით, ადამიანის გონების ნაეშმაკართაგან რკინა ყველაზე ცოდვიანი ნამოქმედარია, მაგრამ ამაში ბრალი ადამიანს მიუძღვის და არა ბუნებას. იგი შეიძლება უვნებელყოფოდ და მხოლოდ კეთილი საქმისათვის მოვიხმაროთ“⁷¹-ო.

როგორც ჩანს, ანტიკურ ხანაში რკინის იარაღს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სოფლის მეურნეობისათვის. ინტენსიური მიწარობა დიდად იყო დამოკიდებული გუთნის კულტურასთან. როგორც ცნობილია, გუთნით მიწის დამუშავების ხანა, ეს უმაღლესი კულტურის სამეურნეო საფუძველი, გაპირობებულია

⁶⁹ Ю. Липс, დასახ. ნაშრ., გვ. 154—5.

⁷⁰ გ. ჩიტაია, რკველი სახვნელი, ენიშკის მოამბე, ტ. 1, გვ. 290; მ. გეგეშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

⁷¹ Plinius, Nat. hist.



ლითონთა, კერძოდ, რკინის გამოდნობის ხელოვნებით. მეტყველებს
 ბაში არსებული შეხედულებით, დამწერლობისა და „სახელოვნებას“
 გამოჩენას წინ უსწრებს ლითონის გამოდნობის კულტურა.

სახენელი იარაღების წინსვლა-განვითარების საქმეში დიდი
 როლი შეასრულა და საგრძნობლად გააღრმავა მათი ფუნქცია რკი-
 ნის ნაწილების დართვამ. საერთოდ, რთული სახენელი იარაღების
 შემუშავებას და მათი გენეზისის საკითხს პროფ. გ. ჩიტაია წინა-
 აზიის სამყაროს უკავშირებს, განვითარებული ლითონის კულტუ-
 რის პირობებში⁷².

საინტერესოა, რომ მიწარობის ქვეყანა, საქართველო, რომე-
 ლიც საკმაოდ ბევრ რკინას ხარჯავდა ამ საქმისათვის არა თუ აკ-
 მყოფილებდა შინაურ ბაზარს, არამედ საკმაო რაოდენობით გა-
 ქონდა მეზობელ ქვეყნებში⁷³.

ამგვარად, ძველი ქართული ხალხური მელითონეობა კერძოდ,
 რკინის დამუშავების კულტურა სათავეს იღებს ძველ ეპოქებში-
 იგი წარმოადგენს ერთიან ჯაჭვს, დაწყებული გვიანბრინჯაოს ხანით
 და გათავებული სოციალისტური ეპოქით. გავლილი აქვს გან-
 ვითარების საკმაოდ ვრძელი გზა — პრიმიტიული ტექნიკური წესე-
 ბიდან ელექტრო-მეტალურგიულ ხერხებამდე. ამ პერიოდში მან
 დააგროვა და შეიმუშავა მდიდარი გამოცდილება და ტექნიკური
 საშუალებანი ლითონთა დამორჩილების საქმეში. უნდა აღინიშ-
 ნოს, რომ XIX ს. ქართული ხალხური მეტალურგიის განვითარე-
 ბისა და სრულყოფის საქმეში დიდი და დადებითი როლი ითამაშა
 რუსეთის მოწინავე მეტალურგიულმა კულტურამ.

რუსეთის სამთო ექსპედიციების მუშაობის შედეგად საფუძ-
 ვლიანად იქნა გამოკვლეული და შესწავლილი საქართველოს სამ-
 თო-მადნო წარმოებისა და ნედლეულის რესურსები. სპეციალის-
 ტების მიერ ჩატარებული გეოლოგიური და მინერალოგიური კვლე-
 ვა-ძიება საფუძვლად დაედვა რკინა-სპილენძის, ტყვიისა და ოქ-
 რო-ვერცხლის საბადოების დამუშავებას, რომელთაც საერთოდ
 დიდი გამოყენება და მნიშვნელობა ჰქონდათ სახალხო მეურნეო-

⁷² Г. Ч и т а я, Земледельческие системы и пахатные орудия Грузии, Вопросы этнографии Кавказа, Тб., 1952.

⁷³ შტრ. კ. ჯუღელი, ა. კეჩუაშვილი, ფოლადის სახნისის შერ-
 ჩევა საქართველოს მძიმე ნიადაგებისათვის, „საქ. მეცნ. აკად. მოამბე“, ტ. X, № 6,
 გვ. 357.



ბაში უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში, რუსეთის სპეციალისტებმა პირველად მოგვცეს საქართველოს ლითონეულის ხარისხისა და მარაგის სათანადო გამოკვლევა. რაც ზთავარია, მათ დაგვიტოვეს აღწერილობები იმ ხალხური წესებისა და ხერხების შესახებ, რომელსაც იყენებდნენ ჩვენი ძველი წინაპრები და რაზედაც ეყარებოდა ქართული ხალხური სამთო-მეტალურგიული ტექნიკა. ამ მონაცემების შუქზე შესაძლებელი ხდება ძველი ქართული ხალხური მელითონეობის ისტორიის უკეთესად შესწავლა. ხალხური მელითონეობის ისტორია არის სახალხო დოვლათის შექმნისა და მისი შემქმნელი ხალხის ისტორია. უფრო კონკრეტული ამოცანა ისაა, რომ ძველი ხერხებისა და წესების კრიტიკული შესწავლა ხელს უწყობს ჩვენი დროის მეტალურგიის გაზრდილ მოთხოვნებს.

თავი პირველი

რკინის წარმოება

**მედლეულ ის კიბები, საბადოები, რკინის ქვლი წარმოების
ნაშთები, მადნის მოკოვება და დაგუზავება, წარმოების
ბიქნიკური აღმუშავილობა**

რკინა ერთ-ერთი ყველაზე საჭირო და პირველი მოთხოვნილების ლითონია, მისი საწარმოო მნიშვნელობა, განსაკუთრებით ჩვენს დროში, ერთობ დიდია. სპეციალისტების შეხედულებით, რკინის მინერალი მიწის წიაღში საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი. ზოგიერთი მკვლევარის, მაგალითად, აკად. ა. ფერსმანის მიხედვით, რკინის შემცველობა დუნდამიწის ქერქში 5,1% შეადგენს¹. თავის მხრივ, არც რკინაა თავისუფალი ცალკეული მინარევებისგან. მასში შედის ბევრი ისეთი მინერალი, რომელიც განეკუთვნება სულფიდების, სილიკატების, ქანგულთა, კარბონატთა და თვითნაბადთა კლასს. საერთოდ, რკინის მადნეულს, იმის კვალობაზე, რომელი მინერალი სჭარბობს მასში, ხუთ ჯგუფად ჰყოფენ: მაგნეტიტურ, ჰემატიტურ, ჰიდროგიოტიტურ, კარბონატურ და რკინიან-ქლოროვანად. საერთოდ რკინის საბადოები განეკუთვნება სხვადასხვა გენეტიურ ტიპებს². საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულია უფრო მაგნიტური რკინის მადანი.

საქართველო საკმაოდ მდიდარია რკინის მადნეულით. რკინის საბადოები, მეტნაკლები რაოდენობით, ყველგან გვხვდება, საქართველოს თითოეულ კუთხეში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საბადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობას,

¹ А. Ферсман, Избранные труды, т. III, АН СССР, М., 1955.

² К Габуния, железо, Минеральные ресурсы ССР Грузии, Тиф. 1933; Г. Твалчреидзе, Природные ресурсы Грузинской ССР, Тиф., 1, 1958.



ქველადვე უქცევია „გამოწვევის“ (ექსპლოატაციის) საგნად, ასთან დაკავშირებით, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოში ზოგიერთ კუთხეში რკინის მადნის მოპოვება-დამუშავება XIX საუკუნის 80-იან წლებამდე გრძელდებოდა (წედისი, თკობა, ჩათახი, მესტია). უკანასკნელ ხანებში, საქართველოს მიწა-წყალზე ჩატარებული რკინის საბადოების კვლევა-ძიების შედეგად გაირკვა, რომ საწარმოო მნიშვნელობის მქონე, შედარებით დიდა კონცენტრაციის რკინის მადანი მოიპოვება ბოლნისის რაიონის მიდამოებში. ისე, რომ, ყველაზე საიმედო და პერსპექტიული ჩანს ისევ ძველი წარმოების უბანი — ფოლადაურის საბადოები¹.

როგორც ცნობილია, საქართველოს რკინის მადნეულთა საბადოები, ტერიტორიული განლაგების მიხედვით, შეიძლება დაჯგუფდეს რამდენიმე მთავარ უბნად: აფხაზეთის, იმერეთის, რაჭა-სვანეთის, გურია-სამეგრელოს, ქართლ-კახეთის, აჭარა-თრიალეთისა და სომხეთის რაიონად.

სპეციალისტთა გარკვევით, საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება ნაირსახის, გენეტური ტიპის, რკინის მადნის საბადოები. ისინი წარმოდგენილია, უმთავრესად, მაგნეტიტური კონცენტრაციის სახით და შეიცავენ, ძირითადად, წითელ რკინაქვას (ქვაწითელას, ნ. რ.), მაგნეტიტს, ლიმონიტსა და რკინის ბჟკვალას. საბოლოოდ, ყველა ამ წიაღისეულის შემკველად, სპეციალისტები მიიჩნევენ ლითონთა წარმოქმნაზე ორ დიდ ზონას: პირველი მოქცეულია მთავარი კავკასიონის სისტემაში, გასდევს მთავარ ქედს — ალაზნის ხეობიდან მდ. ბზიბამდე; მეორე — მცირე კავკასიონის სისტემაში, ჭოროხის ხეობიდან მტკვრის ხეობამდე.

¹ ივ. მექშიარიაშვილი, ნარკვევები საქართველოს სამთო-მეტალურგიის ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 56 (ხელნაწ.); ალ. ჭაბუაძე, საქართველოს ნედლეული რესურსები, თბ., 1940, (ხელნაწ.); ივ. ჭავჭავაძე, საქართველო, ქართული ერის ისტორია, წიგნი პირველი და მეორე, 1913, გვ. 54, 35.

² ამჟამად, საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს შეთავაზებით, ეცხვრება დაზვერვითი-გეოლოგიური კვლევა-ძიება საწარმოებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული, როგორც დღემდე ცნობილი, ისე ახლად აღმოჩენილი რკინის მადნის საბადოების ნედლეული მარაგისა და ხასიათის გასარკვევად. განსაკუთრებით ინტენსიური გეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს ბოლნისის რაიონში, სადაც მოკვლეულია ძველ გამოხამუშევართა მრავალი უბანი და „სარკინეთი“. უნდა ითქვას, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ნედლეულით მომარაგების პრობლემასთან დაკავშირებით ფოლადაურის რკინის მადნეულს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სამუშაოებს ხელმძღვანელობს გეოლ. მეცნ. კანდ. გეოლოგი დ. დვალაძე.



საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემიის
ბიბლიოთეკა

აფხაზეთში რკინის მადნის საბადოები მოიპოვება მდ. ზეგის ხეობაში. ათხვევს ულელტეხილთან, მთა აფშარას სამხრეთ ფერდობზე⁵; მდ. ლალიძგას ხეობაში — „ფშიშხას“. სამთო ინჟინერის კარინციკის მიხედვით⁶, ეს საბადო „ქვაწითელა“ მადნის საკმაოდ მდიდარ ფენას წარმოადგენს (მადნის სისქე უდრის 70 სანტიმეტრს). მისაღებულ მუშაობაში დასაბუთებული იქნება იმით, რომ იგი ახლოა ქალაქ ვულაუთსთან. ღამე ცნობებით, რკინის მადანი მოიპოვება „ძიშარას“ ლეღებსა და ქედებზე, უფრო ჰემატიტის ჯიშისა. წინააღმდეგობის მადნის ნიმუშების ანალიზი უწარმოებია ინგლისის საზოგადოების ერთ-ერთ წევრს, რომელსაც ასეთი შედეგი მიუღია: პირველი ნიმუშის ანალიზით — ჟანგი რკინისა = 93%, ჟანგი — 2,6%, ფოსფორის მქავე — 3,3%, არამინერალური — 1%; მეორე ნიმუშის ანალიზით რკინა = 55,8%; მესამე ნიმუშის ანალიზით რკინა = 55,2%. ჯგარდა ამისა, მურა რკინის საბადოები მოკვლეულია მდ. კოდორის ხეობაში⁷.

სვანეთში, რკინის მადნის საბადოები აღმოჩენილია რამდენიმე ადგილას: მდინარე ცხენისწყლის სათავესთან — ცუნას⁸; უშგულის მყინვარის თხემთა ძირას და ქვემო იფარის მთებში⁹.

გურიაში რკინის საბადოები აღმოჩენილია, ისევე როგორც აჭარაში, შავი ზღვის პირად, მდ. სუფსასა და ნატანებ შორის გაწვილი 7—10 კმ. სიგრძის ზოლზე. იგი წარმოდგენილია მაგნიტური ქვიშის სახით, უფრო შეურეველად, ნიჟარებით მოფენალ ქვიშაზე, ან ცალკეულ შრეებად, რომელთა სისქე, ადგილ-ადგილ 3—5 დიუმს აღწევს. ეს ფაქტი აღნიშნულია გეოლოგი აბიხისა, სიმონოვიჩისა და ინჟ. სოროკინის მიერ¹⁰.

სამთო ინჟ. კრუგის აზრით¹¹, შავი ზღვის სანაპიროებზე მაგნიტური რკინის მადნის ამ ადგილებში გაჩენა გამოწვეულია მთებში ბაზალტთა და მლის შედეგად, რომლის ნამუსხალი ბლომად ჩაქვს, ჩამორეცხვით, სუფსასა და სხვა მდინარეებს შავ ზღვაში.

⁵ Гора „Дзышра“ — Абаху и его рудные залежи, Пол. ископ. М., 1917, გვ. 76; Данилевский, Кавказ и его горные жители, М., 1846, გვ. 80.

⁶ С. Денбский, Санчарское месторождение, Одесса, 1901.

⁷ Отчет Кавказ. Горн. Управл., Тб., 1907, გვ. 71.

⁸ Природные ресурсы Груз. ССР, т. I, М., 1958, გვ. 81;

⁹ Г. Радде, Путешествие, Зап. КОРГО, кн. VIII, გვ. 187; СМОМ-ПК, вып. X, Тб. 1890, გვ. 8.

¹⁰ Полезн. ископ. М., გვ. 77;

¹¹ Подзем. ископ. М., 1917, გვ. 199.



სადაც იგი სხვა ნივთიერებებთან ერთად ილუქება აქ ნგრევის დეგალ ჩამორეცხილი ნალექი შეიცავს 11% წმინდა რკინას.

იმავე ცნობებით, მაგნიტური რკინა მოიპოვება აგრეთვე მდ. ნატანების მარცხენა ნაპირას, სოფ. ვაკიჯვრის მახლობლად ჩხიკვასა და ჩაჩუას ხეში¹². საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალისტთა გამოკვლევების მიხედვით, შავი ზღვის სანაპირო ზოლი, დაწყებული ბათუმის სანახებიდან გაგრამდე, შეიცავს რკინანარეკ ქვიშას. რომლის 1 მესამედი წარმოადგენს 50—52% მაგნიტურ რკინას¹³.

ინე. სამარინის სიტყვით, მარტო გამოკვლეული ადგილები აუ უბანზე შეიცავს 100 მილიონ ტონა რკინის მადანს. ჯერ ზღმიწვევით არ არის გარკვეული არც მისი წარმოშობა და არც მისი მარაგი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ადგილები ყურადღებას იქცევს იმით, რომ ამისთანა საბადოების დამუშავება შედარებით ადვილი და მარჯვე მისაღვია.

იმერეთის სანახებში რკინის საბადოები მოიპოვება მდ. ტყიბულის სათავესთან—ურგების მთაში, სადაც იგი გაფანტულია ცალკეულ ბუდობებად. აგრეთვე, სოფ. საკირისა და საწირის ჩრდილო-დასავლეთით 8—10 კმ. დაშორებით. აქაური „უმი ლითონი“ წარმოადგენს მურა რკინას (წყიოე პელეო¹⁴). ამავე ხასიათის უმი ლითონის საბადოებია სოფ. შრომას ახლო, მდ. ძირულასა და ჰაქარულას შესართავთან, სოფ. წევასთან, მდ. ჩხერიმელის მარჯვენა ნაპირზე და მდ. კაცხურას ლელეში, სოფ. კაცხთან¹⁵.

ინე. კონიუშევსკის მიხედვით, ქალის აგარაკში, ბევრგან ყრია წიდა და რკინანარევი ქანების ნატეხები, რაც ოდესღაც აქ რკინის წარმოებას უნდა მოწმობდესო. აგრეთვე, რკინაწიდის დიდი გროვებია სოფ. პერევთან, დარკასთან, წოასთან, მთა პერანგასა, სკეფარის და გულიკეთის ძირად; მდ. კლრნალის, კინტურის ნაპირას სოფ. თავთისს და სხვაგანო¹⁶.

¹² Н. Лебедев, Геологич. исслед. в долине р. Чорохи, Мат. для геол. России, кн. I, гл. 94;

¹³ А. Хвичия, Предварительные заметки об использовании магнитных песков Черноморского побережья, Архив НКТП Грузии; Г. Абиш, Месторождение магнитного железняка на берегу Черного моря, Горный журнал, 1956, ч. III, гл. 42.

¹⁴ Пол. Искон., М., 1917, гл. 77.

¹⁵ იქვე, გვ. 78.

¹⁶ Конюшевский, Материалы для геологии Кавказа, Сер. 3, кн. 7, гл. 87.



რაჭის მიწა-წყალზე რკინის მადნის საბადოები მოიპოვება სოფ. წედისის მახლობლად, მდ. გეჯორის მარჯვენა მხარეს. შიშა ცავს წითელ და მურა რკინის მადნეულს, რომელიც შერეულია ქვაკირში¹⁷. აქვე, „ველუანთას“ მიდამოებში ოთხ ადგილას არის ძველი გამოწამლუშევრები. რკინის დამუშავების ნაშთები მიკვლეულია ბუბის მთაში, სოფ. გლოლეს მახლობლად¹⁸.

აქვე ასახელებენ რკინის საბადოებს სოფ. გვირასთან, გოგოლეთთან, მახვის თავთან, უწერასთან და სხვა¹⁹.

კახეთში რკინის მადნის საბადოები ცნობილია სოფ. ზემო პანკისის მიდამოებში, მდ. ალაზნის მარჯვენა მხარეს. ამის შესახებ პროფ. ბოგდანოვიჩი შემდეგს აღნიშნავს: „პანკისის ხეობაში, სოფ. ომალოსთან არის რკინის მადნის საბადოები, სადაც წარმოდგენილია მაგნიტური რკინისა და რკინის კრიალას მადანი. ისინი სავსებით ანალოგიურნი არიან ჩათახის რკინის მადნეულისა“²⁰.

ქართლის ტერიტორიაზე რკინის საბადოები მოიპოვება მრავალ ადგილას: მდ. ლოპანასა და აბანოს წყლის შესართავთან, ჰამას ხეობაში, სათერძეს სათავესთან, მთა „კვირიანას“ ახლო; ქალ. კასპის მახლობელ სანახებში — სადაც მიკვლეულია 9 ცალკეული ფენა ე. წ. რკინოვანი კირთიხა, რომელიც შეიცავს 21% წმინდა რკინას²¹. განსაკუთრებით მდიდარია რკინის მადნეულით ქვემო ქართლის სანახები — მდ. ხრამის, ალგეთის, ფოლადაურის, ბოლნისისწყლის და საერთოდ, ლელვარის მთების გაცოლებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს „ბედენის“ რკინის მადნის საბადოები მანგლისის სანახებში, ს. კლდეეთის დასავლეთით მდ. ხრამის და ალგეთის წყალგამყოფ ქედების თხემთა შორის.

უნდა ითქვას, როგორც ამას ალ. ჯაბადარი აღნიშნავს, ამა თუ იმ საბადოს დამუშავება დიდად არის დამოკიდებული არა მარტო რკინის მადნის ღირსებაზე, არამედ მასთან ერთად როგ სხვა

¹⁷ Пол. Ископ., М., 1917, გვ. 78

¹⁸ Смирнов, Геолог. описание части Рачинск. уезда, М. д. Г. К., С. 3, кн. 7, გვ. 133.

¹⁹ Пол. ископ., М., 1917, გვ. 202; Симонович, Сорокин и Бациевич, Геолог. описан. частей Кут. и Шоропанск уездов, Мат. для геолог. Кавказа, 1874, გვ. 45.

²⁰ Г. Симонович, Геолог. набл. в области рр. Иоры и Алазани, Мат. д. Геол. К. С.—П, кн. 9; К. Богданович, Железные руды России, გვ. 220; К. Габуния, Обзор месторождений руд черных металлов в Грузии, 1931, Архив НТ Грузии.

²¹ Г. Симонович, Геологич. набл. в бас. левых притоков Куры, Мат. для Геол. Кавказа, Сер. 2, кн. 6, 1892, გვ. 368.



ხასიათის მოვლენასთან: მარაგის რაოდენობაზე, გზა მისადგომებზე, სამთო-მადნო წარმოების დონეზე და სხვა უკანასკნელ დროებში უფრო მიღებული იყო რკინის მადანი — „ქვაწითელა“ (წითელი რკინა), რომელშიაც ყველაზე მეტი წითელი რკინაა და ამიტომაც უფრო ფასობდა, ვიდრე მაგნიტური რკინის მადანი. ამას გარდა, მიჩნეულია უმჯობესად, როდესაც მადანში მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი ფოსფორი, გოგირდი, ტიტანისი. მას ღირებულებას უკარგავს: კირის, კაე-მიწის, მაგნეზიის სიჭარბე და ზედმეტი ტენიანობა.

სპეციალისტების აზრით, საქართველოში აღმოჩენილი²² რკინის მადნეულის ჯგუფიდან — მაგნეტიტური მადანი ძნელი სადნობია. აქვს თვისება მაგნიტისა. საერთოდ, წმინდა რკინა გამოდის 40—62%, უფრო ხშირად კი 55—65%. „რკინის ბრჭყვიალა“ და წითელი რკინა ითვლება საუკეთესოდ. წმინდა წითელ რკინას უწოდებენ ჰემატიტს. ინგლისში ამ რკინას ყიდიან განსაკუთრებული მარკით. ეს ორი უკანასკნელი ჯიშის მადნეული შეიცავს ლითონეულ რკინას 42—47%, უფრო ხშირად 50—63%-ს.

მურა რკინა („ბუროე ელეზო“) სხვადასხვა შემადგენლობისაა. იგი შეიცავს 45—53%-ს. მაგრამ ჩვეულებრივ 30% რკინას.

რაც შეეხება რკინაქვას („ეელეზნიაკ“), იგი მოკვეთალო-რუხი ფერისაა და შეიცავს 30% რკინას.

საკათხთან დაკავშირებით ალ. ჯაბაღარი მართებულად შენიშნავს, რომ პირველად აღმოჩენილმა რკინამ და მისი მოხმარების საჭიროების აუცილებელმა გამორკვევამ შექმნა გეოლოგიური ხანა. წოდებული რკინის პერიოდად. არც ერთ სამრეწველო ლითონს იმდენი მოთხოვნილება არა აქვს, რაც რკინას (თუჩისა და რკინაფოლადის სახით).

ამ ლითონის ფართოდ გამოყენება მაჩვენებელია. ამჟამად, ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიური და კულტურული დაწინაურებას. 1920 წლამდე 6,5 ფ. რკინა მოდიოდა 1 სულზე ამერიკასა, ინგლისსა, საფრანგეთსა, გერმანიასა და ბელგიაში; რუსეთში კი ერთ სულზე, რევოლუციამდე, მოდიოდა 1,5 ფ.

უკანასკნელად, როდესაც ქვეყნებმა მიადწიეს ლითონის დამორჩილების უფრო სრულყოფილ გზებს, გაიარკვა, რომ 1800 წელს მთელ

²²საბჭოთა პერიოდში ჩათახის, იკივე სარკინეთის საბადოები დაიბრა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელშიაც შედიოდა ცნობილი გეოლოგი კ. ვახუტია.



მსოფლიოში 225,000 ტონა თუჯი იყო დამზადებული; 1900 წელს კი 42 000 000 ტონა. ერთი სიტყვით. ამ ციფრების შედარება მოგვამბობს, თუ რამდენად იმატა ერთი საუკუნის მანძილზე რკინის დამუშავების მოთხოვნილებამ. იმავე ავტორის მიხედვით, უკანასკნელ ხანებში ა/კავკასიასა და საქართველოში რკინაზე მოთხოვნილება კმაყოფილდებოდა სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი რკინით. ამ მიმართებით მას მოყავს საინტერესო მანკვენებლები, რომლის მიხედვით ამიერკავკასიაში შემოუტანიათ უ ხ მ ა რ რ ა რ კ ი ნ ა : 1912 წელს — 5399951 ფ., 1913 წ. — 7517441 ფ., 1914 წ. — 8855399 ფ. აქედან, მარტო საქართველოში შემოუტანიათ: 1912 წ. — 703012 ფ., 1913 წ. — 804336 ფ., 1914 წ. — 795506 ფ.; მარტო ფოთში შემოუტანიათ თუჯი: 1912 წ. — 58896 ფ., 1913 წ. — 37434 ფ., 1914 წ. — 4034 ფ.; რ ე ლ ს ე ბ ი : 1912 წ. 71651 ფ., 1913 წ. — 2900 ფ., 1914 წ. — 4622 ფ.²¹

1962 წელს მარტო საბჭოთა კავშირმა დაამზადა 55.3 მილიონი ტონა თუჯი და 76,3 მილიონი ტონა ფოლადი²².

ამგვარად, საქართველოს რკინამადნის საბადოები წარმოგვიდგება ორი სახით: ერთი წყება ამ საბადოებისა „მოხდილია“ ე. ი. „ნაწველია“ სხვადასხვა დროსა და ხარისხით. მეორე წყება საბადოებისა, როგორც ითქვა, უკანასკნელ დროსაა მიკვლეული და მათი გამოწველის ხასიათი დადგენილი არ ყოფილა. ისინი შესწავლას მოითხოვს. როგორც „მოხდილი“, ისე „მოუხდელი“ საბადოების გავრცელება საყოველთაოდ საქართველოს ტერიტორიაზე, წარმოდგენდა არსებითად, ძირითად ფაქტორს რკინის კულტურის აღმოცენება-განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში.

ნივთიერი მანკვენებლების მიხედვით ირკვევა, რომ მეღიბონობამ, კერძოდ, რკინის მეტალურგიამ ქართველ ტომებში აღრევე მოიკიდა ფეხი და საერთო გავრცელება კკოვა. შეიძლება ითქვას, ძველ ქართულ ხალხურ მეტალურგიას განაპირობებდა ადგილობრივი მადნეულის რესურსები.

მადნის ნედლეული მარაგი, მართალია, უფრო საქართველოს მთიან ადგილებში მოიპოვებოდა, მაგრამ იგი საკმაო რაოდენობით იყო წარმოდგენილი ბარადაც. მაგალითად, შავი ზღვის სანაპირო

²¹ ალ. ჯ ა მ ბ ა დ ა რ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 270—285.

²² „Газ. „Заря Востока“, № 23, Тб., 1963.



ზოლში, ბათუმიდან დაწყებული მდ. სუფსა-ნატანების შესართავამდე, უხვად არის დაფლული მაგნიტური რკინა-მადანი. მახლობელ სანახებში, ამ უკანასკნელ წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრების შედეგად მოპოვებული რკინის წარმოების ნივთიერი ნაშთები, რასაც ემორწმება ანტიკური²⁵ მწერლების ცნობებიც, უჩვენებს, რომ ეს საბადოები, გარკვეულ პერიოდში, გამოყენებულა უნდა ყოფილიყო რკინის საწარმოებლად.

ამგვარად, შავიზღვისპირეთი წარმოადგენს მაგნიტური რკინის მეორად საბადოებს, პირველადი კი იქ უნდა ვეძიოთ, სადაც სათავეს იღებს მასში შენაკადი მდინარეები, რომელთაც დროთა განმავლობაში დაუშლიათ მადნეული ქანები და შეუზიდავა ზღვაში, სადაც ის დალექილა ფენებად.

სპეციალისტების გამოკვლევით, შავიზღვისპირეთის მაგნიტური რკინის მადანი წმინდა რკინას მხოლოდ 11% შეიცავს; აგრეთვე, მასში ურევია ტიტანიტი, რაც შედარებით აძნელებს მის რკინად დაწურვას. საერთოდ ცნობილია, რომ ისეთი მინარევები, როგორცაა: ტიტანიტი, გოგირდი, დარიშხანა, ტყვია, ფოსფორი და სხვა, ერთობ აზიანებს და ხშირად უვარგისსა ხდის რკინას, ამიტომ ისინი მავნე მინარევებად ითვლებიან. ძველად, მელითონე „რკინის კაცები“ წედისსა და ოკრიბაში, მამა-პაპური ცოდნა-გამოცდილების მიხედვით მშვენივრად ერკვეოდნენ ამ საქმეში და მთელი მონღომებით ცდილობდნენ რკინამადნის დახალასებას დაწურვამდე, რასაც „გარჩევას“ უწოდებდნენ. მეორე მხრით, მათ კარგად იცოდნენ მაღალი ხარისხის რკინის მისაღებად, სასარგებლო სარკველთა — მარგანეცის და სხვათა გამოყენება და მით დასაწური მადნის „შეკაზმვა“ (გამდიდრება).

შავიზღვის სანაპიროებზე მოსახლე ხალიბების მიერ მდინარეთაგან შემოზიდული, დანალექი რკინის ქვიშა-მადნისაგან წინებული რკინის დამუშავების შესახებ საყურადღებო ცნობები აქვს დასახელებული პსევდო ირისტოტელესა „...ამბობენ ხალიბური რკინის განსაკუთრებულ წარმომავლობას. იგი წარმოსდგება ქვიშისაგან, რომელსაც მოეზიდებიან მდინარეები. ზოგიერთის თქმით, ამ ქვიშას რეცხავენ და აღნობენ ცეცხლზე. ზოგიერთი კი ამბობს:

²⁵ სხედოთ არისტოტელეს ჩვენება, იხ. В. Л а т м ш е в, Известие древних писателей греческих и латинских о Скифии и Кавказе, вып. I, ч. II, 1893, გვ. 380.



გარეცხვისას ძირს დალექილ ქვიშას რამდენჯერმე რეცხავენ ლეკივანულში აღნობენო. მასთან, უმატებენ მას „ცეტხლვამძლე“ ქვასპრუფიკოთიქაა ლიც მათ ქვეყანაში ბევრია. აი, ამგვარი რკინაა ჟანგს რომ არ იკიდებს და ყველა რკინას სჯობს. იგი რომ ერთ ლუმელში არ დნებოდეს ვერცხლისგან არ გამოირჩეოდა. მხოლოდ ისაა, რომ იგი მცირე რაოდენობით მოიპოვება“-ო²⁶.

ზემოხსენებული ცნობები ორმხრივია საინტერესო: იგი ხაზს უსვამს ზღვისპირა მაგნიტური რკინის „ჭვიშამადნის“ დამუშავების ფაქტებსა და მისი წარმოების რთულ პროცესებს, ხოლო მეორე მხრით აღნიშნავს ამგვარი რკინის სიმცირეს. თუ გავითვალისწინებთ იმ ამბავს, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლში არსებული მაგნიტური რკინის მეორადი საბადოები, ქვიშამადნები წმინდა რკინას მხოლოდ 11% შეიცავს, ნათელი გახდება ის სინელე და სირთულე, რასაც მოითხოვდა მისი დამუშავება. მიუხედავად ამისა, ზალიბები მაინც თუ აწარმოებდნენ ამგვარი მადნეულისაგან რკინის მიღებას, ეს იმიტომ რომ იგი მაღალი თვისებისა და იშვიათი ლირსების იყო და ეს თავისებურება განაპირობებდა მის წარმოების საჭიროებას.

ასევე, იმერეთის სანახებში — ყვირილის ხეობასა და ოკრიბაში მოიპოვებოდა ზედაპირული და შედარებით ადვილი დასამუშავებელი რკინის მადნეული. კერძოდ, ოკრიბის სინამდვილეში ღია სამუშაოებით რკინამადნის მოპოვება და დამუშავება მე-19 ს. 80 წლებამდე სწარმოებდა მთელი ციკლით.

ბარად იყო ქართლის სარკინეთი — „გრძელი მინდორი“ და ქართული მეღითონეობის „გული“ ადგილი — ფოლადიურის საბადოები (ბოლნისის რაიონი).

საქართველოს ტერიტორიაზე ტყე და ველად გაბნეული რკინის წარმოების ნაშთები ცხადყოფს რკინის მეტალურგიის განვითარებას საყოველთაოდ მთასა და ბარში.

უნდა აღინიშნოს, რომ ბარად მეღითონეობის აღორძინებისათვის, სხვა ხელისშემწყობ გარემოებასთან ერთად, უფრო ხელსაყრელი პირობები იყო იმ მხრივაც, რომ მადნეულის მოპოვება ღია სამუშაოებითაც შეიძლებოდა ეწარმოებიათ²⁷. აგრეთვე, აჭაურის მადნეული (თუ ვივარაუდებთ მის აგებულებას და ფიზიკურ წარმოშობას) გამოსადნობად და აღსადგენადაც უფრო ადვილი იყო, ვიდრე სულფიდური ხასიათის მადნეული.

²⁶ В. Латшнев, ხსენებული ნაშრომი, გვ. 380.



საეკილისტების აზრით, ლითონური მადნეული: რკინა-ქვებანური ლენძი, ტყვია, ვერცხლი და სხვა, ბუნებაში წარმოდგენილი მდგომარეობაშია, ან სულფიდთა ნარჩენების სახით. ეს უკანასკნელი წარმომადგარან იმავე სულფიდებისაგან, მიწის ქერქის გამოფიტვის შედეგად. ამ გზით მიღებული ეს მეორადი მადნეულები—ქანგეული, კარბონატური, პირველთან შედარებით საერთოდ ადვილად გამოსადნობ და აღსადგენ მადნებად ითვლებიან. მასთან, ამ სახის ლითონური მადნეული, როგორც ითქვა, მიწის ზედაპირზე, ან მის მცირე სიღრმეზე მდებარეობს. ამიტომ, მელითონეობის პირველ ხანებში, მათი მოპოვება-დამუშავება უფრო მოსახერხებელი და ხელსაყრელი იყო, ვიდრე ზემოხსენებული ლითონური სულფიდებისა, რომელნიც საერთოდ, ძნელად გამოსადნობ და აღსადგენ მადნებადაა მიჩნეული. რაც მთავარია, სულფიდები მიწის წიაღში ღრმად მდებარეობენ, ამიტომ მათი მოპოვება-დამუშავება საკმაოდ ძნელი იყო და მოითხოვდა წარმოების ტექნიკის გაუმჯობესებულ საშუალებებს. ამიტომ სავარაუდოა, რომ ლითონთა დამორჩილების პირველი საფეხური, მარტივი ტექნოლოგიისა და დაბალი ტექნიკური აღჭურვილობის პირობებში, შეიცავდა არა ლითონური სულფიდების, არამედ მათი ნარჩენების—ქანგეულისა და კარბონატული, ან კიდევ თვითნაბადი მადნეულის მოპოვება-დამუშავებას. შემდეგში, როდესაც ამ სახის მადნეული გამოილია და წარმოების ტექნიკური დონე შედარებით ამაღლდა, დაიწყო ლითონთა დამორჩილების მეორე საფეხური — ლითონური სულფიდების დამუშავება. რაც, პირველთან შედარებით, უფრო გვიანი ხანების ამბავს უნდა წარმოადგენდეს.

ამ მიმართებით საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ინჟინერ-გეოლოგს, აწ განხეუნებულ ივ. მეძმარიაშვილს. კერძოდ, ძველი ქართული მეტალურგიის ისტორიის შესახებ იგი აღნიშნავს: „... ძველი მეტალურგია საქართველოში ჩაისახა და განვითარდა ისეთ მთიან რაიონებში, სადაც მოსახლეობა იყო და გამოფიტული ქერქის ზონა საკმარისად განვითარებული ე. ი. სადაც ზედაპირზე, ან მის მცირე სიღრმეზე მოპოვებოდა ადვილად დასამუშავებელი ღია სამუშაოებით და ადვილად აღსადგენი ლითონური მად-

2: იველისებება — შავი ზღვის სანაპირო ზოლი, ავრეთვე, „გრძელი მინდორი“ ქართლისა — მცხეთის რაიონში და „იმერეთის ოკრიბა“.



ნების ნარჩენები, როგორცაა: რკინის, სპილენძის, და ტყვი-ვერცხლის მადნები, რომელთაც დიდი გამოყენება ჰქონდათ სახელობე მეთურნობაში — შრომისა და თავდაცვის იარაღების, ასევე საოჯახო ნივთების დასამზადებლად²⁸-ო.

ამეამად, ძნელია იმის მტკიცება, საქართველოს მთიანეთი, თუ ბარი იყო მეტალურგიის აღმოცენება-განვითარების პირველი კერა. ამ საკითხს შეიძლება არც ჰქონდეს არსებითი მნიშვნელობა. სერთოდ, მთავარია ის გარემოება, რომ ძველიდანვე ჩაისახა და აღორძინდა მეთურნობის ეს დარგი ქართველი ხალხის ყოფაში.

ცხადია, მელითონეობა უპირველეს ყოვლისა, იქ მოიკიდებდა ფეხს, სადაც საამისო ობიექტური პირობები იყო — მადნეულისა, თუ სხვა საწარმოო საშუალებათა სახით, სადაც არსებობდა საჭირო წინამძღვრები და მომწიფებელი საზოგადოებრივი მოთხოვნილება.

უნდა ითქვას, რომ რაჭისა და ოკრიბის რკინის დამუშავების კვალობაზე თავს იჩენს მრავალი საყურადღებო ფაქტი და ნივთიერი ნაშთი. ძველი ქართული ხალხური მელითონეობის სინამდვილიდან, რამდენადაც დღემდე ცნობილი რკინის წარმოების ძველ კერებსა და პუნქტებს ემატება ახალი უბნები და რაიონები: რაჭისა, ლეჩხუმისა, სვანეთისა, გურია-სამეგრელოსა, იმერეთისა, აფხაზეთისა და ქართლში. სახელდობრ: ყვირილის ხეობაში (სახხერის რაიონი) თედელეთის, ეპრევის და სინაგურის უბნები; მდინარე რაიონის და ჭანჭახის (ონის რაიონი) ხეობებში — ბუბას, ნოწარულის და ჭიდროთის უბნები; ჯონოულის და ცხენისწყლის ხეობაში (ცაგერის რაიონი) — ჭიქელაშის, ქულბაქის, ახალქალის და წიფერიჩის უბნები; მდინარე ზანისა და ოჩხამურის ხეობაში (დიდი ჭყონის რაიონი) — დოშაყე და ჩხოროწყუს უბნები; სუფსა—ნატანების ხეობაში (მახარაძის რაიონი) — ვაკის ჯვარის, ანასეულის უბნები. აგრეთვე, ვანის, ურეკის (იმერეთი), ხუცუბნის (ქობულეთი), ბელღევანის, მანსულინის პოლიმეტალური საბადოების უბნები (კოროხის აუზი) და სხვა.

²⁸ ივ. მეტეხიაშვილი, ნარკვევები სამთო მეტალურგიის ისტორიიდან, ხელნაწერი, 1958, გვ. 1. (იხ. საქ. სახ. მეზღუპის ენოგოგ. განყ. არქივი); შდრ. Д. Габиев, Металлообработка у лаков (по этнографическим материалам), Дагестанский филиал АН СССР, Институт истории языка и литературы им. Г. Цадаи, Ученые записки, т. IV, 1958, გვ. 212.



რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს²⁹ აქ, რკინის მამულები
შავების მძლავრი კერები ყოფილა განსაკუთრებით ბორჯომში
(დღევანდელი ბოლნისისა და მარნეულის რაიონები) — მდ. ფო-
ლადაურის, ბოლნისისწყლისა და მათი შენაკადების სათავეებში,
როგორცაა: „ბაღდადი“, „თალა“, „რკინის მთა“, „მწვანე საყდა-
რი“ (გოეჭილისა), „მოლუდლის ღელე“, „ათაშენი“, „ფახრალო“
და სხვა. ჩასვევ, მრავალმხრით საყურადღებოა „ძველი სარკინეთი“
და „გრძელი მინდორი“ (მცხეთის რაიონი), სადაც, თვით ვახუშტის
ცნობით, რკინის მადნების დამუშავება ყოფილა განვითარებული.
ბოლო წლებში წარმოებული კვლევა-ძიების შედეგად გამოვლი-
ნებულია რკინის ძველი წარმოების ახალი უბნები საქართველოს
სხვადასხვა კუთხეში. მკვამად რამდენადაც ეს ადგილები გარკვეულ
ყურადღებას იქცევს ქართული მეტალურგიის ისტორიის თვალსა-
ზრისით. მაგრამ ვიდრე ამ ძველი გამოჩამუშევრებისა და წარმოე-
ბის ნაშთების დასახელებას შევუდგებოდეთ, რამდენიმე სიტყვა უნ-
და ითქვას თვით ამ რკინის წარმოების ნაშთების გარეგანი ხასია-
თის შესახებ. როგორც წესი, რკინის ძველი წარმოების ნაკვალევნი
გვევლინებიან შემდეგი ნიშნებით: 1. რკინაწიდა (იხ. ტაბ. VIII, 2).
რომელიც ორგვარია: ერთი რკინის მადნეულის დაწურვის შედე-
გადაა მიღებული (იხილე რკინაწიდეების ქიმიური ანალიზის შედე-
გები, ცხრილი №№ 6—8) — იგი შედარებით მძიმე და მკირედი
გაფუჩხული „გვამით“ ხასიათდება. მეორე — ჰედვის პროცესების
ნარჩენებს წარმოადგენს. ეს უკანასკნელი პირველთან შედარებით
მსუბუქია. ახასიათებს ძალზე გაფუჩხული (გაფუხებული) „გვამი“.
პირველი მუქი, ლურჯი ფერისაა, მეორე—რუხვი და ნრუმე. 2. კეცის
შტვირი — საბერველის მთავარი ატრიბუტი. იგი ცეცხლგამძლე
მიწისაა. ერთი წყება გამომწვარია, მეორე კი გამოუწვავი. იგი სხვა-
დასხვა ყალიბისა და მოყვანილობისაა. 3. ამოსალესი მიწა, ცეცხლ-
გამძლე აყალო მიწა. იგი სხვადასხვა ფერისაა: თეთრი, მოწითალო,
რუხვი. ახასიათებს კარგი „ძარღვი“ და წებოვანება. 4. ნაცარი, ნახ-
შირი, ფერფლი, მადნეული, ქვიშა, და სხვ. მაგალითად, ლეჩხუმში

²⁹ შტრ. ივ. მემქმარიაშვილი, ახტლა, ალავერდის მეტალურგია მე-
XVIII საუკუნეში (ერეკლე II-ს და გიორგი XIII-ს დროს). შერალი, ხელნა-
წერი, თბ., 1955. (ნაშრომი მრავალმხრითაა საყურადღებო)



V

რამოდენიმე ადგილას არის რკინის წარმოებისა და მისი დაგეგმვის ნივთიერი ნაკვალევი: 1 რკინაწილისა და კეცის მიღების დი გროვებია დაცული სოფ. ზუბის თავზე, ასხის მთის ძირას მდებარე ადგილებში, იქ სადაც ამჟამად ეს ტერიტორია უჭირავს სიმინდის ყანებს. 2. სოფ. ქულბაქში, ამჟამად სოფელი აყრდნია და ნასოფლარსღა წარმოადგენს. აქ გადის მდინარე ჯონოული, თავად ნაშთები მოქცეულია ვაკე ადგილას, „თეთრი ღელის“ აქეთ-იქით; 3 „ჭითა გოლას“-თან (მთა „ასხის“ გადმოღმა ადგილებში, სასვანეთოსთან); 4. განსაკუთრებით საყურადღებოა ქვემო ცაგერის ჩრდილოეთით „ჭიქელაში“-ს მიდამოებში დაცული რკ. ძველი წარმოების ნაშთები; 5. ანალოგიური ნაშთები გვხვდება ახალიქალის (სოფ. ლუხვანოსკენ 20 კმ. დაშორებით) ადგილებში, „ლაბრაზის“ მთასა და ახალიქალას შორის (ეს უკანასკნელი მთა წარმოადგენს შიშველ ადგილს და საუკეთესო სანადირო მიდამოდაა მიჩნეული); 6. ასევე ყურადღებას იქცევს სოფ. წიფერიჩის მიდამოებში, „დიდგორის მთაზე“ ახლახან აღმოჩენილი ძველი „ნამჭედურთა“ ნაშთები და სხვა.

ნივთიერი ძეგლების, კერძოდ, საყოფაცხოვრებო ხასიათის ნივთების—ვერცხლის, ოქროს, სპილენძის, (ტაბ. VIII, 1). ბრინჯაოს, რკინისა და კეცის საგნების აღმოჩენის მხრით ქართული ძველი მეტალურგიის საკითხებს კვლევა-ძიებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფ. უსახლოსა, თაბორსა და მცხეთაში მოპოვებულ (აქ დიდი ხანია ამოდის უაღრესად საყურადღებო ლითონური საგნები, და არა მარტო ლითონური საგნები, არამედ სხვა მასაღისა და ხასიათის ნაგებები) არქეოლოგიურ მასალებს, ბრინჯაოს და ძვირფას ლითონებისაგან დამზადებულ საგნებს. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლეჩხუმის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს დიდი „ლუგვეები“, რომლებიც ამჟამად დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ეს უკანასკნელი გარემოება უეჭველს ხდის იმ დებულებას, რომ მეღლითონობას საქართველოს ეთნოგრაფიულ სინაღდელეში ფართოდ ქონდა ფეხი გადგმული.

ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ლეჩხუმის ვითარებაში თავს იჩენს მეტალურგიასთან დაკავშირებით ზოგიერთი საყურადღებო გეოგრაფიული და ტოპონომიკური სახელწოდებანი, ასეთებია — „ჭითა გოლა“ (წითელი მთა), „ქულბაქი“, „ჭიქელაში“, და სხვა. არა ნაკლებ საინტერესოა ლეჩხუმური ტერმი-



ნი—„ნაშვიდარა“ რკინაწიდას აღსანიშნავად, რომელიც სვანურ
 რი წარმოშობისა ჩანს. ფაქტიურად, „შვიდ“ სვანური ძირია და ნაშვიდ
 ნავს „ნამკედურს“, წილას. ასე რომ, ამ მხრივ, ლეჩხუმში რკინას
 მკედლობის პროცესის შედეგად მიღებული მადნეულისა თუ ხალასი
 რკინის ნაღვლი კუჭყის და პერის აღსანიშნავად იყენებს სვანურ
 ტერმინს — „ნაშვიდარა“-ს და არა საერთოდ გავრცელებულ „წი-
 დას“.

ლეჩხუმში ყურადღებას იქცევს არა მარტო ძველი მეტალურ-
 გიის საინტერესო ნაშთებით არამედ წიაღისეული საბადოებით და
 მათი დამუშავების ნაკვალევით. კერძოდ, საყურადღებოა ლეჩხუმის
 ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებული გიშრის ნედლეულის
 არსებობისა და მისი ადგილობრივ დამუშავების ფაქტები. გიშრის
 მოპოვება-დამუშავებით განთქმული ყოფილა განსაკუთრებით სოფ.
 სურმუში. ადგილობრივი გიშრის ნახელავი კრიალოსანი და ქილის
 თავები, რომლებიც ამჟამად დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნე-
 თბის მუზეუმში, გამოიჩინება არა მარტო თავისი სილამაზითა და
 მხატვრულად დახვეწილი გემოვნებით ნაკეთები, არამედ საკმაოდ
 დიდი ზომის ტანითაც. სურმუშის ტერიტორიაზე, მთხრობელთა
 მითითებით, მოიპოვება „დაგიშრული“ ნახშირი და არა მარტო და-
 გიშრებული ნახშირი, არამედ თვით ქვანახშირიც. წიაღისეულის
 მრავალი ნიმუში დაცულია ზემოხსენებულ მუზეუმში. ისინი შეკ-
 რებილია სხვადასხვა დროსა და ადგილას ლეჩხუმის საზღვრებში
 და ჩვენს ყურადღებას იქცევს იმ მხრითაც, რომ როგორც ზემოთაც
 აღვნიშნეთ, აქ აღმოჩნდა ბრინჯაოს ლუგვები და მასთან ერთად
 ბრინჯაოს სამეურნეო იარაღის ჩამოსასხმელი ყალიბები და იშვია-
 თი ხელობისა და ხასიათის ბრინჯაოს ნივთები³⁰ (სამკაულები, საბ-
 რძოლო და სამეურნეო იარაღი და ყოფისათვის განკუთვნილი ჭურჭ-
 ლეული): „მხედარი“, „ბაყაყი“, „წერო“ და სხვა. ამასთანავე, ლე-
 ჩხუმის საზღვართან ქვემო სვანეთში სოფ. რცხველურის სანახებ-
 ში მიკვლეულია ძველი გამონამუშევარი, კალის 50%-იანი საბადო.
 რკინის წარმოებასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ერთგვარი დახვე-
 რვითი სამუშაოების ჩატარება სწარმოებდა ზემო რაქის ტერიტო-

³⁰ ლეჩხუმის სინამდვილეში, განსაკუთრებით სოფ. მცხეთისა და უსახე-
 ლოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლის განათხარი საგნები ჩაკონ-
 დათ ქუთაისს და იქ ცნობილ მესაათე-ვოლოხთან ყიდდნ. ამ გზით მოავალა
 ძველი უნიკალური ნივთი დეკარგა ისტორიას.



რიაზე, თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე, ამის შედეგად მონაწილეობა ახალი, დღემდე მიუცვლელი ადგილი „ბუბას“ ში, სადაც ძველად ადგილი ჰქონდა რკინის წარმოებას. როგორც მანდელის მოპოვება-დამუშავების მხრით, ისე მისი შემდგომი კედვის ხაზით. ეს საყურადღებო ძველი მეტალურგიული წარმოების ცენტრები მდებარეობს კურორტ შოვის აღმოსავლეთით 8—9 კმ. დაშორებით, ძველი ნასოფლარის — წითელთელას სანახებში. გადმოცემით სოფ. წითელთელა, რომელიც სამასი კომლისაგან შედგებოდა, მამისონის გადაღმა მოსახლე ოსებს დაუწვავთ. მეორე ვარიანტით — რაჭის ერისთავს. ამ უკანასკნელს სმენოდა წითელთელელების შეძლებული ცხოვრების შესახებ და კაცი მიეგზავნია მათთვის. ჩემი ქვეშევრდომი გახდით და თქვენი მფარველი ვიქნებით. ეს რომ წითელთელელთ გაიგვს „ლომებივით იბრღვიენ და ასე შეუთვალეს ერისთავს: „ბუბის ჯვრის მადლმა, ჩვენ ბუბის ჯვარს ვაპატივებთ. თვარამ ამ მოციქულებს სულ ლუკმად აგზავნავდითო. ჩვენი ბატონის სახელი აწის მეტარ არ გაგვიგონია, ჩვენ ბატონს ვერ ვიგუებთ. ისტეც ერისთავო, მოგიხდება რაქაში მოძებნო ყმებიო“. ამაზე განრისხებულ ერისთავს ურჩთა დასჯა გადაუწყვეტია და ჯარით თავს დასხმია სოფელს. მამაც და გულად მთიელებისათვის ვერა დაუგვარებია რა. ვინაიდან თითოსა „ფანჩქატოვანსა“ (ე. ი. ბანდულიანს) 7 გაქონდა „ნახუქოვანი“-ო (ჩუსტებიანი, წულებიანი). ერისთავის ჯარს ხერხი უხმარია. დაუპირავთ კატა. კულზე მიუბამთ მოკიდებული არყის ქერქი. კატა გაქცეულა და გადაუწვავს ნამჯით დახურული სახლები. ამის შემდეგ წითელთელელები აქეთ-იქით გადასახლებულან. მათი ნაწილი ყაზბეგში გადასულა და მოხვედრებში შერეულა. ნაწილი ისევ ბუბაში დასახლებულა. ესენი ყოფილან: ბერიშვილები, ბიძიშვილები, ბელაშვილები, აზანაშვილები, ბაღაშვილები, გოგოჩიშვილები და სხვა. შემდეგ, ბუბაც აყრილა, სამხრეთით, ქვემოთ გადმოსახლებულა სოფ. გლოლაში. აწინდელი სოფ. გლოლა თავს თვლის ბუბადან მოსულად. ას ორი წლის მალაქია ბერიშვილის ჩვენებით (იგი ამჟამად არის ტურისტთა ბაზის სატყეო უბნის დარაჯი), გლოველები სახლობდნენ თურმე ბუბაში (ბუბა 6 კმ. დაშორებული შოვს). ისინი სამასი კომლი ყოფილან. თითოეულ ოჯახში ოცი—ორმოცდაათი სული მაინც ყოფილა. გლოველთ ბუბაში აღშენებიათ ეკლესია. თურმე ზღვაგამული ზღლიხელშიცემით აუზიდიათ იქ შორიდან



პონტიკი (სპონდიო). ყოფილა ვინმე ბერი ბაკურაძე, რომელსაც „გაერთუნენ“ თურმე ჯორები (სახედრები), მან გაგზავნა მქებულს. სამი დღის ძებნის შემდეგ მქებნელმა მიაკვლია მათ ახლანდელ გლოლის ტერიტორიაზე. თურმე აქ საუკეთესო მყავე წყალს მიაგნეს პირუტყვებმა და სახლში წასვლა აღარ სურდათ. იგი ღელცარიელი დაბრუნდა უკან და მიუტანა ეს ამბავი ბერ ბაკურაძეს. შაშინ. ადგა ბერ ბაკურაძე, თავად წამოვიდა ადგილის დასაზვერად. ნახა და ერთობ მოეწონა. იგი თამარ დედოფალს თხოვს ამ ადგილას გადმოსახლების უფლებას. თამარს თავადაც მოწონებია ეს ადგილი და უბრძანებია იქ საყდრის აგება და თან უთქვამს: — აბა სახლები აიშენეთ და იქ დასახლდითო. ბერს უთქვამს: — ნება მომეცი ცოლი შევირთო და დავდგებო. დადგა იქ ეს ბერი ბაკურაძე და ის ბიჭი, ჯორები რომ ნახა ამ ადგილას. ბერმა თავისი ხელით აავო აქ მონასტერი — ქალაქის თავზე (ამჟამად თამარისდროის ეკლესია²¹ კიდევ არის დარჩენილი და ხალხის გადმოცემებს გვისურათებს). ხნავდა და თესავდა ბერი ბაკურაძე და მისი მონაგარი. საქონელს ბუბაში აძოვებდნენ და ამით რჩებოდნენ. მეორე სამასი კომლი „ტყის თავში“ სახლობდა თურმე (იგი ბუბადან 6 კმ. დაშორებული). ამჟამად, ამ ნასოფლარის მოშორებით არის ადგილი — „კისერი“. რომლის სანახებში არის ძველი წარმოების ნაკვალევი — ღრმა გამოქვაბულისა და მისადგომთან ჩასასვლელი კიბით. კიბე ჩაშენებულია და ჩადის ღრმად. შორს, სიღრმეში შესვლა. ცივი და ძლიერი ქარისა გამო გაძნელებულია. ეტყობა გვირაბში ძველად გამართული ყოფილა სუფთა ჰაერის შემოსასვლელი სადინარი. რომ აქ ნამდვილად სწარმოებდა რკინის მადნის დამუშავება. ეს გარეგანი ნიშნების მიხედვით შეიძლება ითქვას (მადნის ნაშთები, ძველი ნაშენი კიბე და ღრმად გაწვდილი გვირაბი. რომელიც ამჟამად დიდზეა ამოქოვლილი). მოშორებით ნასოფლარის ნაშთებია სამაროვანი თურთ და, რაც მთავარია, რკინაწილის ნაყარი. ეს მაჩვენებლები ერთგვარად სარწმუნოა ხდის ხალხის დაქინებით მითითებას იმის შესახებ, რომ აქ წარმოებდა რკინის დამუშავება ძველად. სპეციალური კვლევა-ძიების ჩატარებას ადგილზე შეუძლია შექტი მოფინოს ამ საინტერესო საკითხს. ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია აქ ჩავატაროთ გეოლოგიურ-მინერალოგიური ხსიათის დაზვერვა და

²¹ ს. მ ა კ ა ლ ა ქ ი ა, მთის რაქა, თბ., 1935.



გამოვიკვლიოთ აღნიშნული სარკინე გვირაბის შინაგანი ხესტირების იმიტომაცაა საჭირო, რომ ბევრი ასეთი დაუქმებული სარკინე გვირაბი ბოლნისის რაიონში სათანადო გაწმენდისა და შესწავლის შემდეგ ნაყოფიერი, გამოსადეგი აღმოჩნდა. მეორე, არა ნაკლებ საინტერესო ობიექტს წარმოადგენს ზემო უწყერის ფერმის თავზე მდებარე ადგილი „ნამქედური“, სადაც, ხალხის გადმოცემით, რკინის დამუშავება სწარმოებდა და მის ძირად მდებარე კიდროთის ციხე წარმოადგენდა არა მარტო ხეობის კარიბჭეს, არამედ ამ წარმოების სადარაჯოს. ამჟამად აღნიშნული პუნქტი დაფარულია მეწყერის თხელი „ლალათი“ და გაუთხრელად ძნელია წარმოების მოსალოდნელი ნაშთების მიკვლევა. ვფიქრობთ, რომ აქაც ხალხის მითითება და ჩვენება არ სცდება და საქმე გვაქვს ძველი წარმოების ნაკვალევთან. ამგვარად, როგორც ზემოთაც ითქვა ძველი ქართული მელითონეობის ნივთიერი ნაშთების კვლევა-ძიებამ მოითხოვა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოხილვა და ზოგიერთი საკითხის დაზუსტება ადგილზე. 1958 წელს ჩვენ მიერ ზემო იმერეთსა და სვანეთში, სახელდობრ ყვირილის, ჭუბერისა და ენგურის ხეობებში ჩატარებულმა დაზვერვითი ხასიათის მუშაობამ, რომელმაც დაიდად საყურადღებო და მნიშვნელოვანი მასალები წარმოაჩინა, მოითხოვა საკვლევი უბნების გაფართოება და საქართველოს სხვა კუთხეებში რკინის ახალი საწარმოო ცენტრების გამოვლინება.

ჩვენ სამართლიანად აღვნიშნავდით²², რომ რაკის სარკინეთი არ წარმოადგენს რაიმე გამონაკლისს და ერთდერთ ქართული ძველი მეტალურგიის კერას; რომ ეს უკანასკნელი არის სხვა ნრავალი საგულევებელი სარკინეთის განშტოება და ერთ-ერთი შედარებით დიდხანს მომქმედი და დღეგრძელი რკინის საწარმოო უბანი მთელ საქართველოში. რა თქმა უნდა, ჩვენი ეს ვარაუდი ლიტონ სიტყვიერ განცხადებაზე არ იყო დამყარებული, არამედ მას გააჩნდა გარკვეული საფუძველი ფაქტიური მასალის მოწმობით. მართლაც, ხალხური მითითებისა და სპეციალური ლიტერატურული მაჩვენებლების ბეჯითად მიუოლამ ამ მხრივ ბევრი საინტერესო და საყურადღებო ფაქტები გამოავლინა.

²² ნ. რეზვიაშვილი, მკვლეობა რაკაში, თბ., 1953, გვ. 4-5.



ბოლნისის რკინის საბადოების შესახებ ბატონიშვილი ვახუშტი ბაკრატიონი აღნიშნავს: „ჭაპალის დასავლით არის ხევი სარკინეთისა. სარკინეთს ითხრებენ ლითონი რკინისა და სპილენძისა და იპოვების მცირე ლავეარდია“ (იხ. საქართველოს გეოგრაფია, თბ. 1928. გვ. 144).

1958 წელს ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის კომპლექსურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ამ მხრივ დიდად საყურადღებო ფაქტებს მიაკვლია. დიდ მიწდორზე წარმოებულმა გათხრებმა „სორჯუს“ მიდამოებში არა ერთი ნაშთი აღმოაჩინა რკინა-სპილენძის წარმოებისა, აქ, სამაროვანის უბანში, ძველი სპილენძის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობათა, ზოგიერთი ინვენტარის და საყოფაცხოვრებო ხასიათის საგნების მიხედვით აშკარად ჩანს რკინა-სპილენძის მეტალურგია უპირატესად, სადაც მცირე რაოდენობით ლავეარდის ნიმუშებიცაა წარმოდგენილი.

ინტ. ერნი მიუთითებს²², რომ რკინის წარმოებასთან დაკავშირებით, 1865 წელს ბორჩალოს (ბოლნისის) უბანში ამოუღიათ 726. 573 ფ. მადანი. აქედან მიუღიათ 219139 ფ. თუჯი, რაკ შეადგენს 30,1% წმინდა ლითონს — რკინას. იგი სვამს კითხვას, რად იღებდნენ ასეთი ღარიბი შემადგენლობის მადანს, როდესაც იქვე მოიპოვებოდა ისეთი მადანიც, რომელშიაც იყო არანაკლები 50% წმ. ლითონი? და განაგრძობს — საზოგადოდ, დნობას აწარმოებდნენ ძალიან გამოუცდელნი პირნი-ო. საქირთა აღინიშნოს, რომ ბოლნისის მომკმედი საბადოები, უკანასკნელად მნიშვნელოვნად დააზიანა (ეტყობა ჩაანგრის შესასვლელები და ამოქოლეს) ალა მაჰმად ხანის შემოსევამ 1795 წელს. ამ მოსისხლე მტერს კარგად ესმოდა მათი მნიშვნელობა და როლი საქართველოს სამეურნეო და სამხედრო ცხოვრებაში და ცხადია, ყოველივე გააკეთა იმისათვის, რათა გადაეკრა საქართველოს მაგისტრის ეს მნიშვნელოვანი ძარღვა და მით საბოლოოდ მოეშალა ქართველი ხალხის სამხედრო და საერთო ძლიერებისა და აღჭურვილობის მთავარი საწარმოო ნედლეულის კერა. ეს რომ ასე იყო, ნათლად ჩანს „სარკინეთის“ მთელი დასავლეთის ქედის ზოლად განთავსებული გვირაბების სისტემაში კარდაშული და ამოქოლილი შესასვლელების მიხედვით (აღ. კოჭლავა-

²² А. Эрн, Мат. для. геол. К., Сер. 3, Кн. 1, გვ. 192.



შვილთან ერთად, ჩვენ იქ 17 ამოქოლილი კარი დავამოწმეთ (დასაჯ-
ლეთის მხრიდან გვირახში შემავალი).

მცირე ხნის შემდეგ რკინის წარმოება აქ კვლავ აღდგენილია.
მაგრამ ეტყობა შედარებით მცირე მასშტაბით. 1870 წელს, რუსე-
თიდან მოვლენილმა ვინმე ბერგ ჰაუფტმანმა—ლონგინოვმა დაათვა-
ლიერა ბოლნისის რკინის საწარმოო ქარხანა და მადნის საბადოება,
სადაც ამ დროს წელიწადში მხოლოდ 300 ფ. რკინაზე მეტს არ
ამუშავებდნენ. შემდეგში ეს წარმოება მთლიანად შეწყდა და მხო-
ლოდ ბარიატინსკის დროს იქნა კვლავ განახლებული; კონცესია მი-
ეცა უცხოელ კაპიტალისტს ლიბს. მან იყისრა რკინის სადნობი ქარ-
ხნის გამართვა ჩათახში. 1862 წელს, კონცესიონერის გარდაცვალე-
ბის შემდეგ, მუშაობა კვლავ შეჩერდა და მხოლოდ დროგამოშვებით
სწარმოებდა 1875 წლამდე. ხოლო ამ წლიდან მთავრობამ მიზანშე-
წონილად არ სცნო აქ წარმოების განგრძობა³⁴. 1905 წ. ბოლნისის
საბადოები „რკინის მთა“ და „სარკინეთი“ ახლებურად იქნა შესწავ-
ლილი და გამოკვლევული. პირველი, მდ. ფოლადაურის მარცხნით,
„გიუნეს“ ქედზე იყო, მეორე მის პირდაპირ, აღნიშნული მდინარის
მარჯვნივ, წულრულაშენის ახლო მდებარეობდა. ამ უკანასკნელის
ზოლში მოქცეული რკინის მადნის სისქე 10,5 მ აღწევდა, ხოლო
„დამურდავისა“—2,13 მ³⁵. ერნის მიხედვით რკინა შეადგენს და-
მურდავის მადანში — 59,28%, ხოლო წულრულაშენის 53,24%³⁶.
ამ ბოლო დროს, ბოლნისის სანახებში მიკვლეულ იქნა რკინისა და
სპილენძის ძველი „გამონამუშევრები“—„დამურდავისა“ და „სო-
რჯუს“ მადნეული გვირახების სახით. გვირახში დაშთენილი „ამზა-
დებული“ რკინის მადანი, ასევე დაწუნებული, განარჩევი ნაყარი.
გვირახის შინაგანი ტექნიკური გამართულობა და მის კედლებზე
დამჩნეული სამუშაო იარაღების კვალი მოწმობს (იხ. სურ. 5), რომ
საქმე გვაქვს გვირახის გაყვანისა და მრწის წიაღიდან სასარგებლო
ნამარხეულის გამოღების საყურადღებო წესებთან.

³⁴ აღ. კოკლავაშვილი, რუსეთის როლი საქართველოს სამთომეტ-
ლორგიული მრეწველობის განვითარებაში, თბ., 1955.

³⁵ А. Эри, Чатахские месторождения железн. руды, М. д. Г. К., кн. 7,
გვ. 183. პროფ. ბოგდანოვიჩის შეხედულებით, აქაური მადანი ორ, უსწოროდ
შერთულ ფენათაგან შედგება—რკ. ბჟევიალასა და მანგანუმისაგან.

³⁶ აღ. ჯაბადაარი, საქართველოს ნედლეული რესურსები, ბელნაწერი,
თბ., 1940, გვ. 307.



1957 წელს, აღნიშნულ გვირაბში ჩატარებულმა დაზვერვითმა სამუშაოებმა დასაბუთებლად აჩვენეს, რომ აღნიშნული გვირაბი სასაზღვრო საზღვარს წარმოადგენს.

ტერესო ნივთები: სამუშაო იარაღები, ჭურჭლის ფრაგმენტები, ქაღალის სამკაულები და სხვა. ამავე მიზნით, გვირაბის გარეთა მიდამოებში და საერთოდ. „დამურდავის“ სანახებში, წარმოებულ იქნა არქეოლოგიური გათხრების (ხელმძღვანელი ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მ/თ ი. გველიშვილი) შედეგად გამოვლინებულია ძველი ქართული მელითონეობის მრავალი საყურადღებო ნაშთი: მადნის საწური ქერების, გამოსაწვავი ღუმელების, სამადნო „ბუნკერების“, სამთო მუშებისათვის განკუთვნილი ხელების და საკულტო ნაგებობათა ნაშთები, საყოფაცხოვრებო ხასიათის ინვენტარი და სხვა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს რკინის დამუშავების სინამდვილეს და ფართო ხასიათის მელითონეობას ძველ საქართველოში.

მეორე მათგანი, სორჯეს — ძველი სპილენძის გამოთხვევარი, პირველთან შედარებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხასიათისაა. იგი მიკვლეულ იქნა შემთხვევით, გეოლოგიური პარტიის მიერ საცდელი თხრილის გაყვანის შედეგად. მისი შიშართულება ჩრ.-დასავლეთიდან-სამხრეთ აღმოსავლეთით, სიგრძე—50 მ, სიგანე — 1 მ, სიღრმე — 1.5 მ. ეს თხრილი—ტრანშეა გაყვანილ იქნა სპილენძის მადნის გამოვლინების მიზნით. ამის შედეგად გაშიშვლებულ იქნა რამდენიმე სამარხი (სამარხები ქვა-ყუთებია. შიგ დამარხული პირები დასვენებული არიან: ყაცები, მარჯვენა მხარეზე და მოკრუნჩხულად; ქალები — მარცხენა გვერდზე და ასევე, მოკრუნჩხულად. გვერდზე უდგათ თიხის ჭურჭლები და სხვა). ეს სამაროვანი თარიღდება გვიანი ბრინჯაოს ხანით. ამ არიალზე ჩატარებული დაზვერვითი გათხრების შედეგად, რომელსაც ბიპეი მისცა ხსენებული სამარხების გამოჩენამ, 1958 წლის ნოემბერში მიკვლეულ იქნა საყურადღებო ნაშთები. ამ გარემოებამ საჭირო გახადა გათხრების გაფართოება და გეგმაშეწონილად ჩატარება. ექსპედიციის საფუძვლიანი მუშაობის წყალობით, მალე გათხრებმა სასურველი შედეგი მოგვცა. გამოვლინებულ იქნა გათხრების უბანზე (დაქანებული ველი, ჩრ. ბუჩქნარი, სამხრ. — თემიშარა, აღმოსავლეთით — პატარა და სმელი ქედი, დასავლეთით — კლდიანი ქედი, იხდება საშენი ქვა) დიდად საყურადღებო ნაგებობათა ნაშთები. ისინა, წინასწარი დაკვირვების მიხედვით, დღემდე უყინობი სახის საცხოვ-



რბელი თუ სამეურნეო ნაგებობათა ტიპს განეკუთვნებიან წარმოდგენილი სამაროვანის გამო მათი პირუანდელი სახე-
ლია, შერყვნილია, მაგრამ მაინც გაირჩევა ერთგვარი მოგძო სა-
ხის სათავსოების კედელთა ნაშთები, რომელნიც შემოქობილნი
ყოფილან ცენტრალურ, ღია ნაგებობას. თითოეულ მათგანში
გვხვდება უნახშირო ნაცრის ფენა — კერამი. კულტურულ ფენებ-
ში ამოდის ობსიდიანის ანატაკეები (თითო-ორთა დამუშავებუ-
ლი), სპილენძის მადნის მეორეული სახე „მალახიტი“-სა და ლაყვარ-
დი-ს ნატეხები, კეცის (თიხის) ჭურჭელი, ბრინჯაოს ნივთები (ი-
არალი, სამკაული), ხელაფქვავეები, სანაყები ქვისა და ახვა. აღნიშ-
ნული ინვენტარის მიხედვით ეს ძველი ნასახლარები ბრინჯაოს ხა-
ნას განეკუთვნება. ეს ობიექტები რკინა-სპილენძის დამუშავებუ-
სათვის საჭირო სამთო შუშებისა და მოპოვებული მადნეულის და-
მამუშავებელი ხელოსნების დასახლებას უნდა წარმოადგენდეს.

ეს ვარაუდი გამართლებულად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ,
რაც (გათხრების პირველი და მეორე უბნების გვერდით) ჩატარე-
ბული მესამე უბნის გათხრის შედეგად აღმოჩენილ იქნა რკინის „სა-
წური ქურა“ (სურ. 1). ეს აღმოჩენა, ჩვენი აზრით, საკმაოდ დიდ-
მნიშვნელოვანია. რამდენადაც ცნობილია ჩვენთვის, მსგავსი ძეგ-
ლები ამჟამად რეალურად არასად არ არის შემორჩენილი (თუ მხედ-
ველობაში არ იქნება მიღებული აფრიკის ზანგების ყოფაში დამო-
წმებული სამჭედლო ქურები, რომელნიც კონსტრუქციულად სხვაა).
ამიერიდან, ამ ქურის აღმოჩენით, სავსებით ნათელი და გარკვეუ-
ლი შეხედულება შეიძლება ვიქონიოთ ჩვენი წარსული ხალხური
მეტალურგიის ტექნიკური განვითარების შესახებ, რომელსაც ქო-
ნოლოგიურად საკმაოდ გრძელი გზა გაუვლია ბოლნისიდან წედი-
სამდე და მაინც გარეგნულად ბოლნური და წედური ქურები ერთნი
ჩანან. საყურადღებოა, რომ წედური საწური ქურის ფორმა-მოყვა-
ნილობა ბრძმედისა და კედლების მიხედვით, პრინციპულად არ გა-
ნირჩევა ძველი „ბოლნური“. რკინის საწური ქურისაგან, რომელიც
გათხრის შედეგად აღმოჩენილ იქნა 1958 წ. 26 ნოემბერს „სო-
რჯში“ (ბოლნისის სიონის ჩრდ. 2 კმ.).

ეს განათხარი საწური ქურა ჯერჯერობით ერთადერთი და რე-
ალურად პირველთაგანია საქართველოს სინამდვილეში. ამდენად,
იგი უაღრესად საყურადღებო და იშვიათი შენაძენია მეცნიერები-
სათვის და კერძოდ, ქართული მეტალურგიის ისტორიისათვის. იგი




მოჭრილ იქნა გამოფენისათვის, და ამჟამად წარმოდგენილ უკვე არაა სახ. მუზეუმის არქეოლოგიურ ექსპოზიციაში (I დარბაზი) **კლასიციზმი**

„ბოლნური ქურა“ ნაგებია ქვით. მოყვანილობა აქვს მოგრძო ოთხკუთხედისა. „ზეგულის“ შუაადგილას მოწყობილია ბრძმედი, რომელიც ამოგაზილია ცეცხლგამძლე აყალო მიწით (მისი სისქე-10 სმ., სიღრმე აღწევს 30 სმ), ქურის კედლები და ზედაბირი ნაწილობრივ დანგრეული და დეფორმირებული აღმოჩნდა, ამიტომ ვერ ხერხდება მისი სიმაღლისა და ფორმის ზუსტად დადგენა. საბედნიეროდ, რაღაც შემთხვევით, კარგად არის შემონახული თავად ბრძმედის ტანი. იგი წარმოადგენს „ფსკერჩადგმულ“ ბუდისებურ პატარა ორმოს, რომელიც კუთხედი ფორმისაა, ბოლოსკენ მცირედით მომრგვალებული და ბუდესავით გულლია, მისი კედლები დაფარულია ოდესღაც დაწურული რკინის „პერისა“ და „წიდას“ შეყინული მასით, რაც კიდევ უფრო საინტერესოსა ხდის მას. „ბრძმედი“ ისეა მოწყობილი, რომ წიდის ცალკე საშვები ნკრელი თავიდანვე არ უნდა ჰქონოდა საერთოდ ცნობილია, რომ პრიმიტიული ხასიათის საწურ ქურებს ასეთი მარტივი აგებულება ჰქონდათ, როდესაც მასში „დარიგებული“, დაკაზმული მადანი ჩაიყრებოდა და დაიწურებოდა. წინა მხრით აფარებულ ბრტყელ ქვას — „კარებს“, მოხსნიდნენ (სურ. 2), მასში ჩაწოლილი მდნარა ლითონი წყალივით გადადინდებოდა გარედ და შეცივებისთანავე მტკიცედ შეიკვროდა ერთ მთლიან მასად. „ბუდეში“ რჩებოდა ყოველგვარი „პერი“ და ჭუჭყი. ეს უქანასკნელი უფრო ადრე დნებოდა და ეკვროდა ბრძმედის კედლებს. ამიტომ ხშირად უხდებოდათ მისი ამოგდება, დამტვრევა და ახალ დარიგებული მადნისათვის დართვა. სწორედ ამგვარი მოქმედების შედეგია ამ ახლად აღმოჩენილ ბრძმედის შიგნით კედლებზე შეყინული სქელი მასა „წიდისა“, რომელიც შემთხვევით ამოუგდები დარჩენილა და ეს ბედნიერი შემთხვევა დღეს უძვირფასეს სურათს წარმოადგენს ძველი ქართულ ხალხური მეტალურგიის შესახებ, გათხრის შემდეგ გაშიშვლებული ქურის არეს ასეთი სახე აქვს: ქურის წინა მხარე—მიწის იატაკი, მომწვარია და სქელი შავი მასა მიუყვება თხელ ფენად. მასში ჩალვენთილი წიდის ნაფლეთები და პატარა ნატეხებია მოქცეული. რამდენიმე ნაბიჯზე ყრია რკინის მადანი მომსხო ნატეხების სახით და აგრეთვე ზის ნახშირი, რომელიც სალადაა დაცული. სამხრეთით ჩანს ბოძების საყრდენი ორი ქვა. ეტყობა ნაგებობა ყოფილა და მასში მადნის მარაგი ჰქონიათ. ქურა, როგორც ჩანს, ნაგებობის ზედა მხარეზე ყოფილა გამართული, ღია ცის ქვეშ.



თუ საბერძნის ნაკვალევი სწორადაა გარკვეული, იგი ჩრდილოეთით მხრიდან უგია, სადინარი კარი-კი სამხრეთითა აქვს. კედლები დიდი და კუთხოვანი ქვებით შეუკრავთ და გული წვრილი ქვით — „ჰყორით“ ამოუვსიათ (მდრ. სურ. 1). აღნიშნული ქურა თავისი აგებულებით განეკუთვნება პრიმიტიული სახის ქურათა წყებას. მას არა აქვს „გამოსაწიდი“ მილი და არც „ორპირი საბერძნის მოწყობილობა“, როგორც ეს განვითარებული სახის წედურ ქურას გააჩნდა. სპეციალისტების აზრით, ამგვარ ძველ რკინის საწურ ქურებში მადნის დაწურვა სავსებით მარტივად წყდებოდა. ქურის ბრძმე-



სურ. 1 რკინის საწური ძველი ქურა („სორჯუ“), ბოლნისი.

დში მადანი და ხის ნახშირი ფენებად ლაგდებოდა. ბრძმედი, რომელსაც ბუღისებური მოყვანილობა ჰქონდა, აყალო მიწითა და ნაცრით იყო ამოლესილი. წინა კედელში დაყოლებული ჰქონდა მიდიდო ბრტყელი ქვა, რომლის მოხსნა საჭირო დროს შეიძლებოდა. როდესაც მასში „დარიგებული“ მადანი იწყებდა ლღვობას, მადნისეული ქუჰყი, წიდა მალა ექცეოდა, ნაწილი კედლებს ეკვროდა, ნაწილი — ბრძმედის „კილოებით“ გარედ იღვრებოდა და ეკრიბებოდა ქურის წინ გამართულ პატარა ორმო საწურეტებში (იხ. სურ. 1).



წურვის პროცესის დასასრულს მოხსნიდნენ აფარებულ ქვას და დასრულებულიდან თხევად რკინას თიხის ღარიით გადმოღვრიდნენ ნახშირბადის მონოქსიდს მოგებულ პატარა ორმოში. შემდეგ მარწუხებით იღებდნენ რკინის გუნდას და აწარმოებდნენ მის სათანადოდ დამუშავებას. ი. გძელი-შვილის ცნობებით ასეთი პრიმიტიული რკინის საწური ქურების ნაშთები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში³⁷.

აკად. ბ. ა. რიბაკოვის მიხედვით³⁸, პრიმიტიული რკინის საწური ძველი ქურები და მათი თანმზღები ინვენტარის ნაშთები ნახულია კიევის სამეფოს ორ პუნქტში: რაიკოვეცკისა და გოჩნევეცკის ნაქალაქართა გათხრების შედეგად 1930 წელს. მისი აზრით, ისინი შეიძლება შევედაროთ საშუალო საუკუნეების „დომენი პეჩს“, ე. წ. „Stuckofen“-ს ქურათა ტიპებს. ისინი მოწმობენ რკინის დამუშავების ფაქტებს IX—X სს ა. წ. კიევის სამეფოში. საკუთარ ნედლეულის ბაზაზე, როგორც ეს ნათლად არის წარმოდგენილი ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების მიხედვით, რომელიც აწარმოვა ფ. ნ. მოლჩანოვსკიმ³⁹.


მდიდარი და მრავალფეროვანი ლითონური ძეგლები თავისთავად მეტყველებს ჩვენი წინაპრების მიერ გაწაფულ გზას არა მარტო რკინის, არამედ საერთოდ ლითონთა დამორჩილების საქმეში. უნდა დავუშვათ, რომ სამეურნეო და საბრძოლო ლითონეული — ქართული „ქურკელი“, თავისი ხასიათითა და ფორმა-შინაარსით დიდად არის დამოკიდებული ქართული მეტალურგიის წინსვლა-განვითარებასთან, მის თავისებურებასთან. სხვაგვარად აუხსნელია ის მრავალფეროვნება, რომელიც ახასიათებს ქართულ „ხელდას“ როგორც ნივთიერად, ისე ტექნოლოგიურად, როგორც სახეთა ნაირობისა. ისე შემკულობის მხრივ. თუ არა ხანგრძლივი გამოცდილების ნიადაგზე დაგროვილი ხალხური ემპირიული ცოდნა და საწარმოო ჩვევები. ისე შეუძლებელი იქნებოდა ქართველი ხალხის დახელოვნება ლითონების მიკვლევისა, მათი თვისებების გაგებისა

³⁷ ი. გძელი-შვილი, ქართველთა წინაპრები რკინის ხეცელსი მეტალურგიის პიონერები, „შეცნიერება და ტექნიკა“, 1963, № 4

³⁸ Б. А. Рыбаков, Ремесло древней Руси, М., 1948, гл. 24.

³⁹ Ф. Н. Молчановский, Обработка металла на Украине, XII—XIII вв, по материалам Райковецкого городища—ПИДО 1943, № 5, гл. 84—85.

და თითოეულისადმი მისი ხასიათისა და მოთხოვნილების შესაბამისად მიღვომა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს ტერიტორიაზე სადაც საქმე გვაქვს ამა თუ იმ ხასიათის სამთო მეტალურგიული ხასიათის ნაშთებთან, თავს იჩენს გარკვეული ტუ-



სურ. 2 რკინის საწურის ძველი ქურები: პირველყოფილი (2), დასავლეთ ევროპული (3), კატალონური (4).

რიტორიული კავშირი საკულტო ადგილებსა და ლითონის დამამუშავებელ ცენტრებს შორის⁴⁰. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს დამთხვე-

⁴⁰ ამ თვალსაზრისს ერთობლივად დაეადექით მე და ალ. კოჭლავაშვილი როდესაც ერთად შემოვიარეთ ძველი მელითონეობის კერები იმერეთის, სვანეთის და ქართლის, 1957 წელს.



ვები შემთხვევითი და სპონტანური არ არის, არამედ, როგორც წესი, იგი უკლებლივ გვხვდება, როგორც კანონზომიერი მოვლელი ძველი ქართული მეტალურგიის სინამდვილეში. ამ კავშირის ნიშნებისა და ხასიათის შესახებ რაიმე გადაჭრილი პასუხის გაცემა ჯერ კიდევ ნაადრევად მიგვაჩნია.

მაგრამ ერთი რამ გარკვევით შეიძლება ითქვას: ძველი ქართული მეტალურგიის, კერძოდ, რკინის დამუშავების განვითარების ისტორიაში მკაფიოდ იჩენს თავს იდეოლოგიური, მასთან, სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ხასიათის მოვლენები, რამდენადაც მეტალურგია თავისი ხასიათით წარმოადგენს დიდმნიშვნელოვან ფაქტორს. ჩანს, ფეოდალური საქართველოს სინამდვილეში ეკლესია განსაკუთრებულ დინტერესებას და აქტიობას იჩენდა მეტალურგიისადმი და საჭირო შემთხვევაში, იბრძოდა მასზე ხელმწიფებისათვის. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ რკინის წარმოების ნაშთები ტერიტორიულად დაკავშირებულია საკულტო ადგილებთან. სოლო რკინის დამუშავების ზოგიერთი პროცესი — (წრთობა, კვერვა, გადაღნობა — და წურვა) გარკვეულ რწმენა-შეხედულებებთან.

მაგალითად, ყვრილას ხეობაში მადნეული, საბერველის მიღები და რკინაწილა თავმოყრილია: ერთგან წმ. გიორგის ეკლესიის ეზოში; მეორეგან — მთავარანგელოზის ეკლესიასთან, მესამეგან — კვლავ წმ. გიორგის ეკლესიასთან, სოფ. თედელეთსა, პერეცსა და სინაგურში. ასევე, სვანეთში—ენგურის ხეობაში, სოფ. ქვემო ფარის სანახებში დაცული ძველი მეტალურგიული წარმოების ნაშთები: რკინაწილა, თიხის მილები, ქვის „ძიმები“ (ქვეშსადები გრდემლი), საყოფაცხოვრებო ხასიათის ჭურჭლეულის ნატეხები თავს იყრის ფარის წმ. გიორგის ძველი ეკლესიის კარზე.

ანალოგიური ამბები თავს იჩენს კერძოდ, რაჭასა და ქართლში, ლეჩხუმსა და სამეგრელოში. ისე რომ იქ, სადაც რკინის ძველი წარმოების ნაშთები გვხვდება, როგორც წესი — იქვე არის რომელიმე საკულტო ადგილიც და პირიქით. იქ სადაც საკულტო ადგილებია და მადნეულის დამუშავების შესაძლებლობა მოცემული, უქვევლად წარმოებაა მასთან დაკავშირებული ნივთიერად. ან იდეოლოგიურად. ეს გარემოება, თუ არ ვცდებით. დასაწყისში მეტალურგიის საიდუმლოებით, მისთვის მაგიური ქმედების მიწერით



აიხსნება, ხოლო შემდგომში პოლიტიკურ-ეკონომიური მიზნების
ცხადია, როგორც საერო, ისე სასულიერო ხელისუფალთ
ვრად ჰქონდათ შეგნებული ის დიდი და გადამწყვეტი ბნიშენლობა,
რომელიც გააჩნდა ლითონს და კერძოდ, რკინას საზოგადოების
ცხოვრებაში. იგი იყო მძლავრი იარაღი პოლიტიკური პრივილეგიე-
ბისა და ეკონომიური ძლიერების მისაღწევად ამა თუ იმ საზოგა-
დობრივი კლასისა და ჯგუფის ხელში (მდრ. ენგელსის ცნობილი
მითითება პირველყოფილ კულტურასთან დაკავშირებით).

ძველი ქართული ხალხური მელითონეობის რიგი მიღწევება,
ტექნიკური ხერხები და საწარმოო გამოცდილება, დღესაც ცოცხლობს
და წარმატებით გამოიყენება რკინის წარმოების პრაქტიკაში.

ამ მიმართებით, თუ შევადარებთ რკინის დამუშავების ძველ
მამაპაპურ წესებს აწინდელ მეცნიერების უკანასკნელი სიტყვის
საფუძველზე აგებულ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას, მიუხე-
დავად მათ შორის ვაწვდილი დროისა და ტექნიკური განსხვავები-
სა, პრინციპულ მსგავსებას დავინახავთ. მართალია, პირველსა და
მეორეს შორის რა შედარებაა თავისი მასშტაბითა და საწარმოო
ტექნიკური ხასიათით, მაგრამ ვიმეორებთ. ძირითადადში ისინი ერთ-
გვაროვანი არიან. თუ ავიღებთ რკინის დამუშავების ტექნიკურ
პროცესებს. როგორცაა: კაზმის შემზადება (იგულისხმება მადნეუ-
ლის გამდიდრება ზარგანეცით--ფაშათი), ცალკეული საკაზმავის
შეფარდება მადნეულთან, ერთნაირი შემადგენლობის საკაზმავები,
წურვის პროცესის სწორად წარმართვისა და მისაღები რკინის ხა-
რისხის დასადგენად ცეცხლის ფერის გამოყენება, დნობის მსეულ-
ლობის შემოწმება აღებული სინჯის საშუალებით, რკინის „მო-
სვლის“ , „მომწიფების“ შეტყობა ნაპერწკალთა შუქის საშუალე-
ბით და სხვა, დავინახავთ, რომ მათ შორის სხვაობა ძირეული არაა,
იგი უმთავრესად ვანისაზღვრება ხარისხითა და წარმოებითი მას-
შტაბით. ამ შემთხვევაში, ჩვენ მხედველობაში გვაქვს რკინის და-
წურვის წარმოების ტექნიკური პროცესები და არა მისი ალჭურვი-
ლობა, წარმოების საზოგადობრივი ფორმა, საწარმოო საშუალე-
ბები და სხვა. ერთი სიტყვით, ვგულისხმობთ უბრალო შედარებას.
მართლაც, როდესაც უყურებს კაცი კუნთმაგარ, დაკაპიწებულ რუ-
სთაველელ მეტალურგებს, ავიზგიზებულ მარტენის ლუმელის წინ,
ლურჯი საათვალებით და ხელში რკინის „სახევერიო“, თვალწინ
წარმოგვიდგება წარსულის ის სურათი, რომელსაც იძლევა რკინის



წარმოებისა და „რკინის კაცების“ შესახებ სიტყვიერი და წერილობითი ცნობები. მხნე გამრჯე ქართველი ძველი მელითონევი „რკინის კაცები“, რაჭის სარკინეთში, ასევე დაუცხრომლად ტრიალებდნენ თავს საწურ ქურებს. რომლის ბრძმედებში ლღვებოდა და იწმინდებოდა, თაკარა ცეცხლის ძალით, ქართული ფოლადი“ და რკინა. მათაც ჰქონდათ თავისებური ცეცხლამრიდი ხის ფიცრის „სათვალეები“ და რკინის „სახხვერით“ ამოწმებდნენ ხოლმე რკინის „მოსვლას“, ანუ „მომწიფებას“.

ამგვარად, სათანადო მონაცემებისა და ნივთიერი მარჯვენებლების მიხედვით ნათლად ჩანს, რომ რკინა-სპილენძის ძველი წარმოების ფართო კერები უნდა ყოფილიყო ქვემო ქართლის მიდამოები — ლელვარის მთების ჩრდილო ქედების ჯაჭვი და ისტორიულა საქართველოს სამხრეთი რაიონები, განსაკუთრებით ჭოროხის აუზში მოქცეული ხეობები—ბელღევანის, მურღულის, იმერხევის, აგრეთვე, ტრაპეზუნტის მადნეულთა ჯგუფი ქ. გუმიშხანამდე და მდ. ჭოროხის სათავემდე. სადაც პოლიმეტალური ხასიათის მადნეულის მდიდარი საბადოების დამუშავება მეტნაკლები ინტენსივობით ბოლო დრომდე არ შეწყვეტილა. მასთან, არა ნაკლები სიმძლავრის ღრდა ყოფილიყო მდ. ენგურის აუზში მდებარე ქვემო ფარის და ქუბურის⁴¹ რკინის ძველი საწარმოები იმ უხვი ნივთიერი ნაშთების მიხედვით, რომლითაც მოფენილია აქ საკმაოდ დიდი ტერიტორია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თავისი სიძველათ და თავისებურებით მდ. რიონისა და ყვირილას ხეობაში დამოწმებული რკინის წარმოების ქურათა ნაშთები — პერევი, სინაგური, თედელეთი, ჩასავალი, წედისი, ბუბა, რიცეული და სხვა. აგრეთვე შავი ზღვის სანაპირო ზოლში მდ. სუფსასა და ნატანებს შორის მოქცეული ზღვისპირეთის მაგნიტური რკინის (ქვიშა მადანის სახით) დამუშავებას საწარმოთა და ქობულეთის ვაკეში მიკვლეული რკინის საწური პრიმიტული აგრეგატების ნაშთები.

⁴¹ Б. Е. Деген Ковалевский, Из истории железного производства Закавказья, по материалам раскопок Чуберской железоплавильни в Свани. Изв. ГАИМК, вып. 120, М.—Л., 1935; ს. მაკალათია „საქ. მუზეუმის მონაბე“, ტ. IV, თბ., 1928, გვ. 165.

თავი მეორე

რკინის დამზადება

მდინე დაწურვა რკინად. შრაბილი—სარკინე მოხე, დანადგარი—საწური „ბომი“, სახშილი. ღვიფივი, სოლინარი, ცეცხლბაძელე მიწები

რკინის მადნეული საბადოებით განთქმული საქართველოს სანახები ცნობილი იყო, აგრეთვე, ახლო წარსულამდე, თავისი რკინის წარმოებითაც¹. ბოლნისი, იკრიბა, წედისი, მესტია, ნოპა (აფხაზ.) XIX ს. I ნახევრამდე მომქმედი „სარკინეები“ იყო. ადგილობრივი ცხოვრებნი რკინის ამ მადნებს ძველიდანვე ამუშავებდნენ. მიწის წიაღიდან ამოღებულ „ლითონს“ ისინი, მსგავსად რაჰის „სარკინეთისა“, თავს უყრიდნენ სარკინე ქოხებში (Eisenbüte-ში) და შემდეგ მას საგანგებოდ გამართულ საწურ ქურებში წურავდნენ რკინად (იხ. სურ. 3, შდრ. სურ. 4).

მიღებული რკინისაგან ქართველი მჭედლები აწარმოებდნენ ნაირსახეობისა და დანიშნულების „ხელადის“ გაჭედვას. უკანასკნელ ხანებში რკინეული, უმთავრესად, სამეურნეო ხასიათისა მზადდებოდა, პირადი მოხმარებისა და გაცვლა-გამოცვლის მიზნით.


უფრო ადრე რკინის წარმოება საქართველოში ფართოდ იყო განვითარებული. იყვნენ თემები, რომელნიც მხოლოდ რკინისა დამუშავებას მისდევდნენ და ამით ირჩენდნენ თავს². მისიონერი — არქანჯელო ლამბერტი პირდაპირ მიუთითებს: „იმერეთის მიებში

¹ Abich, Aus Kaukasischen Länder, Beisebrife, I, Wein, 1886, გვ. 405.

² ვ. კაკაბაძე, შინამრეწველობა საქართველოში, მოკლე ისტ. მიმოხილვა, თბ., 1926, გვ. 242.



არის კიდევ რკინის მადნები იმდენი, რომ ზოგ ადგილას ხალხურად ხელობას არ ეტანება და მხოლოდ რკინას იღებს მადნებიდან. ამ რკინისაგან აკეთებს სხვადასხვა ნივთებს“-ო². ამგვარივე ვითარება აქვს დამოწმებული შემდეგი სანებისათვის ვ. კაკაბაძეს. იგი აღნიშნავს შემდეგს: „დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი სოფლების თითქმის მთელმა მოსახლეობამ ძველად მჭედლობა ეკოდა — მაგალითად, ქუთაისის მაზრის სოფ. საწირეში (ოკრება, ნ. რ.) ყველა გლეხები მჭედლები იყვნენ. განვითარებული იყო ეს დარგი (იგულისხმება რკ. მჭედლობა, ნ. რ.) აგრეთვე რაჭაში. სადაც ეთლებოდა საუკეთესო ხარისხის დანები და ცულები“-ო³.



სურ. 3 რკინის მადნის საწერი ქურა, ს. წუღისი.

სპეციალურ ლიტერატურაში ქართული რკინის დამუშავება საკმაოდ ცნობილია.⁴ გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, გეოგრაფი ვახუშტი იმერეთის რკინის წარმოების შესახებ აღნიშნავს: „...გელათს ზეით წყალ-წითელას მოერთვის. ყურსებს, საწირის-წყალი. ეს გამოსდის ნაჭერალას მთას და მოდის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთს შუა. ამ წყალზედ არის ციხე მიტლოკინისა, ვით სახელი, ეგრეთ მტკიცე. ამას ზეით, ამავე წყალზედ, საწირეს არს ციხე. ამის გარემოს ითხრების რკინა, და არს ლითონი მრავლად“⁵.

² არქანჯელო ლაშვერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ალ. ქუთნიასი. გამოც. II, თბ., 1938, გვ. 190.

⁴ ვ. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

⁵ ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1941, გვ. 152.



1924 წელს, საქართველოს სამთო ექსპედიციის მიერ, სპეციალური დავალებით წარგზავნილ იქნა სამთო ინჟინერი, სპეციალური კრიკიანოვსკი, რომელმაც ჩაატარა ოკრიბის რკინის საბადოების მინერალოგიური გამოკვლევა და რკინის წარმოებასთან დაკავშირებული ობიექტური პირობების შესწავლა. ჩატარებული მუშაობის შედეგების შესახებ მაშინდელი საქართველოს სამთო ექსპედიციის მიერ გენერალ ველიამინოვისადმი წარდგენილი მოხსენებიდან ირკვევა, რომ ოკრიბის რკინის საბადოების ექსპლოატაციას ბევრი რამ ელოებოდა წინ. ერთი სიტყვით, ხსენებული საბადოების შესწავლამ ვერ გაამართლა ის დიდი და ბევრის აღმოქმედი იმედები, რომელსაც ამყარებდა მასზე მეფის რუსეთის სათანადო წრეები. ამიტომ მთავრობამ ეს საკითხი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგნად არ სცნო და იგი უყურადღებოდ დასტოვა. აქ რკინის მოპოვებისათვის საჭირო ხდებოდა საკმაო სიღრმის კვების ამოთხრა. იგი ხშირად ივსებოდა წყლით, რაც რკინის მოპოვების საქმეს, სპეციალური წყლის საქაჩაგების უქონლობის გამო საგრძნობლად აძნელებდა. ეს გარემოება მნიშვნელოვან დაბრკოლებას ჰქმნიდა საერთოდ. სხვა შემავალ ვითარებასთან ერთად, რკ. მადნეულის ფართო დამუშავებისა და ინტენსიური ექსპლოატაციისათვის.


კრიკიანოვსკის აღწერილობის მიხედვით ოკრიბის რკინის დამუშავება ტექნიკური ხერხებისა და საშუალებათა მიხედვით წარმოადგენს წედისის რკინის წარმოების ანალოგს. ეს ბუნებრივად არის, რადგანაც როგორც ერთი, ისე მეორე, გეოლოგიური თვალსაზრისით, განეკუთვნება ერთ ფორმაციას. ასევე, ტერიტორიულადაც ისინი უმნიშვნელო მანძილით არიან დაშორებულნი. რაც შეეხება ეთნიურ გარემოს, ამ მხრით ხომ ისინი სავსებით ერთნი არიან. ქრონოლოგიურადაც ისინი, აბიზის მიხედვით, ერთი ხანისა უნდა იყვნენ. ასე რომ სხვაობა მათ შორის მხოლოდ ადგილობრივი თავისებურების ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს და ძირითადი ხასიათისა არ უნდა იყოს.

რკინის დამუშავება ოკრიბაში, მსგავსად რაჭის სარკინეთისა, ორ ძირითად საფეხურს შეიცავდა — „უმი ლითონის“ (მადნის) მოპოვებასა და გადამუშავებას „საქედურ“ რკინად. მიღებულ რკინისაგან ნაირ სახის „ხელადის“ ჰქვდას.

მიწის წიაღში ლითონს „ბარჯულებითა“ და წერაქვებითა თხოვდნენ. მოპოვებულ ლითონს სარკინე ქოხებში ამარაგებდნენ და



შემდეგ მას, საჭიროების მიხედვით, გადაამუშავებდნენ იმ
ხეობებში — რკინის საწური სპეციალური ქურების საშუალებით. ეს
უკანასკნელი გამართული იყენენ აღნიშნულ საკინე ქობებში. თი-
თოეულში იდგა რკინის საწური და სადნობი ორი აგრეგატი. ერთი
წარმოადგენდა პირდაპირ საწურავს, მეორე — სადნობს. უკანას-



სურ. 4 ძველი ეგვიპტური ქურა

(ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, ხელნაწერი 1654, 212).

კნელი გამოყენებული იყო ამასთანავე „სამჭედურ ქურადაც“. სა-
წური ქურის ბრძმედი წარმოადგენდა ერთგვარ ღრმა მოყვანილო-
ბის ფილს, რომელშიაც იყრებოდა ლითონი დასაწურავად. ფილს
ძირზე დატანებული ჰქონდა ხერელი, რომლითაც რკინის წურვის



დროს გარედ გამოდიოდა გამოყოფილი „წიდა“. ხოლო წინ იგი ემსახურებოდა ქურაში ცეცხლის გაღვივებას.

ქურას ერთი მხრით, როგორც წესია, დავებული ჰქონდა ქართული საბერველი, რომელიც ფილისაყენ თავდებოდა წაკვეთილი კონუსისებრი თახის მილით, ანუ „სვირით“. დაფშენილი ვადანი მიჰქონდათ და ურიგებდნენ პირდაპირ საწურ ქურის ფილში. სადაც მუხის ნახშირის საშუალებით აწარმოებდნენ ძლიერი და მაღალი ტემპერატურის დამყარებას, რაც იწვევდა ლითონის ლღობასა და მისგან რკინის გამოყოფას — დაწურვას. •

ერთი წყება დარიგებული ლითონის წურვას სჭირდებოდა ოთხი საათი დრო, ხოლო საბოლოო გადადნობას, რომელიც სხვა ქურაში სწარმოებდა — კიდევ ერთი საათი. ამ შემთხვევაში მუარის ნახშირს, წაბლის ნახშირი ცვლიდა.

ერთ ჯერად, თითოეულ დარიგებაზე შესაძლებელი იყო ნახევარი ფუთი მადნის დაწურვა, რასაც სჭირდებოდა 4 ფუთი მუხასა და ერთი ფუთი წაბლის ნახშირი⁶. პირველ დაწურულ რკინას „ლუგვი“ ეწოდებოდა. მეორედ გადამდნარს — „კვერი“... ფაქტიურად, ლუგვი წარმოადგენდა თუჯ რკინას, კვერი კი წმინდა, სკვერავ რკინას.

როგორც ითქვა, ლუგვი რკინა მოითხოვდა გადადნობას. გადასადნობად იყენებდნენ „სადულ ქულბაქს“. ამისათვის საჭირო იყო ლუგვი რკინის დაფშენა და სადულის ბრძმედში მისი დარიგება, ნახშირის შეცვლა⁷ და ხელმეორედ გადაშვება — გადადნობა. ამ პროცესის გავლის შედეგად წიდანარევი და მსხვილმარცვლოვანი ლუგვი რკინა (თუჯი რკინა) ტანს დაიწმენდა, „შედეგობდა“ და ხალასი „გვამი“ შეექმნებოდა. ლუგვი რკინა იქცეოდა მოქნილ და „უწყვეტ“ საქედურ რკინად. საქედური რკინისაგან მზადდებოდა ნაირი სახისა და დანიშნულების ხელადი, როგორც საკუთარი მოხმარების, ისე გაცვლა-გამოცვლის მიზნით. ამიტომ საქედური რკინის „დაყენებას“, „მომწიფებასა“ და „მოქნას“ ვანსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ვარგისი და გამოსადეგი ხელადის გასაჭედად, რკინის კაცები დიდ გულმოდგინებასა და მონღომებას იჩე-

⁶ ამ ცნობებიდან ნათლად ჩანს — რამდენად დიდი რაოდენობის ხე-ტყე იყო საჭირო სისტემატური და ინტენსიური მუშაობისას.

⁷ ვმ. ვიო რ გა ძე, მეტალების სწავლება, თბ., 1956, გვ. 210—215.



ნდნენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება საღი და უზადო რკინა **საქონელო**
 ედნოთ. ის ამბავი, რომ ამ მასალისგან თავადაც სკედდნენ **საქონელო**
 ულს. ავალეზდა მათ მტკიცედ დაეცვათ მაღალი ხარისხის რკინის
 მიღების წესი.

▲ უნდა ითქვას, თუ მდინის დაწურვა ლუგვ რკინად ეოთობ რთუ-
 ლი და ძნელი საქმე იყო. ლუგვი რკინის ხელმეორედ გადადნობა
 და „საქედურ რკინად დაყენება“ დიდად სათუთსა და საფრთხილია
საქმნარს წარმოადგენდა. ამ წესით მიღებული რკინა „შინაურ“ რკ-
 ად ითვლებოდა. შინაური რკინა გარკვეული უპირატესობით სარ-
 კებლობდა და მისეული ხელადი მეტად ფასობდა. დიდი ყურადღე-
 აა ექცეოდა საქედური რკინის მოქნას. „მოქნა“ გულისხმობდა: რკი-
 ნის „მომწიფებას“ ცეცხლში, გამოღობობას კვერში; მომწიფება ხო-
 მახე გამოხურებას; გამოღობობა — თანაზომიერ დაბრბილებას და
 მყიფე სიფიცხის არიდებას. **▲**

რკინის წარმოების ხალხური წესი, იმ ეთნოგრაფიული მას-
 ლების მიხედვით, რომელიც შეეხება XIX ს. 80-იან წლებამდე მომ-
 ქმედ რკინის საწარმოებს — წედისს, კურსებს (ოკრიბა), მესტიას
 (ზ-სვანები), ხოპს (აფხაზეთი), ბოლნისის (ქვ. ქართლი). შემდეგ
 სურათს იძლევა სქემატურად: რკინის წარმოების საზოგადოებრივი
 ორგანიზაცია წარმოადგენს ამხანაგობას. რკინის წარმოება ნახევ-
 რად სასაქონლო ხასიათისაა — ნაწარმი მზადდება შინამომხარებე-
 ისა და ალებ-მიცემის მიზნით.

საქართველოს მიწა-წყალზე მრავალი სარკინეთი იყო და არის.
 ზოგიერთი მათგანი ადრევე დაუქმდა დაუქმება გამოწვეული იყო
 სხვადასხვა მიზეზებით: მადნეულის გამოლევა. გარეშე მტრების
 თავდასხმა, ტექნიკური აღჭურვილობის სისუსტე. იაფი რკინის გა-
 მოჩენა საერთო ბაზარზე და სხვა.

რკინის მეტალურგიაში ჩაბმულ მონელე პირებს — სამთოე-
 ლებსა და უშუალო მწარმოებლებს საერთოდ „რკინის კაცები“ ეწო-
 დებოდა. „რკინის კაცები“, ამა თუ იმ „საქმნარის“ მიხედვით, იყო-
 ფოდნენ რამდენიმე ჯგუფად: **მაძიებელნი**, რომელნიც აწარმოებ-
 დნენ რკინის მადნეულის საძიებო საქმეს, საბადოს მიგნებას;
ამომცნობნი — რომელნიც მიკვლეული მადნეულის ხარისხსა და
 მის რკინად გამომავლობას ამოწმებდნენ; **მთხრელნი** — რომელნიც
 საბადოდან მადნეულის „გამოწველას“ აწარმოებდნენ; **მზიდავნი** —
 რომელთაც ევალეზობდათ მადნეულის გადაზიდვა დანიშნულ ადგი-
 ლას. ზიდვის განსახორციელებლად გამოყენებული იყო: „ზურგ-



კიდებული“, „ცხენკიდებული“, „ჯორკიდებული“, ხარმარკიდებული (ხამთარ), ხარ-ურემი, ცხენ-ურემი (ხაღხულ); მკაზმავები, მწურავები, რომელნიც აწარმოებდნენ დაკაზმული რკინის მადნის დარიგებას საწურ „ბოვში“ და წურვის მსველელობის წესიერად წარმართვას; მბერავები -- რომლებიც უსხდნენ საბერველს და ხელაწყოებით უბერავდნენ განუწყვეტლად; მეურონი -- რომელნიც ბოვიდან ამოღებულ, დაწურულ რკინის ლუგვს ხის დიდი უროებით ბეგვდნენ ქვის ბრტყელ გრდემლზე -- საბეგვ ქვაზე; მენახშირენი -- რომელთა უშუალო საქმეს წარმოადგენდა სალი და სავადასხვა ჯიშის ხის ნახშირის დაწვა-დამზადება; მქედლები ანუ „კვერით ხურონი“ -- რომელთა მიერ სწარმოებდა ადგილობრივი რკინის ბაზაზე ნაირი სახისა და დანიშნულების რკინის „ხელადის“ გაჭედვა; „გამსაღებელნი“ -- ამ უკანასკნელთა უშუალო მოვალეობა იყო ნამატი ხელადის გასაღება და აღებული ნავაჭრისათვის ანგარიშგება.

მადანს რკინის კაცები უწოდებდნენ „ლითონს“, ხოლო მადნეულის საბადოს -- „სალითონეს“. თითოეული სალითონე ატარებდა საკუთარ სახელს, მაგალითად: „ქვაწითელა“ (რაქა), „ჭუბერა“

* საყურადღებოა, რომ ტერმინი -- „მწურავები“ იხსენება XIX საუკუნე დასაწყისის ერთ-ერთ საბუთში, რომელიც მიუწერია შვილისთვის სახლთუბილეს ზურაბ წერეთელს: „ჩემო საყვარელო ძეო გრიგოლ, მამათქვენი სახლთუბუცესი წერეთელი ზურაბ თქვენს მშვიდობით ხილვას ღმერთსა ვიხუო. ჩვენს ანბავს იკითხავთ მშვიდობით ვიმყოფებით. და ამ ცოტა ხანს უკან ჩვენც წამოსული ვართ და მერაბის საქმე სანამდის მადიდავან ანბავი არ ჩამოვა წამადის დაყენებული არის და ეს წიგნები ვისაც ვუჩვენე რუსს თუ ქართველს ყველამ ასე თქვა თუთი ხელმწიფესაც არ შეუძლია ამისი მოშლილით თუ მოშლის ვინმეთ თვარამ სამართლით არ იქნებოთ და წარქვალის საქმე არის მე გუნებამიდ არ გამვლბოა უფრო ისე მომლოცა და ჯერ არ შესრულებულა და სხვა არის რკინის მწურავებს ვხვადნი და ახლავე მის (პირი რისაა გაურკვეველია ნ. რ.) პირზედ ერთი დიდი სახლი გააცემბინებ და ნახშირი აწვეინე ნიდაგ რომ ზევირ იყვეს, რომ არ მოცდენ. ნახშირი თუ ბევრი არ გვექნა მოცდებათო და თუ ჩემი მამამეოლობა ვწამდეს სახლიც ახლვე დადგმეინე და ნახშირიც ზევირ დააწვეინე...“ იქვე, ბოლო იხსენიება: „მეანგურებუც მომყავს“ (ზურაბ სახლთუბუცესის (წერეთლის) წერილი შვილის--ვრ. წერეთელ-ხადმი, საქ. სახ. მეზ. ხელნაწერთა ინსტ. ხელნაწერი საბუთი (sd 1482). თარიღი 1810 წელი ივრატულება).



(სვანეთი), „ჯიშრა“ (აფხაზეთი) და სხვ. მთელ უბანს მადნეულის მემკვიდრე — „სარკინე ეწოდებოდა“. სარკინეს მიმდგამ მოსახლეობას — „სარკინეთელნი“. ხოლო რკინის მადნის მოპოვება — დამუშავებას „მორკინვა“ ერქვა⁹.

როგორც ცნობილია, რკინის წარმოება რაჭვასა, იმერეთსა, სვანეთსა და ქვემო ქართლში სრულდებოდა მთელი ციკლით, დაწყებული მადნის მოპოვებით და გათავებული მისი რკინად დამუშავებით. იგი შეიცავდა რამდენიმე საფეხურსა და ცალკეულ პროცესს. ცხადია, ხანგრძლივი საწარმოო პრაქტიკა მოითხოვდა სათანადო მეტალურგიული ცნებებისათვის სატყვისი ტერმინოლოგიის გამოშვებას, სინამდვილეში ჩვენ მიგვეპოვება კიდევაც საკმაოდ მდიდარი მეტალურგიული ტერმინოლოგია, მაგრამ ისინი დროთა განმავლობაში დავიწყებას მისცემიან. ამიტომ გვიჭირს მათი მიკვლევა და რეალური მნიშვნელობის აღდგენა. ამ მიმართებით უნდა ითქვას, რომ მოხელე „რკინის კაცები“ საკმაოდ კარგად ყოფილან დაუფლებულნი რკინის დამორჩილების საქმესთან ერთად, მელითონობასთან დაკავშირებულ სიტყვიერ მასალას. ის ფაქტი, რომ ისინი მკაფიოდ არჩევდნენ ერთუთრიდან სხვადასხვა ფუნქციის აგრეგატებს — რკინის საწურ და სადულ „ქულბაქს“, მოეპოვებოდათ თითოეული სათვის ზუსტი სახელი — „საწურავი“, „სადული“, „სადნობი“ და სხვა, ამასვე მოწმობს. როგორც ცნობილია, მადნეულისაგან რკინის მიღების საწარმოებლად რაჭვის სარკინეთში ხმარებაში იყო ერთი მეორესთან კონსტრუქციულად და ფუნქციონალურად განსხვავებული ორი დანადგარი — ე. წ. „ქულბაქი“. მადნის საწურ ქულბაქში მიმდინარეობდა რკინის პირველადი აღდგენა — მადნეულის გამოყოფა არა მადნეულიდან, რკინის სადულ ქულბაქში¹⁰ — „ვამთხლეული“, უხეში რკინას (თუჯის) დახალასება და „დაწდა“. ამიტომ,

⁹ „...ქაბალის დასავლით არს ხევი სარკინეთისა, სარკინეთს ითხოვბის ღითონი რკინისა და სპილენძისა და იპოვების მცირე ლავარდოკა“. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გამოც. მ. ჯანაშვილისა, ტფ. 1895, გვ. 55.

¹⁰ არქეოლოგ ნ. ხოშტიარის ჩვენებით, ქართლში გვხვდება ასეთი ვამთოქმა: „სარკინენი მოვრკინეთ“, „მორკინვა“ ეწოდება აგოეთვე, ავი თვალის საწინააღმდეგოდ, რკინის თაწყობნას შშობიარესთან, პირველი ლეწვის დროს კალოზე, სახლ-კარის დაქვარვას „მავნებელთა დღეს“ და სხვა.

¹¹ საყურადღებოა, რომ ატენის სიონის წარწერაში „ქოლბაგი“ იხსენიება ორჯერ (რ. ხ. მაკალათია, ატენის ზეობა, 1957, გვ. 21): „ატენის ციხისა თავმან ავავენ სახლნი და ქოლბაგი“-ო.



ბუნებრივია, თითოეულ ამ პროცესს და საწარმოო საშუალებას შესაბამისი სახელი ექნებოდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებამ უკვე საბას განმარტება სიტყვისა — „ბოვი“, როგორც „ილექციონის პირველად გამოსადნობელი“-ს სახელი. ამ ნიშნეულობით სახელი „ბოვი“, ზედმიწევნით შეესაბამება საწური ქულბაქის მნიშვნელობას და შეიძლება იგი აღნიშნული აგრეგატის უძველეს სახელად მივიჩნიოთ. საფუძველი ამისა თვით საბასეული განმარტებაა.

ისტორიულ-ლიტერატურული წყაროების მიხედვით ლითონისგამოსადნობელს ეწოდებოდა აგრეთვე „საკმილი“. დაბადების ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „შევიწყნარენ თქვენ... ვითარცა შევიწყნარებს ვერცხლი და კინა და ბრპენი და კალა შორის საკმილისა გამობერვად მისდამი ცეცხლსა გამოსადნობელად“ (იეზუკიელი, თ. 22, 18). იმავე დაბადების რუსულ თარგმანში, ქართული „საკმილის“ შესატყვისად დასახელებულია — „გორნილო“: «Они все медь олово, железо и свинец среди горнила сделались изгорью-ю серебра». საბას მიხედვით: „საკმილი (დან.პ.რ) არს ცეცხლთა საგზებელი კაცთა დასაწვავად, გინა აბახოს საეზებელი და მისთანა. ხოლო ბრძმედი არს ელგროთ დასადნობელი ადგილი“. როგორც ჩანს, საბას დროს, ტერმინი — „საკმილი“ და „ბრძმედი“ გამოიჩნულია. თითოეულს თავისი კონკრეტული ფუნქცია აქვს. იდრე კი, საკმილი უფრო ზოგადი ხასიათის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც აღნიშნავდა საერთოდ სახმობს, გამოსაშრობს, გამოსახურებელს, რაც კარგად ისახავს ძველი მელითონობის იმ პროცესს, რომელსაც მადნის გამოწვა ეწოდება. ცნობილია, რომ რკინის მადანს, რომელიც გარკვეული რაოდენობით შეიცავს ერთგვარ სინესტეს, პირველად გამოწვავდნენ, ე. ი. კარგად გამოახურებდნენ და შემდეგ დაწურავდნენ რკინად. უნდა ვივარაუდოთ, რომ საკმილი იყო ადგილი „ცეცხლთ საგზებელი“. სადაც სწარმოებდა მადნეულის გამოხურება¹².

რაც შეეხება „ბრძმედს“, იგი შეესატყვისება უფრო რკინის სადნობს, რომელშიაც მიმდინარეობდა დაწურული რკინის ხელმე-

¹² შდრ. საკირე, საფიცობელი (ლალფრა სვ.) პირველი წარმოადგენს კარის დასაწველს, მეორე — მარცველულის გასახმობს, ანუ გასაფიცებელ ნაგებობას.



ორედ გადადნობა, მის დახალასებისა და „მომწიფების“ მიზანმიმართულ
ამჟამად, ანალოგიური „დაბრძმედის“ პროცესებისათვის იყენებულ
სპეციალურ ელექტრო-ჭებს. სადაც ათავსებენ პირველ ნაღობ
რკინის „მორებს“ გამოსახურებლად და „დასაბრძმედად“.

ამგვარად, თუ ჩვენი ეს მოსაზრებანი მცდარი არ არის, შეიძ-
ლება დავასკვნათ: ძველად, რკინის დამუშავება საქართველოში
სწარმოებდა სრული წყებით. იგი შეიცავდა რამდენიმე ძირითად პრო-
ცესს: მადნის გამოხურება, გაფიცებული მადნის დაწურვა, ნაწური
რკინის გადაღებვა, ხალასი რკინის დაკვერვა, საჭედური რკინის
„დაგვარება“. მადნის გამოხურების ტექნოლოგიური პროცესისა-
თვის განკუთვნილი იყო --- „სახმილი“; მადნის დაწურვისათვის ---
„ბოვი“, რკინის გადასადღებლად --- „ბრძმედი“, რკინის დაკვერ-
ვისათვის --- „მღვიმევი“. რკინის წარმოებისათვის არსებობდა სა-
თანადო ნაგებობა --- „სარკინე სახლი“. სადაც მოთავსებული იყო
ტექნიკური აღჭურვილობა --- აგრეგატები, სამუშაო იარაღი და
ხელსაწყოები, აგრეთვე, ნედლეული და მასთან დაკავშირებული
მოწყობილობა.

ძველ წერილობით წყაროებში გვხვდება აგრეთვე ტერმინი ---
„თორნე რკინისაი“ (ცხ. სვ. მეს. 256, 17), ლუმელის, გამოსახურე-
ბელის მნიშვნელობით. შდრ. „სახმილი ალიზისაი“ (II, მეფ. 12,
31), რომელიც ნიშნავს ალიზის გამოსაწვავ ლუმელს¹³. როგორც
ჩანს, ძველად თორნე ეწოდებოდა არა მარტო პურის საცხობს, არა-
მედ რკინის საცხობ-საფიცებელ ლუმელსაც.

რკინის სარკინეთს ყოფაში მთხრობელთა ჩვენებით რკინის სა-
წურ ქულბაქს ერთობ დიდი „სარჯელი“ ადგა. საბერეელის პროცები
და ხელპირები განუწყვეტლოვ არყევდა მის კედლებს, ამიტომ ხში-
რად, ვისაც საშუალება ჰქონდა, ცდილობდა მტკიცე კედლებით მო-
ეზღუნა საწური ქურა. ამისათვის რძის, კვერცხის, ნაცრის, კირის
და დაკვილი ბამბისაგან ამზადებდნენ „კოწინს“. რომლისაგანაც
მტკიცედ იკვროდა ერთმეორეზე „დანდობილი“ ქვის პირები. ამ-
გვარი „კოწინით“ ხშირად ამგვრებდნენ თავის მიერ გამოსრულ ხის
ჭურჭელს. გაბზარულ თიხის ჭურჭელს და ბელის თვლებს. ზო-
გი გადმოცემით, ასეთი შენაზავით აგებდნენ ტაძრებს და ციხეებს
ძველად. საყურადღებოა, რომ გადმოცემებით სოფლის ტაძარის

¹³ ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ერის მატ. კულტურის ის-
ტორიისათვის, თბ., 1946, გვ. 150.



აგებისას, კონსტანტინოპოლში, უხმარიათ „კირწყლის“ ქერისა და ძეწის ნახარში, კირისა და სილის ერთად ზედაპირზე-
 ზლად: „...და დადგნა ქვაბნი დიდნი, აგობდა ქერსა და ნაგობითა
 შით ზავებდა კირსა ქვიშასთანა კეცისსა ნაცვლად წყლისა, რათა
 მალიად შემყოფელი არს წებოს სახედ, და ეგრეთვე ძეწის ხისა
 ქერქსა აგობდა ქვაბითა ქერსათანა საზავებლად კირისა“¹⁴. შდრ.
 სვანეთში ქვავის ფქვილის ხმარება ამ მიზნით.

მეტალურგიულ დანადგარს, რომლითაც რკინის კაცები ზადანს
 სწურავდნენ, ეწოდებოდა ქულბაქი, საწური ქურა, საინტერესოა,
 რომ სახელი — „ქულბაქი“ ძველ წერილობით წყაროებში სულ
 სხვა მნიშვნელობით იხმარება: „...ხუარბლის ვაჭართა დაქშენს
 კარნი ქულბაგთა მათთანი და განაძნელეს იფქლი გლაჩაკათ-
 თვის და მსყიდელნი შეიწრდეს“¹⁵-ო. ასევე, დავით აღმაშენებლის
 ანდერძში ვკითხულობთ: „...ნაბჭობი და ქულბაქთა და
 საზეთეთა და წისქვილითაა ყოლი შესაშოსლად განეყოფოდის“¹⁶.
 სოლომონ მეფის შეწირულობის წიგნი ქუთაისის ტაძრისადმი იხსენ-
 ნიებს ქულბაქს: „აღუდევით ცეცხლი შურისგებისა სახლთა მათთა,
 შუკა, უზან-ფოლორც-ქულბაქთა მათთა“-ო. სამივე შემ-
 თხვევაში, „ქულბაქი“ აღნიშნავს სამეურნეო, ან სავაჭრო სააღს
 და არა რკინის საწურ ქურას; საბას მიერ ამ სახელის განმარტება
 „ქულბაქი სხვათა ენაა, ქართულად ბაზარი“-ო, ამასვე მოწმობს (იხ.
 საბა, ქართული ლექსიკონი).

ასეთსავე განმარტებას იძლევა ნ. ჩუბინიშვილი: „ქულა, ხუ-
 ლა და ქულბაქი, დუქანი ბაზრისა, ბაზარი“ (ნ. ჩუბინიშვილი, ქარ-
 თული ლექსიკონი, თბ., 1961). ამავე აზრით, ქულბაქი იხსენიება
 თიმსარიანში (210, 8 და 221, 14).

ამგვარად, სახელი — „ქულბაქს“ ძველ წყაროებში სავაჭრო
 სახლის მნიშვნელობით გავება და საბას მიერ ამ სიტყვის მიჩნევა
 სხვათა ენად, გვაფიქრებინებს, რომ მადნეულის დასაწურავ ქურის
 აღსანიშნავად ეს ტერმინი გვიანდელი გაჩენილი უნდა იყოს და მია

¹⁴ E. Такашвили, Описание рукописей, ОРГСГН, т. I, вып. 1—
 4, Тиф., 1902—04, გვ. 585—98.

¹⁵ შამთა სწავლანი X, XI სს, ხელნაწერთა მიხედვით, ვამოც. ილ. აბუ-
 ლაძის, რედ. ავ. შანიძე, თბ., 1955, შესავ. გვ. 18.

¹⁶ თ. ჟორდანიას, ისტ. საბუთები შიომღვიმის მონასტრისა და ძველი
 ვაჰანის ქვაბთა, თბ., 1896.



უწინარეს სხვა ტერმინი უნდა გვქონოდა. საფიქრებელია ეს იყო „ბოვი“. საბას მკაფიოდ აქვს ეს სახელი განმარტებული—„ბოვი ილევროს (ლითონის) პირველად გამოსადნობელი“-ო (საბა, ქართული ლექსიკონი). უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ყველა იმ სასარგებლო წიაღისეულს, რომელთაგან ამზადდებდნენ რკინას, ან სხვა რომელიმე მეტალს, საერთო სახელად ლითონს უწოდებდნენ. ძველ ქართულ მელითონებაში სახელი — „მადანი“ მხოლოდ გარკვეულ შემთხვევაში გვხვდება. რაც მთავარია, სახელოვანი მკვლევარი ვახუშტი ბაგრატიონი „ლითონს“ ხმარობს ყველგან და არა მადანს: „...დმანისის ქვეით არს ჩრდილოთ კერძ ხინწისხევი, მას ქვეით დაბა აბულმუგი, აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლავეარდისა“¹⁷. „არიან აქ ლითონნი (იგულისხმება ოსეთი და დვალეთი) ვერცხლისა, ბრპენისა, რკინისა, გოგირდისა, ვეარჯილისა და ქვისა ბროლისა, არამედ არა უწყიან ხელოვნება გამოღებისა“¹⁸. აქედან ნათლად ჩანს რამდენად ფართო ცნებაა „ლითონი“ და რატომაა ეს სახელი მიღებული ქართულ ხალხურ მეტალურგიაში. ლითონის სახელს ორგანულად უკავშირდება ტერმინი — „სალითვნე ქოხი“, სალითვნე ხელჭურჭელი“. „სალითვნე მარხილი“ და სხვა.

როგორც ზემოთაც ითქვა, ძველი ქართული ხალხური მელითონების კულტურის თვალსაზრისით, საინტერესოა რკინის წარმოების აგრეგატებთან დაკავშირებული სახელები: „მღვიმევი“, „თორნე რკინისაჲ“, ბრძმედი, „ბოვი“, „საკმილი“ და სხვა. რომელთაც თავის დროზე, რკინის დაწურვისა და გამოდნობის სხვადასხვა ოპერაციის შესასრულებლად, ნაგებობების აღსანიშნავად ხმარობდნენ ხოლმე. ამ მიმართებით განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სახელი — „ბოვი“ და „საკმილი“. პირველი, საბას განმარტებით, აღნიშნავს ლითონის პირველად გამოსადნობელს მეორე—მადნის გამოსაშრობს. გამოსახურებელ დანადგარს. მაგალითად. X—XI სს. ძეგლებში „საკმილი“ განუჯრილებელი სახურებლის მნიშვნელობით გვხვდება: „თუალნიმცა შენნი მარადო“

¹⁷ ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია. თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბ., 1941, გვ. 39.

¹⁸ იქვე, გვ. 109.



მხილველნი არიან მატლას მას დაუძინებელსა და ცეცხლსა მას დაუშრეტელსა და ქუხილსა მას ბნელისასა და სახუტელსა მას განუგრილებელსა¹⁹. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ძველად, სიტყვა სახშილი იმასვე ნიშნავდა, რასაც ახლა — „ქურა“. იგი იყო არა მარტო აგურ-კრამიტის გამოსაწვავი, არამედ მადნეულის გამოსახურებელი ნაგებობის სახელი.

რკინის წარმოების შესახებ, სვანეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, საყურადღებო ცნობებს გვაწვდის 85 წლის მოხუცი ნამურზა ბაისძე ნიგურიანი²⁰ (მესტია); მისი ჩვენებით, მესტიის ჩრდილოეთით, დაახლოებით ნახევარი დღის სავალზე ე. წ. ქვედა მთაზე არის ადგილი, რომელსაც ეწოდება „ლაშკედზარ“ (სამკედლოები). იქ იყო და ახლაც ჩანს მადანი (მადან, სვ). მამასა და მასზე უწინ ბაბუებს მოჰქონდათ იქიდან მადანი და წურავდნენ რკინად. მადანს რიყეში, მთის ძირად პოულობდნენ. მას სპეციალურად სინჯავდნენ კვერით (ხელძე, სვ.). მადნის ქვებს დაჰკრავდნენ კვერს და რომელიც კარგად ჩაიზნიქებოდა იმას არჩევდნენ. ეს იყო რკინის ქვა — (ბერყა ბ ჩ). აი ეს ქვები მოჰქონდათ ზურგით, ან ხარმარხილით. ძნელი დასამუშავებელი იყო. დიდ მოგებას არ იძლეოდა და მერე როცა უფრო გაიაფდა რკინა, თავი დაანებეს მის დამუშავებასო-ო.

საყურადღებოა, რომ ნამურზა ნიგურიანის თქმით ამ მადნის ლითონი, რომელსაც რკინის საწურ ქულბაქში წურავდნენ ხოლმე, მთლიანად ფოლადი იყო. მაგრამ მძიმე დასამუშავებელი და ფიცხი. კვერს არ იკარებდა, ძნელად გაიწეოდა. თუ არ მოეშვებოდა გადატყდებოდა კიდევ. ამიტომ ამ რკინას რბილს „შენზარ ბერყე“-ს მიურთავდნენ კეთების დროს და ღიდებული „ხელადა“ დგებოდა მისგან. იმავე პირის ნათქვამის მიხედვით, დნობის დროს რკინას აყრიდნენ ქვიშას, რათა არ გაფანტულიყო და ზომაზე დაწურულიყო. საერთოდ, რკინა მძიმე იყო და იგი ძირს ზიდოდა, შეიკრავდა პირს, ხოლო წიდა ქაფივით იყო მოღებული და უფრო ნაპირებსა და კედლებზე ედებოდა „ღვიმელს“ (ქურის ბრძმედი). რკინის დუღილის დროს სცვიოდა. ამოსვლას იწყებდა ნაპერწყალ-

¹⁹ მამათა სწავლანი, გამოცემა ი. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ს. რ. ე. დ. ა. შ. ა. ნ. ი. ძ. ე. თ. ბ., 1955, გვ. 5.

²⁰ მ. ჩ. ა. რ. თ. ო. ლ. ა. ნ. ი. ძ. რ. ა. ლ. ე. ნ. შ. მ. ს. ვ. ა. ნ. ი. ძ. ე. თ. ბ., 1955, გვ. 5.



ბი — „ძაბრები“ და იმითი იგებდნენ დუღილის პროცესის ვიქტიმობას. ამ ცნობების მიხედვით აშკარად ჩანს ის ფაქტი, რომ მესტიის სანახებში არსებული რკინის მადნის მოპოვება და დამუშავება მსგავსი იყო წედისისა. სვანეთის ამ ნაწილში რკინის წარმოება იმავე წესებით წარმოებდა რა სახითაც რაჭის სარკინეთში. როგორც ცნობილია, ძველი რკინის წარმოების ფაქტები დამოწმებულია. ნივთიერი ნაშთების მიხედვით, სვანეთის რამდენიმე პუნქტში: ჭუბერი, ქვემო ფარი, ცანა და სხვა, მაგრამ მესტიის სინამდვილეში რკინის მადნის მოპოვება-დამუშავების ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მხრით, რომ არც ერთი ზემოხსენებული რკინის საწარმოების შესახებ ცოცხალი ცნობები არ მოგვეპოვება, მაშინ როდესაც მესტიის სანახებში არსებული რკინის წარმოების გარშემო დიდად საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობებია წარმოდგენილი ძველი ქართული მეღვინეობის რიგი საკითხის გასაშუქებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ რკინის წარმოებასთან ერთად, სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია სპილენძის (ტაბ. VIII), ტყვია-ვერცხლისა და ოქროს წარმოების ფაქტები²¹. რასაც ამაგრებს არქეოლოგიური გათხრებიც. პოლიმეტალური ნედლეულის არსებობის ფაქტები სვანეთის ტერიტორიაზე ამასვე მოწმობს.

ძველი ქართული მეღვინეობისა და სამთომადნო წარმოების გასათვალისწინებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბოლნისის რკინის საბადოებს. როგორც უკანასკნელ წლებში ჩატარებულმა გეოლოგიურმა, არქეოლოგიურმა და ეთნოგრაფიულმა კვლევებიან დადასტურა, ეს საბადოები ძველადვე გამზდარა „გამოწველისა“ და დამუშავების საგანი²².

მადნეულის გამოსაღებად უმაღლეს შეუქმნიათ აზრმახვილად გამართული გვირაბების ქსელი. უხმარიათ მათ გასამაგრებლად თავისებური და ორიგინალური „თვითსაყუდი ბოძები“. გვერდულად

²¹ მ. ჩართოლანი, სვანური სევადი (ლიპლევი) და მისი ადგილი ოქრომპედლობაში, მუზეუმის მოამბე, XXIII—B, 1962. სვანეთის ტერიტორიაზე სხვა მონაპოვართა შორის უწრადღებებს იქცევს 1958 წელს საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ მოპოვებული (კალის თემში) სპილენძის განათხარი კვრები (იხ. ტაბ. VIII).

²² აკად. ა. თვალჭრელიძე, ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1949, № 1, გვ. 13.



გამოუხრავთ (წესია ამოღების) ტალღებში ჩართული მადანი. გუმბათოვანი არეების სახით გამოუყოფდათ წიაღის გული; არ დატოვებიათ, სათანადო, „ტყუპი-გასასვლელების გაკეთება და განაღებული მადნის საზილად სავალი გზანი. კლდეთა კოდვისა და გამოკაფვის მალალმა კულტურამ, რომელშიაც ქართველმა ხალხმა განსაკუთრებული დახელოვნება გამოამჟღავნა, აქაც უთუოდ იჩინა თავი. ასეთი სურათი გადაიშლება მნახველის წინაშე ბოლნისის „რკინის მთის“ („დამურდაგის“) ძველი ნამუშევარი საბადოების დათვალიერებისას. ეს საბადო ამჟამადაც გეოლოგიური შესწავლისა და დაკვირვების საგანს წარმოადგენს, რკინის მადნების შემცველობის თვალსაზრისით. 1958 წელს ერთ-ერთი გვირაბის არქეოლოგიურმა დაზვერვამ გამოამჟღავნა დიდად საინტერესო მასალა. სახელდობრ. გვირაბში მოძუშავე სამთოელების სამუშაო და საყოფაცხოვრებო ხასიათის ინვენტარი: თიხის ჭურჭელი, წერაქვის ნატეხები, საღვსები, ქაღის ბეჭდები, სამკაულები და სხვა საგნები; აგრეთვე, შიგ გამართული ქვის კერა, საჯდომები, ტიხრები და სათავსოები. აღნიშნული განათხარი მასალის საფუძველზე ირკვევა, რომ იმ შრომის პროცესში, რომელიც გვირაბში მადნეულის მოპოვებისათვის მიმდინარეობდა — ქალიც იღებდა მონაწილეობას. რაც სხვა ნიშნებითაც დასტურდება. მეორე საყურადღებო მხარეს განმანამუშევართა ნაკვალევი ანაბეჭდები წარმოადგენს მადნის საკოდი იარაღის-წერაქვის(?) ნამოქმედარის სახით, თავად გვირაბის კედლებზე (იხ. აღებული ანაბეჭდები, სურ. 5, გ. დ; ლითონის იარაღის, წერაქვის ნატეხები — ა, ბ. სურ. 5).

ვადრე რკინის დაწურვას შეუდგებოდნენ. საჭირო იყო მადნის შემზადება დასაწურავად, რასაც გაკაზმვა ეწოდებოდა. სამუშაოს ეს სახე გულისხმობდა: მადნის დაფშენას, გაცხაევას, წყალში გავლებას²³, აწყვას და შიკარებას. იმის კვლობაზე, თუ რომელი ჯიშის რკინის მადანთან ჰქონდათ საქმე, „რკინის კაცები“, სათანადო წესით შეამზადებდნენ მას. განსაკუთრებით, მაგარი ჯიშები მოითხოვდა დაწვრილება-დაფშენას, რათა ფუჭი ქანებისა და მიწის მონადებისაგან გაეწმინდათ იგი და რაც შეიძლება წმინდა სახით და-

²³ ალბად, ამ ნიადაგზე შეიქმნა შემდეგი ნათქვამი: „სინგურას (სინგური წითელი სახატავი, ვერცხლის წყალთა და გოგირდთა ცეცხლში გამოადნობენ, — საბა) ვინმე რეცხავდა და ისევ და ისევ წითელი დიოდაო“. შტრ. სინგური — წითელი მიწა (გურ.), „პოროხი“ (სამგურ.), „წერნაქი“ (ქართლი).



ერიგებიათ „საწურ ქულბაქში“. დასაფშენელად იყენებდნენ დიდ ბრტყელ ქვას — „საბეგვს“. ან ქვის დიდ როდინს. როდესაც მისი მადანი შეიცავდა მომსხო „კოლბოხებს“, აარჩევდნენ მას, დაყრიდნენ ზემოხსენებულ ქვის საბეგვზე, ან როდინში და შეუღებოდნენ თანაზომიერად მის დაფშენას. დაფშენილ მადანს ჭერ გააცხავებდნენ, შემდეგ წყალში გაავლებდნენ, აწყავდნენ და ასე გაჯამულს „მიაკარებდნენ“ სარკინე ქოხში. ფშენიდნენ უროებით, აცხავებდნენ—ცხავით, წყალში ავლებდნენ—ცხრილით, აწყვას აწარმოებდნენ — ხის „ბოყვებითა“ და კათხებით. მისაკარებლად იყენებდნენ დიდ „ბიდილებს“ და კიდობნებს.

ასევე „დახელვას“ მოითხოვდა ის საკაზმავეები, რომელთაც ურევდნენ დასაწურავ რკინის მადანში, რათა ამით ხელი შეეწყოო წურვის მსვლელობისა და უკეთესი რკინის მიღებისათვის. განსაკუთრებით წმინდად ფშენიდნენ „ფაშას“ (მარგანეცს), რომელსაც გარკვეული პროპორციით ურევდნენ დასაწურავ რკინის მადანებში— „უანგა“, „კობიქი“, „ქვაწითელა“ და სხვა. ზოგიერთ საკაზმავს დუღილის პროცესში „აქმევდნენ“ ხოლმე რკინის მადანს, ან პერიოდულად ურთავდნენ, მადანთან ერთად, ბრძმედში დარიგებულ რკინის მადანს.

ერთი წყება რკინის მადნები სარევეების დართვას არ საჭიროებდა. მათ მხოლოდ გამაქანგავებს — „ტუტუნს“, „რკინაწიდას“, სადულ მიწას და „ქვაკაქას“ ურთავდნენ. ასეთ მადნეულად ითვლებოდა — „დევიანაშირა“ და „შავი ლითონი“. მათ ხალხის შეხედულებით, ყველაფერი თავისი ყოფნიდათ. მარგანეცის დართვას არ საჭიროებდნენ. მათგან უიმისოდაც „ფოლაღუანი“ რკინა დგებოდა²⁴.


მადნის პირველ გამოწვას, როგორც ითქვა, ეწოდებოდა „გამოხურება“, მოხალვა. გამოხურებულ მადნის დახალასებას — „დაწურვა“, ხოლო დაწურული მადნის შენადულს — „ლუგვი რკინა“. ლუგვი რკინის ხელახლა გადადნობას — „გადაშეება“, გადადუღება ერქვა, მიღებულ ნაღნობს—„კვერი რკინა“. კვერი რკინა წმინდა, უწილო რკინა იყო და მას „საქედური რკინა“ ეწოდებოდა²⁵. საქედური რკინა ინახებოდა უქედელი, ან ქედილი, „ხელადის“ სა-

²⁴ ნ. რეხვიაშვილი, მკვლელობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 55-61.

²⁵ „ზოდი“ — ერთად შედნობილი მეტალი (შავთელი, 44).



ხით. პირველს სამასალე რკინა ეწოდებოდა, მეორეს — „მარცხენა რკინა“. სამასალე რკინას სხვადასხვა ზომით და სახით „დაგვარებულნი“ ღენენ: „კვერი“ — გაკობიტებული, გაკვერილი რკინა; „შოლტი“ — გრძლად და ვიწროდ გაყვანილი რკინა; „ფიცარი რკინა“ — რამდენიმე შოლტისაგან ერთიანად „გაყვანილი“ რკინა; „ზოდი რკინა“ — რამდენიმე კვერისაგან ერთიანად გამოყვანილი რკინის მორი; 3 — თხელი შოლტის შენაერთი იყო — „ფეშტი“, ანუ „ფასტი“; წვრილი, შამფურივით მოყვანილი — „შალაბი“, „შანთი“. იმერეთში, ამასთანავე, საჭედური რკინისაგან იცოდნენ, წინასწარ, გამოკობიტება გასაქედად გამიზნული ნივთის დედნისა, რომელსაც „დაგვარებულნი“



სურ. 5 რკინის მადნის საყოფი იარაღი—ა, ბ. ანაბეჭდები ბოლნისის წსარკინეთის გვირაბიდან—გ. დ.



ლი“ ეწოდებოდა. ახლანდელი გაგებით ეს იყო ნახევარფაბრიკა-კატი²⁶.

რკინას, რომელიც წარმოადგენდა ნედლ მასალას, ეწოდებოდა „უქედელი“. ასეთი რკინა ალემ-მიცემაში იზომებოდა ლიტრობით, ან შანთობით (ლატრა დაახლოებით უდრიდა 9 გირვანქას, ახუ 3.6 კგრ., ხოლო შანთი—35—36 კგრ.-ს).

რკინის მზა მასალას, საჭიროების კვალობაზე, ერთიანად, ან ნაჭრად გაიხმარდნენ. წამოსაჭრელად იხმარებოდა რკინის საკვეთი ფოლადის თეგი²⁷. შანთი რკინა იხსენიება მაგალითად, ქვემოხსენებულ წერილში, რომელიც მიუწერია გრიგოლ წერეთლისათვის მის მოურავს: „...თქვენო მაღალბრწყინვალემაგ, ბატონო წერეთლო გრიგოლ! მოწყალეო ხელმწიფეო. რკინა გებრძანათ ნულარ ხარჯავ და რაც დაგიხარჯავს ავად გიქნიაო და ამათი ხელით გამომიგზავნეო. ცხრა შანთი რკინა იყო აქ დარჩომილი. ერთი მოგსტეხეთ, ოთხი ოყა. ხულის გაწყობაზედ. მეტი გვინდოდა, მაგრამ ველარ გაგაკეთებდით. ახლა იმ ნატეხიანად რვა შანთი მიახლებია. აქ რკინა აღარ დარჩომილა. ერთი შანთი ხულებისთვის დევიტევე, თუ ან ხარს გვათხოვებთ, ან მუშას თორემ ოფშეკითელებმა (სოფელ იმერეთში, გეგუთის ახლო. ნ. რ.) არაფერი პასუხი გაგვეცეს. რკინა მე რა დავხარჯე, ხუთი შანთი რკინა დავხარჯე თქვენი. როპულიკ გამოვიდა წონით ოცდამათხრამეტი ბათმანი და სამი ოყა²⁸. სხვაც თეთრად მოიხმარეთ; ხომ არ დავფარავ, როდესაც მიბრძანებ თეთრს მოგართვამ, როგორც სხვას უბოძეთ, ისე ისიც, ღმერთმა იცის, თქვენთვის ნახარჯშიდ მივეცი. სხვაც თუ მოგხსენდათ, ან მოგხსენდებათ ორმოცს და სამოცს კაცშიდ მე და ბეყიკმა კორძიამ თოთხმეტ-თო-

26 ამ მხრით დიდად საყურადღებო ნივთები—რკინის ნახევარფაბრიკატები, წარმოაჩინა 1954 წელს ჩატარებულ ჭართლის სარკინეთის გათხრებში. მცხეთის დასავლეთით. (გათხრებს ხელმძღვანელობდნენ არქეოლოგებ ა. აფაქიძე და გ. გობეჯიშვილი. ამავე ობიექტის ნაწილობრივ თხრა აწარმოა ტოპოგრაფ-არქეოლოგმა ნ. ლამბაშიძემ 1953 წელს).

27 სახელი — „თეგი“ (საქრთელი), საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში წარმოდგენილია ფონეტიკური სახესხვაობით: „თენგი“, „თეკი“, „თერგი“. მასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს „ნასახელარი“ ზმნა — „თენგვა“, „თეგვა“. „თერგვა“ (თინგუა, თირხუა, მეგრ.), რაც ნიშნავს „ჰრას“, საერთოდ, კვეთას. ამ ნიადაგზე მიღებული უნდა გვექონდეს, მეორადი წარმოების გზით. სახელები: „თიგი“ (მამლის დაკბილული ზედა ბიბილო), თერგი (მდ. არაგვის სახელი, შდრ. ბრამი, ჭკია), „ათენგენობა“ (მკის დღეობა), თიბვა და სხვა.

თხმეტი შანთი რკინა ვიყიდეთ და თქვენი რკინა თან მოვიტანეთ და
ლ-ს წყალობით ხარჯი არაფერი მოვუსვლიათ მის მოქმედებით
და რამოდენ ფარა ორას ყურმედ მეტი მაშინდელი ხარჯშიღ შე
გი გადავიხადე და ზოგი შემართოს იმოდენა ლ-ნ ჩვენგან ერთგუ-
ლება გაჩვენოს და თქვენი წყალობა ნუ გარდამადოს“ (იხ. საქ.
სახ. ხელნაწერთა ინსტ.-ს ხელნ. Sd 2036).

სახლი, სადაც მიმდინარეობდა რკინის მადნის დაწურვა და მას-
თან დაკავშირებული მთელი წყება სამუშაოებისა, ეწოდებოდა
„სარკინე ქოხი“, ან უბრალოდ — „სარკინე“ ასეთი სარკინე სახ-
ლი, „აიზენჰუტე“ დამოწმებული აქვს 1864 წელს, წედისის სინამ-
დვილეში, დორპატის უნივერსიტეტის პროფესორს ალ. პედ-
ცჰოლდტს²⁹.

სარკინე ქოხები, მთხრობელთა ჩვენებით, იყო როგორც ქვი-
თირისა, ისე ძელური — ხისა. ზოგიერთი მათგანი წარმოადგენდა
საკმაოდ მოზრდილ, ორ თვალ, ერთსართულიან შრამელს, რომ-
ლის დიდი თვალი საწარმოს ემსახურებოდა, პატარა—მარაგის სა-
თავსოდ იყო. ორთავეს „მომიწული“ იატაკი ჰქონდა. ქერი შედა-
რებით მაღალი და ღია „სალიხებით“ იყო გაწყობილი. სახლს სამი
კარი ჰქონდა: ერთი შუა გასასვლელი და ორი—შესასვლელი.
მასთან, სახლს სასიჩათლო სარკმელი და საკვამური ერდო გააჩნდა.
გარეგნულად, სარკინე ქოხი, ჩვეულებრივი, საცხოვრებელი სახლის
მსგავსი ნაგებობა იყო და ბევრით არაფრით განირჩეოდა მისგან.
სარკინე სახლის დიდი თვალი წარმოადგენდა მთავარ საწარმოს, სა-
დაც გამართული იყო სათანადო თანრიგით რკინის დასამუშავებე-
ლი მარტივი აგრეგატები, სამუშაო „ხელჭურჭელი“, ხელსაწყო სა-
შუალებანი და საყოფაცხოვრებო ხასიათის მოწყობილობა. სარკი-
ნეს პატარა თვალი განკუთვნილი იყო, უმთავრესად, ნახშირისა და
მადნის მარაგის მოსათავსებლად. აგრეთვე, სხვადასხვა დამხმარ-
ე მასალისათვის, სარკინე ქოხის შიგნით მოქციულ აგრეგატთაგან
ერთი — „საწყური“ ქულბაქი გამართული იყო მარჯვნივ, მეორე—
„სადული“ ქულბაქი მიდგმული იყო მარცხნივ. მათ წინ იდგა

²⁸ თუ ბათმანის წონით სიდიდეს ხალხური მიღებული საწყისი მნიშვნელო-
ბით 20 გირვანქას ჩავთვლით და მას სამ ოჯას, ანუ 9 გირვანქას (ოჯა უდრის
3 გირვანქას) მიუმატებთ მივიღებთ — 5 შანთ რკინის წონას — 22 ბუი
 $+ 20 + 9$ გირვ. = 449 გირვ. $5 = 89 \frac{4}{5}$ გირვანქა, ე. ი. ერთი შანთი წონა = $89 \frac{4}{5}$
გირვ. ანუ 35—36 კგრ.

²⁹ A. Petzholdt, Der Kaukasus. Lpz., 1866, I, გვ. 320.



გრდემლი, გრდემლის გვერდით წყლით სავსე როფე, სანაყი და მადნისათვის და დაფშენილი მადნის მოსათავსებელი „ბოყევი“, ანუ „ბიდილა“. საწური ქულბაქის კალთებზე მიწყობილი იყო სხვადასხვა ზომის და მოყვანილობის სარკინე კვერები: დაკვერი, ხელკვერი, კვერი, ურო, სანგი, საბერი და სხვა. იქვე ელაგა მარწუხები — კამარწუხი, სორხმარწუხი, ჭორი და ტუჩიანი მარწუხი, აგრეთვე, რამდენიმე რკინის კეტი ბრძმედიდან რკინის ლუგვის ამოსაღებად. სარკინე სახლში იდგა ძველებური „არვანი“, ანუ „არმანი“. მასში ინახავდნენ ზოგიერთ ქურქულს, იარაღსა და ხელსაწყოს, არვანი თავისებური ხასიათის დგამი იყო, აწინდელი კარადის მაგვარი. იგი ძირითადად ორი თვალი კეთდებოდა.

როგორც ითქვა, სარკინე ქოხის ძირითად აგრეგატს წარმოადგენდა რკინის საწური ქულბაქი და რკინის სადული ქულბაქი. პირველი არსებითად განირჩეოდა მეორისაგან, როგორც კონსტრუქციულად, ისე დანიშნულებით. პირველი ემსახურებოდა მადნის რკინად დაწურვას, მეორე — დაწურული რკინის გადადუღებას. მასთან, საწურ ქულბაქს „ორპირი“ საბერველი ჰქონდა, სადულს — „ცალპირი“. პირველი ასრულებდა მერმინდელი მარტენის ლუმელის ფუნქციას, მეორე — ბლუმინგის, „საფიცხობელი ჭის“ მოვალეობას.

საწური ქულბაქი (სურ. 3) არქიტექტურული წესების რიგზე იყო გამართული. შემოვლებული ჰქონდა თლილი ქვის „პერანგი“, წინა მხრით მომარჯვებულად ეგო საბერველი და მის ძირად ხის მტკიცე „საფერხული“. მეორე კუთხეში, „დასამხრის ადგილას“ გამართული იყო სადული, ანუ სადნობი ქულბაქი, რომელიც შედარებით მარტივი ნაგებობა იყო. გარეგნულად კი პირველისაგან ბევრით არ განირჩეოდა. დაახლოებით ამ სახით გამოიყურებოდა სარკინე ქოხი იმ მასალების მიხედვით, რომელიც მოგვეპოვება წედისისა, საწირესა და შხიბარის შესახებ.

საყურადღებოა, რომ მხცოვანი მჭედელი მალაქია ივანეს ძე ბოჭორიშვილის (102 წლისა, ს. ტყიბული) ცნობით — იმერეთის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გარდა ნაშენი, ანუ ნაგები ქულბაქისა, ხმარებაში ყოფილა ერთიანი, მთლიანი ქვის ქულბაქი. იგი მზადდებოდა მაგარი ჯიშის „თირიქვისაგან“, რომელიც იჭრებოდა ადგილობრივ — „სკიბას ლელეში“. ფორმით ეს ქულბაქი ნაგებსა ჰგავდა, ოღონდა მასზე ტანმორჩილი იყო. უკანა მხარეს, შუაში ჩა-





ქრილი ჰქონდა სტვირის დასაგები. სტვირი, რომელსაც უწოდებდნენ, თიხისა იყო. ამ სტვირში შედგმული იყო ლერწმის მასრები, რომელთაც საჭიროების მიხედვით ხან დაამოკლებდნენ და ხანაც გრძლად წაწვდიდნენ. მეორე თავით ეს მასრები ეწყო ზოძალი ხის „პაიქაში“ (ხელპირი, რაქა), რომელიც ორივე მხრით გახვრეტილი იყო და წამოგებული ჰქონდა თხის ტყავისაგან შექმნილი საბერველი. ასეთი შეერთებით იქმნებოდა საკმაოდ რთული და ხელმარჯვე რკინის საწური ქულბაქი. ანალოგიური სახის ვერცხლის საწური ქურები დამოწმებულია დაღესტანსა და ლაზეთში (სურ. 6).

რკინის საწური და სადული ქულბაქისაგან ძირეულად განიჩეოდა „საქედური ქურა“. ამ უკანასკნელს, ნაცვლად მადნის და საწურავი „ბრძმედისა და გადასადულებელი „ღვიმევისა“, ჰქონდა ცეცხლსაგზებელი კერა, სადაც იყრებოდა ნახშირი და გაღვივებულ ნახშირის აღში ახურებდნენ რომელიმე „ილეკროს“. ეს იყო ჩვეულებრივი სამკვედლო ქურა. როგორც რკინის საწური და სადული ქულბაქი. ისე სამკვედლო ქურები განიჩეოდნენ დროისა და ადგილის მიხედვით, ასევე ფორმა-შინაარსით (სურ. 7).

რკინის მელითონეობასა და საერთოდ ილეკროთა დამუშავების საქმეში ერთ-ერთ მთავარ ხელოვნურტელს წარმოადგენდა გრდემლი. საბას განმარტებით: „გრდემლი გურდემლი ილეკროს გნსაქედი, ძირსადები, მყარი, გინა მაგარი“ — საგანია. დაახლოებით ასევე განსაზღვრავს მას ნ. ჩუბინიშვილი: „გრდემლი რკინის კუნძი, მეტალთა საქედი“. ამგვარად, გრდემლი ძირითადად ის იარაღია, რომელიც გამოიყენება ილეკროთა (მეტალთა) საქედად. ამ შემთხვევაში იგი არის ერთგვარი ქვეშასადები. საგანი, რომელზედაც დაიდება გასაქედი ნივთი და მას ზემოდან სცემენ კვერით. ამიტომ გრდემლი უნდა იდგას მყარად და მკვიდრად, რათა ხელი არ შეეშალოს მუშაობისას მასთან მიმდგომ მეუროეს და კვერით ხუროს, რომელნიც ხელაწყობით სცემენ მასზე მდებარე დასაკვერ ლითონს. მასთან, გრდემლმა რომ თავისი ფუნქცია კარგად შეასრულოს, საჭიროა იგი „შეთაბუნებული“ იყოს გათვალისწინებულ „საქმნართან“. თავისი ფუნქციის მიხედვით გრდემლი ნაირი სახისაა: იგი განიჩევა: აგრეთვე, ნივთიერად, სიდიდისა და დანიშნულების მიხედვით. ყვე-

ლაზე მძიმე შრომა მაინც რკინის ლუგვის გასაწევ გრდემლს აწევს ამიტომ სარკინე გრდემლი მძიმე და „ყურუმი“ (მასიური) უნდა ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ აიტანდა მძიმე უროთი გამუღმებულ ცემას. აღბად ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სარკინე ქართული გრდემლი მოყვანილობით წარმოადგენდა ოთხწახნაგოვან რკინის მორს (h=50 სმ., სისქე — 20×20), რომელსაც ახასიათებდა კუთხედი თავი, იგი ძირისკენ მცირედით ვიწრო იყო, თავისკენ — განიერი. ასეთი აგებულება ხელს უწყობდა მის მყარად გაჩერებას მსხვილ, მძიმე და განიერ „ხის ფეხში“ (მორი) გრდემლის ურყეობის საჭიროება, აღნიშნულია ბიბლიის შემდეგ



სურ. 6. ფერადი ლითონის სადნობი ქურა: ა—ლაჯები, ბ—ლაკები, ს. რუსთველი, კუმუხის მახარა



სიტყვებში: „გული მისი გაფიცხდა ვითარცა ლოდი, ხოლო მისი ვითარცა გრდემლი უძრავად“ (იობი, 41, 16). „...რამეთუ გურდემლსა ჰედლა, ანუ კუერსა სცემდა“ (საქ. სამოთხე, გვ. 229). ლ. მროველთან იკითხება: „... (არშაკ და ადერკი) ოდეს უხეთქნიან ჩუგლუგები საჭურველს ზედა მათსა, ჰგუანდის ხმა იგი ხმასა მას უროსა მკედლისასა რომელი ეცემის გურდემლსა“ (მროვ., 145).

საყურადღებოა, რომ რკინის წარმოებაში, მადნის დასაფშვნელად იხმარებოდა ქვის გრდემლი³⁰, რომელიც შემდეგში საერთოდ გამოყენებულ იქნა აგრეთვე სამჭედლო გრდემლადაც (სურ. 8). ამასთანავე, ქვა გამოყენებული ყოფილა რკინის წარმოებაში რომელიც ნივთიერების სანაყად, ერთგვარ ქვიჯად ს. ფარის რკინის წარმოების პუნქტიდან წამოღებული ბრტყელი, ორივე გვერდზე რამდენიმედ „ლუჭიანი“ (თვლიანი) ქვა (სურ. 9) ამას გვაფიქრებინებს. აგრეთვე, 1948 წელს ჩვენ მიერ ჭუბერში „შხიბარის“ ძველი რკინის საწარმოს ტერიტორიაზე მიკვლეული მოგვრძო. წაწვეტილი ქვა გამოყენებული უნდა ყოფილიყო წარმოებაში (სურ. 10), მხოლოდ რა სახით, ძნელი დასადგენია. საფიქრებელია, იგი ასრულებდა „სახხვარის“ ფუნქციას ქულბაქთან.

ამჟამად საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამოწმებულია გრდემლის სხვადასხვა სახელები: „ქურთემული“ (აღმ. საქ. მთიანეთი) და მისი ფონეტიკური სახესხვაობანი — ქურთემა, დგვემი, დღვლემა, გლდემი და სხვა. ამათვე ეფარდება მეგრული სახელი — ქულამური, სვანური — ქუმინ (ბ/ქ. სვან.), ყვანს ყვალბ³¹ (ბ/ზ. სვან.). საქართველოს ზოგიერთ კუთხეში გრდემლთან ერთად იხმარება სახელი — „ზინდანი“. ეს უკანასკნელი სახელი მიჩნეულია არა ქართული წარმოშობის სიტყვად, თუმცა მის უცხოობას უარყოფს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: სამეგრელოს ყოფაში დღემდე ცოცხლობს და ხმარებაშია სახელწინა — „ზინდლა“. რაც პირდაპირი მნიშვნელობით გაწევას, გაჭიმვას ნიშნავს. აგრეთვე, არსებობს ტოპონიმიკური სახელი — „ზინდიკარი“ (ჯვარის

³⁰ გ. ნ. ო რ ა ძ ე, ძველი ქვის ხანა კავკასიაში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, VI, თბ., 1937, გვ. 280; ავტორი აღნიშნავს, რომ „მოწამეთს გამოქვაბულში, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი საკეიას უწოდებენ, აღმოჩენილია რიყის ქვისა და ძვლის გრდემლები იარაღის დამუშავების დროს ნახმარი, აგრეთვე, დიდძალი მინერალური საღებავები, რომელთაც ხმარობდა ადამიანი“-ო.

³¹ ი. ნ ი თ ა რ ა ძ ე — Русско-сванский Словарь, 1910.



შახლობლად). გარდა ამისა, სახელი — „ზინდანი“ საყოველთაო დონაზე გავრცელებული ტერმინია სპილენძის მკედლის, ვიწრო ტმინის გრდემლის აღსანიშნავად. ცალკეულ შემთხვევაში, დიდს—გრდემლი, პატარას — ზინდანი ეწოდება ხოლმე.

აღნიშნული სახელებიდან განსაკუთრებით გამოიყოფა სვანური სახელი — „ყვან“, ანუ „ყვალბ“ და ფშავ-ხევსურული — „ქურთემული“. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს მკედლობაში შემონახული პატარა ქვეშსადები გრდემლის სახელწოდებანი — „ძიმი“, „ნური“, „ქეთილი“ და მასთან დაკავშირებით რკინის კვერის ავარული სახელი — „ქურტა“.


როგორც ითქვა, გრდემლს ხევსურულად „ქურთემული“ ეწოდება. ასევე, მეგრულში — „ქულამური“. სახელი — „ქურთემული“, თუ არ ვცდებით, ორი ნაწილისაგან შედგება: ქურთე+მული (მური), პირველი ნაწილი — „ქურთე“, ანუ „ქურტე“, ნიშნავს ავარულად კვერს, მეორე ნაწილი — „მულ“, ანუ „მური“ — ქვეშსადებს, ანუ საყრდენს. მაშინ გამოდის, რომ სახელი — „ქურთემული“ მნიშვნელობით უდრის კვერის ქვეშსადებს, რაც აზრობრივად სწორად ასახავს გრდემლის რეალურ ფუნქციას. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სახელი — „ქურთემული“ ამ ნიადაგზე იქნა შექმნილი, რომელიც დროთა განმავლობაში ცალკეულ ფონეტიკურ ცვლილებას განიცდიდა და უკანასკნელ ხანებამდე მოაღწია ამ სახით.

ამგვარად, მელითონე „რკინის კაცებისათვის“, ასევე კვერით ხურო მკედელთათვის, პირველი რიგის თავი „ხელქურტელი“ იყო გრდემლი, კვერი და მარწუხი. ამიტომ სამივე მათგანი წმინდა „ნაწილიან“ საგნებად იყო მიჩნეული და საყოველთაო პატივისცემის სარგებლობდნენ ხალხში. თუ სამკედლო წარმოადგენდა ერთგვარ წმინდა ადგილს, სადაც სრულდებოდა ფიცის „დადება“, „გადაცემა“, თავის დახსნა — „ალება“, გრდემლი, კვერი და მარწუხი, რიტუალური საგნების როლში გამოდიოდა, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ძველი ხალხური ქართული მელითონეობის ერთ-ერთ საყურადღებო მონაპოვარს წარმოადგენს ცეცხლგამძლე თიხების „გამორჩევა“ და მათი სათანადო გამოყენება მეტალურგიულ წარმოებაში³². ამ მიმართებით, რკინის წარმოებაში განსაკუთრებულ ყუ-

³² განსვენებულმა მეცნიერმა ალ. თვალჭრელიძემ ამ ხასიათის ერთ წყება თიხებს „გუბრინი“ უწოდა იმის გამო, რომ მისი უდიდესი საბადოები

რადღებას იქცევს ნაირ-სახისა და თვისების ცეცხლგამძლე თიხების
შენაცვლების ნიადაგზე მრავალფეროვანი „სასულე სტვირების“
მოქნა, რომელთა პრაქტიკულ ამოცანას, როგორც ჩანს, წარმოად-




სურ. 7. ქურა საბერველი (კუმუხის მახრა).

გენდა არა მარტო საბერველიდან გადენილი ჰაერის ნაკადის მიწოდება რკინის საწური ბრძმედისათვის, არამედ, ცეცხლში მოქმედებისას მეტი გაძლება. უეჭველია, ეს უკანასკნელი მიზანი ჰქონდა რკინის კაცების მიერ რამდენიმე ფენოვანი (თითოეული ფენა ფიზიკურად განსხვავებული თვისებების თიხისაგანაა ჩამოქნილი) „სასულე სტვირის“, ანუ „სოინარის“ შემუშავებას (სურ. 11).

მოიბოვება ს. გუმში (წულუკიძის რაიონი). საერთოდღებოა, რომ მეგრულმა საკუთარი სახელიც კი შემოიხაზა „ლიზა-კუმბერის“ სახით შათ აღსანიშნავად. ასევე, სვანეთის ერთ-ერთი უღამზესი ხეობა ატარებს ამ სახელწოდებას — „კუმბერ-კუმბერის ხეობა, თავის დროზე, ძველი ქართული მეღვინეობის მნიშვნელოვანი კერა იყო.

33 სახელი — „სოინარი“ ეწოდება აგრეთვე ლერწმისგან შექმნილ მუსკალურ საკრავს, რომელიც შედგება სხვადასხვა ზიგრძის 5—7 ლერი კალმისაგან.

სასულე სტეირი, ანუ სოინარი დაგებული ჰქონდა რკინის სა-
წურ საბერველს, რომელიც წარმოადგენდა რკინის „საწურვე-
ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს. იგი, როგორც ითქვა, ცეცხლგამ-
ძლე მიწისა იყო. „რკინის კაცებს“, ცეცხლგამძლე მიწის საბადო-



სურ. 8 კვის გრდემლი (სვანეთი, სოფ. ცხუმარი).




ები წინასწარ ჰქონდათ მიკვლეული და დაგულეებული, ამასთანავე იცოდნენ პრაქტიკულად თითოეული ამ საბაღოს ხასიათი და მისი გეოგრაფიული თვისებები. დაცდილი იყო ამ თიხების ვარვისობა და გამოდგომა კონკრეტულ საქმეში?

როგორც ცნობილია, ჩვენი ხალხი ამ ხასიათის თიხებს ზოგადად „საჭურე“, „საკეცე მიწას“ უწოდებს. მათ ძველიდანვე იყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულებით: ჭურჭლეულის დასამზადებლად, თონების და ქვევრების საკეცედ, იატაკის და კალოების მოსაგებად, კედლების გასაგოზად, შესაღესად და სხვადასხვა ყალიბების ჩამოსაქნელად. აგრეთვე, საბანელად და სარეცხელად.

ამჟამად, მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი განვითარების მიუხედავად, ცეცხლგამძლე თიხა-მიწების როლი და მნიშვნელობა მეტალურგიაში ერთობ დიდია. მით უმეტეს, გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მათ წარსულში. რკინის ძველი წარმოების უბნებში (ქართლის სარკინეთი — ბოლნისის რ-ნი, რაჭის სარკინეთი — ონის რაიონი, იმერეთის სარკინეთი — ოკრიბა, ტყიბულის რაიონი, პერევი, თედელეთი — ჭიათურის რაიონი. სვანეთის სარკინეთები — ჭუბერი, ქვემო იფარი, მესტია) მრავლად წარმოდგენილი ნაირსახისა და დანიშნულების კეცის ჭურჭლის და საბერვლის სტვირების ნარჩენები მოწმობენ, რამდენად ფართო და დიდი მოთხოვნილება უნდა ჰქონოდა ძველად საწარმოო თიხებს. ამასვე გვიჩვენებს ზემო რაჭის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული საწარმოო თიხების გამოყენების ფაქტები. მაგალითად, წედისის რკინის საწური ქულბაქის ბრძმედი ამოღესილი იყო საგანგებო ხასიათის აყალო მიწით. მაგრამ იგივე მიწა საბერვლის სტვირად მიუღებელი იყო. ამისათვის სხვა ჯიშის მიწას ხმარობდნენ. მას შეკოწიწების, პირშეკვრის მაღალი თვისებები ახასიათებდა და ცეცხლგამძლეც იყო. ამგვარად, ერთ შემთხვევაში რომ ერთი იხმარებოდა, მეორეში — მეორე. რაც მთავარია, ზოგჯერ ერთსა და იმავე საქმეში რამდენიმე სხვადასხვა თიხა იხმარებოდა, როგორც ურთიერთ შერწყმით, ისე ერთმანეთის „წარდგომით“. ისე რომ საგანს ერთი ნაწილი რომ ერთი თიხისა ჰქონდა, მეორე ნაწილი სხვა თიხისაგან იყო დამზადებული. მაგალითად წედისის რკინის საწური ქულბაქის ბრძმედი ამოგოზილი იყო ონჭეური — აყალო მიწით, მაგრამ გამძლეობისათვის მას ხელმეორედ ამოღესადენენ ხოლმე „სამჩიკოს“ (ადგილის სახელი) აყალო მიწით.



„სასტვირე აყალო მიწა მოჰქონდათ საბადოებიდან. მოტარდნენ თიხას „სამშრალეობში“ დაამარაგებდნენ, რათა საკმაოდ ჭიმვარით დაეღებოდა. შემდეგ გაარჩევდნენ მინარევი „ლახრისაგან“. დაფშენილნი ხის საზეპლებით წმინდად, გაკაზმავდნენ კარგად და გაშლიდნენ მზეზე გასაღივებლად, ვინაიდან ნედლი თიხა წყალს არათანაბრად



სურ. 9. ქვის იათალი, (სოფ. ქვემო ფაოი, სვანეთი).

ისრუტავდა და „მოცომვას“ არ ემორჩილებოდა. შემდეგ, გაკაზმულ ფხვიერ და მშრალ თიხას საგანგებო ხის „ჭიროლში“ ჩაყრიდნენ. „გაუნარებდნენ“ და შიგნი, ღია გულში, დაასხამდნენ წყალს. იგი ნელ-ნელა და ღრმად გაუჭვდებოდა წრიულად დაყრილ მოსაზელ თიხას. როდესაც თიხა გაჭვრდებოდა წყლით, შეუღებოდნენ მია „მოქნას“. ზელდნენ მანამდე, ვიდრე მიღებული თიხის ცომი კარგად არ „გაიზეთებოდა“ და საკმაო „კოწიწი“ არ გაუნდებოდა. ზელა სწარმოებდა ფეხით, პირდაპირ „მოპიტლულ“. ან უბრალოდ პირმოკეთებულ მიწის კალოზე. ზელა მოთავებულად ითვლებოდა. თუ საცდელად აღებული ცომის გუნდა, ორივე ზელით, მოპირდაპირე მხარეზე გაწევისას არ გაწყდებოდა, გრძლად გაიწაწებოდა, თასმასავით დაეხვეოდა კაცს თითზე. ამის შემდეგ, თიხის ცომიდან

საქართველოს
მეცნიერებათა
აკადემია

გუნდებს „გამოწყვეტდნენ“. „ლულუებად“ „დააგურგუსალებ-
დნენ“ და ხის კალაპოტზე — „სტვირის“ კეთებას შეუდგებოდნენ.
სასტვირე კალაპოტს ერთი თავი წამახული და „მომორვილი“
ჰქონდა, მეორე — შედარებით განიერი და ბოლომრგვალი. მას სა-
ხელად „მარძალი“ ეწოდებოდა. ამგვარი ფორმის გამო მასზე ჩა-
მოქნილი სტვირი, მოყვანილობით, წვერწაკვეთილ კონუსს წარმო-
ადგენდა. სტვირის კეთება ძირიდან იწყებოდა. „საფენად“ იხმარე-
ბოდა წმინდა „ლამა“ ანუ სილა (იხ. მარძალზე სოლინარების დამ-
ზადების პროცესი, (სურ. 11).



სურ. 10 ქვის იარაღი, (ტუბერი, შხ. სვანეთი).



ჩამოქნილ სტვირს გასაშრობად სამკედლოში, ან სადმე დატყუარულ შრამელში დაკიდებდნენ საგანგებო თავკავა ხის ღერძის მუშალებით, რომლის ერთი ბოლო კავს წარმოადგენდა, მეორე — „ლაფეხა“-ს (ჯვარედინ ხეებს). სტვირის ძირი პირქობიანი იყო. ასეთი აგებულება ხელს უწყობდა მასზე საბერვლის ტყავის მჭიდროდ „შემოსმორტვას“ და საბერვლიდან გადაშვებული ჰაერის „გამკრავად“ დინებას. ვინაიდან საბერვლის სტვირი საკმაოდ დაკირწული იყო, დამკეში ჰაერის ძალაც მატულობდა. ამგვარად ჩამოქნილ სტვირს აშრობდნენ და 4—5 დღე მზეზე აფიცებდნენ. საგანგებო გამოწვა არ ესაჭიროებოდა. იგი უამისოდ მთელი ერთი თავით ბრძმედში იყო შეყოფილი და მუდმივად ცეცხლის გულში იმყოფებოდა. ამის გამო, მდნარი მადნეულის მასა ე. წ. თხიერი წიდა, რომელიც სტვირის ცხვირწინ თუხთუხებდა ხოლმე, წვერზე ეკვროდა და უხშავდა მას „სასულეს“, ხელს უშლიდა სულის ქცევას და ხშირად საჭირო ხდებოდა სპეციალური იარაღით — „საჩხვერით“ მისი გაწმენდა. წურვის პროცესში მყოფი სტვირის ნაშთები ამ ვითარებას აშკარად მოწმობს (ტაბ. IX და სურ. 25).

საერთოდ, „სონინარები“ მეტალურგიულ წარმოებაში სხვა საქმეშიაც იხმარებოდა: წყლის გაყვანილობის, თხევადი ლითონების ჩამოსასხმელად და ყალიბებად. სტვირის იმ ნაშთების მიხედვით, რომელიც ძველი წარმოების ადგილებში გვხვდება, შეიძლება დავასკვნათ: მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული „სტვირები“ ორ ჯგუფად იყოფა ფორმა-მოყვანილობის მიხედვით. ერთნი ძირგანიერნი და წვერვიწრონი, წაკვეთილი კონუსის სახის არიან. მეორენი — ერთნაირი დიამეტრისა, სანთელივით ჩამოქნილი, მარჯვე და ლამაზი ნახელავნი.

პირველთ ახასიათებთ ტლანქი, შედარებით უხეში ტანი, მეორეთ—უფრო სალუქი და ფაქიზი ტანი. პირველნი საყოველთაოდ გვხვდება გავრცელებული. მეორენი განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი ქვემოთ ფარისა და სვანეთის ზოგიერთ სხვა ადგილას³⁴.

³⁴ საუცხოო ნახელავი, გრძლად და თანაბრად გაყვანილი თიხის სტვირები ქვემო იფარის წმ. გიორგის ეკლესიის კარზე, ჯვარყანაში, წარმოაჩინა მასზე გზის გაკრამ. ჩამონაკვეთ მიწის შრეებში ეს სტვირები ზედ ხის ფესვებშია

რკინის დამორჩილების დიდ ტრადიციას სვანეთის ეთნოგრაფიულ
ყოფაში მოწმობს იშვიათი ნახელავი ჰედური წესით შესრულებულ
ლი რკინის საკიდელი (სურ. 21) და „ლაზური“ ტიპის დანა სოფ.
კალადან (სურ. 12).

ჩალაგებული დიდი რაოდენობით. ზოგიერთში ისე გაშლიდა ფესვები, რომ ხე-
ლოვნური „კრილოსანი“. მოგაგონდებათ. აქვე, წარმოდგენილია აუარებელი
რკინა-წიდა და ქვის იარაღები.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

რკინის „ღაბრძმედა“

**მოგფიფიება, დაუენება, ნაბვა, მოძნა, ღაბვაკმბა, წკთობა,
ნაბღი რკინა, ნანაპი რკინა**

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემოინახა ძველი ქართული ხალხური მეტალურგიის დიდად საყურადღებო და თავისებური საწარმოო ჩვევები და ტექნიკური წესები. ასი წლის მკედელი თადა მაშოიას-ძე გოგუა (ს. ხაბუძე, ჩხოროწყუს რაიონი) ხაზგასმით აღნიშნავს იმ ამბავს, რომ მისი წინაპარი და მასწავლებელი, უფროსი თაობის მკედლები საუკეთესოდ იყვენ დაუფლებულნი თავის ხელობას, რომ მათ მიერ შემუშავებული „ხელადი“ სანაქებო და მაღალი ღირსებისა იყო. განსაკუთრებით გამოირჩეოდა წელსაკიდი დანების დამზადება. ეს დანები ისე კარგად და მარჯვედ იყო „დაყენებული“, რომ მით ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა — დაწყებული პირის პარსვით და გათავებული ვაზის გასხვლით. მაგალითად, მთელ სამეგრელოში სახელგანთქმულია ე. წ. — „კვარაცხელიას დანა“. ასეთი დანების მკეთებლის უკანასკნელი წარმომადგენელი — თადა კვარაცხელია სულ რამდენიმე წელიწადია გარდაიცვალა და თან ჩაიტანა სამარეში თავისი წინაპრების მიერ საუკუნეთა მანძილზე შემუშავებული მაღალი საწარმოო წესები რკინის დამორჩილებისა¹.

მხცოვანი მკედელი თადა გოგუა, მართალია თავისთავს თვლის უფრო ზეინკლად, მაგრამ მას რკინის მკედლობაშიაც მოუხვეჭია

¹ საზოგადო მოღვაწე ვასო გაღელიას ხელნაწერი მასალის მიხედვით სამეგრელოში — სოფ. ლეზოდელესა და დიდჭყონს შორის არის მრავალი — „ღიხაგუნბა“ (გორაკი, კოთარი), სადაც რკინაწიდა ამოდის ბლომად.




სახელი. მის მიერ გაქედნილი დანები დღემდე დიდი უპირატესობით სარგებლობს და საუკეთესო თვისებისაა. ალბათ ამით უნდა განმარტდეს გარემოება, რომ რაიონის ბევრ ოჯახში ხშირად შეხვდება კაცი ლამაზი გარეგნობისა და თავისებური სახის სახმარ დანებს გამჭედის ნიშნით: „თ“. „გ“. (თადა გოგუა) (იხ. სურ. 12), საქ. სახ. მუზ. ეთნოგრ. განყოფილება. კოლ. №26—58/2 (მდრ. კოლ. 61—39/2 დანის დამზადება, გურია, სურ. 15).

მკედელ თადა გოგუას ჩვენება ქართული „ხელადის“ გაქედვისა და თავისებურების შესახებ, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ქართული ხალხური მკედლობის საქმეში—მარჯვე და გამოსადეგი „ხელადის“ დამზადებაში საკმაოდ დიდ როლს თამაშობდა არა მარტო ნედლეულის შერჩევა—გამდიდრება და მისა დაწურვის წესები, არამედ ამასთან ერთად, მიღებული ნედლი რკინის „გახურება“, „მოქნა“, „მომწიფება“, „გაფიცება“ და „წრთობა“. რკინის დამორჩილების აღნიშნული ხერხები ცალ-ცალკე და ყველა ერთად ჰქმნიდა ობიექტურ პირობებს, თავის დროისათვის, სრულყოფილი „ხელადის“ ჰედვისათვის. ამასთანავე, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა სუბიექტურ მომენტსაც — მკედლისა და მკე-ჰედურის პირად მიმხედარობასა და გამოცდილებას. კერძოდ, მკედელზე, მოხელეზე დიდად იყო დამოკიდებული ის გარემოება, თუ როგორი წარმატებით გამოიყენებდა წინაპართა ნაცად ხერხებს, შესძლებდა თუ არა მდიდარი მემკვიდრეობის სათანადოდ დაუფლებას და შემდგომ მის გამდიდრებას ახალი გამოცდილებით. მას წინაპარ-გან მემკვიდრეობით მიღებულ ცოდნა-გამოცდილებისათვის მცირე რამ თავადაც უნდა მიემატებია და განეგრცო სამკედლო ხელობა. ამ გზით სწარმოებდა საერთოდ. ლითონის დამუშავების ხელობის გასრულება. რა თქმა უნდა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ყველა მკედელი მართლაც ასე მოქმედებდა და ყველას შესწევდა ძალა და უნარი ამ საქმის დაწინაურებისათვის. პირიქით, ბევრი მათგანი აფუჭებდა ხელობას და უბრალოდ აყოლებდა ფეხს საქმის მსვლელობას.

ამ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობდა „მემკედური“. იგი წვრთნიდა მოხელეს — მკედელს იმ მხრით, რომ ურჩევდა მას ისეთი „ხელადი“ გაეჭედა, რომელიც უკეთესი — იქნებოდა, ადგილისა და დროის შესაბამისად, თავის „საქმნარს“ მორგებული. მო-



მხმარებლის მოთხოვნილების გაუთვალისწინებლობა ერთობ ძვირად უჯდება მჭედელს. იგი ჰკარგავდა ზნეობრივად მოხელის ღირსებას და ნივთიერად შემოსავლის წყაროს. ეს მომენტი სხვა ვითარებასთან ერთად განსაზღვრავდა ხელობის დაწინაურებას.



სურ. 11 თიხის სოლინარის (მილი) დამზადების საფეხურები.

მჭედელი, რომელსაც ჰქონდა თავის იმედი, „ვარგებული“ „ხელადა“ დაემზადებია, თამამად უსვამდა მასზე მოხელის ნიშანს, რითაც მჭედელი და მემჭედური ცნობდა ერთი-მეორეს.

თადა გოგუა სრულიად გარკვევით ამბობს: „ნამდვილი მოხელე, რომელსაც თავისი საქმე უყვარს და აინტერესებს, თავად უკვირდება და იგებს საგანს, აკეთებს იმას, რაც საქმისათვის ჯობია. მარტო, არც შენ თავს და არც სხვის ჰკუას არ უნდა დაენდო, ათასნაირად უნდა აწონ-დაწონო და ისე გადაწყვიტო“. — შისი გამოცდილებით მარჯვე და ვარგისი „ხელადა“-ს გაჭედვისათვის ღიდა



მნიშვნელობა აქვს გასაკეთებელი ნივთის დედანის („დელო“, მეგრ.) შემზადებას — ცეცხლში გახურებას („გოფურათა“, მეგრ.), მის „მომწიფებას“ („მულას“, მეგრ.), „მოქნას“ („გიბუა“, მეგრ.), „წრთობას“ („რსხინათა“, მეგრ.).

ბევრი რამ დამოკიდებულია თვით ნელი, სამასალე რკინის ავკარგზე, რაც მას მოდგამს ბუნებით. თუ მოხელემ არ იცის გასაქედი მასალის ხასიათი, ბევრიც რომ ეცადოს, არ გამოუა კარგი. მაგალითად, ახლა ჩვენ, უმთავრესად, უცხო, შემთხვევით მასალას ვიღებთ: (იარაღის, მანქანის და სხვა საგნების ნატეხებს), ამიტომ არ გამოგვდის ის, რაც გვინდა. საჭიროა ვიცოდეთ სახმარი მასალის თვისებები და მისი „გამომავლობა“. უწინ რკინა იმერეთიდან მოდიოდა. მამა ჩემი მკედელი იყო — „ზეინკალი“. ხელობა ისწავლა ორპირში. უფრო აკეთებდა ფილთებს: ლულას, ძირს („ჭინჯი“), ფეხს, ფიალას, საკვესს და ხის „ლარკავს“ (ღუმე, კონდახი, ღარი). ლულა წესით კეთდებოდა 18 ვერშოკი (დაახლოებით 54 სმ).. ამისათვის „რეზნოირკინა“ (რუსული) არ ვარგოდა. „თურქულ“ რკინას² ვხმარობდით. ზოდი რკინა მოდიოდა თურქეთიდან (თურქულ ფოლადს ვეტყოდით, რუსული ფოლადიც იყო, მაგრამ იმას ვერ ედრებოდა). ფილთა გამზადებული ღირდა 12 მან. თოფი კეთდებოდა რკინის, ფოლადის არ ივარგებდა, გასკდებოდა. კაქის თოფსაც ვამზადებდით ჩვენ, დამბაჩასაც. ლულას რომ გავამზადებდით და კარგად გამოუწმენდით მუცელს (იგულისხმება ლულის ღრუ პირის გამოხვეწა). თოფის წამლის საშუალებით ვაწარმოებდით მის გასინჯვას და ზომაზე დაყენებას. სრული დატენა (თოფის წამალი) სამი ვრამი უნდოდა. თოფს ქირდებოდა, აგრეთვე, „სანიშნეს“ დაყენება („ლანკა“, მეგრ.).

ლულის დამზადება. თადას ჩვენებით, თოფის ლულა მზადდებოდა სალულე რკინის გრებვის წესით. ამისათვის რკინის წვრილ მოლტებს ჯერ თითოეულად „ახვევდნენ“ („კარკაზანდეს“, მეგრ.) და შემდეგ ერთიმეორეს წაუყენებდნენ („წკუდგინდეს“). როდესაც ამ წესით გააწყობდნენ, თანაბრად შედუღებულ ლულას, ამის შემდეგ „შიგინი გულს“ — მუცელს გამოუხვეწდნენ, გარეგან პირს დაუწმენდდნენ და გაუღიპავდნენ. ეს იყო მთავარი საქმე. დანარჩენი ადვილად კეთდებოდა (იხ. ლულის სახვეწი მოწყობილობა (სურ. 13).

² იგულისხმება ლაზურ-კანური რკინა (კოროხის ხეობა და არზრუმის მხარე).
100




სურ. 12
„ლაზური
დანა“

განსაკუთრებით ძნელი იყო თოფის „შვილდის“
ფალიასა და ფეხის გაკეთება. კერძოდ, შვილდის
ზადება მოითხოვდა მოქნილი რკინის (ფოლადის) მასა-
ლას და მის სათანადოდ გამოყვანას. ამისათვის, მას
ლორის ქონით აწრთობდნენ. ჯერ წყლით უნდოდა „გა-
ფიცება“ და შემდეგ ქონით წრთობა. წყალი აფიცებ-
და, ქონი მოალობდა ხოლმე („მაალიბარენდუ“, მეგრ.).


თოფის ლულის დასახვეწი მოწყობილობა (სურ. 14)
ხის იყო. იგი შედგებოდა კუთხედი ყდისა, ისრისა და
ხოწისაგან. მისაჭერი ხრახნილის („ონჭირალი“, მეგრ.)
საშუალებით ისარი და მის წვერზე წამოცმული რკინის
ხოწი ბურღვის წესით ასუფთავებს ლულის შიგნითა
მხარეს და აძლევს სწორ ზედაპირს (დაწვრილებით ამის
შესახებ იხილე ქვემოთ).

რაც შეეხება ზეინკალ—მჭედელ თადა გოგუას ჩე-
ნებას — მეგრული დანის დამზადების საკითხში, მეტად
საგულისხმოა. მისი ცნობით: „დანის გაკედვა მოითხოვს
ჯერ სადანე რკინის გამოკვეთას ორტოლად, მერე იმას
შუაში უნდა ჩაედვას სარჩული, ანუ „ძეფი“, რომელიც
ფოლადია. ძველი წესით ყველაფერი რკინეული, თუ
იგი გამჭრელი იყო, შუაზე უკეთდებოდა ფოლადის
სარჩული. ახალი წესით სულერთია. პირდაპირ აიღე-
ბენ ფოლადს და გამოჭედავენ. დანას უნდა სამი შედუ-
ლება, ზომიერად გაკვერვა და, რაც მთავარია, თანაბარი
წრთობა, ისე რომ არც ფიცები იყოს და არც რბილი³.
წრთობის დროს ვატყობთ რკინას რა ფერზე ღებდა და
იმის მიხედვით დავაყენებთ“ — („გერინაფა“, მეგრ.),
წრთობას, მეგრულად „წყარიში გეშქუმალა“ (წყლის
დაცემა, ქართ.) ეწოდება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ
მჭედელი წყალში ჩაშვებულ მხურვალე, უკეთ გავარ-
ვარებულ რკინეულს დახედავს და უკვირდება მას, თუ
რა ფერი მიიღო ამის შედეგად. მჭედლების საერთო

³ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცნობილი იყვნენ დახლოვებულ
მჭედლები: იმერეთში — პავლე ნატრიაშვილი, რაჭაში — ლუკა მაისურაძე,
ქართლში — ვრიგოლ ბერიტაშვილი, აფხაზეთში — ხვახვათ ტარანავა, (სოფ-
ლისნი), გუდამაყარში — პაპა მჭედელი, ხვესურეთში — ხთისო არაბული და
უთურგა ზარბიძე, მთიულეთში — აკა და ნინია ჩოხელეები და სხვა.



სურ. 13 იარაღის დასამზადებელი მოწყობილობა, (ახალციხის მუზეუმის გამოყენებისა) (გ)



სურ. 14 იარაღის სახვეწი (სვანეთის მუზეუმის გამოყენიდან).
სურ. 15. დანის დანზადება (ს. სურები, გურია)



აღიარებით, საწრთობმა რკინეულმა „წყლის დაშვების“ შედეგად შეიძლება მიიღოს ძირითადად სამი ფერი: თეთრი, რაც დიდწილად ფიცხის ნიშანია, ლურჯი — რაც ზედმეტი სირბილის მაჩვენებელია და ოქროსფერი, ანუ ბზიკის ფერი — რომელიც უჩვენებს მის ზომიერ სიფიცხეს და ფოლადოვნებას. ეს უკანასკნელი ფერი, საერთოდ მიღებულია „ხელადის“ დაყენებისა და საღი აგებულების მისაცემად.

თადას თქმით, როდესაც ნაწრთობი „გაისარკება“ (გასარკვლა) ეს იმის მაჩვენებელია, რომ რკინის სიფიცხე ზომაზეა დაყენებული. ამის შემდეგ მას ქლიბით ვასინჯავენ, ქლიბმა არც უნდა „უკბინოს“ და არც უნდა აიკურვოს. შემდეგ ამისა, ნახელავს ცეცხლთან „ჩამოალობენ“ და შალის „ნარუჯით“ „მოალავენ“⁴ ცეცხლის ალზე. რამდენჯერმე წაცხებენ ღორის ქონს და შეაშრობენ ცეცხლის პირად. შემდეგ მხურვალეს ინახავენ სიმინდის ქატოში და „აღენენ ოფლს“. როდესაც შეშრება — განუმზადებენ ტარს. ტარი კეთდება ხარისა და კამეჩის რქისაგან⁵. სატარედ განკუთვნილ რქას ამისათვის ცეცხლზე მოათბობენ და როდესაც დარბილდება, გათლიან მას მკრელი დანით, გაფხევენ, შუაგულს ჩაუხერხავენ ზომაზე, შემდეგ მასში დანის „ყურწს“ ჩაამაგრებენ და სამკვლით დამაგრებენ. შინამზრით დაუგებენ სპილენძის, ან თითბრის სარჩულს — „ფჩხილას“. ლამაზად გადაუხრიან თავებს და დაკვერავენ. „ყურწისაკენ“, ტარში გამოაბამენ — „საჩხრიალოს“, რომელიც შედგება სხვადასხვა ფორმის მოკლე ჯაჭვისა, რქის ფირფიტებისა და ხელსაკიდი ღვედისაგან („კული“). ასევე ახალსოფელში (ცხაკაიას რაიონი), მარკოზ ხურციას ჩვენებით (84 წ.) მკედლები ამზადებდნენ ორგვარ დანას: ე. წ. „ბებუთს“ და საქონლის დასაკლავ დანას („წელსაკიდი დანა“ — ნ. რ.). მისი ჩვენებით, სადანეს გახურება 10-ჯერ სწარმოებდა მაშინ, როდესაც პირველ შემთხვევაში ეს რიცხვი მცირე იყო. გარდა ამისა, აქ ჩვენ გვაქვს ნაწრთობის გამოსაცნობი, ახალი ნიშანი — „ვარდისფერი წყალი“, ან „თაფლის ფერი წყალი“⁶. დანის გაჭედვის მსგავსი წესებია აღნიშნული ამ ოცი-

⁴ მოალავს მიმართავდნენ აგრეთვე, ვერცხლის მკედლები, რასაც სვანურად „დიქლევ“ ეწოდება (მ. ჩართოლანი, სვანური სევალი, მუზ. მოამბე, XXIII—B).

⁵ საერთოდ დანის ტარად კამეჩის რქა სჯობს ხარის რქას, ვინაიდან ამ უკანასკნელს ხშირად უჩნდება „მალული“ (ბზარი).

⁶ იხ. პ. ხუბუტიას ჩანაწერი, მასალები საქ-ს შინამრეწველობის ისტორიისათვის, ისტორიის ინსტ-ს ეთნოგრ. განყ-ს არქივი.



ოდე წლის წინ ზუგდიდში, მკედელ მეთო ხურცილავას ნაამბობ-
ში⁷. ხურცილავას ჩვენებაში განსაკუთრებულ ყურადღებას ექცევა
დანის წრთობის მომენტი, რომელსაც იგი „გერინაფას“ — „და-
ყენებას“ უწოდებს: „დაყენებისათვის“ დანას სამჯერ გაახურებენ
და „ქკგიაშქანა“ (დასცემენ) წყალს. თუ ამ დროს მან თავლას
ფერი დაიდვა, კარგია. შემდეგ დანას რქის ტარს დააგებდნენ და
ყურწის ძირად სპილენძის, ან თითბრის — სარჩულს დაატანდნენ
აქეთ-იქით, სამაგრისად. დარჩენილ ყურებს ჩაუბრუნებდნენ და
კვერით ფრთხილად ჩაკვერავდნენ. ყურწში, ტარის ბოლოზე, ჩა-
უმაგრებდნენ ხელსაყიდს — რკინის რგოლს და მასზე გამოშვულ
ირმის რქის „სახხრიალს“. შემდეგ, სურვილი ვისაც ჰქონდა დაურ-
თავდნენ — სადგისს, „მემტერს“ (საკვეთი, დოსტაქრის იარაღი),
ნემსს. ანალოგიური ხერხები დანის გაქედვისა დამოწმებულია იმე-
რეთის სინამდვილეში⁸.

მსგავს მოვლენას ადგილი აქვს გურიის სინამდვილეში
(სურ. 15).

დანის დამზადებისას და საერთოდ გამჭრელი იარაღის
ქედვის დროს, მთავარი ყურადღება ექცევა წრთობას და
დუღილის პროცესს. მაგალითად, როდესაც დუღილი (იგული-
სხმება შედუღება, ან გავარვალება რკინის ერთ შანთად) მიმდინა-
რეობს, საჭიროა რკინის „გულისა“ და „კანის“ ერთგვაროვანი გა-
სურება. წინააღმდეგ შემთხვევაში ან ერთი წაასწრებს და ან მეორე,
რითაც დაირღვევა ლღობის ერთიანობა და „მომწიფების“ ერთ-
დროულობა. ამიტომ გურული მკედელი, მიმართავს იმავე ხერხს.
რასაც სხვა კუთხის მკედელი. იღებს „მისადუღებელს“ (სილას) და
მკედელს დუღილში მყოფ რკინას. ამ საშუალებით, გარეთა კანი
გრილდება და გულს უჯდება სიმხურვალე. ამ სახით წარმართული
დუღილის პროცესის ზომიერებას იგებენ ცეცხლის ალის ფერით
და ნაპერწყალთა „მოწყვეტა“ — აცვენით. „დუღილში, მათი თქმით,
რკინა „შიშხინებს“ და მისგან „ცხოველი“ ნაპერწყლები სკვივა.

⁷ ჯ. გ რ ი ვ ლ ი ა ს / ჩანაწერი მასალა, იქვე.

⁸ კიათურის რაიონში დღემდე სარკველობს პოპულარობით სახელგან-
თქმული „გიორგაძისეული დანა“, რომელსაც წარმატებით ქედავდა სოფ. ზოდან
მცხ. მკედელი გიორგაძე. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამოცემლობის თანამშრო-
მელის აკაკი იაკობაშვილის ცნობით, გიორგაძის მიერ გაკვედილი დანა
გამორჩეოდა განსაკუთრებული მკვეთელობით. იგი ცნობილი იყო „გიორგაძე-
ლის“ სახელით.



ამით ატყობს მკედელი, რომ რკინის „დუღილი“, თუ „შედუღება“ წესიერად მიმდინარეობს. რაც შეეხება წრთობას. გურიის სინამდვილეში იცოდნენ წრთობისას („წყლის მიცემისას“, გურ.) კის“ ფერზე დაყენება. ეს ბზიკის (კრაზანა) ფერი ფაქტიურად იგივე ოქროს ფერია, რომელიც ქართველი მკედლების საყოველთაო აღიარებით, საუკეთესო ნიშანია წრთობის გამოსაცნობად. წრთობისას „თეთრი“ და „ლურჯი“ წყალი მიუღებლად იყო მიჩნეული. „თეთრი წყალი“ სიმაგრის ნიშნად ითვლებოდა. გურული მკედლების თქმით ამ ფერის რკინას ხმა მაგარი აქვს და კვერის დაცემისას ფიცხედ კივის. მაყვლისფერი (მარკვალი, გურ.), ანუ ლურჯი წყალი სირბილის ნიშანია. ერთი სიტყვით რკინის წრთობისას ოქროსფერზე დაყენება ყველაზე მიღებული ჩანს გურიაშიც.

3. ზუბოვის ცნობით, აფხაზეთში მრავალ ადგილას წარმოებდა სატყვერების, ხმლებისა, თოფების და დანების დამზადება. მისი სიტყვით რკინას, რომელსაც ისინი უმთავრესად აუზუმში იძენდნენ, შესანიშნავად ამუშავებდნენ და იღებდნენ მაღალი თვისების ფოლადს. მისივე ცნობით, აქ იყო მრავალი სახელოსნო, სადაც ხელმარჩვედ და ოსტატურად ასევალებდნენ იარაღსა და ყოფის საგნებს. „აფხაზები ამუშავებენ თვითნაზადი რკინის, ვერცხლის, სპილენძის და ტყვიის მადნებს“-ო, რაც თავისთავად საყურადღებო ფაქტია⁹ ინჟინერ-გეოლოგ სიმონ ციციშვილის ცნობით საუკეთესო ხმლების კეთებით განთქმული იყო ქალ. კამური (ჭოროხის შესართავის სამხრეთი პუნქტი). რაც შეეხება მაჭახელას, ის ხომ საყოველთაოდ ცნობილი პუნქტი იყო თავისი ნახელავით. აქ მზადდებოდა საუკეთესო დამბაჩები. აჭარული დანები და თოფები (სურ. 16). სამეურნეო იარაღების ჭედვით ტოლი არ ყავდა ხონსა და მაღლაკს. მაგალითად, ხონში იყო მკედელი კუჭავა, რომლის ხელადი 27 კაპ. მეტი ღირდა ჩვეულებრივზე. განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავისი ხარისხით და მოგრძო „ნიკარტი“ „მაღლაკ“-ური წალდი. რაჭაში. სოფ. საირმეში მთელი უბანი მკედლეებისაგან შედგებოდა. მას „კედლიანთ კუთხეს“ უწოდებდნენ, ვინაიდან იქ მცხოვრები და მოსახლე ხუციძეები, ასევე ალავიძეები, თაობიდან მკედლეები იყვნენ.

⁹ Зубов, П. Картина Кавказского края, ч. II, кн. 3, стр. 27, 28; Пиралов, Краткий очерк кустарных промыслов Кавказа, 1913, гл. 50—75; Хатисов, Очерк кустарных промыслов на Кавказе, 1804, гл. 323.



საუკეთესო დანების კეთება იცოდნენ გურიისა და სამეგრელოში. მათ განსაკუთრებით დიდი გამოყენება ჰქონდა მწყემსების ტყეში. ტყეში. დღემდე სარგებლობს დიდი სახელით, მთელ სამეგრელოში, თადა კვარაცხელიასეული დანა. როგორც ითქვა, საქართველოს სხვადასხვა თემში მოიპოვებოდნენ სახელგანთქმული რკინის მოხელები, რომელთაც გვარად მოდგამდა ამა თუ იმ ხელადის თავისებური გაჭედვის ტრადიცია. მაგალითად, როგორც, სოფ. ზოდის მცხოვრები (ჭიათურის რაიონი) ვ. გიორგაძე, რომელიც ამზადებდა მაღალი ხარისხის დანებსა და საამისოდ ფოლადს, ისე ძირად მესხეთის მოსახლე, ამავე გვარის წარმომადგენელი, გიგოლა გიორგაძე, რომელიც ახალციხეში, რაბათის უბანში ცხოვრობდა, სახელმოხვეჭილი ვერცხლის მჭედელი იყო და დღესაც ქებით იხსენიებენ მას გ. ყვინიჩის სახელით¹⁰. აღსანიშნავია, რომ მთხრობელთა ჩვენებით, გიორგაძეები მოხელე ხალხი იყო. გიორგაძეებს გვარად მოუდიოდათ (მოდგამდათ) რკინისა და საერთოდ ლითონის დამუშავების ხელობა. მეფე ალექსანდრე I-ის მიერ გაცემულ ერთ-ერთ სიგელში სახელდობრ დასახელებულია: „...და ვისაცა გიორგაძეს დავითს და მისასა გუარი კაცი შეაკუდეს, ანუ ხუცესი, ანუ მჭედელი ამდენი სისხლი გადიხადოს“-თ¹¹; ბოლო დროს, — XIX ს. მიწურულში, საჩხერეში რამდენიმე მჭედელი სპეციალურად მუშაობდა იარაღის დამზადებაზე; ისინი აკეთებდნენ ცივ იარაღს — სატევრებს, დანებს და სხვა ამასთან, აწარმოებდნენ დამბაჩების და თოფების შეკეთებას და ეტლის რკინის ნაწილების გამართვას. ხანდახან შემკვეთის სურვილისამებრ სატევარს აკეთებდნენ, ცხენის ძველი ნალებისაგან, ასეთი სატევარი მაგარი იყო. მაგრამ აკლდა მოქნა, როგორც ფოლადს აქვს. აქვე, ს. ჩიხაში და მის მეზობელ თემებში რამდენიმეგან მუშაობდნენ რკინის მოხელენი, ისინი ამარაგებდნენ ამა თუ იმ უბანს სამუშაო იარაღით (შეკეთებით). სოფელი მათ ისტუმრებდა ნატურით, ან ფულით¹².

ასევე, ძველებური კლიტე-ბოქლომთა კეთებით, ცნობილი იყო მთელ სამეგრელოში მჭედელი ივა წოწერია. მისი ნახელავი კლიტე-ბოქლომი დღემდე შემორჩა სოფ. ალერტის (დიდიჭყონის რა-

¹⁰ ამის შესახებ მიგვითითა დოკ. ილია მაისურაძემ.

¹¹ თ. ყორღანია, ქრონიკები, II, 1697, გვ. 194.

¹² იხ. კრებული—СМОНПК, вып. II, 1891, გვ. 259.



იონი) წმ. გიორგის ეკლესიას. მასზე შვედელს თავისი ბეჭედი და-
 უსვამს შემდეგი წარწერით: „ხელობა ივა წოწერიასი“. ზომები
 რძე — 40 სმ., სიგანე — 20 სმ.; ბოქლომის ფორმა ძველ
 რცელებული ე. წ. „ეკლესიის კლიტეების“ სახისაა.

ახალციხეში განთქმული მკედლები ყოფილან პავლე და სტე-
 ფანე მავნელიშვილები (ს. სხვილისიდან), პაპა მარტიაშვილი (სოფ.
 უდედან), რომელსაც მეტსახელად კაკლოეთ პაპას ეძახდნენ.
 მასთან ერთად ცნობილი რკინის მოხელე ყოფილა მისივე მოწაფე
 —სტეფანე რაფიელის ძე გოზალიშვილი. ასევე, ამ უკანასკნელის
 მიერ გამოზრდილი სომეხი სარქისა, რომელიც ნაქები მკედელი
 დამდგარა.

დანების დამზადების საკითხი ერთობ საინტერესოდ და თავი-
 სებურად გამოიყურება, საერთოდ, მთელ საქართველოში. უნდა ვი-
 ვარაუდოთ, რომ დანების გაქედვის წესი პირწმინდად იმეორებს
 ძველი საბრძოლო სატევრებისა, ხმლებისა, და სხვადასხვა ტიპის
 მახვილი იარაღების დამზადების ხერხებს. ამ მიმართებით ხალხუ-
 რი მკედლები დიდად საყურადღებო ტექნიკურ საშუალებებს მი-
 მართავდნენ ხოლმე, რაც იმაში გამოიხატება, რომ განსაკუთრებით
 ზრუნავდნენ მოქნილი, მიმყოლი და ფხიანი ხელადი დაემზადები-
 ნათ. ამ მიზნით არჩევდნენ სახელადე რკინას, საწვავს (ნახშირს)
 და გახურების ზომას, მიმართავდნენ „ბრუნებით მოქნას“, „კეცი-
 ლად კვრვას“, შერიგისად გაფიცხებას, რთულ წრთობას და გა-
 შუალებით დაფოლადების ხერხს. გაშუალებით დაფოლადებულ
 ხელადის სიმარჯვესა და მკვეთელობას ხელს უწყობდა ჩართული
 ფოლადის ფხა, რამდენადაც მუშაობისა და ხმარების პროცესში
 მისი პირი „ალმასდებოდა“ და მუდმივად ინარჩუნებდა „სიმახვი-
 ლეს“.

„...ქართულ-კავკასიური ფოლადი მოქნილი და მიმყოლი იყო.
 ევროპული და რუსული მას ვერ ედრებოდა სიმახვილითაც. ამი-
 ტომაც კავკასიის მთიელთა შეიარაღება სჯობდა ამ მხრივ რუსეთის
 ჯარისას“-ო (იგულისხმება რუსეთ-კავკასიის ომის დრო) სწერს
 მარკგრაფი¹³. ასევე, ა. ფირალოვის მიხედვით: წარადის დამზადების
 ხელობა აკავკასიაში გავრცელებული იყო ნუხის მაზრაში, რაქი-

¹³ О. Маркграф., Очерк кустарной промышленности Северного Кавказа, გვ. 206—7.



სა და ქუთაისის მაზრებში¹⁴. განსაკუთრებით მზადდებოდა აქსეტიკური ტევრები და ხმლები, ხოლო ოზურგეთში საუკეთესო სასროლენო მარცხენები¹⁵. ამ მხრივ აღსანიშნავია „ლაზური“, ანუ „აქარული ტიპის დანა (სურ. 16), რომელიც ამჟამად პეპუსის სახელითაა ცნობილი. ამჟამად სახით წარმოებდა სამეურნეო იარაღების: საჭრისები. საფეხები, ცელი, ნამგალი და სხვათა დამზადება. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებდა „გამულებით დაფოლადება“ (ფოლადის ჩართვას წესი). ეს ხერხი გულისხმობს რკინის ორ ფენას შორის ფოლადის დაყოლებას, დატნევას. ეს ხერხი ხორციელდებოდა თვით მუშა-გამჭრელი იარაღის მიმართაც. სავაზე, სასხლავი, წალღი. ცული, საკოდელი, თოხი და წერაქვი საერთოდ ამ სახით მზადდებოდა. იარაღის ტანი მთლიანად ფოლადისა წესად არ იყო, ვინაიდან ასეთი „ხელადი“ არც პრაქტიკული იყო და გაკეთებაც მისი ორმაგად ძნელი. იგი არ ემორჩილებოდა ძვედლის კვერს. და ხშირ შემთხვევაში „ყრუ“ გამეშვებული გამოდიოდა.

ქართული ხალხური მჭედლობის პრაქტიკაში კარგად იყო ვარჩეული „ფოლადიანი რკინა“ და ფოლადი რკინა. პირველი მიღებული იყო მადნიდან უშუალოდ. მეორე — ხელოვნურად შემზადებული რკინიდან. პირველი მძყოლი იყო საჭედურად, მეორე — „ლენჩი“. რაც მთავარია, პირველი კარგად ემორჩილება წრთობას და მჭედელს შეეძლო მისთვის მიეცა ნებისმიერი სიფხე და სიმაგრე. მეორე ამ მხრით მოუხეშავი, ჭიჭური იყო და აგრე ადვილად არ იღებდა მჭედლის კვერს. მისი „ზნის ცვლა“ არ ხერხდებოდა, ამგვარ ფოლადს მხოლოდ რკინის ჩასართავად იყენებდნენ. მთხრობელთა ჩვენების საფუძველზე და მასალის მეცნიერული ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ „ფოლადიანი რკინა“ მზადდებოდა რაკის, იმერეთისა და სვანეთის თემებში¹⁶.

საყურადღებოა, რომ უკანასკნელ ხანებში. მჭედლებს თქმით, საქართველოში შემოდინდა — თურქული, რუსული. და ინგლისური ფოლადი — შანთი, ფრცარი რკინის სახით. მჭედლები ამჟობინებდნენ თურქულ ფოლადს (რომელიც, ჩანს, იგივე ჭანური ფოლადი იყო). იგი კარგი „მიმყოლი იყო კვერში“ და გა-

¹⁴ А. Пиралов, краткий очерк кустарных промыслов Кавказа, Тиф. 1913 г. 50—75.

¹⁵ ა. ფირალოვი. დასახ. ნაშრ., გვ. 71.

¹⁶ მჭედელობაში გვაქვს რაკის სარკინეთი, იმერეთის ოკრიბა და სვანეთის — მესტიის უბნები. სამწუხაროდ, სხვა კუთხეებისა და „სარკინეთა“ შესახებ, ცოცხალი სიტყვიერი ცნობების უმისოდ, გარკვეულად ეს არ ითქმის.



მოირჩეოდა მოქნილობით. რუსული ფოლადი ძალზე ფიცხელი და მაგარი იყო და სხვაგვარ მიდგომას მოითხოვდა. ასევე, „ფიციარს“ — რი ფოლადი კარგი იყო, მაგრამ ჩვენ მას ვერ ვეწყობოდით“ — ამბობს რუბენ სარქიშის ძე ალაიანი (64 წლ. კოლმეურნე, მცხ. ბოლნისის — ხაჩინი, ბოლნისის რაიონი). — ძველად იყო თურქული ფოლადი. იგი ზომით 8×8 მმ. იყო თითო. „ჩიბუკ-ს“ უწოდებდით ერთ ცალს. ამისთანა ჩიბუკს 10—15 ცალს ერთად შევადულებდით და „ფიციარს“ შევიზაზავდით. შემდეგ ჩამოვჭირდით საჭიროების მიხედვით და მას ვასაჟედ რკინის იარაღს პირში ჩაურთავდით. ინგლისური და რუსული ამისთვის არ ვარგოდა. რკინას აქეთ-იქით ვკეცავდით, სიგრძე — სივანეზე გაგვყავდა და ვზელდით კვერით. ვხმარობდით ხის ნახშირს. აქ უწინ გაუვალი ტყეები ყოფილა და ამ ბოლნისის წყალში, ახლა რომ დამშრალია, უმალ ნაევებით გადიოდნენ თურმე“¹⁷.


ამგვარად, ქართველი მკვდლობის ნიშანდობლივად ნახვენები ფაქტები, სხვა ეთნიური წრის ფარგლებშიაც ჩანს. ჩიკვევა, რომ სხვადასხვა წარმოშობისა და ადგილის რკინის ნედლეული განსხვავებული ხასიათისა იყო და მკვდლებისაგან სხვა მიდგომას მოითხოვდა, ვიდრე შინაური რკინა. მეორე მხრით, კვერის გავლენას რკინის მოქნისა და ხასიათის შესაცვლელად გადაიწყვეტო მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მიმართებით ყურადღებას იქცევს ერთი მომენტიც. მხედველობაში გვაქვს რკინის „დაქნა“ — „დანაქვა“ (დაქეპვა) და შექცევით კვერვა¹⁸. საინტერესოა, რომ შექცევით კვერვა, ანუ „ბრუნებით კვერვა“ ქართული ხალხური მკვდლობის ერთი უპირველესი მნიშვნელობის პროცესია რკინის „მოქნა-დაყენების“ საქმეში. უბრალოდ რომ შევადაროთ, „ნაქვა“ რკინის მიმართ ისეთსავე როლს ასრულებს, რასაც ნაზადის მიმართ „მოთელვა“¹⁹ პურის ნამზადის მიმართ — ზელა, ტყავის მიმართ—მოქნა. ქართველი ხალხის ეს დაკვირვება თავის საფუძველს კპოვებს მეცნიერებაშიაც. ამჟამად, მეტალურგების მიერ დამტკიცებულია, რომ რკინაზე, კერძოდ, მის შემადგენელ მოლეკულების წყობაზე დიდ გავ-

¹⁷ მასალა ჩაწერილია 1937 წელს ბოლნისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობისას ნ. რეხვიაშვილის მიერ.

¹⁸ კვერის საშუალებით ლითონის (რკინის) მოქნა და გამაგრება ცნობილია ბევრ სხვა ხალხებში. შესაძლებელია ეს წესი გამოყენებული იყო ბრინჯაოს ხანაშიაც და მას საფუძვლად ედვა სამკვდლო ხელობის მალალი ტრადიციები.



ლენას ახდენს როგორც მექანიკური, ისე თერმული ზემოქმედების ქვეშე
 ამ ზეგავლენის შედეგად, რკინის შინაგანი წყობა, მისი „ბეწვობა“
 და ბეწვთა ურთიერთ „გახიცულობა“ (შეკრულობა) მცირდება



სურ. 16 „ლაზური დანა“ (კალა, სვანეთი).

ან დიდდება შესაბამისად. რკინის მეტალოგრაფიული, ქიმიური და
 რენტგენოგრაფიული შესწავლა გვიჩვენებს, რომ ამ მიმართებით



რკინა შეიძლება ნაირი შემადგენლობისა და ხასიათისა იყოს, ამ გარემოებაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ ძველად პლინი. იგი ამბობს რომ: — რკინათა სხვაობა მრავალრიცხოვანია, რაც დამოკიდებულია, პირველ ყოვლისა, მწიწისა და ჰვისაგან-ო. რკინათა ეს განსხვავება მას ცალკე ტერმინით — *stricturae*-თი აქვს აღნიშნული¹⁹. რკინათა შორის ეს „დღედიშობილი“ განსხვავება მემბრანისაგან ალუნიშნავს, როდესაც უთქვამს: „რკინა ქვეყნით იქნნების“-ო (იობ. 28,—2 ოწყ). პლინის აზრით, რკინის გამოდნობის წესი ყველგან ერთია, მხოლოდ კაბადოკიის შესახებ იზადება კითხვა: რკინა წყლიდან მიიღება, თუ მიწიდან, ვინაიდან რკინის შექმნა აქ სხვაგვარად არ შეიძლება, თუ არა რომელიღაც მდინარის წყლის მიწისათვის პკურებით-ო²⁰. რკინის დაწურვისა და მიღების კაბადოკიური წესის შესახებ. პლინის ეს მითითება ნიშანდობლივად ემთხვევა ქართული ხალხური მკვდლობის ნაცად ხერხს, რომ დუღილის დროს რკინის გულისა და კანის „ერთმანგი“ გახურების მიზნით რკინას დუღილის დროს წყლით აპკურებდნენ ხოლმე.

ამ მიმართებით, საგულისხმოა იმავე პლინის ის მითითება, რომ — უმთავრესი განსხვავება წყლისაგან წარმოსდგება, რომელშიაც გახურებულ რკინას უშვებენო. ე. ი. წყლით წრთობისაგან²¹. ერთი სიტყვით, რკინის დამუშავების რთული პროცესების ფაქტები, რასაც ქართულ ხალხურ მკვდლობაში ვხვდებით, მოწმობს, რომ ჩვენი წინაპრები საკმაოდ გაწაფულან რკინის დამუშავების საქმეში.

ხელადის დამზადების საქმეში, ერთ მხარესაც გვინდა გაუსვათ ხაზი. კერძოდ, ნახშირის როლსა და მნიშვნელობას — რკინის ნახელავის ხარისხზე და საერთოდ რკინის თვისებებზე.

დღემდე მთლიანად გარკვეული არ არის საკითხი იმის შესახებ, თუ რა წესით და საშუალებით აღწევდნენ უწინ ფოლადის მიღებას პირდაპირ რკინიდან. ვარაუდით ამას ხსნიან ნახშირისა და სხვა დამხმარე სადული ნივთიერებით, მაგრამ ეს შეხედულება მეცნიერულად დამტკიცებული არ არის. ის ჰემარტიტება, რომ ამჟამად

¹⁹ იხ. К. Плини Секунд, დასახ. ნაშრ., გვ. 133.

²⁰ იქვე, გვ. 132.

²¹ პლინის, მწრობელ საშუალებად, ნაზი ნახელავისათვის, დასახელებული აქვს ქონით წრთობა, იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 135.



პირიქით, რკინა ფოლადისაგან მიიღება და ეს უკანასკნელი თუქვა-საგან, კიდევ უფრო სათუთოსა ხდის ფოლადის ხსენებული მძვინვარების საკითხს. ამას კი თანამედროვე მეტალურგიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. როგორც ვიცით რკინის ხარისხი დამოკიდებულია მასში ნახშირბადის შემცველობაზე. ნახშირბადი 0,25% იძლევა რკინას; 0,25 — 1,7% — ფოლადს, ხოლო 1,7 — 4,3% — თუქს. ამასთან, რკინის ხარისხზე გარკვეულ გავლენას ახდენს ზოგიერთი მინარევები, როგორცაა: ფოსფორი, კაჟი, მარგანეცი და სხვა. მაგრამ, ყველა მათგან განსხვავებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ითქვა, „ნაჰვას“, კვერვა-ზულუასა და წრთობას²². რაც შეეხება ფოლადის პირდაპირი გზით მიღების ვითარებას, წედური ფოლადის მიღების წესი თავის სიტყვას ამბობს ამ დიდად საინტერესო, საკითხის შესახებ ქართული ხალხური მკვდლობის ერთ-ერთ უდიდეს მონაპოვარს წარმოადგენს მადნიდან პირდაპირი გზით ფოლადის მიღება. წედური ფოლადისაგან გაქვდილი რკინეული „ხელადი“ ამ დებულებების ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთია. რკინის „ხელადის დაყენების“ საქმეში უდიდეს როლს ასრულებდა სხვა ფაქტორებთან ერთად წრთობა.

წრთობა, ქართული ხალხური მკვდლობის მიხედვით. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია რკინის ნახელავის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მკვდლების გამოცდილებისა და დაკვირვების მიხედვით წრთობას ბევრი რამ შეუძლია. უვარგის რკინას „ვარგიანად“ აქცევს და ვარგიანს უვარგისად. ერთი სიტყვით, წრთობას შეუძლია „ზნუ უცვალოს“ და არსებითად გარდაქმნას რკინეულის შინაგანი ხასიათი. ბუნებრივია ის გარემოება, რომ მკვდლობის ხელობის დაუფლების საქმეში, წრთობა, ურთულეს და უძნელეს საქმედ ითვლებოდა. ამ საქნარს მხოლოდ უკანასკნელ ეტაპზე ენდობოდა ხოლ-

²² შდრ. Б. А. Колчин, Черная металлургия и металлообработка в древней Руси, М., 1953, გვ. 48—54; Кай Плини Секунд, Естественная история (Historia naturalis) ископаемых тел, СПб., 1819, გვ. 133; ფ. თავაძე, თ. საყვარელიძე, ც. აბესაძე, თ. დვალა, რკინის მიღების ცივბერვითი პროცესი ძველ საქართველოში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის შრომები, ტ. XI, 1961, გვ. 95.



მე მკედელი თავის მოწაფეს. თვით ის ფაქტი, რომ ჩაწერა და გამოსაცნობად არსებობდა მთელი რიგი „სანიშნოები“, როგორცაა: ოქროსფერი, ლურჯი, თეთრი, ბზიკის ფერი, „ჯიგრის ფერი წყალი“ და სხვა, ამ პროცესის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს. მეორე მხრივ, იმის მიხედვით, თუ რა ხასიათისა და საგნის „გაფიცება“ სურთ, წრთობას სხვადასხვა საშუალებით აწარმოებენ. ზოგიერთი საგანი „ერთს მოიხდენს და ზოგიერთი—მეორეს“. ამიტომაც რომ ხალხური მკედლები ერთ შემთხვევაში რომ წყალს იყენებენ საწრთობად, სხვა შემთხვევაში — ქონს, სისხლს, შარდს, ზეთს და ასე გასიჩქვით ჰერსაც კი მიმართავენ. თავის მხრით წყალი შეიძლება იყოს: წყაროსი, წვიმის, მდინარის, გუბის, თოვლის, მღვრიე, წმინდა, თბილი, ნელთბილი, ცივი და ა. შ. თითოეული მათგანი გარკვეულ როლს თამაშობს და თავისებურ დაღს ასვაჰს რკინის „ბუნებასა“ და ხასიათს და „უცვლის იერს“²³.

წრთობის პროცესი ვარაუდობდა აგრეთვე დამხმარე ნივთიერებათა დართვის, ასეთები იყო: შალის „ნარეჯი“, რქა, პიროლუზიტი და სხვა. ჩვენ გვინდა შევჩერდეთ შარდითა და სისხლით წრთობაზე. ქართულ ხალხურ თქმულებებით ამირანის ხმალი მკედელმა შარდში აწრთო და უდიდესი მოქნილობა და მკვეთელობის უნარი მიანიჭა. ხევსურული თქმულების მიხედვით ამირანის ხმლის წრთობის პროცესი ისეთი მძიმე და საოცარი ძალის უოფილა, რომ იგი მიწისძვრასა ჰგავდა: „...ცა ქუხდა მიწა იძვროდა, სამკედლო ექანებოდა, მკედელი მემკედურები ერთმანეთს ეტოლებოდა“²⁴. უეჭველია, წრთობის მსვლელობის ამ გაზვიადებული გაგების გამოხმურება უნდა იყოს ის გარემოება, რომ ქართული ხალხური მკედლობა საწრთობი ნივთის ჩაშვებას მაწრთობელ სითხეში ასევე გადიდებული აზრის მქონე სიტყვით აღნიშნავს ხოლმე, მაგალითად, „წყლის დარტყმა“, წყლის დაცემა, „წყარიში გეშქუმალა“ (მეგ.),

²³ ნ. რეხვიასვილი, მკედლობა რაჭაში, თბ., 1953, გვ. 91.

²⁴ ხევსურული თქმულება ამირანზე, მუხ. ეთნოგრ. კანკას არქივი. შტრ. რაქული ხალხური თქმულება — „გიორგი ბახტურიძე“. (რაქა, სოფ. ქიორა. მთქმელი — ზაქარა რეხვიასვილი, სეხნონთი, 80 წ.).



„იძვრე რა“²⁵. (აფხაზ.). „ფზაჰან“ (აღილ.), „ლაფრედ“ (სვამრ.),
„ჯურდალ“ (სომხ.), „რსხინაფა“ (მეგრ.) და სხვა.

საყურადღებოა, რომ წრთობა განსაკუთრებული ხასიათის პროცესადაა მიჩნეული მეფე ვახტანგის ხელნაწერი წიგნის — „ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“ მინდღეითაჲ²⁶, სხვათაშორის, აქ დასახელებული წრთობის წესი და მაწრთობი ნივთიერებანი ერთობ საინტერესო სურათს იძლევა რკინის შემუშავების ძველი წესების შესახებ. ვახტანგის აღნიშნულ ნაშრომში დასახელებულია ბევრი ისეთი მხარე და წესი მკედლობისა, რომელსაც საქართველოს აწინდელ ყოფაში, თითქმის, ვეღარ ვხვდებით და გვეუცხოება. კერძოდ, ფოლადისა და რკინის წრთობაზე აი რაა ნათქვამი: „...მოიტანე ტყავის ლანჩის თალათინის ნაჭერი, რა ერთიც გინდოდეს, დაწვი და მისი ნაცარი დააგროვე, მერმე მოიტანე რკინის კოლოფი რომ ერთი გვერდი ახდილი ჰქონდეს. მოიტანე და იმ ნაცრისაგან იმდენი ჩაყარე, ძირი მოუფაროს, მერმე რკინა, თუ ფოლადი რაიც საწრთობად გინდაის მოაწყვე. მერმე კიდევ ამთონი ნაცარი²⁷ მაყარე ის ჩაწყობილი დაფაროს და კიდევ მოაწყვე სანამდინ კოლოფი აივსოს, თუ სანამდისაც გინდოდეს. მერმე ისეთის ტალახით მოლესე ზეიდამ ცეცხლმა არ გახეთქოს და სული არ გამოვიდეს. ჩადგი ცეცხლში და ასე გაახურე რომ წინწყალს ესროდეს. მერმე ამოიღე და წყალში ჩაავდე, რომ ნაწრთობი შეიქნას. მერმე ამოიღე და ასეთი მაგარი იქნება, რაც იარაღი გიწრთვია თუ რკინისა ფოლადის სიმაგრე ექნება და თუ ფოლადი გიწრთვია—სხვა რაგად ნაწრთობ ფოლადს გასკრის და გაქლიბავს და თუ კიდევ უფრო მაგარი გინდა იმ ნაცარში შეოთხედი მეტი, თუ ნაკლები დაფხეკილ რქა გაუერივე“-ო²⁸. რკინის წრთობის II ხერხის შესახებ წარმოდგენილია შემდეგი შემადგენლობის შენაზავი: „ანთიმონი მისხალი ერთი, მაგნიტის ქვამისხალი 3, ესენი უნდა წვრილად დანაყო ფქვილ-

²⁵ შეიძლება ამ ფაქტით აიხსნებოდეს ფოლადის აფხაზული სახელიც — „აქვრ“ აქვრ, რაც პირდაპირი მნიშვნელობით „წყალდარტყმულს“, წრთობილსა ნიშნავს. შდრ. „ლუშკ“. ფოლადი (ჩერვ.).

²⁶ იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, № 3721, ფ. 188.

²⁷ შდრ. ნაცარში—ცხელ ღვეღფში შეხვევა და გამოყვანა რკინის ხაფანგისა (მასალები რკინის ეთნოგრაფიის შესახებ, საქ. საბ. მუზეუმის ეთნ. განყ. არქივი); შდრ. Б. А. Колчин, Черная металлургия и металлообработка в древней Руси. М., 1953, გვ. 48—52).

²⁸ მეფე ვახტანგ VI ზემო დასახელებული წიგნი, გვ. 10.



სავით, როსაც რკინა გაახურო, ეს წამლები ზედ დააყარო სახის ბეჭდად უნდოდეს იმ დროს დაბეჭდო დაახნდების. ისევე რკინა კიდევ გაახურვო იმავე წამლითა და ჩილიდონიას წვენში, რომელ არს ქრისტესისხლა²⁹, უნდა ჩაუშვა. ჩილიდონია ძირიანფოჩიანად უნდა იყოს. ეს ჩილიდონია ასრე უნდა მოადულო რომ სამი წილისაგან ერთი დარჩეს. მერმე ამაში ცხარი ძმარი გაურრო. რამდენჯერაც გახურვებული რკინას ჩაუშვებ უფრო გაფოლადდება“ (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი—Sd:3721, გვ. 55, § 249, 250) „...მეორე რიგი: ზეთის ხილის ზეთი და წყალი სწორად ჰქენ და გახურვებული რკინა ამაში აწრთვე და თუ ერკემლის (ფარის მძლოლი ვაცი) სისხლსაც გაურრევ უფრო გამაგრდება. მესამე რიგი: დანაყილი მარილი და მაშისი ჭლანის დამწვრის ნაცარი თხის რქა ნამწვი დაქლობული, შაბმარილა დანაყილი და ჭიჭა დანაყილი ეს წამლები სულ სწორი ჰქენ და რკინა შარდით დაასველე და ეს წამლები ზედ დააყარე მერმე ცეცხლში შედევე და გაახურვე. და კიდევ მეოთხე რიგი: რკინა კარგად გაახურვე და ქათმის ქონი წასცხე და ისე გააცივე“ (იქვე, გვ. 56).

ამ მიმართულებით აღსანიშნავია „ცვილი“. იგი საწრთობ ნივთიერებათა შორის და საერთოდ მელითონეობის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, როგორც ამას მართებულად აღნიშნავს ალ. რობაქიძე³⁰. წრთობის დიდი მნიშველობა, რკინის დაყენების საქმეში ცნობილი იყო ძველადაც. ამ გარემოებას ხაზს უსვამს კაი პლინი სეკუნდი. რომლის მიხედვითაც — რკინათა შორის სხვაობა მრავალრიცხოვანია. მისი აზრით, ეს დამოკიდებულია, პირველყოვლისა, მიწისა და ჰაერისაგან. ზოგი მიწა იძლევა ლბილ, ტყვიის მსგავს რკინას, ზოგი კიდევ ფხვიერსა და ფიცხეს. ეს უკანასკნელი რკინა უვარგისია ბორბლებისა და ლურსმნებისათვის, ამიტომ უნდა ვერიდოთ მას. ამ საქმეში პირველია გამოსადეგი. ერ-

²⁹ „ქრისტესისხლა — მცენარე (საბა). საბას თავის ლექსიკონში სახელა ჩილიდონია დასახელებული არა აქვს.

³⁰ ალ. რობაქიძე. მეფეტვრეობის ისტორიისათვის. თბ. 1960. მკვლევარს, აღნიშნულ ნაშრომში, ერთ-ერთ ძირითად დებულებად წამოყენებული და, საფუძვლიანად დასაბუთებული აქვს ფურკრის ცვლის როლი და მნიშვნელობა ძველი ქართული მელითონეობის საქმეში. ავტორის დასკვნების საფუძვლიანობას ამ მხრე სენათის ეპოგრაფიულ ყოფაში (დამოუშვებელი, მკვლელობაში ცვლის გამოყენების კონკრეტული ფაქტებიც ადასტურებს.



თი ჯურის რკინა კარგია ფეხსაცმლის საძირედ (იგულისხმება ნაწილობრივად დაკვრა — ნ. რ.), ზოგიერთი რკინა მალე იყინება (ყველაზე მეტი რკინა სხვაობები საერთო სახელით „სტრიკტურებად“ „Stricturae-დ“ იწოდება, რაც გროსეს და გარდუნის მიერ მოცემული განმარტებებით უნდა ნიშნავდეს „მოქნილს“, კვერვით დარბილებულს — A. Strigenda acie“-ს. ზოგიერთიდან გამოიღობა ფოლადი (სქოლიოში ეს განმარტებულია — Nucleus ferri, сталь, u nemcev — Kerneisen), იგი იხმარება გამჭრელი იარაღის გასამაგრებლად; ზოგან კიდევ სქელი გრდემლების გასაჭედად. უმთავრესი განსხვავება წყლისაგან წარმოსდგება, რომელშიაც გახურებულ რკინას უშვებენ-ო³¹

ამგვარად, რკინის მიმართ წრთობის გავლენა, რაც ქართულ ხალხურ მკედლობას გადაწყვეტი მნიშვნელობისად მიაჩნია, ცნობილი ყოფილა სხვა ხალხების მელითონეობაშიც. კერძოდ, იგი შეუნიშნავთ ძველ ბერძნებს, რომელთაც მკიდრო ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა ჰქონდათ ჩვენს ქვეყანასთან.

პლინის ეს საყურადღებო ცნობები მრავალმხრივ საინტერესო ფაქტებზე მიუთითებს და საგულისხმო მასალეს გვაწვდის ძველი მეტალურგიის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მითითება იმის შესახებ, რომ ზოგიერთი ადგილის რკინის მადნიდან პირდაპირ ფოლადი გამოდის, ზოგი ადგილისა კი ლბილი, ან ფიცხი და ფშვანდი რკინა.

ცნობილია, რომ ქართულმა ხალხურმა მკედლობამ დღემდე შემოინახა ბევრი ისეთი წესი და გამოცდილება ლითონთა დამორჩილების საქმეში, რომელთაც ღრმა წარსულში უდგია ფეხი. რკინის შემზადებისა და დამუშავების მაღალი ხერხები, — მადნეულის ამოცნობა, შერჩევა, რკინად დაწურვა, მომწიფება, კვერვა და წრთობის ნაირი სახის წესი, დამაჯერებლად ასახავს ძველი ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის ცხოველყოფელ შრომითი ჩვევებსა და საწარმოო გამოცდილებას მელითონეობის დარგში. ქართული ეთნოგრაფიული გარემო იცნობს ლბილსა და მაგარ რკინას, ისევე, როგორც ზოგიერთი რკინის მადნიდან ფოლადის მიღებას. განსაკუთრებით საგულისხმოა ფოლადის მიღების ერთმაგი წესი, რომელიც

³¹ Как Плини Секунд, даსახ. ნაშრომი, გვ. 133.



მიღებული იყო რაჭის სარკინეთში გასული საუკუნის 80-იან წლებამდე. ამ დროს, „რკინის კაცები“, ადგილობრივი „წედველი ფოლადის“ მიღებას პირდაპირ რკინის მადნიდან აწარმოებდნენ³². ბევრის მანიშნებელია ამ მხრივ რკინის სვანური სახელი — „ჭნარ“ (რბილი რკინა), „ბერეჯ“ (საერთოდ რკინა), მთიულეთში დარჩენილი სახელი — ჭანარი რკინა და სხვა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს უკანასკნელი ტერმინი გენეტურად უკავშირდება მელითონეობით განთქმულ საქართველოს ძველ კუთხეს — ჭანეთს.

ადვილი საფიქრებელია, რომ ისევე როგორც ფოლადის ბერძნული სახელი — „ხალვბდიკოს“ უკავშირდება ერთ-ერთ სამხრეთ საქართველოს მობინადრე ქართველი ტომის — ხალიბების სახელს³³, ასევე, ლბილი, ანუ საჭედავი რკინის სვანური სახელი — „ჭნარ“-ი და ჭვების მეგრული სახელი — „ჭანერი“, ჭანების ტომთანაა დაკავშირებული, როგორც ამას ამ სიტყვების ეტიმოლოგია მოწმობს. X

დიდად საყურადღებოა და თავისებურად გამოიყურება ვახტანგ მეფის ხსენებული ნაშრომის მიხედვით, ის ტექნიკური ხერხი და მოწყობილობა, რომელსაც მიმართავდნენ ხოლმე მაღალი ხარისხის რკინისა და ფოლადის მისაღებად. მხედველობაში გვაქვს წყლით წრთობის წინა საფეხური — „რკინის გამოცხობა“ დაგმანულ რკინის კოლოფში³⁴. — ამისათვის იღებდნენ ლანჩის ტყავის ნაცარს, რომელსაც ყრიდნენ ლითონის დახურულ ყუთში. მასში ფლავდნენ საწრთობ საგნებს, რამდენიც მოთავსდებოდა. შემდეგ დაგმანავდნენ კოლოფს და ჩადგამდნენ ცეცხლში. ახურებდნენ მანამდე, ვიდრე ყუთიდან ნაპერწკლები არ იწყებდა ცვენას. შემდეგ გამოკრეფდნენ იქიდან ამ ნივთებს და ახლა მათ წყალში აწრთობდნენ მეორედ.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს წესი ჩვენთვის დღემდე ცნობილია არ იყო. ამჟამად, კითხვა იბადება, რამდენად შესაძლებელი იყო მისი პრაქტიკულად გატარება, ან ნამდვილად იყო. თუ არა ეს წესი ქართულ მელითონეობის სინამდვილეში დანერგილი, და თუ იყო

³² ნ. რეხვიაშვილი, წედური ფოლადი, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, ტ. IV, 1943, № 8, გვ. 829—831.

³³ იხ. აკად. ივ. ჭავჭავაძის შრომა, ქართველი ერის ისტორია, წიგ. IV, 1928, გვ. 21. შდრ. ფოლადის აღმნიშვნელი სომხური ტერმინი — „ჩალიგ“, რომელიც ფონეტიკურად ახლო ღვას ეთნიურ სახელ — „ჭინიგ“-თან.

³⁴ ვახტანგ VI, დსახ. I ნაშრომი, გვ. 15.



რა კონკრეტულ ვითარებასა და პირობებში გამოიყენებოდა ეკი? ცხადია, ხსენებული წესის ცხოვრებაში გატარება რთულ ნაგებობაა და სპეციალურ აღჭურვილობას მოითხოვდა. ამიტომ მისი ფართო გამოყენება პრაქტიკულად მოუხერხებელი იყო. მეორე მხრით, რკინის კოლოფები ისეთი სიდიდისა, რომ მასში დიდი ზომის საბრძოლო, თუ სამეურნეო ხასიათის „ხელაღი“ მოთავსებულნიყო, ძნელი გასაკეთებელი და სახმარი იქნებოდა ხალხურ წარმოებაში³⁵.

ეს გარემოება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს პრინციპულად იმის შესაძლებლობას, რომ მსგავსი სამჭედლო-საწრთობი მოწყობილობა არ უნდა ჰქონოდა რომელიმე შეძლებულ ფეოდალს და სახელმწიფო დაწესებულებას. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს წესი გამოიყენებოდა საგანგებო ხასიათისა და დანიშნულების, კერძოდ, მომცრო ნივთების — სამართებლების, დანების, საღვისების, ნემსების, ისრებისა და სხვა მისთანათა დამზადებისათვის. რაც შეეხება ჭერმეტულად დახურულ ჭურჭელში მოქცევას საერთოდ, ქართულმა ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ ზოგიერთი ამ მხრით საყურადღებო ფაქტები შემოგვინახა. მხედველობაში გვაქვს დახურულ თიხის ქოთნებში მალამოსა და კევის გამოხდის ორიგინალური ხერხები, სადაც ხალხის გონებრივი მიმხედარობა და ღრმა დაკვირვება წარმოვედგება. მაგალითისათვის დავასახელებთ ერთ ფაქტს — კევის გამოხდის პროცესს: არყის ხეს უტოტებო ადგილას ტანზე გახდიან ქერქს. შემდეგ ამ ქერქს მჭრელი დანით, გარედან დაფხეკენ ლაქებისა და ხის „კორფლისაგან“. გააცლიან ზედა თხელ ფენას — კანს და მას წვრილად დაჭრიან. დაჭრილ არყის კანს თიხის მაღალყელიან დოქში ჩაყრიან სისავსით. დოქს ფსკერი დახვრეტილი აქვს მრგვალად, ნახვრეტები განლაგებულია კონცენტრული სახით. ამ სახით გამზადებულ თიხის დოქს ძირით ჩადგამენ შესაბამ თიხისავე ღრმა თასში, ისე რომ დოქის ფსკერი და თასის გულს შორის საკმაო ცარიელი ადგილი დარჩეს. შემდეგ, ჩადგმის, ანუ გადაბმის ადგილს გარშემო აყალიბებენ შე-

³⁵ ბ. კოლინი, ზემოთდასახელებულ თავის საყურადღებო გამოკვლევაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ წესით, ფოლადის მიღების შესახებ ძველად რუსეთში არც წერილობითი და არც არქეოლოგიური მასალა არაფერს იუწყება, რაც იმის მომასწავებელია, რომ ამ რთული და დიდი შრომატევადი სამუშაოს არ იყენებდნენ, უფრო მიმართავდნენ ისინი მარტივ ხერხს—დანახშირებასა და მჭედლორი შედელების წესს-ო.



მოლესავენ და მკიდროდ დაგმანავენ. აიღებენ და დოქს მუკოლსაჲ
 ძირამდე დაფლავენ მიწაში, ისე რომ თასი მთლიანად მიწაში
 ცეული. ამის მერე დოქს გარშემო ცეცხლს შემოუნთებენ და აც-
 ლიან, ვიდრე შიგ მოთავსებული არყის კანისაგან შავი სითხე არ
 ჩამოიღვენთება და იგი ძირშედგმულ თასში არ ჩაიღვრება. ამას
 კევის გამომხდელნი გამოიცილობენ ხოლმე წვერ წამახული წვრილი
 ჯოხით, რომელსაც დოქის ყელიდან ჩაყოფენ და აიღებენ „კა-
 შნიკს“ (სინჯს). თუ კევი „მოსულია“, გამოხდა დასრულებულად
 ითვლება. ცეცხლს გაანელებენ, შელესილ მიწას სიფრთხილით შე-
 მოაცლიან და დოქს ამოიღებენ თასიდან („ყურიაან“, რაჭ., ლუჯე-
 ლი, მეგრ., კვანწია, იმერ.) და თასში ჩამდგარ ცხელი კევის ნა-
 დნობს თუ ზამთარია თოვლში ჩაასხამენ და გაცივების შემდეგ კა-
 კლის სიმსხო ბურთულებად შექმნიან. იგი ძალზე შავია, სასიამოვნო
 გემო და სუნი აქვს და თითქმის არ „ბერდება“ პირში ღეჭვის
 დროს. შემჩნეულია მისგან სასარგებლო თვისებები, კბილ-ღძლით
 იცავს და ათეთრებს, გამონაყოფი წვენი ნერწყვთან ერთად კუჭს
 უხდება. ყელს არბილებს და „საყვიარს“ (სახმო სიმებს) ზარივით
 აწვრილებს³⁶. ამ უბრალო, მაგრამ თავისებური წესის აქ მოტანა
 იმისათვის დაგვიჭირდა, რომ გვეჩვენებინა ქართველი ხალხის ყო-
 ფასა და წეს-ჩვევებში შემონახული ზოგიერთი ძველი ჩვეულებ-
 ა, რომელიც შეიძლება ეხმაურებოდეს ზემოხსენებულ ვახტანგ
 მეფის მიერ აღწერილ რკინეული ნივთების, წრთობის წინ, „გამო-
 ცხობის“ დახურულ პროცესს.

ვახტანგს, აგრეთვე, დასახელებული აქვს სხვა საგნები წრთო-
 ბის ამ მეთოდის შესასვებად. ასეთებია: დაფხეკილი რქა, ძმარი, მა-
 გნიტის ქვა, ანთიმონი და განსაკუთრებით მცენარეულის — ჩილი-
 დონიას წვენი, რომელიც მისი ჩვენებით, კარგად მოქმედებს
 დაფოლადების პროცესზე. ამ შემთხვევაში, ზოგიერთი მათგანი —
 რქა³⁷, ანთიმონი, მაგნიტის ქვა, გარკვეული პროპორციით შეზავე-

³⁶ იხ. ნ. რეხვიაშვილის ეთნოგრაფიული მასალები რაქის შესახებ (ხელნაწერი) № 17, გვ. 15.

³⁷ კოლჩინის მიხედვით, XVIII, XIX სს. მთელ ავტობაში ფართოდ ყოფი-
 ლა მიღებული ორგანული ნივთიერების — ტყავი, რქები, ჩლიქების გამოყე-
 ნება რკინეული საგნების დამზადების საქმეში. ამისათვის რკინეულს ახვედნენ
 ორგანულ ნივთიერების ფხვნილში და შსს სამჭედლო ქურაში აფიცებდნენ
 (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 53—55).



ბული ფხვიერი სახით დაეყრება გახურებულ რკინას და როდესაც „შეირგებს“ მას, მერე იწრთობა წყლით.

საინტერესოა კერძოდ, ვახტანგ მეფის მეორე მეთოდიც რკინის წრთობისათვის, სახელდობრ, მაწრთობელ საშუალებად ზეთისხილის ზეთისა და წყლის ნაზავის გამოყენება. განსაკუთრებით კი მასში „ერკემლის“ სისხლის გარევა, რკინის უკეთ გამაგრების მიზნით. ვახტანგი ასახელებს მესამე ხერხსაც, რომლის მიხედვითაც საწრთობად გამოიყენება აგრეთვე შემდეგი „წამლები“: თხის რქა (ნამწვი) დაფხეკილი, შაბმარილი დანაყილი, კიქა დანაყილი და სხვა. შარდით. დასველებულ რკინაზე დაეყრება თანაბარი რაოდენობით შეზავებული ეს ნივთიერება. ამასთანავე, დასახელებულია მეოთხე რიგის მასალაც — ქათმის ქონი, რომელიც გახურებულ რკინას უნდა წაეცხოს და „შეაცივდეს“ მას.

ჩვენ სხვა ვითარებასთან დაკავშირებით აღნიშნული გვაქვს, რომ ქართულ ხალხურ მკედლობაში გამოყენებული იყო ბევრი ისეთი ტექნიკური წესი, რომელთა შემუშავება მხოლოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე შეიძლებოდა. უუპველია, ვახტანგ მეფის მიერ დასახელებულ შემოხსენებულ წესებსა და ხალხურს შორის. თუ არა სრული იგივეობა, დიდი მსგავსება არსებობს, როგორც ტექნიკური ხერხების მიხედვით, ისე საწრთობად სახმარი მასალითა თვალსაზრისით. მართალია, ვახტანგისეულ რეცეპტურაში მოიპოვება ზოგიერთი უცხო და ჩვენთვის უცნობი ხასიათის საგნები, მაგრამ ეს მხოლოდ შედარებითია. ვანა ხალხური ხერხები და მეთოდები ყველა გვაქვს ამოწყული³⁸? რასაკვირველია, არა ამ მიმართულებით, საინტერესოდ გამოიყურება საკითხი ვახტანგისეული მასალისა და ხალხურის დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ ვიდრე ვახტანგის ცნობების წარმომავლობისა და სადაურობის ვითარება არ იქნება გარკვეული, ეს საკითხი ღიად დარჩება. მიუხედავად ამისა, მეფე ვახტანგის მიერ ამ საკითხებით დაინტერესება შემთხვევითი არ

³⁸ ნათუ ახლანაწრთობი ხელადის გამოსაშუშებლად და „ოფლის მოხადუნად“ ქათმი შენახვის წესი, საკვირველი მიმხედრობისა და ღრმა დაკვირვების შედეგს არ წარმოადგენს? რამდენი ასეთი საინტერესო ხერხი და საშუალებაა ჯერ კიდევ მიუგველი. ვანა ეს მიღწევანი ერთი და ორი თაობის ნამოღვაწარია?..



უნდა იყოს. იგი უნდა მოასწავებდეს! აელითობეობის განვითარებისათვის სახელმწიფოს მესვეურთა ზრუნვას.

ამრიგად, წრთობის საკითხი ქართულ ხალხურ მეტალურგიაში ითვლება ძირეული ხასიათის ზემოქმედებად რკინის დაყენების საქმეში. წრთობის საშუალებით შეიძლება ტანის სიმტკიცე და „ფხა-ალმასი“ მიეცეს რკინის ხელადს. იგი, საყოველთაოდ ნიშნავს საგნის გაწაფვას და სასურველ სიმაგრეზე დაყენებას. გარეგნულად ეს პროცესი სრულდება შემდეგი სახით: საწრთობი ნივთი, საჭიროა გარკვეულ ზღვრამდე გახურდეს, შემდეგ მას სწრაფად ჩაყოფენ მაწრთობელ სითხეში, განსაზღვრულ დრომდე, რათა „დაწდეს“, დახალისდეს ტანი მისი. ამ დროს, გავარვარებული რკინა ვაფუებულ გულზე ცივი წყლის დაცემისაგან გაქრიალდება ტანში, ამის შედეგად საწრთობი სხეული უცბად „შედგება“ და გაიწაფება. საყურადღებოა, რომ რკინის მოხელეთა მიერ წრთობის სინონიმად იხმარება: „წყლის მოკიდება“, „წყლის დაღვეინება“, „წყლის მოცემა“, „წყლის დაცემა“, „წყაროში გეშქუმალა“ (მეგრ.), „ლიფრე“ (სვან.), „აძრ ურა“ (აფხაზ.), „ჰიმჟე (ავარ.), „სუფვერმი ახ“ „სულრმაა“ (აზერბაიჯ.) და სხვა.

ჩვეულებრივად, რკინეულის საწრთობად მიღებულია თხიერი ნივთიერება უმთავრესად წყალი. აგრეთვე ზეთი, ქონი, ცვილი³⁹; იშვიათად — შარდი, სისხლი, ნავთი და სხვა. საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ცნობილია ამასთანავე ცხელი ნაცრიო და პაერით წრთობაც. საქართველოს ცალკეულ კუთხეებში წრთობას მიმართავდნენ არა მარტო მამინ, როდესაც სურდათ ხელადის ტანის გამტკიცება, გამაგრება, არამედ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც უნდოდათ მაგარი და მყიფე რკინეულის მოქნა და დარბილება.

ამგვარად, წრთობა, ქართველი მკედლების შეხედულებით, წარმოადგენს რკინის დამორჩილების მნიშვნელოვან წესს, რომლის მეოხებითაც სწარმოებს ხელადის შინაგანი თვისებების გაუმჯობესება — „ზნისცვლა“.

ხანგრძლივი და ინტენსიური საწარმოო პრაქტიკის საფუძველზე ქართულმა ხალხურმა მკედლობამ შეიმუშავა და გამოკვეთა ნაირი სახის წრთობის წესი და თავისებური ხერხი. ამ მიმართებით

³⁹ ცვილი, როგორც ზემოთაც ითქვა, მეტალურგიაში გამოიყენებოდა ჩამოსასხმელის მოდელად (მდრ. ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 130, ტაბ. VIII, ქალის გამოსახულება).



უაღრესად საგულისხმოა ის სანიშნოები, რომელთაც იყენებდნენ წრთობისას, რკინის ხელადის „დასაყენებლად“: ასეთი იყო, მაგალითად, საგნის ნაწრთობ ადგილზე გაჩენილი რომელიმე ფერ, ანუ „წყალი“.. „თეთრი“, „ლურჯი“, „ყვითელი“. პირველი ფერი მიჩნეული იყო მომეტებული სიმაგრის ნიშნად, მეორე — სირბილის, ხოლო მესამე — ზომიერების. გარდა ამ სამი ძირითადი „ფერისა“, ანუ „წყლისა“, არსებობდა მთელი რიგი გარდამავალი და უფრო ზუსტ ფერთა მაჩვენებელი რკინის „მოყვანის“ დასადგენად. განსაკუთრებით რკინის ზომიერად დაყენებისათვის ნიშანდობლივი სანიშნო იყო: ოქროსფერი (ქართლი, რაჭა), ბზიკის ფერი (გურია), მარწყვის ფერი (სვან.), ხორბლის, ან ღვიძლის ფერი (კახეთი), თაფლისფერი (სამეგრ.), ვარდის ფერი (აფხაზ.), მერცხლის კუდის ფერი (მესხ.). ამასთანავე, მაწრთობელი წყლის ხასიათსა და ტემპერატურას უდიდესი მნიშვნელობა ეძლეოდა. წმინდა და ცივი წყალი სიმაგრის, სიფიცხის მომნიჭებელი იყო, თბილი და მღვრიე სირბილე-ღუნვადობის.

როგორც ზემოთაც ითქვა, ხალხური მკედლეების მიხედვით წრთობა ნიშნავს მხურვალე, გაფიცხებული რკინის „დარწყულებას“, „წყლის დაცემას“, „გახურებულ გულზე“ ცივი წყლის დაცემით საწრთობი ნივთის „გაქვრივებას ტანში“ და გულიდან „ზადის“ გარეთ გამოტანას. საყურადღებოა, რომ წყლისა, ან სხვა რომელიმე ნივთიერების საშუალებით სწარმოებს არა მარტო ლითონის ხელადის წრთობა, არამედ ხისა, რქისა და სხვა მასალისაგან დამზადებული საგნების „გაწაფვა“, რისთვისაც მათ „აჯერებენ“ სხვადასხვა ტემპერატურის წყლით, ან სხვა ნივთიერებით. კიდევ უფრო საინტერესოა ის გარემოება, რომ გურია-სამეგრელოსა და აფხაზეთში სამარულე ცხენის „გაწაფვა“ (გოწარფუა, მეგრ.) სწორედ ცივი წყლის საშუალებით იცაიან. ამისათვის გასაწაფავი ცხენი 15 დღის განმავლობაში ყოველდღიურად შეყავთ მორევში, მუცლამდე მწვედომ წყალში და განსაზღვრულ დრომდე აჩერებენ მასში. ამის შედეგად „წდება“, იწმინდება მისი გვამი მიწიდან და უსარგებლო სისხლ-ხორცისაგან, იწაფება და მკვრივდება მისი სხეული.

წრთობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რკინის „დაყენების“ საქმეში ხაზს უსვამს, როგორც ითქვა, ანტიკური ხანის მწერალი კაი პლინი სეკუნდი ნაშრომში — *Historia Naturalis* -ში.



იგი მიუთითებს, რომ რკინის ხარისხი და მათ შორის განსხვავებული უმთავრესად, წყლისაგან წარმოსდგება, რომელშიაც მხურვალი ნაწილია ნას აწრობენ ხოლმე⁴⁰.

ქართული მკვდლების დაკვირვებით, სხვადასხვა ფოლადის განსხვავებული წრთობა უნდა — იგი თვითონ აჩვენებს თავის თავს. ზოგი ლურჯ ფერს მიიღებს, ზოგიერთი — კვერცხისგულივით „მო-რქვევა“, ან სულ შავად დარჩება. ეს მკვდელმა უნდა შეატყოს. საერთოდ კი, რკინაც არაყივით პირველი ჯობია (მეჯვრისხევი ვ. მაზანაშვილი).

წრთობის უდიდესი მნიშვნელობა რკინის ხელადის „შერიგისად დაყენებისათვის“ ოდიდანვე ღრმად შეუგნია ქართველ ხალხს და ეს შეხედულება აღუბეჭდია სხვადასხვა თქმულებების სახით. ხევსურული თქმულების მიხედვით ამირანი რომ „მოიყარა“, დევებთან საბრძოლველად გაემზადა, გააწყო საჭურველი თვისი. საგანგებოდ აწრთვეს ხმალი მისი შარდში, ხოლო გაჭირვების ეამს საქმარი, სამოგვის ყელში ჩასადები დანა, რომელსაც პირი აღმასისა ჰქონდა, „სანთლასა ცვილში“. ასე „საგულდაგულოდ“ ნაწრთობი „საჭურვლით“, „შემუზარადებული“ ამირანი ჯობნის თვით კამარის მამას, რომელსაც თავზე დარქმული აქვს სიპი ქვის დოლაბი⁴¹.

ამირანის ხმალს პირი აღმასისა და ტანი „უწყვეტი“ ფოლადისა აქვს. რამდენსაც შემოკრავს მოპირდაპირეს, ხმალი დოლაბსა ხვდება და მხოლოდ ნაპერწყლები სცვივა მისგან. ხმალი მაინც სალი რჩება, იგი ხომ „მჭკნარი“ ფოლადისაა, შერიგისად „ნაწრთობი“. როდესაც ამირანის ხმალი იწრთობოდა, ცა და ქვეყანა ირყეოდა: „მამინ სად იყავ ძმავ, ბადრი, როს ჩემი ხმალი წვლთებოდა. ცა ქუხდა, მიწა იძვროდა, სამკვდლო ექანებოდა; მკვდელი მემკვდურენი დედა — ბოძს ეტოლებოდა“ — ⁴². — აუბნება ამირანი ბადრის. მეორე შემთხვევაში. როდესაც ამირანი გადაყლაპა შავმა ვეშაპმა, ბადრიმ ჩასძახა მუცლად მყოფ ამირანს „წესია დარეჯანელთა ჯიბეს ჩადება დანისა; ამოღება და გაკაფვა შავი გველისა ტანისა“. ამირა-

⁴⁰ Естественная история ископаемых тел, Кая Плиния Секунда СПб 1819, გვ. 133.

⁴¹ შტრ. თუშ-ხევსურული კოხი, ანუ ბასრი (მთიულეთი), გოხი, ანუ კოხი, შავარი ჯიშის ქვეები, რომელთაც ხმარობენ ხელსაწვევებად და წისქვილის ქვეებად (იხ. ვ. ბოკორიძე, შინამრეწველობის მასალები, გვ. 80).

⁴² მასალა ჩაწერილია ჩემს მიერ 1942 წელს, ხევსურეთში, ს. აკუშოში 102 წ. შოხუცისაგან (იხ. ჩატული ფოლკლორი, ხელნაწერი, ნ. რეხვიანაშვილის მასალებიდან).



ნი მიხვდა ბადრის ნათქვამის აზრს. ჩაიყო ხელი სამოგვეშინაში და წავადა ალმასის დანა, გააპო მით ძნელად საკვეთი გველის სურვილი და გამოვიდა იქიდან. ამ მიმართებით საყურადღებოა აგრეთვე

თქმულება — მჭედელ გიორგი ბახტურიძის შესახებ. გიორგი ბახტურიძე ყოფილა ნაქები რკინის მოხელე მთელ რაქაში. განსაკუთრებით, მისი ნახელავი გამჭრელი რკინა: ხმალი, სატევარი, დანა და სხვა არაჩვეულებრივი მკვეთელობითა და მოქნილობით გამოირჩეოდა. გიორგის გაჭედილი ხმალი, მაღლა აგდებულ ბეწვს ორად ჭრიდა და ჰაერშივე თურმე, ასევე, ობობას ქსელს ისე გაკვეთდა შუაზე, რომ კიდევებს ხმლის ჩამოსმა არ შეემჩნეოდა. მისი ნაქმნარი „ხელადის“ ეს სიმარჯვე უფრო თავისებური წრთობის შედეგი იყო. გიორგის ნამოსახლარსა და სამჭედლოს ნასადგურებს ახლაც მიუთითებენ სახელდებულად. იგი არ მარტო განთქმული მჭედელი — დიდებული მომღერალი და ჩანგის დამკვრელი ყოფილა. ერთხელ მისთვის ვინმე თავადს ხმლის გაჭედვა დაუვალეზბია. გიორგის აღსრულებია მისი დავალეზა და გაუჭედია მისთვის ხმალი. თავადი რომ მოსულა ხმლის წასაღებად, უცდია მისი „მკვეთელობა“ და „ჩანის მოქნილობა“. არ მოსწონებია, უთქვამს: „უკეთესზე უკეთესი“ უნდა იყოსო და ახალი ხმლის გაჭედვა დაუვალეზბია. განარისნებულ გიორგის მართლა გაუჭედია ახალი ხმალი, რომელიც საგანგებოდ უწრთობა ჯერ რკინის შრატში, ხოლო შემდეგ ცვილით. თავადს კვლავ მოუსურვებია მისი გამოცდა და ყოველმხრივი შემოწმება. ახლა კი ველარ მოუთმენია მჭედელს და უთქვამს: აბა თუ არ გჯერათ. მე ბეწვს მაღლა ავაგდებ და თუ იგი ამ ხმლით შუაზე ვერ გადაეწვივითე, ხელს ავიღებ ხელობაზეო. ააგდეს მაღლა ბეწვი. მჭედელმა იგი მართლა გაწვივითა ორად. მაგრამ თავადის „მტრულობით“ აღშფოთებულმა, მასთან ერთად, მოქნიული ხმალი მაღლა „აყინჩულ“ თავადის კისერს ისე სწრაფად შემოჰკრა, რომ თავწაცილი სხეული ერთხანს ბოძივით იდგა ზეზე. ამ შემთხვევის შემდეგ გიორგიმ უთხრა ახალ შერთულ ცოლს და დედას — თქვენ ხომ იცით, აწი რაქას აღარ მედგომება. წავალ, სადმე გადავიყარებო. — ადგა იგი და დვალეთს გადიშალა, იქ იწყო მჭედლობა. გავიდა დრო და ეამი. გიორგის მოენატრა თავისი კუთხე. იფიქრა: ახლა უთუოდ აღარავის ვემახსოვრები, წავალ ეგების ცოლი და დედა ცოცხალი ვნასოვო. ასეც მოიქცა. სიფრთხილსათვის ძონძები გადაიკვა გარედ და იმ დროს შიადვა თავის სახლს, როდესაც მისი ცოლი სხვა-



ზე გათხოვილიყო, ქმრის უიმედო ლოდინის შემდეგ დედაშვილებს
რჩევით. სახლში მეფიონი და ქალის მამები წესისამებრ იმდენი
ქორწილს. ჯვარდაწერილი მეფე-დედოფალი სუფრად ისხდნენ. სა-
ერთო მხიარულების ჟამს, ერთმა მამამა იქვე კედელზე ჩამოკ-
დებული „ჩანგი“ ჩამოხსნა. მაგრამ ჩანგის ამწყობი და დამკვრე-
ლი არავინ აღმოჩნდა. მაშინ კუთხეში მაგდებით მყოფმა გიორგიმ
მოინდომა მისი დაკვრა. ყველას გაეცინა ამაზე. გიორგიმ ჩანგი ააწყო,
ჩამოკრა სიმებს და აღიღინდა იგი. შემდეგ ნაღვლიანი კილოთი და-
ამღერა შემდეგი ლექსი:

„მე, გიორგი ბახტურიძე, დაბადებიდან მქვიანო. ცოლის გვირგვინს
მოვესწარი, ბედი ამასა ჰქვიანო. წუთისოფლად კაცის სისხლი,
არავის

შერჩენიაო. ადუ, მეფევე! გარეთ გადი, დედოფალი ჩვენიაო!“ ეს
რომ დაამთავრა, გადიძრო ძონძები, იძრო ხმალი და ზედ მეფიონის
წინ დაასვა შემდეგი სიტყვებით: „მოყვრად, თუ მტრად“-ო. —მო-
ყვრადო — იყო პასუხი. ამის შემდეგ ლხინი გაგრძელდა და ქალი
გიორგისავე დარჩა.

რკინის დამორჩილების საწარმოო ცოდნის საფუძველზე შეი-
ქმნა შესაძლებელი დაეძლიათ რკინის ისეთი სახეების შემუშავება,
როგორცაა: „ნანაჰი რკინა“, „ნაჰი რკინა“ და სხვა. როგორც ცნო-
ბილია, რკინის ხელადის დამზადება სწარმოებდა მადნეულიდან
მიღებული რკინის მასალით. ამასთანავე საქართველოს ეთნოგრა-
ფიულ ყოფაში ქართველი მკედლები ძველად იყენებდნენ ნახმარი
რკინეულისგან დამზადებულ რკინას, რომელსაც ნანაჰი რკინა, ან
კიდევ — „ნაჰი რკინა“ და ლამფარა ეწოდებოდა. ძველი, ნახმარი
რკინეული, რომელიც უკვე ველარ ასრულებდა თავის ფუნქციას
და ხმარებიდან გასული იყო, გამოიყენებოდა ორგვარი დანიშნუ-
ლებით: სამასალე ნედლეულად („ანჯარი“) და ხელადის განსაახ-
ლებლად. განსაკუთრებით, უკანასკნელ ხანებში, როდესაც რკინა-
ზე მოთხოვნილება მოსახლეობაში გაიზარდა და ახალი რკინის სა-
კმაო რაოდენობით შემოტანა გაძნელდა, მკედლებმა ხელი მიყვეს
ძველი რკინეულის ხელახლად გადადნობასა და გადაკეთებას. პირ-
დაპირი ცნობების უქონლობის გამო ძნელია იმის თქმა თუ რა ვი-
თარება იყო ამ მხრით წარსულში. ზოგიერთი მონაცემების საფუ-
ძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მოვლენა როგორც მომ-
ჭირნობისა და დაზოგვის ერთგვარი საშუალება ძველიდანვე უნ-



და ყოფილიყო დანერგილი ცხოვრებაში, **ვი**ნაიდან რკინის საჭიროება და მასზე მოთხოვნილება წარსულში კიდევ უფრო ძნელი და საკმაყოფილებელი საქმე იყო. ამ მიმართულებით, წერილობით წყაროებში ნახსენები „რკინა ჭედლი და უპედველი“ (ათონის აღაპები, 264, 14) უნდა გულისხმობდეს არა მარტო ახალ მასალასა და ნახელავს, არამედ ძველ და ნახმარ რკინეულსა და მისგან გადაკეთებულ ხელადსაც.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ხმარებაში გამომდგარი, ხელმარჯვე და საქმნარს მორგებული რკინის ნივთი, მიუხედავად მისი „მოლევისა“, პატრონისათვის ძნელი გასამეტებელი იყო გადასაგდებად. ან რატომ უნდა გადაეგდო ისეთი ნივთი, რომლის გამოყენება რაიმე სახით — შესაკეთებლად, ან სამასალედ თუ კი შეიძლებოდა?

გფიქრობთ, ამ ნიადაგზე თავიდანვე ახალი ხელადისა და სამისოდ საჭირო, რკინის მასალის დამუშავებასთან ერთად, ყურადღება ექცეოდა ძველი რკინეულის გამოყენებასაც. როგორც მასალად, ისე ხელადის განსაახლებლად. თითქოს, ამგვარი ძველი ტრადიციების გაგრძელების სახით წარმოგვიდგება ძველმანი რკინეულის — „ანჯარის“ გამოყენების ბაზაზე დაარსებული რკინის საგლინავი ქარხანა. 1904 წელს ქ. თბილისში, რომელიც ერთმა ამხანაგობამ ააშენა და აღჭურვა რკინის საგლინავი (железо-прокатный) დანადგარებით. ამისათვის საჭირო ნედლეულს რკინისა და თუჯის ქარის საქართველოშივე აგროვებდნენ. გარდა ამისა, ეკატერინოწლავიდან მოჰქონდათ თუჯის ზოდები. აქ გამოსული ხარისხული (Сортное) რკინა იყიდებოდა ფუთი 7—10 კაპ. იატად რუსეთიდან მოტანილთან შედარებით. მაგრამ 1905 წელს წარმოებულმა გაფიცვებმა ამ ქარხანას არსებობა მოუსპეს. ეს ფაქტი მოწმობს, რომ რკინის წარმოება შეიძლებოდა საკუთარი ან შემოტანილი⁴³ ნედლეულის ბაზაზე.

იმ ჩვენების მიხედვით, რომელსაც ქართველი მკვლელები იძლევიან ამ საკითხის შესახებ, ისე გამოდის თითქოს ძველი რკინეულის — „ანჯარის“ გამოყენება გადასამუშავებლად მხოლოდ რკინის სიძვირით აიხსნებოდეს. სინამდვილეში პირიქით იყო. ჩვენი

⁴³ ალ. ჯ ა ბ ა რ ი, საქართველოს ნედლეული რესურსები, ხელნაწერი, 1924, გვ. 256.



შეხედულებით, აქ სულ სხვა გარემოებასა აქვს ადგილი: ქართველთა
 ლი მოხელეების ამ ნათქვამში არ იგულისხმება საერთოდ მკვლელობა
 სიძვირე, მათი ჩვენებიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ამ
 დროისათვის (იგულისხმება მე-19 ს. 11 ნახ.), შინაური რკინის შოვ-
 ნა, მართლაც ძნელი იყო. მხოლოდ ძველი რკინეულის ბაზაზე, მკედ-
 ლობას საზოგადოების მოთხოვნილების მთლიანად დაკმაყოფილე-
 ბა, რა თქმა უნდა, არ შეეძლო.

როგორც ზემოთაც ითქვა, ძველი რკინეული მხოლოდ დამა-
 ტებითი მასალის როლს ასრულებდა, ისიც, გარკვეულ შემთხვევაში.

ამგვარად, საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, ცასუ-
 ლი საუკუნის მეორე ნახევარში ადგილი ჰქონდა ძველი რკინეუ-
 ლის — „ანჯარის“ შეგროვებას და მის გადამუშავებას. რკინის ან-
 ჯარს მადნეულის წესზე, ჯერ ამტვრევდნენ წვრილად და შემ-
 დეგ ურიგებდნენ საწურ ქურაზე. ურევდნენ მასში გარკვეულ რა-
 ოდენობით რკინა-წიდას, რკინის ქვას და წურავდნენ რკინად. ამ
 სახით მიღებულ რკინას სახელად ეწოდებოდა „ნანაჭი“ რკინა. ამ
 „ლამფარა“⁴⁴. ამ მიზნით რკინის ანჯარს ბევრს შოულობდნენ, გან-
 საკუთრებით ისეთ პუნქტებში, სადაც ინტენსიური რკინის ჰვედ-
 ლობა სწარმოებდა. ასეთები იყო მაგალითად, — ხონი, ჩხარო,
 ცხინვალი, მეჯვრისხევი, თელავი, წნორი, ზუგდიდი, ოხურგეთი,
 ახალციხე, ონი, ცაგერი, ძველი სენაკი და სხვა.

„ნანაჭი“, „ნალფარა || ლაფარა||, ნაფურა რკინა მიიღებოდა
 ძველი რკინეულის გადაწურვის საშუალებით. ტერმინი — „ნანაჭი“
 წარმოადგენს სახელშმნა — „ნაჭვა“ — ანუ „ლაჭვა“-სავან მიღე-
 ბულ მიმღებობას. ლაჭვა, ნაჭვა ნიშნავს გრეხას, ღვლაჭნას. მაგალი-
 თად. იტყვიან — დალოჭვილი ხე (დაგრეხილი, როკიანი ხე). დალო-
 ჭვილი კაცი (მაგრად კოჭლი და გრეხით მოსიარულე), შდრ. ლოჭი-
 ნის ხევი (გეოგრაფიული სახელი თბილისის აღმოსავლეთით მდებარე
 ხევისა, რომელიც ხასიათდება დალოჭვილი, მიხვეულ-მოხვეული
 კალაპოტით). საყურადღებოა, რომ „ლაჭვა“, მეგრულად ნიშნავს
 ცემას, ჩეჩქვას, და ლოჭვა-გრეხით დაბეჭვას, შდრ. „ნაჭა“.
 „ლანჭა“⁴⁵ (საკიდელი, საქვაბე რკინისა, რომელიც გრეხის, ლოჭვის
 ტექნიკითაა შესრულებული). თუ ეს სავარაუდო მოსაზრება საფუ-
 ძველს მოკლებული არ არის, შეიძლება დავუშვათ, რომწინდლეულია

⁴⁴ ვ. ბარდაველიძე, დღიურები, ენციკლ-ს მოამბე ტ. XI, გვ. 155.
⁴⁵ „ნაჭა, ლანჭა“ მეგრულად „ნაერსაც“ ნიშნავს და რკინის საქვაბესაც, ანუ



ხასიათის მიხედვით ქართულ ხალხურ მელითონეობაში არჩეულნი
სამი სახის რკინას: ნაწური რკინა, რომელიც მიიღებოდა მადნიხაგან,
„ნაჭდი“ რკინა, რომელსაც ამზადებდნენ მადნეული რკინის ნარჩენე-
ნებიდან, „ნანაჭი“ რკინა, რომელსაც აკეთებდნენ „ანჯარი“ რკინი-
საგან.

ძველი ქართული ხალხური მელითონეობის კულტურა, რკინის
დამორჩილების საქმეში ყურადღებას იქცევს „ნაჭდი რკინის“
დამზადებითაც. თავის ადგილას ვრცლად ითქვა ქართველ „რკინის-
კაცების“ მიერ რკინის მადნების მოპოვება-დამუშავების ხალხუ-
რი წესების შესახებ. ერთი ფაქტიც უნდა დავასახელოთ მათი ვა-
მოცდილებიდან. ოკრიბასა და წედისში რკინას ამზადებდნენ არა
მარტო ნაირი სახის მადნეულისას. არამედ ნახმარი და რკინის და-
წურვის პროცესში რკინის წიდას განაყოფ წმინდა რკინისას, რომელ-
საც „რლილი“ ეწოდებოდა. რკინის კაცების დაკვირვებით რლილი
რკინა სხვას სჯობდა ხარისხით. იგი უმთავრესად ბურთულუბის სა-
ხით მიყვებოდა ჩონჩხათ დაღვენთალ რკინა-წიდას. იღებდნენ ამ
წიდას „ლილითურთ“, უმატებდნენ მას თუჯის ქვების — ჩონჩხის ნა-
მტვრევებს, ურევდნენ „ფერფლს“ (რკინის ლუგვს რომ ბეგვისაჲ
ცვიოდა ხოლმე) და ასე გაკაზმულს მადნეულის წესით წურავდნენ
რკინად, სადული ქულბაქის საშუალებით. გადადნობას ორ „გზობად“
აწარმოებდნენ. ერთხელ გადამდნარს კარგად შეზულდნენ და ისევ
მიაბრუნებდნენ ბრძმედში. შემდეგ გადმოიღებდნენ კვერ რკინას
და ხელახლა მოთელავდნენ. ამ რკინას ეწოდებოდა „ნაჭდი რკინა“,
ხოლო მიღების პროცესს — „მონაჭდვა“.

რკინეულის წრთობასთან დაკავშირებით თავის ადგილას ვა-
მოვთქვით სავარაუდო მოსაზრება იმის შესახებ, რომ „წრთობა“
არსებითად წარმოადგენს რკინეულის ტანის განმტკიცებას, მკვრი-
ვად შექმნას, რასაც საფუძვლად უდევს ფიზიკის კანონი — ვახუ-
რებული სხეულა სიცივისაგან იკუმშება — გავარჯარებული რკი-

საკიდელს. ადვილი საფიქრებელია, რომ საკიდელის ეს სახელწოდება წარმოსდგა
იქიდან, რომ იგი მკედლის მიერ დამზადებულა „წმინის“, გრეხვის, ლოქვაა
გზით. ასეთი ტექნიკით იჭედებოდა ასტაშის, შამფურის, სამკერეს და სხვა რკი-
ნეულის ნაწილები (შდრ. E. Ларощ, Новая глава в истории древнего ми-
ра, Юнеско Курьер* № 2, 1963, გვ. 20).



ნის გაფუებული სხელი საწრობად ჩაშვებული წყალში
 „შედგება“ და „ფიცხი“ მაგარი ხდება. ეს პროცესი ხალხური მე-
 ხედულებით საერთოდ ნიშნავს „დაწდა-ს“, სხეულისგან ზედმეტი
 სისხლბორცის „გამოყურვას“. „დაწდა“ (დაწრეტა,) რომ სინამდვი-
 ლეში გამოწიფვისა და სხეულის დახალასების მნიშვნელობით ის-
 მარებოდა, შეიძლება დავიმოწმოთ ერთი ადგილი როსტომიანიდან:
 „... აჯის ტახტი მოუჯაზმა. გუნბათშიგან დაასვენა (იგულისხმება
 როსტომის მიერ უნებლიედ შვილის — ზურაბის სასიკვდილოდ და-
 ქრა), პირს ღალია ჩაუყარა. ყური მუშყით გაუტენა, გვერცა უჯდის
 მამა მათი, ღამე ბევრი გაათუნა და ვირე არ დაწმდეს პილოს ძვალ-
 ნი როსტომ ვერვინ ააყენა (იხ. როსტომ-ზურაბიანი, 285, ძველი
 ქართ. ლიტ. ქრესტ. თბ., 1949, სოლ. ყუბანეიშვილის რედ.).

ნაჭდი რკინა, ამ მიმართებით, არ ნიშნავს ნაჭედ რკინას. სა-
 ხელი — „ნაჭდი“. მიღებული უნდა იყოს მიმღეობა — „ნაწილი“-ს,
 ნაწილის ფორმისაგან „ჭ“-ს. „წ“-თ შეცვლის გზით. ამგვარი ახსნა,
 თვით ნაჭდი რკინის მიღების წესს სავესებით რეალურად გამოხა-
 ტავს, ვინაიდან რკინის „მონაჭდვა“ ფაქტიურად წიდიანი რკინის
 გაწმენდას, გამოწიფვას წარმოადგენს... აპრიორი, შეიძლება თვით
 „ჭედვა“ — წედვისაგან გამომავალი სახელი იყოს და გეოგრაფიუ-
 ლი სახელი — წედი, წედისი-ც მას უკავშირდებოდეს.

გარდა ამ ზემოაღნიშნული სახის რკინეულისა, ასახელებენ
 აგრეთვე „ნალფარას“, „ნაფურა“, „ლალფურა“ რკინას. პირველი,
 მთბრობელთა ჩვენებით — ძველი ნალ-ლურსმის გადადნობის
 (იგივე ძველი რკინეული) საფუძველზე მიიღებოდა. ამისათვის დაა-
 ხლოებით 40-მდე ასეთ ნალს ერთიერთმანეთზე დაალაგებდნენ
 მწყრივ ფენებად და სადულ ქურაში ამ სახით შეადულებდნენ. მი-
 ლებულ რკინას დააფორმებდნენ, დააფსტიავებდნენ“ და მას „ფა-
 სტიას“ უწოდებდნენ (მეჭვრისხევი, მჭედელი ნიკა მაზანაშვილი).

ყურადღებას იქცევს ტერმინი — „ნაფურა“, ანუ „ლალფურა“
 რომელიც ასევე რალაც გარკვეული პროცესის შედეგად მიღებულ
 რკინეულს უნდა აღნიშნავდეს, ვინაიდან ორივე სიტყვა მიმღეობის
 ფორმისა ჩანს და თავისი შინაარსით „ნახურებს“, ცეცხლში გაფა-
 ცხებულს, ნამყოფს უნდა აღნიშნავდეს. თუ ამ სიტყვათა ძირი
 „ფურ“ ტოლია „ხურ“-ისა, რომელიც მეგრულ-სვანურში სწორედ
 ნახურებს, განფიცხებულს აღნიშნავს, მაშინ მივიღებთ „ნანაჭი რკი-
 ნის“ ტოლსახელად — „ნალფარას“, „ლალფურასა“ და „ნაფურას“,



რაც ფაქტიურად, ნახურებ, ხმარებაში ნამყოფის მნიშვნელობას იძლევა.

ძველი რკინის ხელადის შეკეთება. რკინის ახალი ხელადის ქედვასთან ერთად ქართული მჭედლები აწარმოებდნენ ძველი ხელადის შეკეთებას. ეს სამუშაო შეიცავდა რამდენიმე სახის საქმნარს: გამოპირვა, გადაბმა, გადაკერება, დასადებლება, მიდულე-ბა, მიმთელემა, გამართვა, დაფოლაღება და სხვა.

ძველი ხელადის შეკეთებას საკმაოდ დიდი ყურადღება ექცეოდა: მუშაობაში გამომდგარი, მაგრამ ხანგრძლივი და ხშირი ხმარების გამო დაბლაგვებული, „დაბოგვრილი“ იარაღი საჭიროებდა შეკეთებას. მემჭედური და მჭედელი ორივე დინტერესებული იყო ამ საქმით. პირველისათვის ეს ერთგვარი ეკონომია იყო, მეორესათვის შემოსავლის გარკვეული წყარო. კერძოდ, გამოპირვას მოითხოვდა განსაკუთრებით მიწის დასამუშავებელი იარაღები: თოხები, წერაქვები, სახნისები, საკვეთლები, ქარჩები; აგრეთვე ქვის საკოდი იარაღები. ეს საქმნარი გულისხმობდა უმთავრესად ხელადის დასქვლებული პირის წაწევას, დათხელებას, წალესვას.

გადაბმა -- იმ შემთხვევაში, თუ ახალი ხელადი გადაუტყდებოდათ, ან კიდე „ხელმარჯვე“ ხელადი გაუცვდებოდათ, ცდილობდნენ მის კვლავ აღდგენას. ამ შემთხვევაში მჭედელი იღებდა დაცილებულ ნაწილებს, ერთიერთმანეთს მიადგამდა და გადააბამდა. გადაბმა გულისხმობდა ერთი სახის ნივთის ორი ან მეტი სხვადასხვა ნაწილის შეერთებას, გამთელებას. ეს იყო არსებითად, გადაკერება. ამ საქმნარისგან განირჩეოდა „დაკერება“, ეს უკანასკნელი გულისხმობდა — დაზიანებული ნაწილის გამოცვლას, ახალი ნაჭრის ჩადგმას, „ჩაყენებას“.

დასადებლება წარმოადგენდა — დანაკლისი ნაწილის აღდგენას, წამატებას და ახალი ნაჭრით შეცვლას. ამ ოპერაციას ის გამართლებაც ჰქონდა, რომ ძველ რკინას ფოლადი „პირს არ მოცი-დებდა“, უფოლადოდ კი ხელადი არ ივარგებდა. ამიტომ ჯერ რკინას დაადებდნენ, ხოლო შემდეგ ფოლადს დაურთავდნენ, რასაც დასადებლება — დაფოლაღება ეწოდებოდა. დაფოლაღება თავის მხრივ ორი სახისა იყო: „გვერდული“ და „შუალედი“. გაშუალე-ბით დაფოლაღება უფრო ახალ წამატებულ რკინას ეგუებოდა; „გვერდული დაფოლაღება“-კი ძველ რკინას. თუ რკინას ნებით იუ უნებლიეთ გაუჩნდებოდა „ფურჩი“ (ბზარი), ან სადმე მიდგმულ



ნაწილში „გაიფხნებოდა“ (გარღვევა), საქირო იყო მისი მსოფლიო
ლება“ და ბზარის მოსპობა — შედუღების საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ხელადს, თუ ის „სხვაგნითური“
იყო, გადააკეთებდნენ ხოლმე „თავის ეგმოზე“, ვინაიდან იგი „სა-
თანადოდ“ არ მიუღდებოდა აქაურ „მიწა-ადგილსა და საქნარს“. მკედელი ცდილობდა მემკედურის მოთხოვნილებებისამებრ „მოემა-
რჩევებია“ იგი ადგილობრივი პირობებისათვის და „შეჩვეული“ სა-
ხე მიეცა მისთვის.

ამგვარად, რკინის ხელადის შეკეთება არსებობდა შეიცავდა
დიფერენცირებული ხასიათის რამდენიმე სახის სამუშაოს: დასა-
დებლება (რკინის დართვა რკინისათვის, შდრ. „ეგლადვალა“, მეგ.),
მიღულება (რკინის მიმატება რკინისათვის, ტანის გასაღიდებლად),
„დალაგმვა“ (რკინის ნივთისათვის დამატებითი რკინის დართვა ტა-
ნის გასასრულებლად მოცვეთის, ან დაზიანების შემთხვევაში). გა-
მოპირვა, დაპირვა (დაბოგვრილი, დაბლაგვილი პირის წათხელება,
გაწევა); გადაკერება (თანაბარი სისქის მქონე რკინის ნაჭრების ვა-
დაკერება ერთიმეორეზე). ტექნიკურად ეს საქმნარი სრულდებოდა
თერმიული წესით, ე. ი. სამკედლო ქურის საშუალებით. ამ მხრით
გამოყენებული იყო რამდენიმე ტექნიკური ხერხი: „გამოსკვნა“,
„მიმჭვალვა“, მიმთელება. გამოსკვნის წესი წარმოადგენდა რკინის
ნაჭრების ერთერთში ნაწიბურებით გახიცივას და ამ სახით შედუ-
ღებას თერმიულად, ასევე, მიმჭვალვა შეიცავდა ორი ან მეტი ნა-
ტეხების კვლავ ერთმანეთთან შეერთებას, სამკვლეების, ანუ დარე-
შების საშუალებით, რისთვისაც ამ ნაწილებს კიდევებით ერთს მე-
ორეზე დაადგამდნენ და დახვრეტულ სანჭვლეებში ფარეშით შეა-
ერთებდნენ და შემდეგ შეადუღებდნენ. რაც შეეხება მიმთელებას,
ეს საქმნარი ვულისხმობდა, როგორც ითქვა, მოტეხილი ადგილის
აღდგენას, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მას ახლით შეცვლ-
დნენ.

რკინა, საერთოდ, ადვილად იფხნებოდა. ამისათვის „რკინის
კაცები, ახალ ნაღობ რკინას ნახშირის რეშში ფლავდნენ. ხოლო
გაქვდილ „ხელადს“ ჯერ რკინის „ხრელით“ და ფერილით ფე-
რავენენ, შემდეგ — ნახშირით, შალის ნაჭრით და ცაცხვის ჯობით.
გაწმენდილ რკინეულს რამდენიმე ხანს ქატოში ინახავდნენ. რის-
თვისაც ნივთს მკირედილ გაახურებდნენ და „ოფლიანს“, ნელთბი-

ლად დაფლავდნენ ქატოში⁴⁶, ან წმინდა და მშრალ ნაცარში. თუ გაეითვალისწინებთ ამ გარემოებას შეიძლება ვიფიქროთ, რომ წმინდანის სარკინე უბანში⁴⁷, ნასოფლარ თალას მიდამოების განთავსებას აღმოჩენილი ნაცრით სავსე სათავსოები ნაწილობრივ ამ მიზნისათვის იყო გათვალისწინებული.

ძველი გამოთქმით ქანგს — ჯანგი ეწოდებოდა. ახლაც, საქართველოს სხვადასხვა თემში. ეს ტერმინი იხმარება ფონეტიკურა სახესხვაობით — ჯანყი, ჯანგი, ჯანგარა, მური, ქანგი და სხვა. მაგალითად, ვისრამიანში ეს სახელი გვხვდება შემდეგი ფორმით: „ვი-თა რკინა ადრე სჯანგდება (110,8—9); ან კიდევ „შენი ხმალი წამალია, გამწმინდოს მე ჯანგისაგან (შაჰნამე 1,424, 1552), შდრ. ჯანგი (მეგ.). ა-ქაგცა (აფხაზ.)

ქანგის (კოროზიის) მოცილებას რკინისათვის, ხალხურ მეტა-ლურგიაში, „მოხოცვა“, „გამოჭმა“ ეწოდება. იტყვიან: გამოჭმა, მოხოცა ქანგი-ო, შდრ. „...მოხოცა ქანგი“ (შაჰნამე, ტ. II, 143, 3346). „ჯანგარა“, „ქანგარა“ და მური ეწოდება აგრეთვე იმ ქვარტლს, რომელსაც მოიხდებს ესა, თუ ის ჭურჭელი ცეცხლზე ხმარებისას ბოლისაგან. ფაქტია, რომ ქანგი ჭამდა რკინას. ამიტომ პოხვადნენ ხელადს სხვადასხვა ზეთითა და ცხიმით, ურჩევდნენ კვამლიან, მშრალ საცავს.

მიუხედავად ამისა, რკინის (თუჯის) ჭურჭელი და ზოგიერთი იარაღი კეთილთვისებიანად ითვლებოდა. თუჯის ქვაბში ყოველგვარი საჭმლის დამზადება შეიძლებოდა, მაშინ, როდესაც სპილენძი და ვერცხლი, ამ მხრივ, ვერ იყო სასურველი მასალა. ისინი სულ მცირე სიმკვების შეხებისას გამოყოფდნენ ერთგვარ ნივთიერებას — წიდანს. ანუ წალას, ნწალა (შდრ. „ნწალუა, „სანწალე“, მეგრ.), რომელიც წარმოადგენს საწამლავს.

ამის გამო იტყოდნენ: „მოკალა“ (იმერ.), „მოსინა“ (გურ.), „მორგალა“ (სამეგრ.), შდრ.: „წმიდითა მით სპილენძისაითა ზეთი იგი გამწვანდეს“-ო (გმ. რ. ბლ. ეპ. კვ., გვ. 9, ა); ან „დადიოდა მას

⁴⁶ დაუქანავად რკინის იარაღის შენახვა ქერის ქატოში ცნობილია საქართველოს მთიანეთში.

⁴⁷ მხედველობაში გვაქვს ისტორიის ინსტიტუტის მიერ 1958 წელს ჩატარებული არქეოლოგიური სადაზვერვო გათხრები, ი. გ რ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ა ს ხ ე ლ მ ძ ლ ა ნ ე ლობით, ბოლნისის რაიონში, მდ. რკინისწყლის მარჯვენა ნაპირზე.



წალაი "(ცხ. სვ. მესვ. K. 254, 26); „არა წმიდებასა შინა წილანსა დაამდაბლებდეს შენ შორის“ (ეზეკიელი, 32, 10).

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში თუჯის ქვაბის ის სახელები, რომელიც შემოინახა საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, სახელდობრ: „ჩონა, ჩივანა“ (რაჭა), „ჩუანი“ (სამეგრე), „აჩუან“ (აფხაზ.)⁴⁸.

ამგვარად, ძველი ქართული მეღვინეობის ამსახველი ნივთიერი და მათი სატყვისი წარმოებითი პროცესების აღმნიშვნელი მდიდარი ტერმინოლოგია ნათლად მოწმობს რკინის მეტალურგიის თვითმყობად კულტურას საქართველოში.

⁴⁸ სახელი — „თუჯი“ XI ს. გვხვდება: „მოატანინა რკინა, თუჯი, სპილენძი და 6 ათასი ლიტრა ასაწევი რკინის კეტი ჩამოასხეს“. იხ. ამირან-დარეჯანიანი, გამოც. ზ. კიჭინაძისა, თბ., 1896, გვ. 302).

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ე

ჩინის ჰედვა საძარტველოს სხვადასხვა კუთხეში (ბმხბმბი)

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცალკეული კუთხეები-
სა და თემების მიხედვით ჩინის დამუშავება ძირითადად ერთი სა-
ხისაა, იგი მაინც ატარებს გარკვეულ კოლორიტულ ხასიათსა და
კუთხურ თავისებურებას. მასში ჩვენ ვამჩნევთ ჩინის ჰედვისა და
მასთან დაკავშირებული პროცესების მიმართ სხვადასხვა ხერხები-
სა და განსხვავებული საშუალებების გამოყენებას, რაც მკაფიოდ
ამტკიცებს იმ უდავო ჰუმბარტებას, რომ საქართველოს ეთნოგრა-
ფიულ სინამდვილეში ადგილი ჰქონდა წინააპრთა ტრადიციების შე-
მოქმედებითად განვითარებას მელითონობაში და რომ თითოეულ
კუთხეს ამ საქმეში თავისი წვლილი შეჰქონდა. ქართველი მელითონ-
ნე, თუ ჩინის მოხელე, როდი იყო შეზღუდული, ჩინისა და სა-
ერთოდ ლითონთა დამორჩილების საქმეში, მხოლოდ ტრადიციულ
სამჭედლო ხელობის წესებით. იგი ფლობდა საკმარის გამოცდი-
ლებას, რათა კონკრეტულ შემთხვევაში ამა თუ იმ გზით გადაეჭრა
საკითხი და გაეყოლოდა იმ მოთხოვნილებას, რომელსაც უყენებდა
„ხელადს“ გარკვეული ფუნქცია და „მემკედურთა“ ობიექტური
პირობები. ამას განსაკუთრებით ასურათებს ის ტერმინოლოგია და
ცალკეული საშუალებანი, რომელიც სხვადასხვა ვარიაციითაა წარ-
მოდგენილია საქართველოს თითოეულ კუთხესა და თემში. ან უვალ-
საზრისით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თვით ფაქტებით ვილაპარა-
კოთ. ამისათვის ავიღოთ ქართლი, ქ. დუშეთი, ს. მილახვრიანეთი,
მთქმელი: არჩილ ბრაჭული და გიგუცა ჰარიამვილი (მჭედლები).

„ვაკეთებდით ქართული გუთნის სახნისს, საკვეთელს, ჩეკს,
ზალტას; სამუშაო --- ხის სახეჩ ცულს („კობიტ ცულს“ ვეტყვით



ვხმარობდით ქართულ გდემლს, ცალი თავი წვერი აქვს, ცალკეული „ჩაკვერციხილი“ || მომორილი. დღეში ერთი თუ „მოამთავრა“ მკაცრად, კარგია. თოხი ორნაირი ვიცი, „ქართული“ და „იმერული“. ქართული პატარაა, მხრები დაქანებული აქვს. იმერული დიდია და მაღალი „ბეჭები“ აქვს.


წისქვილის ასამუშავებელი რკინებია: თოხი (არქი), საკოდელი (2 ნაირი), სახეში, ღერძი, ლითონი, კიბორჩხი (იგი ზის ხეში). ფთიანი ცულის ნაწილებია: ყუა, სატარი, ფთა, ნიღრი, პირი, ფხა. კობიტი ცული არის მეტივების ცული. რუსული ცული კიდევ სხვაა. მჭედელი მის გაკეთებულს ასვამს თავის „ბეჭედს“ (დალი). მჭედლობა დუშეთში ვისწავლე, მჭედელ ბურდულთან. ბიძაჩემი იყო. მჭედლობის ხელობის შესწავლა კაცზეა გამოკიდება, ვისაც აზრი და გულისყური კარგი აქვს, ერთ წელიწადს ისწავლის. ბელი ასეთია, რაც მიერგება კაცს, უნდა იხადოს, დასრულებული მჭედელი ორი წლის მერე იქნება. მანამდე იმის გაკეთებულ საქმეს დაიწუნებენ. სანემ მასთან ვიყავი, შაგირდი მერქვა. მამაჩემი მივიდა და უთხრა: — ოსტატო, „მიიბარე ე ბიჭი, შაგირდათ და ასწავლე ხელობა მჭედლობა-ო.“ — ცოტა ხანი რომ გაივლიდა, შაგირდი მიუტანდა „ზღვენს“ — პურმარის: სასმელი, ჭადები, ხორცეული და ხილი. დათქმული ვადა რომ გავიდოდა, გეტყოდა მჭედელი: — ახლა წადი დალოცვილი იყავი, ხელობა გასწავლე, იმუშავე სვინდისიერად, ნამუშევრით იყავი. შაგირდი სწავლის წინ გამართავდა ქეიფს მჭედლისას. დაუძახებდნენ ვინც იქნებოდა მჭედლის ამქარი და იყო ერთი ლხინი. თამადათ იყო თავათ მჭედელი — ოსტატი. პირველი ქიქით ადღეგრძელებდა შეგირდს: „დაგლოცოს ღმერთმა, შენ ხელობას შაგაბეროს, დიდხანს იმუშავოს შენმა მარჯვენამო“ და ყველა დალოცავდა სათითაოდ.

ოსტატი ჯერ წვრილ-წვრილებით დაიწყებს. პირველათ ლურსმნის მოჭრას, დაბერვას, კვერის დაკვრას, მერე შამფურის და პატარა რამის გაკეთებას მიგანდობს და ვიყურებს როგორათაც დედა შეილს უყურებს ისე. როცა ცულის გაკედვა გვიანდა, ასე ვიქცევით: ავიღებთ „ფიცარ“ რკინას მოვჭრით ორ ჩარექს (ორ ციდას) რკინის საჭრელით, თეგით. ორნათ შეიძლება ვთქვათ: „თეგი“, ან „საჭრელი“. რკინას ავიღებთ მარწუხით და ჩავდებთ ქურაში. დაუბერავთ, გავახურებთ, მერე გადმოვიღებთ და დავკვერავო როგორც საჭიროა. გავაბრტყელებთ და მოვხრით. წინ-წინ, სანამ შე-



ვადულებთ დავატანთ შუაზე ფოლადს. სატარეში „საყუეს“ დავა-
 ყოლებთ და ამგვარად გამოვკვერამთ. რკინის „დულების“
 სატარეს მიწით-ალიზით ამოვავსებთ და ისე ვადულებთ, თან „ლამს“
 (სილა) მივაყრით, რაა რკინა ნელიათ ადუღდეს, ნება-ნებათ და არ
 „წაასწროს“ გახურებამ. დუდილის დროს რკინა ჰყრის ნაპერ-
 წკალს. იმით ვატყობთ როგორაც მცდის „ვადულება“. ვადულე-
 ბული ცული ჯერ უნდა კარგად გაიკვეროს, დათხელდეს, ზომამზე
 მოვიყვანოთ და როცა სულ მოვათავებთ, მერე ვაწრთობთ.

ბატონული ნაჯახები - ГРУЗИНСКИЕ ТОПОРЫ



არქეოლოგიური - Археологические



სურ. 18 ქართული ნაჯახები

წრთობა ასე ვიცით: ავიღებთ თევშით წმინდა წყალს, მღვრიე
 არ ვარგა. არც ცივი, ნელთბილი უნდა იყოს. ზამთარ გახურებული
 რკინებით ვათბობთ, ზაფხულ თავადაც თბება. წყალი იქვე გვიღ-
 გას გეჯათი. ჩაუშვებთ ცოტას პირით. მერე ამოვიღებთ და გავ-
 შინჯამთ ქლიბით. თუ მაგარია ავიღებთ ამ ცულს, დავიჭერთ ხელ-
 ში მარწუხით, ცეცხლთან ახლოს, დავაცლით, თავათ „ჩამოღებმა“.

თუ რბილია ისევ ჩავდებთ წყალში შაამაგრებს. ისევ გავსინჯამთ, შევატყობთ წრთობის დასრულებას. დადგება ვადაზე“. ვადაზე დადგა-ო ვიტყვი, რომ მოთავდება და ზომაზე გაჩერდება. მჭიდროდ ჩალხზე გავლესავთ, მერე სალესავით — ქასურით აუწყობთ პირსა. ვაკეთებთ კოპიტ ცულს. ფოიან ცულს, წალდს, სახნისს, საკვეთელს, თოხ—წერაქვს, ბარს, საკიდელს და სხვა რამეს. ცულის „სატარე“ || საყუე რომ მარჯვე იყოს და ტარი მაგრა დადგეს, წინ განიერია, ბოლოს ვიწრო. ტარი წინიდან ეგება. ვაკეთებთ „მეტევი ცულსაც“. ის გრძელია, მაღალი თუ ცული დიდია, „სახეთქი“ ცული ეწოდება, საშუალოს ნაჯახი, პატარას „ხენცულა“. რუსული ცული ნელიათ შემოვიდა. „უმარჯოა“ ჩვენთვის, იმას ეჩოსავით აქვს პირი „ჩაფრასტი“ (ფახიანი). ჩვენი ცული სწორია და სოლივითაა მოყვანილი. „ჩაფრასტული“ გალესვა ქართული ცულის არაა წესდებული. ცული რომ ცვთება, პირი უსქელდება და „ღილი“ უჩნდება. უნდა „გამოწყება“. კაი „ლოყიანი“ ცული რომ გამოვიდეს, „სოლი“ უნდა დავატანოთ.


საბერველი: ძველად ორხელა საბერველი იყო. დავავლებდით ხელსა და იქი-აქა უბერავდით. კარგა აღულებდა რკინას, საბერველს ძირს აქვს „სათვალე“, წინით — პირი||მილი, მილის პირში გროვდება „წიდა“. ამ თავს „ჩეჩმა“ ქვია. მიწაში ჩასადგმელ ქურას არ მოვსწრებვიართ, „ზეზეური“ ქურაა აქ (სურ. 19, 20).

ნახშირი:—ნახშირი მუხისა და წიფელის სჯობია. გამძლეა. „ჯღარდლას“ ნახშირი უსწრებს (ეს ხე არაგვის პირზე იცის). მისი ნახშირი „მოუცადია“. ნახშირი საქმის თავია. თურმე ძველად ხელმწიფემ დაიბარა ყველა ხალხი და ჰკითხა: — „საქმის თავი რა არისო“? ერთი ხევსური წარსდგა და მოახსენა მეფეს: — „საქმის თავი ნახშირიაო“. მართლა ჰკუთას მარჯვეთ თქვა ხევსურმა—თუ ნახშირი არაა, არაფერი არ გაკეთდება.

ხელპურკელი: ურო, კვერი, ქლიბი, ჭობოსანი, თეგი, მანგანა (საპყრობი რკინისა), გრდემლი, ზინდანი, მარწუხი, „მგელ მარწუხი“ („მგელმარწუხით“ გვიპირავს ცული და სახნისი). ღორეჩოა პირი მოხრილი აქვს. ცელს და ნამგალს აქვს „მარანგი“ || „მარაგი“; პირველს ზეით, მეორეს — ქვეით. ძველი ქართული ცული უმარანგო იყო. არც ნამგალს ქონდა მარანგი, პატარა ნამგალს „სათი-

ბელას“ ვეტყვით. ნამგალის ნაწილები ესაა: ღერო, ტარი, მარან-
 გი, ყუნწი, წვერი, პირი, „ჭრელი“.

დამზნა: დიდხუთშაბათს „უბრად“ აკეთებდა მჭედელი (ახლავ
 აკეთებს) საკვეთელს. სახნისს, ჯერებს, შამფურს, დაგრეხილ უღელ-
 სა და წალდებს. მემჭედური (მუშტარი) შეუკვეთდა მჭედელს რაც
 უნდოდა. კვერის დაკვრაც ვიცოდით: ამირანი შურობს მჭედლებს,
 ქალებს. „წესდადებულება“ ასეთი იყო.



სურ. 19 სამჭედლო (სვანეთი, ცხუპარი)



სალოცავები: მკედლებს თავისი ამქარი ჰყავდა, მთელი ამქარე იხდიდა „საღმრთოს“ „ბარბარეში (სალოცავია დუშეთის თავზე), რომელიც მაისს მოდიოდა. ახლა იმ ადგილას „დამეკომუნიკაციონი“ (დასახლდნენ). ჯერს ახში || ასში ერთი ვინმე დაჰკრავდა. მამაჩემს არ ვაუშვია ხელი.

დუშეთის რაიონი. ს. დგნალის მცხოვრები, მკედელი ალექსი გლახას ძე ჭიკაძე. 56 წლის. „...ქურა ვიცი მკედლის. აქვს, სახურები მილი — საბერვლის სასულე მილი. ქურის საბერვლს აქვს „საფეთქელები“ || „სასუნთქი“, სულის საქცევი (შდრ. სურ. 19, 20).

მკედლის გრდემლს აქვს კოჭი (ქიმი), „ქურტუმი“ (ბოლო), ძირი. ხელის მარწუხი ბევრნაირია: საკვეთლის, ქარჩის, სახნისის, ცულის და სხვ. რკინის გასაჭრელად იხმარება ორნაირი თეგი: 1-საყენებელი, რომელიც გრდემლს ნახვრეტში ჩამაგრდება უნწით და მას პირზე გასაკვეთ რკინას კვერით გადააჭრინ; 2-საქვერთელის მსგავსათ დაადგამენ გადასაკვეთ რკინას და კვერის ცემით ჩაჭრინას მას (ორივე შემთხვევაში თეგი ფოლადისაა. უწოდებენ „თერგ“-ს).

წითობა — „რკინულს ვაწრთობთ წმ. წყალში. თუ ფოლადია „თეთრათ გაიფქვენება“, თუ არა და არ მოიშორებს იმ ჯანგსა, რკინას რომ აქვს. „ნაფქვენით“ გაიგებ რკინაა, თუ ფოლადი“. კვერის დროს უცვივა ჯანგი || ნაფქვენი.

იარაღი: ჩეკი — ცეცხლის მოსაქუჩებელი იარაღი. სახვრეტათ — ზუმბა, წვერიანი სახვრეტი ფოლადისა. სასხურები — ჩალისაგან შეკონვილი ცოცხი.

დუშეთის რ. ს. არღუნი, ბესარიონ რევაზის ძე ჯანგირაშვილი. 92 წ. „... ჩვენში განთქმული იყო მკედლობაში ნიურები. (იყოთიდან იყვნენ), იოლად გავდიოდით. ზან ფულს ვაძლევდით მკედლებს, ზან ვეხმარებოდით და ნამუშევარს ვაძლევდით გაკეთებაში. პატრისა ვცემდით მკედელსა. გვიკეთებდა ცულს, კოპიტ ცულს. ფთიანს, წალდა ცულს || იმერული წალდი რომაა. წალდს, სახნისს, საკვეთს. კოპიტ ცულს ჩაგრძელებული პირი აქვს. კაი ფხიანი (მჭრელი) იყო. სათლელად ფთიანი ჯობდა, კოპიტი ტყეში ჯობდა. გქლად გამოყვანილია და მაგრად ჭრის ხეს. ვიცოდით პატარა ცული, „ნაკოდარა“-ს ვეძახით. თუ ძან ფოლადია და მაგარი „ფხა“ აქვს,

1 შდრ. „კოდარა ცული“, ქართლის სხვა უბნებში.



ბოლოს თუბალები. ეს უკანასკნელი ევფრატის დასავლეთით, მდ. კურული
 ბარე ვრცელი ქვეყანა იყო, რომელიც 24 სამეფოსაგან შედგებოდა.
 და. როგორც მუსკების, ისე თუბალების მელითონეობა საქვეყნოდ
 იყო განთქმული. მუსკები განსაკუთრებით რვალის დამუშავებით გა-
 მორჩეოდნენ, ხოლო თუბალები რკინის ხელობით იყვნენ ნაქები. ებ-
 რაელთა ძველ წიგნში — „დაბადებაში“, სადაც ძალიან ძველი ისტო-
 რიული ცნობებია წარმოდგენილი თუბალი, — „თუბალკინად“ იწო-
 დებოდა. მის შესახებ ნათქვამია: „ეს იყო კვერით ხურომ, მკედელი
 რვალისა და რკინისა“. „კინი“ მკედელს ნიშნავს, სჩანს, თუბალი მკედელ,
 მელითონე ჯალხადაა პიჩნული²². როგორც ზემოთ ითქვა, სუბარული ტომების
 განსახლება კავკასიაში წვდებოდა და თუ ძველი ცნობები უმთავრესად
 სამხრეთ-დასავლეთ თემებში მცხოვრებ ხალხებს ეხება, ეს ორი
 გარემოებით უნდა იყოს გამოწვეული. პირველი ისაა, რომ წინააზიის
 ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველი ტომები უფრო ახლო
 დამოკიდებულებასა და მეზობლურ ურთიერთობაში იყვნენ
 ისეთ ქვეყნებთან, როგორც იყო ძველი ასურეთი,
 ფინიკია, ისრაელი, ელადა და სხვა.

სამთომეტალურგიული წარმოების ორბიტი ძველადვე მოიცავდა
 დიდ წრეს. მასში ჩართული იყო, როგორც ჩანს, ქართველი
 ტომებით დასახლებული ტერიტორიის მთელა ლითონეულის არე-
 ალი ტიგრ-ევფრატ-კოროხის სათავეებიდან მოკიდებული მთავარი
 კავკასიონის სანახებით. უძველესი სამთო წარმოების გამონამუშე-
 ვარნი²³, აღნიშნულ ტერიტორიაზე ნათელყოფს ამ ვითარებას. ხე-
 თურ-სუბარული სამთავროები, რომელთაც IX საუკუნეში ძვ. წ.
 ევფრატისა და ტიგროსის სათავეები აგრეთვე, ვანის ტბის ოლქი და
 მესობელი თემები ეკირათ, გაერთიანდნენ და ძლიერი სამეფო შექ-
 მნეს. მას ასურელები ურარტუს უწოდებდნენ. იგი თავისი კულ-
 ტურით ხეთურ-სუბარული სამყაროს ორგანულ ნაწილს წარმოად-
 გენდა. ურარტუს ხალხი თავისთავს „სუბი-ს“ უძახდა, რაც იგივე —
 „სუბარ“-ი უნდა იყოს.


ამჟამად, მეცნიერებაში მიღებულია ურარტუს ერთ-ერთი ძირითადი
 ტომის სახელის აღსანიშნავად ტერმინი — „ხალდი“, რომ-

²² ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ა. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1943, გვ. 25.

²³ გ. გობეჯიშვილი, ძველი ქართული სამთომადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები ს. ლებთან, „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. III, 1953.




„აფთარი“ ცულიაო, ვიტყვით. ქარხსაც ვაკეთებდით ახლებს ვქარხნიდით. თოხივითაა, გრძელპირა, ახლების საკვეთებ-
ლად იხმარება. ტყე, ჯაგის პირი ორი წელი იქარჩება. ამოღება
ძირები და მერე გუთნით მოიხვნება ქარხით მუშაობა ძნელია. დე-



სურ. 20 სამბედლო, (სვანეთი, ცხუმარი)

დამიწის სათხრელი მასალაა ეს. ქვიან ახომი ამით უნდა გავამო-
როთ ღორღი და კენჭი. წერაქვსავით გრძელპირაა. ჩვენში „ალაგე-
ბი“ მეფობს და ის მაადგება ჩვენ მამულს. წერაქვი ორპირია,
ქარხი — ერთპირი. ნამგალი „სათიბელა“ და სამკალისა თავთავა-
დია. ყანის სამკალი დიდია, (ყუა) ქვევით აქვს დედამიწაზე ადგილ-
ზე არ ეკარება.

დამზნა: უემური არას ავნებსო და მკედელს უმძრახი უნდა
გაეკეთებია ჯვარი. ბალღებს შეუბამდნენ აკვანზე. აკეთებდა თავათ



და მერე ყიდოდა. ამ რკინის ჯვარს საღლობელ-საც უკეთებდით, შევაბამდით ნალს, ავი ანგელოზი არ შემოვიდესო და სახლის კარებს მივაკრავდით. ყველაზე ძნელი გასაჭედი იყო დიდი სახნისი გუთნისა. უკეთებდოდა: — უბე, პატარა ცერი; დიდი ცერი, წვერი, ფთა, და ზურგი. საერთოდ, დიდი სახნისის დამზადებას ესაჭიროებოდა 50 ვირვანჭა რკინა. როდესაც იგი ვაკეთებოდა „დასაპირავათ“ 10 ვირვანჭა რკინა სჭირდებოდა. დავაპირიანებთ, გაუთხელეებთ პირს, რომ გასჭრას მიწა. ახალის ვაკეთებისას ჯერ ფთას უკეთებთ, მერე მოვხრით დიდ ცერს, შემდეგ პატარა ცერს და ბოლოს ზურგს. ვაკეთებდით პატარა სახნისებსაც: აჩაჩას და ორხელასათვის, რომელსაც რვა ვირვანჭა რკინა უნდოდა. იგი ორფთიანია.

რკინეულის სიავ-კარგე რკინაზე და ფოლადზეა დამოკიდებული. ფოლადი „ოსმალოსია“, კარგი. ოსმალოს ფოლადს ვეტყვოდით, წვრილი იყო კუთხიანი. რბილი რკინა კარგია, ფიცხი არ ხდინობს დუღილს. რუსულ ცულს აქვს „კიკო“ (კოტა, კინთა), რომელიც ქართულ ცულს არა აქვს.

ვიცოდით სამგვარი გრდემლი: წვერიათი, ბოლო „დაკვერცხილი“, ლურსმნის საკრელი და პატარა გრდემლი — ზინდანი.

დღეშეთი. ს. საკრამულა, მოქმელი: მკედელი ალექსი სტეფანესძე ხინჩაგაშვილი, 46 წ. „...მამა-პაპა სულ მკედლები იყვნენ. ვადმოსული ვართ სოფ. საფერშეთიდან. მამა ჩემს მკედლობა საკრამულში დაუწყია. მე მეცხრე შვილი ვიყავი. ხელობა მამამ მასწავლა, პატარაობიდანვე. მე თორმეტი შვილი მყავს. ვაკეთებ ყველას რაც გლებ-კაცს ჰკირია: კოპიტ და ფთიან ცულს, ქარჩს,

სურ. 12. საკიდელი დადმუქელიანებისა, მესტიის მუზეუმი



ნამგალს, საკოდელს, თოხს, საკიდელს (სურ. 21). „ხელუჩოს“
 კომპიტი ცული: 1 — ყუა, 2 — სატარე, 3 — ყბა (2), 4 — ტა-
 რი, 5 — ნიღრი, 6 — წვერი, 7 — ჩაქედული (სურ. 17). ცულის
 გაქედვა ძველათ მოკეცვით ვიცოდით, ახლა პირდაპირ გაკობრებულ
 ცულს გავხვრეტავთ „ზუმბით“. როცა ცეცხლში მივებრუნებთ ამო-
 უმიწავთ „საყუესს“. ამოვსებული თუ არ იქნა, ყბები თხელია და
 ჩაიწვება რკინა ცეცხლში. აი ეს სატალახე ბუნაგი. აი ამაში მოვ-
 ზილამთ უბრალოდ მიწას და ამოუტენით „სატარეს“. დღღების
 დროს ვაყრით წმინდა ქვიშას. ნახშირი ყველა ხისა ვარგა. ცხავში ვა-
 ტარებთ ნახშირს, რაც წვრილია და უფარგისი — „ხაკა“ ძირს გადის
 და რჩება სუფთა ნახშირი. სატალახე „ბუნაგი“ ქვისაა.

წრთობა: ვაწრთობთ წყალში, რკინა მიჭირამს და უსომ პირ-
 ზე ქლიბს. წრთობისას რკინეული, — თუ შავათ „მაიქცა“ არ ვარ-
 გა — ნამეტნავათ ფოლადია: თუ წითლათ — რკინაა. რბილი. რო-
 ცა გამოუსვამთ, თუ ძაან ფოლადია, დაიფხვნება, ფიცხია. დავაცლით,
 ოქროსფრათ რომ მოიქცევა, ის ზომიერია. მერე რომ გაცივდება,
 გავწმენდთ უბრალოთ და მზაა. ჩარხი ქაისხეურია (ქაისხევი) კარგი.
 წმინდა წყალ. ცივი (თუ ფიცხია თბილი) უნდა საწრთობად.

ქურა: ამენებულაა ქვით, ოთხკუთხია. გარედან კედელია. ში-
 გნით მიწა, ქურას ოსურათაც ეს სახელი აქვს. მილიდან უბერავს
 ქურას საბერველი. საბერველს აქვს: რკალეები 7—8, „სასუნთქე-
 ბელი“ — 1, ტარი და „ჩეჩმა“ || მილი, || ტრუბა. ვხმარობთ წვე-
 რიან გრდემლს, რომელიც „კოდაში“ — კუნძშია ჩამდგარი. ცულის
 დამზადებაში შედის დედნის თავების დაგრძელება, ორივე მხარეზე
 გაწევა, მოკეცა შუაში „ამლონის“ ჩადება („ძგიფი“ ქართ., „ამლო-
 ნი“ ოსურად). ამ მხრივ საინტერესოა მიხა ივანეს ძე ნაეროზაშვილის
 მიერ მოწოდებული ცნობები (ს. ოძისი, გამოდმა უბანი) „...მამა-
 პაპით მქედლები ვიყავით. საკუთარი სამქედლო გვქონდა. ვიცო-
 დით წისქვილისა და გუთნის გამართვაც. ხის ნაწილს თავისი ხე-
 ლოსანი ყავდა. ჩვენ რკინეულს ვაკეთებდით. ჩვენ გვარში მქედელი
 არ გამოლეულა. მამამ ხელობა ორ წელიწადს მასწავლა და მერე თა-
 ვათ ვმუშაობდი. მე თავათ მენტერესებოდა მუშაობა. ხელობის შე-
 სწავლა . რაც საადვილოა. იმას მასწავლიდა პირველიდან. ცულის
 გამოწეკება. დაპირვა (რომ გაცვდება, ემატება რკინა) და სხვ...
 ფოლადიც შეიძლება დაემატოს, რკინა რომ გაცვთება. ფიცარი რკი-




ნა, ზოდი რკინა, საცულე, საწალდე რკინაო. ვიტყვი, თფილისში ვყიდულობდით. რკინა რბილი ჯობია. რკინაც, პირველი ჯობია, ქირით მოგვქონდა, ურმით. ერთი ფუთი ღირდა 1,4 მან. სახელობრივ არ ვყიდულობდით. მოიტანდი, არ იცოდი როგორი იყო. ცეცხლზე უნდა გასინჯო, გავახურებთ და თუ დუღილს იტანს, კაი რკინაა. დუღილს თვალის მიჩვევით ვატყობდით. ნიშნეულობა ეგაა: ნაპერწყალი სხვანაირი ამოდის, რკინის შუქის ფერი და ცეცხლის შუქის ფერიც სხვანაირია. რკინის შუქი მოთეთროა, ცეცხლისა — მოწითალო. ზოგ რკინაში ურევია თითბერი, ან სხვა რამე და იმას სხვა ფერი აქვს. არ ვარგა, წესიერათ არ ადუღებს, როგორც თუჯი არ ადუღდება თავის გუნებით — ისე ეს. როგორც წმინდა პურის ცომი მოიზილება, ისე რკინა, თუ კარგია. ნაბლანდი ცივით მუშავობს, ნაბლანდი ცავეკერა მჭედელია. ცეცხლი არ ჭირდება. „მეჭებაბე“ სხვაა. მემჭედური-ს ბადათ ვიცი მუშტარი. სამჭედლო ქვითკირისა იყო ქურა-საბერველიც ამოშენებული და შუაში მიწით იყო ამოვსებული (მდრ. სურ. 22). გარშემო ბოძები იყო საბერველითვინ. საბერველს ჰქონდა ჩეჩნა, მკლივი (საწვევი საბერველისა) და სულის საქცევი. იარაღი იყო: გრდემი (გრდემი, ჰქონდა: წვერი, ბრტყელი თავი, სათეგე), ურო, ხელის კვერი, მარწუხი, ჰოპოსანი (ხოშარი არ ვიცი), თეგი—რკინის საქრელი, ზუმბა—რკინის დასახურეტი. დუღილისათვის ვხმარობთ წმინდა ქვიშას. როცა ცეცხლში დულს რკინა, დააყრიან და თითონ მიდის ძირს რკინა-მდე ქვიშა. თუ ფიცხია რკინა, ბორასა ვხმარობთ. გახურებულ რკინას პატარა ნაჭერს დაადებ. შაბივით დაადნება და შერე დუღილს იტანს. წრთობის დროს მეტი ცივი წყალი არ ვარგა, არ უხდება. გრილი უნდა იყოს წყალი. ჯობია სუფთა (პაერზე არ ვაგრილებით). ვაკეთებდით გუთნის რკინებს: სახნის — საკვეთელს, ზალტებს (6 ზალტა უნდოდა გუთანს), გუთნის საქლეშებს (ზოგიერთი ნაწილივით, საქლეშიც რკინისა უნდა გუთანს), კობიტ ცულს ქარჩებს, თობ-წერაქვებს, წალდებს, ხელეჩოსა და ეჩოებს. ერთი იყო ქართული წალდი, მეორე — იმერული წალდი (აქ იმერული წალდის ჩვეულება არ აქვთ). კეთდებოდა რკინის საქრელი თეგი. იმითი გავთეგავთ რკინას. ვხმარობდით სახჩრეკს ცეცხლთან. ქარჩს ძველად ბევრს ვკედდით. ახლა აღარ ხმარობენ. რკინეულისათვის პირველი იყო წრთობა. ზოგი ფოლადი ლურჯათ უნდა დადგეს, თვითონ აჩვენებს თავის თავს, მეორე გვარი ფოლადია, კვერცხის გულისვით ყვითლად უნდა მოეჭყეს პირი, მესამეს — შავათ. იარაღის



სივარგეში პირველია წრთობასულ რომ შოვრჩებით კელეხს, მე
 რე ვაწრთობთ. ჩალახვა პირისა მაშინ უნდა, როცა რომ ჩვეულებ
 ნებთ სისწორით. ცულის გაქედვა ძნელია. ფრთიანი ცული მეტა
 ძნელია კობიტზე. ორი ფრთიანი ცულის გაქედვაში სამს გაქედ კო-
 პიტს. მკედლები დიდ ხუთშაბათს ვაკეთებდით უმძარახი შანას —
 „კაცი“ „ხელი“, გულსაკიდი, ჯვარი (ტაბ. X, XI, სურ. 24)
 სახლში მისაკრავათ და ხატში წასალებად. უღელს, ყელზე
 საკიდს, ნაღს „ავი ანგელოზისათვის“ კარებს ჩარჩოზე. ნიშნაუ-
 ლობა იყო კადო წყვილი შამფური და რაც მკითხავი იტყოდა ნატ-
 ში მისატანად.

მკედლობის შესახებ საყურადღებოა ს. ქსოვრისის მცხოვრე-
 ბი კოლმეურნე მკედლის, რეზო მიხეილის ძე ძეზისაშვილის ენო-
 ბები: „...ხელობა ბიძისაგან, ანდრია ბეკოვისაგან ვისწავლე. ჩამო-
 სული ვარ ს. ბურღულიდან (გრემის ხევი), 4 თვე ვსწავლობდი, რომ
 დავამთავრე ხელობა, ზომცა: ზინდანი, გრდემლი, საბერველი, მარ-
 წუხი, კვერი, თეგი თითო თავი. მომიწყო დალოცვა, დაუძახა 4 კაცს,
 სადამოზე მარჯვენა ხელი დამიჭირა და მითხრა: „როგორც მე გა-
 მიხარნია და მომიგია ცხოვრება, ისე თქვენ — პირნათელი, უტ-
 ყუარი იყავი, იარაღი არავის გაუფუჭია“. მერე დავსხედით და ვი-
 ქეიფეთ. ვახსენეთ ღმერთი და ჩვენი მფარველი ხატები. თავათ
 იყო თამადა. ეს იყო შაგირდის დალოცვა.

ძველათ ქლიბი არ გვქონდა. ავიღებდით ფოლადის გრძელ ნა-
 ჭერს „დავკეპნიდით“ თეგით „არეულათ“, თორემ პლანზე რომ
 ყოფილიყო, ვერ გაიტანდა. მერე ვაწრთობდით. ცივი წყლით ვაწ-
 რთობდით, რომ მაგარი ყოფილიყო. სხვა იარაღისთვის დილის
 წყალი არ ვარგა. ცოტა თუ არ შეთბა, ფიცხი გამოვა და დაი-
 მტვრევა. რკინას „დუღილის“ დროს წაუსვამთ თიხას. თიხა წყალ-
 ზე ცოტა სქელია და ხელით ვასხამთ და დუღილში ლაქს მივყარით
 მერე, რომ არ დაიწვას. თეთრი თიხაა და იმას ვხმარობთ. თუ ცუ-
 ლია, საყუე ტალახითაა გამოტენილი. ცულის გაქედვა მკედლობა-
 ში ყველაზე ძნელი საქმეა. ერთია ქართული ცული. მეორე —
 „ირონფარად“ (ოსური ცული — ნ. რ.). პირველი მისი თქმით გან-
 კუთვნილია ხელობისათვის, ე. ი. წარმოადგენს სახელოსნო იარაღს.
 მეორე კი იხმარება უფრო ხე-ტყის საჭრელად და უხეშ საქმეებში.
 ორივე ცული მოკეცვით კეთდება. ახლა და ახლა იხვრიტება და



სურ. 22 სამუშაო სურ. უკუ. ახლანდის ჩაბნა.



მოუყვავად კეთდება. უწინ დაფოლადებაც უნდოდა. ახლა კი უკვე
 პირდება. ქართული საცულე რკინა (გურძია, ფარად). ჩაუღებ
 ჩაუღებთ ფოლადს შუაში. მას „დასპირი“ ეწოდება. საყუენი ტა-
 ლახს ჩაუტენით. ჩავაგდებთ ცეცხლში და ავადუღებთ. მერე რომ
 დაიმედდები, აღარ გახის თეგმა საყუე; გაუყრით თეგს. შავდებთ
 გრდემლზე და გავაკეთებთ. როცა „კვერი“ შორჩება, იქნება გამო-
 კობიტებული. საწრთობად ჯობია წმინდა წყალი. ნახშირი რცხილა-
 სია უკეთესი. ხე-ძირისაა კარგი ნახშირად. რაც ცვივა ნახშირს ისაა
 „ნავლი“; რაც ზევით მიდის — ფერფლი. რაც რკინას უცვივა ისაა
 „ნადუდი“ ო „წილი“. ნებათ დაუბერე იტყვიან, რომ არ გაფანტოს
 ნახშირი. ქურასთან დგას ჩალხი და მისი გეგა. რკინის ნახვლავს
 ჯერ რკინის საფხეკით — ქლიბით გავლესავთ და მერე გაჩაღებთ.
 გაიფერება და მზადაა ნივთი.

რკინის მკედლობის ერთ-ერთ მთავარ განტოტებას წარმოად-
 გენდა ნალბანდობა, რომელიც გაბო ანდროს ძე ბაზალის (66 წ.;
 მიხედვით, ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში, კერძოდ,
 ქართლში. „...მე სოფელ ბაზალეთიდანა ვარ, ძირათ მოხვეე. ჩვენი
 ძველი გადმოსულა ბაზალეთში, ჩემი პაპა. ეს ხელობა, ნალბანდო-
 ბა აქ, დუშეთში ვისწავლე. სამი წელიწადი ვსწავლობდი. გაბო ლა-
 ლიაშვილმა მასწავლა, თავადაც ნალბანდი იყო. ამქარი ქონდათ
 დუშეთში. ამქარი ვიყავით რვა კაცი, თავათ გაბო ლალიაშვილი იყო
 ამქრის უფროსი. ის ოსტატი იყო. დანარჩენები უფრო შავირდებ-
 ბი. პირველათ ვისწავლე ლურსმნის ლესვა, მერე კი ნალის მოჭრა
 (ნალი: ცხენის, ხარის, კამეჩის). ცხენის ნალი რგვალაია. მასში პა-
 ერი რომ შავიდეს და ჩლიქი არ დაღპეს, ნა-ურეტი უკეთდება შუ-
 აში. ნალათ რბილი რკინა ჯობია. აქ ჩვენ ვკრით ქართულ ნალს.
 რუსულ ნალს ჩამოსხმულს ვეტყვით. ქართული ნალ-ლურსმანი
 ხელით კეთდება. ილესება კვერით. ლურსმნის ზინდანში, ნალის
 ზინდანი კიდევ სხვაა... ხარის და კამეჩის ნალი სხვანაირია. მისი
 დამზადება და გაჭედვა ხდება ჩლიქის მიხედვით. ნალით დაჭედვა
 სახედარსაც უნდა. როცა ხარს ან კამეჩს ვჭედამთ, თოჯს გადაუ-
 ლებთ ზურგზე, გამოუტარებთ მუცელქვეშ და შემოვახვევთ ფე-
 ხებზე. ჯერ უკანა და მერე წინა ფეხებზე, გამოვწვევთ და წავაქ-
 ცევთ. შაუკრამთ ფეხებს უღლითა და ჩამოვკიდებთ სამფეხზე. ძო-
 უთლით ჩლიქს, გავასწორებთ და დავაკრამთ ნალს ლურსმნით. თუ



„უწივა“ ლურსმანი (სისხლიან კუნთში წვდა), დაკოჭლება იცხვით, თუ დაკოჭლდა ხელახლა უნდა დაჭედო. ჯერ გასინჯავ ტკივან ფაქალირთქანს ააცილი ნალს და ისე, ან შეიძლება ლურსმნით გასინჯო. ნაწევი რომელიცაა იცნობა, ტკივანი ჩლოქი იცნობა. როცა ლურსმნითა სინჯავ ტკივანი საცაა იმაზე თუ მოხვდა ლურსმანი, ხარი „შატოკდება“. მტკივან ნაწილს ამოვჭრით, ჩირქი რაც აქვს სულ ერთიანად ამოიწმინდება ჯიბის დანით და შიგ ჩაუტენით გაწეწილ კანაფს. მერე აუცილებლად ნალი უნდა დაეკრას.

დასაჭედავად, ზოგიერთ ცხენსაც წაქცევა სჭირდება, რომელიც რომ ავია. როცა წავაქცევთ, ერთი კაცი თავზე აზის. რომ არ დაარტყას თავი. ხარს თავს დაუკრავთ. ცხენისათვის ეს არ შეიძლება, ცხენის დაჭედვა უფრო ძნელია. ცხენის დაჭედვა ღირდა 80 კაპ. თუ მასალა პატრონისა არ იყო. ხარიც ამდენი ღირდა 80 კაპ. თუ მასალა მისი იყო ამისი ნახევარი — 40 კაპ. ღირდა.

კამეჩას დაჭედვა ღირდა 1 მან. ნალბანდი თავათ არ ჰკრიდა ნალ-ლურსმანს. იმას მჭედელი ამზადებდა და ყიდულობდა მისგან. ქართული ნალ-ლურსმანი მეტსა ძლებდა და ისედაც ეს ერჩიათ. პატრონი არ იყო თანახმა, თუ რუსულით დაჭედამდით. არ უშვებდა. ხარის დაჭედვა 45 კაპ. ღირდა საშუალოდ. ქართული ნალ-ლურსმანი მეტსა სძლებდა და სასიარულოთაც უკეთესი იყო. ზამთრისათვის ვიცოდით „ყაირის“ (დიდთავა) ლურსმანი. ცხენიც იმითი იჭედებოდა და ხარკამეჩიც. ზაფხულითვინ კილო სხვანაირი ლურსმანი ვიცოდით. ახლაც ასე ვცდით. კობიანი ნალი აქ არ იხმარება. ყაირის ლურსმანი რომაა, იმას ჩვენებურად ცხენის ლურსმანი ქვია და „ყაირსაც“ ვეძახით.

ნალბანდის საქმეში შედის ლურსმნის მოჭრა, ნალის დახვრეტა. დაჭედვა. დღეში როცა საჭიროა 15 — 20 უღელი დამიჭედია ხოლმე. აღებულ ფულს „ნამუშევარს“ დავიანგარიშებდით ყველა ამხანაგი და ვიყოფდით საღამოს, მუშაობას რომ მოვრჩებოდით. თუ ვინმე დახარჯავდა, იტყოდა და იმის საბადლოს მოგვეცემდა და სხვას თანაბრად გავიყოფდით. ერთი ამქარი იყო: ნალბანდი, მჭედელი, კალატოზი და დურგალი. ამქარს თავის უსტაბაში ყავდა. ამხანაგად თუ ვინმეს დავიყენებდით, ამას ამქარის უფროსს ვეტყოფდით და იმის დასტურით ავიყვანდით.

ვიცოდით სამღვთოსა და სიკვდილის შემთხვევაში ამქარის დამახება საერთოდ.

მაისის 5—15-მდე მოდიოდა ჩვენი ამქარის სამხვთოს დღეო-



ბა. ვიყიდით მამალ ცხვარს, ღვინოს, დავამზადებდით სხლში პურსა და სხვა საქმელს და მივიღოდი დუშეთის თავზე. ელანი გექონდა ეკლესიასთან (ახლა აღარაა, დაქციეს ის) და ვიხიდიდი სამხვთოს ყველანი ამქრის წევრები. თეფშზე სამი ჭიქა ელაგა: პირველით ღმერთს, მეორეთი—ხელობის გამჩენს, მესამეთი — ხელოსნებს აღდგარქლებდნენ“.


მკედლობის იდეოლოგიური მომენტების შესახებ საყურადღებო ფაქტებს შეიცავს სოფ. ქსოვრისში დაცული მისალა. აქაური მკედლები მოგვითხრობენ: „ახალწელიწადს გამოვა მკედელი და 3-ჯერ დაპკრავს გრდემლზე კვერს, ეს იმიტომ რომ მუშაობა „ეკეთება“. დაპკრავდა და იტყოდა „მიღლემჩი გამოუშვებელი, გაახლდეს ისევე ჯაჭვი ამირანისა“-ო. მკედლები დიდხუთშაბათს უმძრახი ვაყეთებდით ჯვრებს და ასტამს. ამ ჯვრებს, დოს რო დღეებამენ სერის შემოსაკრავზე ჩამოკიდებენ, ბარაქასა და თვალისათვიან. ასევე, ბავშვებს აკვანზე შეაბამენ მას. დამხნა იყო — ზედაღვარა თუ ფეხი მოტყდებოდა, მკედელი არ გააყეთებდა, ან სულ სამივე ფეხი უნდა გამოეცვალა. ცოლის სიკვდილი იცისო და არ გააყეთებდა ერთ ფეხს (შდრ. ხარაზი ერთ ფეხსაცემელს არ შეკერავდა, ხელობის საქმეში ხელი გამიდგებო. ნ. რ.).

უბრად გაქედოლ რკინაზე არავინ ვაჭრობდა, რასაც მოგვცემდა ყაბულს ვიყავით. არც იმისათვის ვარგოდა სანდურავი, არ დაგვაკლებდა. ღირდა 20--25 კაპ. სხვა დღეს გაკეთებული არ „ჭრიდა“.

მკედელი დიდ ხუთშაბათს უმძრახი აყეთებდა პატარა სახნისს. საკვეთს, ჯვარს, რკინის უღელს, (ინ. სურ. 23) შამფურებს. პირველი სამი მიპქონდათ მცხოვრებთ, სახლში აკვანზე ჩამოსაკიდებლად ბავშვებს ავი ანგელოზის, „უემურისაგან“ იფარავსო. შამფური და უღელი მიპქონდათ „ხატში“, ალთქმა, „დაპირება“ ქონდათ. ხატმა მიპქონდათ აგრეთვე, ვინც როგორ შეუთქვამდა: „თასები“ (სპილენძის), რომელსაც შემწირავი აწერდა თავის სახელსა და გვარს. ვერცხლისა და სპილენძის ჭურჭელი — დოქები, ჭიქები. ასევე, სახლის აშენებისას საძირკველში რკინეულს ატანდნენ, რაც იქნებოდა: ნალი, წალდი, ცული, სშირად ფულსაც“.

მსგავს ფაქტებს ასახელებენ სოფ. ჩანადირთაკარის მთხრობლები. „უმალ, დიდხუთშაბათს და ყეენობის მესამე დღეს მკედელი უმძრახი იყო. უმძრახი ამზადებდა: ჯვარს, „უღელს“, შამფურს და ლურსმნებს. უქანასკნელს ურჭობდნენ სახლების კარებში. ივა

კვერს სამჯერ დაჰკრავდა გრდემლზე სიტყვებით: „საკიდლომ კუზგელდების ამირანსა“ (იხ. სურ. 21). მკედლები იტყოდნენ: „მკედელი ყველა შურობს ამირანს, თუ გამოვიდა სულ ერთიან ამონოცავს მკედლებსო და გვეშინიათ მისი. ლომისის მთაზე აბია რკინის ჯაჭვითო. თურმე წელიწადი ლოკავს ამ ჯაჭვს გოშია და რომ



სურ. 23 რიტუალური რკინეული-წელიო, ჯვარი.

მიიყვანს გაწყვეტამდე დაჰკრავს მკედელი კვერს გრდემლს და გამოთელდება როგორც იყო ისე... (მკედელი კვერს ჯერ თავის ზურგზე დაჰკრავს უმბრახი და მერე გრდემლზე დაჰკრავს ხოლმე).

რკინის „უღელს“ ატარებდა ვისაც შეთქმული ჰქონდა. მიცვალებულს თან ატანდნენ საფლავში. ვერცხლის უღელი ხატში მიგვექონდა, ხატს შეუთქვამდით. რკინის „უღელი“ მძიმე იყო. იმას ჩვენის ბუნებით ვიდგამდით. ზოგი, შვილები რო ჰყავდა ჯარში იმით ბედზე შეუთქვამდა, ზოგი კიდე ავადმყოფის გამო გვრდემს. კვირაძალზე და დიდხუთმაბათს დაჰკრავს კვერს მკედელი“.

სამეგრელოს ეთნოგრაფიულ ყოფაში შინამრეწველობის ერთერთ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა მკედლობა („ჰკადლა“), რომელიც სამ პირად იყოფოდა: რკინის მკედელი („რკინაში ჰკადლა“), სპილენძის მკედელი (ლინჯიში² ჰკადლა) და ოქრო-ვერცხლის მკედელი (ვარჩხილ ჰკადლა).

² „ლინჯი“, შდრ. ქართული ლინძი, სპილენძი („ლაშენა ეკლესია მელინძათა ყ“ დწმ. და მეტოქი სავაჟინროდთ ვიღრე სანზარელოდმდე, შრჯელიც ყოველი; და კვალად სხუასა არასტინთათვის და მელინძათათს და აღ იღუ-წეს“ (-იხ. ათონის კრებული, გვ. 230, 250).

მკედლობა თავიდანვე საპატიო და ღირსეულ საქმედ ითვლებოდა. განსაკუთრებით დიდ მოკრძალებას იჩენდნენ სამკედლო ადგილისა და იარაღის მიმართ ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სამკედლო გრდემლი, კვერი და მარწუხი, რომელნიც წმინდა იარაღებად ითვლებოდა და მათი დასაბამი უკავშირდებოდა წმ. „სოლომოს“, რომელიც 363 ხელობათა გამჩენ და მფარველ ღვთაებას წარმოადგენდა. საყურადღებოა, რომ იგი ზოგიერთი გადმოცემით, კონიერი, „ღმერთმოსილი“ კაცია, რომელმაც სხვადასხვა ხელობა (რომელიც მანამდე მხოლოდ ღვთაებათათვის იყო საცნაური) ასწავლა ადამიანს და მით შეუმსუბუქა მას „სისხლის პურის ქაა“... ამ მიმართებით „სოლომო“, ისევე როგორც „სოლამი“ (სვან.) და „შაშა“ (აფხაზ.) ახლო უკავშირდება „ამირანს“, პრომეთეს (ბერ.). სოფ. ჯვარში ჩაწერილი (მთქმელი ანტონ ფიფია) ლეგენდის მიხედვით: „ხელუა (ხელობა) ირფელი ხვალე ქირსეს³ ნოჩქე. ხელუანი ხვალე თინა ყოფე. ჰოდო, თის ნოკვირუე თე „სოლომო“ წმ. „სოლომო“ ნიჭიერი კოჩი ყოფე. ართიშა უწუ თიქ ქირსეს: — ნუშე ორთუქ, ნამდა ფურე რკინა გილმეილუ ხეთ დო თე ფურე რკინას ბირგულიშა გეთეიქადა ლიყვით, თის ვა უჯუნო. ქულამური ქუგააკეთე დო თის გიოქაადე? (თურმე იწკმა ვანოჩქედეს ქულამური, კვეკვა დო მარწუხი. ირფელს ხეთ ნოქიმინუედეს). დასუროთ თეში ქოქიმინუ დო უკული კვეკვა დო მარწუხი ხოლო გააკეთ. გოქაადუ. ექ ჯგირქ იყუ. თიწკმა დოხვამუ ქირსე-ლორონთქ „სოლომო“ დო თის გენაბარ 363 ხელუა. თიში უკული სოლომო რე მაქირა „კოჩი“. ე. ი. ხელობა აქამდე მხოლოდ ქრისტე-ღმერთის სცოდნია. მას უკვირდებოდა წმ. სოლომო, რომელიც ძლიერ ნიჭიერი კაცი ყოფილა. ქრისტესათვის შეუნიშნავს: „ცარიელი ხელით რომ გამოაქვს მხურვალე რკინა და მუხლზე იჭედს მუშტით, — უკეთესი არ იქნება გაკედლო გრდემლი, კვერი, მარწუხი და გაიადვილო მუშაობა? მიმართავს იგი ქრისტეს. ქრისტეს დაუჯდა გონივრული რჩევა და მართლაც ასე მოიქცა. მოეწონა მას სოლომოს მიხვედრილობა და ჭკუა. ადგა და მთელი ხელობა მას გადააბარა. ამის შემდეგ „სოლომო“ მეორე კაცი გახდა. (შდრ. კახური თქმულება, ასევე, საქართველოს სხვა კუთხეების მასალები, პირველი მკედლის შესახებ. სადაც იგი მიუმხვდარ პიროვნებადაა წარმოდ-

³ ხელობა ყოველგვარი მხოლოდ ქრისტემ იცოდა.



გენილი, ან ისეთ პირად, რომელიც ღმერთმოსილი და შეუწყობი
 ადამიანურ შეგრძნებათაგან. იგი შიშველი ხელით ეწვევა მკვლელობას
 ლობას, ბოლოს ძალის მიახვედრებს მას მარწყუხისა და სხვა ია-
 რალების გაქედვის საქიროებას).

საინტერესოა, რომ „წმ. სოლომოს კულტი გადმონაშთის სა-
 ხით უკანასკნელ დრომდე შემოინახა მისადმი განკუთვნილი „ლო-
 ცვის“ სახით. წმ. სოლომოსათვის დაწესებული ლოცვა („ხე-მა“) მკედლების მიერ უკლებლივ სრულდებოდა ყოველი ახალ წლის
 წინა დღეს. უფროსი მკედელი ამზადდებინებდა საკლავს—გოქს, განა-
 ტებს („დედოს“) და 2 კვერს. ამასთანავე საკმელს, სანთელს და ზედა-
 შეს. ზედაზე ამოქონდათ სალოცავი ჭურიდან⁴. როდესაც ყოველივე
 ამას დააღაგებდნენ ტაბაკზე, მკედელი აიღებდა მას ხელში, თან თა-
 ვის ვაყებს გაიყოლებდა და მიდოდა სამკედლოში. დააჩოქებდა
 გრდემლის წინ შვილებს და გადააქვებდა მათ თავზე სანთელ-სა-
 კმეველს და დაამწყალობებდა წმ. „სოლომოს“: „სუმოშუმონეზი
 დო სუმი ხელუაში გორჩქინუ დუდო ღორონთი დო უჯული „სო-
 ლომო“, თქვანი სახელი ხეამილი დო დიდებული; თქვა გაატიბით
 ჩქიმი ოჯახის. ხე-ხუჯი (ხელ-მხარი), თქვა ქომუხით“!—ამ სუ-
 ტყვებით საკმეველს იქვე ჰდგარ სანაკვერცხლეზე დაყრიდა (ონორ-
 ცხვე), სანთელს აანთებდა და გრდემლზე მიაკრავდა. სალოცავად
 საკლავის თავი და გულ-ღვიძლი მიჰქონდათ, რომლის თითოეულ
 მონათალს ჯერ თავად მიიღებდა და მერე სხვებს მიაწოდებდა, რო-
 დესაც ჭიქით ხელში დაასრულებდა ლოცვას.

სამკედლო შრამელი მთელ საქართველოში ნაკრძალს წარმოა-
 დგენდა. განსაკუთრებით სამეგრელოსა⁵ და აფხაზეთში სამკედლო
 ითვლებოდა წმინდა ადგილად, ხოლო გრდემლი, კვერი და მარწყუ-
 ხი ნაწილიან იარაღებად, რომელთაც ხატ-ჯვარზე მეტი „გამკრე-
 ლობა“ და ძალა ჰქონდათ. ეს ნივთები სახლგულის საერთო „საძირე“

⁴ სალოცავი ჭური იქვე, სამკედლოში იყო დაფლული და ამ დროს მოხ-
 დიდნენ.

⁵ ბორჯღინი (იხ. სამეგრელო, თბ., 1934, გვ. 136—137) მიუთითებს, რომ
 „მესამე ზელადი და ყველაზე საინტერესო იყო მკედელი უტუ მიქავა (იგულისხ-
 მება სამეგრელოს გლეხთა აჯანყება 1857 წელს) სოფ. ჯვარდან. მკედელი საე-
 რთოდ ყველგან ხალხში უბრალო კაცად არ არის მიჩნეული, როგორც რუსეთის
 სოფლებში, ისე სამეგრელოშიაც მკედელი უმეტეს შემთხვევაში იცნობს სხვა-
 დასხვა სამეტრნალო ბალახებს, იცის შელოცვები და სხვა.

საგნები იყო და გაყოფისა და სხვაგან გადასახლების შემთხვევაში, მის „შევრდომილს“ და „გამომლოცველს“ უნდა წაეღო მათი კეული ნაწილები (ჩამონაკვეთის სახით), რომ ახალ კვლავ გაემართა „საძირე“ სამკედლე, რომელსაც უნდა „მირთვო-და“ წამოღებული წმ. ნაწილები.

სამკედლო იმავე როლს ასრულებდა. ზოგიერთი წეს-ჩვეულების შესრულებისას, რასაც ეკლესია მორწმუნისათვის. კიდევ მეტი, ზოგიერთ შემთხვევაში, სამკედლოში „უცისა“ და „გადაცემას“ („ფუჩი დო ხინტი“-ს) თან ახლდა უდიდესი, ეკლესიაზე აღმატებული შიში და კრძალვა. სამკედლოში გრდემლზე გადაცემა („გენოჩამა“) საშინელი რისხვა იყო თვით უაღრესად გამოუსწორებელი ადამიანებისა და საზოგადოების შემწუხებელი ნაძირალებისათვისაც⁶.

რაიმე დანაშაულის შემთხვევაში სამკედლოში მედიოდენ გასასწორებლად, როგორც ბრალმდებელი, ისე ბრალდებული — მომჩივანე ანუ დაზარალებული და ეკვიპიტანილი პირი, როდესაც მათ არ აკმაყოფილებდა ქრისტიანული წესის ჯვარ-ხატზე დაფიცება და გადაცემა. მკედელი დადგებოდა გრდემლთან, მის წინ წარდგებოდა ბრალდებული და ბრალმდებელი. პირველი მარცხნივ, მეორე — მარჯვნივ. შემდეგ ამისა, მკედელი აცლებდა ხელში კვერს და წარდგამდა ნაბიჯს წინ შემდეგი სიტყვებით: „363 ხელობაში გორჩქინუ წმ. სოლოზო. ქეგედვი განჩინება, კვარჩხანი მუკურთინე, თიში გარემობას; სკიში-სკიში გენათხოზი დო ვონდო ვერსხას დუდი. გაწუოთი თოლი დო გეშათი ჭინჯო.“ ამ სი-

⁶ შევრდულ სამკედლოს გვერდით დეჰანიცა და შიგ კიდეც სულ მდებარევა უსაქმური ხალხი; აქ ეუბიერიან ცოთმანეთს ახალ ამბებს, ერთი ჯგუფის ალაგას მეორე მოდის, განუწყვეტლივ უყაჩებენ, ზოგჯერ საქონელსაც კლავენ და ვაჭრობენ და ყოველ სადავო შემთხვევაში, ეს ხალხი მიმართავს მკედელს, რომელმაც უშეტეს შემთხვევაში ლაპარაკი იცის თავდაპირით, მაცდურად კილოკავით... (იხ. ილ. გოგია, ნარკვევი — „გლუხთა აჩანება სამეგრელოში“, ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზ.-ს შრომები, ტ. 1, თბ., 1947, გვ. 91).



ტყეების წარმოთქმისას დროდადრო კვერს გრდემლზე ურტყამდა და თან დამნაშავეს მისამართით ამ სიტყვებს ზევეწნის კილოთი ვლენდა წმ. სოლომოს წინაშე, რომლის გაჩენილადაც ითვლებოდა სამჭედლო და მისი მთავარი ატრიბუტები.



საყურადღებოა, რომ ცალკეული სამჭედლო უსასყიდლოდ ასრულებდა უპიროვნო დაკვეთას სახელდობრ „ბოძალის“ („ბორზალი“-ს, მეხის) დამზადებას. იმ მიზნით, რომ მათი რწმენით, წმ. გიორგის იგი სჭირდებოდა კულიანებისა და მავნებლებისათვის „თავსატეხად“. მჭედელი ამზადებდა რამდენიმე ამგვარ „ბოძალს“ და მიჰქონდა ისინი ეკლესიის ეზოში და ათავსებდა მათ დამჩრობილ ხეზე, რათა წაეღო იგი შემდეგ წმ. გიორგის მეხის დასაცემად. „ნამეხი ადგილი რომ გასინჯოს კაცმა მუდამ ნახავს ამგვარ ბოძალს“-ო, ამბობდნენ მჭედლები არტემ ბესარიონისძე წიფურია და იულო თეიმურაზის ძე ფანცულაია (ქ. ზუგდიდი, 1937 წ.).

წმ. „სოლომო“ იყო ქვენა ღმერთი („თუდო ღორონთი“) რომელსაც უმფროსი მჭედელი ყოველ შაბათს ეხვეწებოდა ლოცვით. ხელების დაიბანდა, სუფთად ჩაიკვამდა, და შეევედრებოდა სანთელ-საკმელით „წმ. სოლომო! სქანი სახელი ზვამილი, ქინაშა ხელობაში გგმარჩინალი, 363 ხელუაში გგმარჩინალი, სიქომუჩი წყალობა თუდო ღორონთქ, სქანი სახელი ზვამელი“ (წმ. სოლომო დაილოცოს შენი სახელი, ქვეყნის ხელობათა გამჩენო, 363 ხელობათა გამჩენო! შენ მომეც წყალობა, ქვენა ღმერთო, შენი სახელი დალოცვილი).

ჩვენ ზემოთ შევეხეთ სამჭედლოში გრდემლზე გადაცემის საკითხს და ამის შედეგზე არაფერი თქმულა. თუ ვინიცობაა რაიმე მიზეზით გადაცემული შეატყობდა, რომ მას „ცოდვა გაუდიდდა“ („ცოდაქ გედიდ“) და რისჩვამ უწია, იგი მიდიოდა სავარაუდო სამჭედლოში თავის დასახსნელად („ღუდიში ორსზებლო“) და სთხოვდა მჭედელს გამოლოცვას („გითოხვამა“-ს). ამ თავის განზრახვას ორი დღით ადრე ამცნობდა მჭედელს, რომ შემზადებულიყო. მჭედელი მიიღებდა გადაცემულსა და მის მხლებელთ გვიან საღამოს. როდესაც მათ ყველას შიგნით შეიყვანდა, კარს გადაარაზავდა. „გამომლოცველებს“, ყველას გრდემლის წინ დააჩოქებდა და შესთხოვდა ყოვლის გამგებელს შემცოდეთა „ალებას“ (პატუებას). მჭედელი, კვერით ხელში, მათ უკან ამოუდგებოდა მარჯვნივ, სამჯერ გრდემლის წინ ხელკვერს გადაავლებდა მათ თავზე: „წმ. სო-



ლომო, ირსხი თენა გაჭირებაშე, მეუთნი ბრალი უღუდა ქაბატი 363 ხელუაში ვორჩქინუ წმ. სოლომო, სქანი ჯგირი დუს ქოჭთინუ, თენა გინუჩამუ მიდგენს ჯვეშო, დო ასე ქემააქიშუ. სი ქვირსხი დო ქიმევათ „ალეზა“. მუურს სქანდა ძღვენით დო გოხვეწუ არა ართო, სქანი სახელი ზვამილი! გრდემლზე ამ დროს ანთებული იყო ხუთი სანთელი. „გადაკემულს“ თან მოყავდა საკლავი ცოცხალი თიკანი, სანთელ-საკმეველი, საჭირო სურსათი, ღვინო და არაყი. ამ ცერემონიალის შესრულების შემდეგ, იგი „ალეზულად“, შენდობილად (შეწყალებულად) ითვლებოდა.



სურ. 24 რკინის ზოდი ს. ეშერა (აფხაზეთი).

უნდა აღინიშნოს, რომ გრდემლისა და კვერის კულტი ფართო გამოვლინებას ჰპოვებდა აგრეთვე ალთქმისა და შუპირების წესჩვეულებაში. მაგალითად, ძლიერი და საქვეყნოდ ცნობილი სალოცავეების⁷ საწირავად მკედლები ამზადებდნენ პატარა გრდემლს, კვერს და იგი მიჰქონდათ „ხატის კარზე“.

რაც შეეხება რკინის წარმოებისა და მკედლობის საკითხს აფხაზეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში, ჩვენ მიერ გაკვრით იყო აღნიშნუ-

⁷ განსაკუთრებით სამეგრელოში ძლიერ სალოცავებად იყო მიჩნეული „უული (ზუგდიდის რაიონი), ილორი (ოჩამჩირის რაიონი), „ალურტი“ (ცხაკაის რაიონი) და სხვა..



ლი ერთ-ერთ წერილში⁸. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ რკინის ზოდი სწორედ აფხაზეთის სინამდვილეში აღმოჩენილი იქნა (სურ. 24).

უნდა აღინიშნოს, რომ მკვდლობა და განსაკუთრებით რკინის კულტი, ერთობ ცხოვლად შემოინახა სამეგრელოსა და აფხაზეთში. ამის ერთ-ერთ ძირითად მოტივად უნდა მივიჩნიოთ რკინის როლი და მნიშვნელობა აღნიშნული კუთხის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე რააც სპეციალური ლიტერატურული მონაცემებიც ემოწმება, სავსებით ნათელი გახდა, რომ ერთ დროს აფხაზეთის მცხოვრებნი საკუთარი ნედლეულის ბაზაზე ამუშავებდნენ ადგილობრივ რკინასა და რკინის ხელადს. რკინის წარმოება არსებითად იმავე წესით სწარმოებდა, რა სახითაც იმერეთსა, რაჭასა, სვანეთსა, სამეგრელოსა და ქართლში.

აფხაზეთის სინამდვილეში, რკინის მადანი მოპოვებოდა ე. წ. ჯგჰრას, ანუ ძგჰრას მთაში, რომელიც მდებარეობს მდ. ბზიზის სათავეებში. აქ რკინის მადნის მოპოვების ნაკვალევი და გამოჩენილი შევართა ნაშთები დღემდე ჩანს⁹. ამ მადანს (მაადანაიხა, აფხაზ.), ადგილობრივი მოსახლეობა. ფარჩა ნადიუმპაშიგის (სოფ. სოპის მცხ. 70 წლისა) ცნობით, ზიდავდა და ადგილზე ამუშავებდა რკინად. საინტერესოა, რომ იმავე პირის ჩვენებით რკინის მადანს აფხაზეთში სხვა სახელითაც იცნობდნენ და უწინ მას სახელად „აიხაზლოუ“-ს ან „ამაადან“-ს უწოდებდნენ.

რკინის მადნის ადგილობრივი დამუშავების ფაქტი თავისთავად საყურადღებო გარემოებაა და მასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალა საგულისხმო ცნობებს შეიცავს. ეს ცნობები პირწმინდად ემთხვევა, ბევრში ავსებს კიდევაც წედისის, ოკრიბის, კუბერის, ბოლნისის და სხვა სარკინეთების რკინის დამუშავებისა და მკვდლობის ამბებს. 1950 წელს არქეოლოგ ალექსანდრე კალანდაძის მიერ ჩატარებულმა გათხრებმა სოხუმის მიდამოებში¹⁰ წარმოაჩინა აფხაზეთის ტერიტორიაზე დაცული ლითონის საწარმოთა ნაშთები და საინტერესო საგნები. რომელთა შიხედვითაც ირკვევა,


⁸ ნ. რეხვიასვილი, რკინის საწებრნეო იარაღები აფხაზეთიდან, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XIX-ა და XX-ბ, გვ. 315.

⁹ Минеральные ресурсы ССР Грузии, 1933.

¹⁰ ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, 1951.



რომ მკედლობასა და რკინის დამუშავებას აქ ხანგრძლივი მანძილი
 რია აქვს და რომ მდიდრად დაცული რკინის კულტთან დაკავშირებული
 ბული მასალები შემთხვევითი არ არის. ამასთან დაკავშირებით ყუ-



სურ. 25 რკინის საწურთი ჭურის სოლინაზი (შტვირი) სვანეთი

რადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აფხაზეთის ეთნოგრაფიულ
 სინამდვილეში დამოწმებული რკინის ხელობის მაღალი კულტურა
 და მასთან დაკავშირებულ რწმენა-შეხედულებანი თავისი სათავე-



ებითა და მისი გავრცელების გზებით, როგორც მოსალოდნელი იქნებოდა ქართველი ტომების ერთიანი კულტურისა და ისტორიული განვითარების საფუძვლებიდან ამოდის, მთელი რიგი ენობრივი და ტერმინოლოგიური დამთხვევები და რაც მთავარია, საწესო ჩვეულებათა ერთგვარი ხასიათი დამატებით ასაბუთებს ზემოხსენებულ მოსაზრებას. ამ მიმართებით შეიძლება დასახელებულ იქნას კონკრეტული ფაქტები. — წრთობის ხაზით — აფხაზი მკვედლები ძირითადად იმავე პრინციპს იცავენ, რასაც საქართველოს სხვა კუთხეებში ვხვდებით. ესაა — წრთობილის გამოცნობა ფერის საშუალებით (ფერთა შორის აქაც ოქროსფერია მიჩნეული დადებითად). რკინის „დულილის“ გარკვევა და ნორმალური მსვლელობის გარჩევა ცეცხლის ფერთა და ნაპერწყალთა აკიადებით, ნახელავის ფორმა-შინაარსის ერთგვარობა და დამუშავების ტექნიკური პროცესების ერთნაირი წესით წარმართვა. სამკედლოს და მკვედლთან დაკავშირებული რწმენა-შეხედულებათა ერთი და იგივეობა და სხვა. ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახულია ბევრი ისეთი საგულისხმო ფაქტი მკვედლობის საკითხის შესახებ, რომელსაც სხვა კუთხეებში იშვიათად თუ შეხვდება კაცი. ამასთან ერთად აქ წარმოდგენილი მასალა ამკარად ატარებს კუთხურ იერსა და თავისებურებას. ამ მიმართებით საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ფაქტი აფხაზეთის მკვედლობის შესახებ ტექსტუალურად იქნას წარმოდგენილი საკითხის ნათელსაყოფად.

სოფ. არასაძიხის (ძველი — აფუფშერა) მცხოვრები მკვდელი დამეი აჯბა-ს ჩვენებით რკინეული ხელადი მოქონდათ უფრო ლაზებს (ალაზი, ასანქვა — ლაზი, ქანი). ბაბუა მისი, სახელად ლაზი, იყო განთქმული მკვდელი, რომელიც ჰქვდა ქართულ ცულებს (აქირთვაიხა, აფხ). ერთი ცული ღირდა 1,5 მან.

ლაზი აგრძელებდა ბარციცების გვარში დადებულ წესჩვეულებას, რომელიც გამოიხატებოდა შემდეგში: გვარის უხუცესი პირა (იგივე მკვდელი) მიდიოდა საგვარეულო სამკვედლოში — აფერა-ში და იქ ასრულებდა ლოცვას თავისი მონაერთით (ამეამად აფერა-ს ადგილი მთლიანად დაფარულია ეკლბარდებით, მაგრამ იქ ახლაც დგას რკინის გრდემლი, კვერი და მარწუხი, ვითარცა წმინდა, ნაწილიანი საგნები და მათ წინაშე ყოველწლიურად ასრულებდნენ სათანადო რიტუალს ზემოხსენებული გვარის წარმომადგენლები).



მხვერპლად მიჰყავდა თხა (ცხვარი არ შეიძლებოდა), დაწვნილი წვერების სახელზე თითოზე თითო მამალი და დიდი მრწამსით წირავდა ამ საგვარეულო, საერთო სალოცავზე მხვერპლს. ლოცულობდა თავისი მონაგარისა და გვარის სახელით. იგი ევედრებოდა წმ. შაშვს ყველა ხელობის დამბადებელსა და მოხელეთა მფარველს, რომლის სახელზედაც დაფლული იყო სალოცავი ქვეარი — „ახაფშა“ — სამკედლოში. ამ ლოცვას, რომელსაც ახაფში მკედლები ასრულებდნენ უმთავრესად ახალ წელსა და შობას, ეწოდებოდა — „ხეშხვამა“, „ღეჯხვამა“ (მღრ. „ხეხუჯის ხვამა“, მეგრულად და ხელმწიარის ლოცვა, ქართ.). როდესაც გვარის უხუცესი წვერი გარდაიცვლებოდა, აღნიშნული ლოცვის შესრულება ეკისრებოდა უფროს შვილს. ქალი ამ საქმეში არ მონაწილეობდა.

კონკრეტულად ეს ლოცვა სრულდებოდა შემდეგი სახით: მკედელი დაკლავდა თხას, ან მოზვერს (ცხვარი არ შეიძლებოდა) და იმდენ მამალს, რამდენიც იყო „გამომლოცველი“. კაცი გამოაცხობდნენ დიდი სართვიან განატეხს — „აჩაშვ“-ს და მას საგანგებოდ ორპოზე — „ახამუხზე“ დადებდნენ. განატეხი იმდენად დიდი იყო, რომ (d=6მ სმ.) ხშირად ორ კაცს ერთად მიჰქონდა იგი. ცხვებოდა თიხის ყვერფში, რომელსაც ერთი კვირით ამზადებდნენ. ჩასვამდნენ სუფთად „გადაფაულ“ კეცში (კერაში) და ზემოდან მას წაბლის ფოთოლს დაახურავდნენ, მერე ცხელ ღვეღვს დააყრიდნენ და აკლიდნენ გამოშუშებას, გამოცხობას. წესით განატეხი პურისა უნდა ყოფილიყო მისი შეცვლა სიმინდის ფქვილითაც შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ მასში წმინდა ღომის ცოტა ფქვილს მაინც შეურევდნენ. საწირავ საკლავებს დაკლავდნენ, ხორცს პოხარ-შაიუნენ. არაფრის გადაყრა არ შეიძლებოდა მოხარული ხორცი მთლიანად მიჰქონდათ სამკედლოში — „აქირაში“. გულ ღვიძლს ჩამოაგებდნენ ნიგვზის შამფურზე (სხვა ხე არ ვარგოდა) ამას შაშვ-ს შამფური — „აწივ შმაიჯრწივ“ ერქვა.¹² (შაშვ შეიღბიროვანი, 7 ღვთის უფროსად ითვლებოდა)*

¹¹ზოგიერთი მკედლის განმარტებით ამ სალოცავს წირავდნენ — ღორს ამიტომაც მას „ღეჯხვამა“ (ღორით ლოცვა) ეწოდებოდა. შანი 7 ღვთის უფროსი იყო და მისდამი 7 სანთელი მიჰქონდათ დასაწვავად. მას მიმართავდნენ: „7 წმინდანის უფროსო, 7 წმინდანის თაო“-ო.

¹²საინტერესოა, რომ აფხაზეთში, პირწმინდად შემონახულა ისეთი ტერმინები როგორცაა ქართული ჰამი (აჰამ, აფხ.), ასაბიჩი (ასაბიჯ, აფხ.), ლაკანი, ლაგინა (გურ.), ლაგან (აფხ.), ლაგინი (მეგრ.) და სხვა..



ამ პროცესში საერთოდ ქალი არ მონაწილეობდა. როდესაც ყველაფერი მზად იყო, მიდიოდნენ სამკედლოში. მარჯვნივ მხარეზე დააწყობდნენ იმდენ სანთელს, რამდენიც იყო გამომლოცველი. უფროსი აიღებდა ჭიქით ღვინოს მარჯვენა ხელში. მარცხენათი ანთებული სანთლები ეჭირა და მას სამჯერ გადაავლებდა თავზე თავისიანებს. ამ შემოვლებას ეწოდებოდა — „აყარებშიარა“ შემდეგ დადგამდა ჭიქას და თითოეულ სანთელს მიანთებდა ყველა კედელზე. შემდეგ მარჯვენა ხელით ჭიქას აიღებდა და დაილოცებოდა: „შაშვიტ ჭეღუფხა, ჭეგუფხა პატთარაცე პატეპოოატ; შაშვიტ იტეშთანე აპქიაზშლაგ პამპტეწახარაზე პაუტეპოოატ. ჩიანტ ტაეიანტ ტარა ტეშაპტ კრბდა ხაა პამამეია აშეჟეს ქეცე პაზენატეშთარაცე. აბრი ისკუ აჩბეე ჩაჩბეე ინტეშეწანე ქაქ ალადსერტუნბა ზეა ფხბტ პაზტეაააატ. შაშვიტ, აბენხაკ, აბეცეუმხაკ ზუხკტდერწუა სშეგპოოატ აბრი სმაწათ ხამაჟა დლაშეწარაცე ჩიან ბზიალა დნაშეგშთარაცე“.

ლოცვის დამთავრების შემდეგ ყველაფერს წააცილიდა ცოტაცოტას და შეკუმშავდა ლუკმად, ღვინოში ამოუწებდა და იტყოდა: „აჩბეე ჩაჩბეე. (4 ჟერ), ვიდრე ამით აჩბა-ჩაჩბა არ გავაძლო, მანამდე მარიდე ყოველგვარ წუხარებას, და ოფლს ნუ მოადენ ჩემიანს“-ო. ამ სიტყვებით ნამცეცთაგან შეკუმშულ გუნდას მაღლა შეაგდებდა. ამის შემდეგ, შეაკმევედა ყველას თითო ლუკმას. დაუძახებდა მოწაფეს და ახლა ისიც ამავეს გაიმეორებდა: — შეიდი ღვთის უფროსო შაშვიტ (7 პიროვანია, 7 წმინდანის უფროსია-ო და ამიტომაც 7 სანთლით ევედრებოდნენ მას), შენ შეგვეწო და გვიხსენი. შემდეგ ამისა მკედლის მოწაფე თავის სახლში მიდიოდა. რათა იქაც აღესრულებია დაწესებული ლოცვა — „ხეჯტამა“. საერთოდ, ამ დღეს ყველა აფხაზი ასრულებდა „აეჟრა - ყიზ“-ის (სამკედლო „წილის“) შემოლოცვას. ამ დღეს, ყველა აფხაზი ახსენებდა წმინდა „შაშვიტ“-ს არა მკედელიც. ეს დღე — „ახალწელი“ აფხაზისათვის ითვლებოდა „სანჩნელ დღედ“, ამიტომ სივთის გაცემა ან სხვაგან დატოვება აკრძალული იყო. „ვაშინერდ“ (მეგრ.). ვარდა ამისა, ამ დღეს გლახა „თვალისა“ და ფენის ადამიანის შეხვედრას ერიდებოდნენ, ვინაიდან სწამდათ, რომ ყოველგვარი კარგი და ცუდი, რაც იმ წელიწადს ეწეოდა ოჯახს, მთლიანად დამოკიდებული იყო მეფერხულზე, რომელსაც აფხაზნი „ამშთას“



უწოდებდნენ (კოდორს გამოღმა კი — „ამშთა“-ს „კუჩხა“-ს, ეჭვითაა ჩხური ერქვა. ჩანს მეგრულის გავლენით).

საყურადღებოა, რომ აფხაზნი, როგორც ითქვა, შემდეგი სატყვეებით მიმართავდნენ წმ. შაში-ს: „ანცვა შაში აბუნიხა“ (შვიდი წმ. ხატის ძალთა მქონე, შვილი წმინდანის უფროსო), ისევე როგორც სვანები — „სოლომს“, მეგრელები — „სოლომოს“, ჩერქეზები — „ტელეპეს“ და საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში — წმ. გიორგის. იმავე აფხაზეთში დიდრიბშის მთაში ახლაც არას წმ. გიორგის სახელობის სალოცავი, სადაც სრულდებოდა მსგავსი ხსიათის ლოცვა-ვედრება.

სოფ. ლიხნის მცხოვრებ, მკვდელ ყურამაზიას ჩვენებით, მკვდელს ჰქონდა აეჟრაში სალოცავი ქვევრი დაფლული, რომელსაც შემოდგომაზე ავსებდა ღვინით. და მით ლოცულობდა აღდგომას, „თანაფა“-ს (შედრ. ანალოგიური დღე მკვდლებსა და საერთოდ, ქველი თანამდები „ხვამების“ (ლოცვათა) შესრულება აღდგომა დღეს სამეგრელოსა და გურიაში). წმინდა სალოცავი ადგილები იყო: „ელგრა“, „ლაფერნაბ“-ი, „დიდრიფში“ და „ლძნნი“ თითოეულს ცალკე ლოცულობდა ოჯახები, ან ერთი და რამდენიმე გვარი. ეს იყო დაპირებაზე დამოკიდებული. ვისაც რა ედვა ქველიდან, ისე იქცეოდა. ხატის წინაშე მისული, ჯერ ახსენებდა მაღალ ღმერთს („ჟინი ღორინთ“-ს) და შემდეგ ამ ქვეყნიურ სალოცავ— „დიდრიფში“-ს და სხვათა. სამკვდლო, ყურამაზიას ნიაჩნია წმინდა ადგილად. „ხატი იყო ჩვენთვის აქირა“ — ამბობს იგი. აქ წყდებოდა სადავო საკითხი მცხოვრებთა შორის. იმ შემთხვევაში, როდესაც სოფლის სასამართლო, „აძბცია“ (3 კაცისაგან შემდგარი მედიატორენი), მიუსჯიდა მოდავეთ ხატში დაფიცებას, აქ მიდიოდა ბრალდებული და ბრალმდებელი. პირველს, ე. ი. ბრალდებულს— ახარაზდულს, თან მიჰყავდა თანამოფიცე პირები — „ახუქაშუკ“, 3—4 კაცი. როდესაც მივიდოდნენ ადგილზე, ბრალდებული და ბრალმდებელი თავისი თანამოფიცრებით, ეკლესიის (ხატის) უხუცესი, მნათე, „სტაროსტა“, ანუ ხატის გამგე („მეხატური“, მეგრ., „ანუხაფუკ“, აფხაზ.) დაასვენებდა შუაში ხატს და მიმართავდა მას: წმ. ხატო, თუ რაიმეში დამნაშავეა ან ერთი, ან მეორე მხარე, ნუ მიიღებ მათ ფიცსა, აქურა შაში. შემდეგ ანუხაფაკ აძლევდა მოფიცარს პატარა ჯოხს (მისი სიგრძეა დაახლოებით 1 სმ)—ფი-



ცი“-ს (მეგრ.), ლაბეწიშირა-ს ახვაზ.), რომელზედაც დაიფიცებდნენ **საქართველოს** მას ხატის წინ დაავდებდა როგორც საფიცარის საწინდარს¹³. **საქართველო**

ცალკეულ შემთხვევაში, დაზარალებული ესა თუ ის პირი უშუალოდ მიდის მეხატურთან და ჩუმად შეთხოვს მას დაამზადოს სანთელი, საკმელი და „გადაცეს“ ის პირი, რომელზედაც მას მიტანილი აქვს ეჭვი.

სხვა შემთხვევაში, იგი მიდის პირდაპირ მკითხავენთან — აყიჯ-აჯრთაჯ-თან ან მასზე უფრო საპატრო მარჩიელთან — აწავ-თან. პირველი სიმინდის მარცვლით კითხულობდა, მეორე — ბნელ ოთახში იჯდა და პატარა სარკმლიდან აცნობდა, შუამავალის საშუალებით, მის გასაჭირს. შუამავალს, ანუ თარჯიმანს, რომელსაც „ათათაჯავ“ ეწოდებოდა, ეტყოდა მკითხავი: ასე და ასე მოიქცესო. ამის და ამის მიზეზითაო. იმ შემთხვევაში თუ ბრალდებულს რაიმე სახის განსაცდელი შეექმნებოდა ავადმყოფობის, ზარალისა ან სხვათა სახით, იგი იძულებული ხდებოდა გამოტეხილიყო თავის დანაშაულში, ერთი ორად ეზლო მომჩივანისათვის და რაც მთავარია, აპისათვის ახსნა, „ალება“ (მეგრ.), „ახჰმუხრა“ (აფხაზ.) ეთხოვა ხატისათვის აჯირაში, ან მთავარ სამყოფელში. თუ მომხდარი ამბავი ძლიერ შორეული იყო და შერისხულის ოჯახს არ ახსოვდა კონკრეტულად თავის დანაშაული რაში გამოიხატებოდა, მაშინ იგი მიდიოდა „აწავ“-თან და მისი საშუალებით გაიგებდა მიზეზსა და ხასიათს იმ უბედურებისა, რომელიც მას თავს დაატყდა.

სამკედლოსთან. აფხაზურად აჯიჯრასთან დაკავშირებულია მრავალი საყურადღებო გადმოცემა, ლეგენდა და რწმენა-შეხედულება. კვასთა დაკვათის ძე რუხაძე და ნესტორ სოგუმის ძე ზაშიგი, სოფ. ხობის მცხოვრებნი ვამცნობენ რომ „შაშიჯ“ ყველა ხელოსნის, უფრო კი მკედლების, მფარველია და მას ყოველ წელს წირავენ თხას. გარდა მკედლისა და მომკმედი სამკედლოს მქონებლისა მათ ყოველწლიურად სწირავდა მსხვერპლს ისიც, ვისაც საერთოდ ჰქონდა „აჯიჯრა“. „თუ ახლა სკოლაში სწავლობენ, ძველად ამ საქმეს ყველაფერს მკედელი უძღვებოდა. ის იყო მთელი სამეურნეო სა-

¹³ ლაბიწაშგრა (აფხაზ.) ნაწარმოები სიტყვა ჩანს, მისი პირველი ნაწილია +ბიწ, ანუ „ფიცი“ ნიშნავს ჯობს, მცირე ნაფოტს, ხოლო მეორე ნაწილი — „აშგრა“ გადაცემას, ე. ი. საფიცარში გადაცემის ჯობს! შდრ. „ფუნიზინტი“-ს ჯობი (მეგრ.).

ქმისათვის და ოჯახში სახმარი საგნების დამზადების თავი და ბოლო. მისი კითხული ვიყავით ყველა. მჭედლის რჩევა-დაბრუნება კანონი იყო. მათივე თქმით, მჭედელი შაშვმ-მიერი კაცი იყო. საპატრო პიროვნება და რჩეული. იგი ფლობდა რკინის დამუშავების ხელობას. რკინა კი ყველაფერი იყო“....

შაშვმ-სთან დაკავშირებით მათვე გადმოგვცეს ლეგენდა:

„— შაშვ (შამუ) მიდიოდა ერთხელ გზაზე და დაეწია მას ორი ცხენოსანი, შეიარაღებული. შაშვ-მ ისე გაუარა, მათ რომ გამარჯობა არც კი უთხრა. (როგორც ჩანს შეეშინდა, მოერიდა მათი). შემდეგ იგი ერთ მოხუცს დაეწია და ხელი წაავლო მკლავში: — შენ უნდა მომცე თხა, რათა დავკლა და შევკვამო, ვშიაო.— შაშვ, უთხრა მოხუცმა, — საიდან გაკვამო რამე, არაფერი გამაჩნია! — გინდა თუ არა საიდანმე გააჩინე, ახლავე ერთი კარგი თხა დამიკალიო, — უპასუხა მოხუცს შაშვმ (დაიბრიყვა)¹⁴. — რაღა მე, ღარიბს, გაჭირვებულს ვადამეციდე? აგერ მდიდარი ცხენოსნები რომ შეგხვდნენ, რატომ იმათ არაფერს ეუბნებიო. რატომ მათ არ მოთხოვე თხა-ო. — იმათ შენ თავი დაჩნებ! მე შენ გეუბნები დამიკალი თხა-ო! — მოხუცი იძულებული გახდა ვინმე მწყემსისთვის გამოერთმია თხა, რომ დაეკლა იგი შაშვსთვის. მწყემსმა მისცა თხა, მოხუცმა დაუკლა ეს თხა მას და მასთან, მეზობლებიც მიიწვია. სუფრაზე შაშვმ განაცხადა, რომ ვისაც ჩემი ძალა უწევს, ვისაც ვერევი მე იმას ვავალე და მიკლას თხაო. შენ ხომ მჭედელი ხარ? ეს შენ გვევალეაო. (ვარიანტით): სუსტ კაცს ყველა ერევა და მეც შენ მიტომ მოგთხოვეო. შაშვმ დაინახა, რომ მოხუცი იყო და გაანთავისუფლა ამ „საკლავისაგან“ იგი“.

სოფ. ხოპის მცხოვრები მჭედელი ნესტორ სოგუმისძე რუხაძე დასძენს, რომ „თუ შვილი გაეყრებოდა მამას, ან შორს გადასახლდებოდა სადმე მას თან უნდა წაეღო სამჭედლოს ნაწილი — კვერი, მარწუხი და გრდემლის ნატეხი. თუ ახლო დასახლდებოდა, მაშინ ისევ ერთად ლოცულობდნენ აეირაში. ლოცვა წესით გადადიოდა

¹⁴ აფხაზთა შეხედულებით საწყალს და უჭონელს ღმერთიც ემტერება და ჩაგრავს (შდრ. ლეგენდა: წმ. შიო წლეს ერთ დღეს ჩამოუვლის ყველა სახლს და ბედელ-მარანს, რომელსაც ცარიელს ნახავს დასწყევლის: „ვისაც აქვს, ისევ მას ეშატოს“-ო. თქმა — გამოუღევია შიოს მარანივითო.



შვილზე ან უფროს ძმაზე. ჩვენი ძველების რწმენით შაშვი უძლიერესი მამაკაცი, არაჩვეულებრივი მკედელი, მისგან სდგებოდა ყველაფერი: ოქრო, სპილენძი, რკინა და სხვა. თურმე მან თავისი ხელით აიღო ქვა და მისგან განოიყვანა ყველა ლითონი, რაც კი კაცის საჭიროა და გამოსადეგი. ცალთვალა იყო თურმე, მაგრამ ყველაფერს ხედავდა.

აქირაში ვასრულებდით ყოველ წელიწადს „ხეჩხვამას“. დილას იწყებდნენ მზადებას. თითო კაცზე იკვლებოდა თითო მამალი. ცხვებოდა თითო „აკიაქარ“ (პურისა). სახლის უფროსი კი თხას დაკლავდა. მზადება მოთავდებოდა სამხრობისას. ნამზაჟს ყოველივეს დააწყობდნენ „ახამუხ“-ზე (დიდი ხონჩა), მხოლოდ ხორცს მეორე ქურჭელზე — „აშახაზე“ დალაგებდნენ, სულ დაჭრილად. შევიდოდნენ სამკედლოში. ჰირველი შევიდოდა უფროსი. იგი დაილოცებოდა შესვლისას: „შაშვი შარდა ზემჩუ უღლფხა ჰად (ხელში ეჭირა ორკაბა ხე „ყაბერჭყვი“ მეგრ., რომელშიაც იღვა გულღვიძლი და სხვა ნაჭრები). ვილა აგუ აგვაწვა, აჯმა აცლამკა აწჭ იხაწან“. შემდეგ თითოეულ ლუკმას კვერიდან მონატებს, ამოავლებდა ღვინოში და შეაჭმევდა მის წინაშე მყოფ გამომლოცველებს. ახლა თითოეულ კვერს ჩამოტებს და ნამცეცებს. ერთად შეკუმშავდა, და მის მიერ დანალოც ჭიქაში ჩატოვებულ ღვინის ნაქურში ამოავლებდა და იტყოდა „აჩბეჲ, ჩაჩბეჲ შილარტაინჯ სჩარა ყას-წა¹⁵ ანძა, ფხძუზაუმგანი“: შემდეგ ამ ლუკმას შედებდა სამკედლო ქობის სარტყელზე. გრდემლზე 7 სანთელს მიანთებდა, ხოლო 4-ს სამკედლოს კედლებზე და თითოეული თავის გულში აღავლენდა ლოცვას. შემდეგ ყველაფერს სახლში წამოიღებდნენ და იქ გააგრძელებდნენ ამ საწირავის „აღვლენას“. აქაც პირველი დაილოცებოდა უფროსი კაცი, მკედელი და შემდეგ მისი თანამოსუფრენი“.

ზოგიერთს არ ქონდა სამკედლო, მაგრამ ისიც ლოცულობდა შაშვის სახელზე, იმიტომ, რომ არ იყო ისეთი აფხაზი, რკინის რაიმე ნივთი არ ჰქონოდა. რკინა ხომ შაშვის მიერიაო ამბობდნენ და რკინის ხელად აფხაზი „შაშვის რკინას“ უწოდებდა.

¹⁵ აფხაზი მკედლების ერთი ნაწილი ამ სალოცავს, ანუ ლოცვას უწოდებს— „ხეჩხვამას“, (მზარა, ქართ.).



აფხაზეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში მკედლობისა და რკინის მკედლობის შესახებ აი რას სწერს აფხაზთა წეს-ჩვეულების საკითხებზე მცოდნე და თანამხილველი, ეთნოგრაფი გიორგი ალშიბაია, რომელმაც წერილობით მოგვაწოდა ამ საკითხზე თავისი უშუალო დაკვირვება და მოსაზრება.

ჩვენ იგი აქვე მოგვყავს ტექსტულურად; ოღონდ, მანამდე დაურთავდეთ საკვიროდ მიგვაჩინია წმ. შაშვი-ს ლოცვის პარალელი ცერემონიალი — „წმ. სოლომოს“ სახელზე დაწესებული მეგრული „ხვამა“ (ლოცვა) დავასახელოთ და შემდეგ ხსენებული ავტორისეული ცნობები. როგორც ითქვა, სამეგრელოსა და სამურზაყაყანოში წმ. „სოლომის“ (სოლომოს) სახელზე დაფლული იყო ქური (დერგი — ლაგვანი, ლახუტი). მკედელი დაკლავდა საკლავს — გოქს, ან თიკანს და იმის თავს, გულ-ღვიძლს ხონჩით წარსდგამდა სალოცავის ქვევართან, რომელსაც ამ დღისათვის მოხდიდა. ხონჩაზე ელაგა, აგრეთვე, 4 „კვერი“, სანთელ-საკმეველი. თან „ონორცხეით“ (სანაკვერცხალე) ნაკვერცხალი მიჰქონდათ. დააჩოქებდა მკედელი ქვევრის წინ თავის მონაგარს („გუმნარყის“) და ყველას ლოცვა-კურთხევით თავზე სანთელს შემოავლებდა, შემდეგ აანთებდა და საკმეველსაც სასაკმელზე დააკმევდა. დაილოცებოდა: — „მნა ხელუაში გორჩქინუ წმ. სოლომო! სი ქომუჩი ხედო ხუჯაში ძალა, გომიმანგრი თენა“. მიტანილი ზედაში იქვე იდგა. ჯერ თავად დაღევდა, მერმე სხვას დააღვეინებდა ამ ქვევრის (სალოცავი ქვევრის) ღვინოს. მეორე დღეს სამკედლოში გრდემლზე სანთელს აანთებდა. ქურაში ცეცხლს გააჩაღებდა, იქიდან აღებულ ნაკვერცხალზე საკმეველს დაყრიდა. ზოგიერთმა მკედელმა ეს ლოცვა იცოდა ამადლებას, ზოგიერთმა ახალწელს, ან აღდგომას; ამასთან დაკავშირებით აქვე ურთავთ ზემოხსენებულ მასალის ტექსტს: „სამკედლო — „აჟირა“ და მისი მნიშვნელობა აფხაზეთში¹⁶.

ძველად სამკედლოს იგივე მნიშვნელობას ანიჭებდნენ აფხაზები, რასაც სხვაგან ეკლესიას და ხატებს: მაგალითად, ლოცულობდნენ სამკედლოში, ფიცს ღებულობდნენ და მსხვერპლს სწორავდნენ ავადმყოფის სახელზე, რათა ის განეკურნა სნეულებისაგან. თითოეულ დიდ საგვარეულოში იყო ერთი საერთო სამკედლო,

¹⁶ მოგვყავს ავტორის — გ. ალშიბაიას ხელნაწერი ორიგინალის პირი. იგი ავტორის მიერ დაწერილია ჩვენი თხოვნით 1940 წელს.



რომლის ხელმძღვანელად ითვლებოდა გვარში ყველაზე უფრო გველენიანი მოხუცი, რომელიც ქრისტიანულ ეკლესიაში ღვლავლებას ასრულებდა სამკვედლოში, ე. ი. ლოცულობდა სამკვედლოში. ყოველ ახალ წელში მსხვერპლი მოქონდა სამკვედლოში, როგორც მაგალითად, პირადად თავის სახელზე კლავდა თხას ანუ ცხვარს, დანარჩენი ოჯახის წევრების სახელზე ღიღებისა — ქათმებს და მამლებს, პატარებისათვის — ყვინჩილებს და ვარიებს, მასთან ერთად მოქონდა: ხაჭაპურები, ღვინო, ყველი, ხაჭო და სხვა. ყოველ ახალ წელს, გათენების წინ, რიქრაქზე, სამკვედლოში გრდემლის ირგვლივ ოჯახის ყველა წევრს და ნათესალებს დააჩოქებდა და შეევედრებოდა, სადაც იყო გრდემლის ირგვლივ დაწყობილი ყოველგვარი რკინის იარაღი: ნაჯახი, ცული, წალდი, ნამგალი, ვაზი (მარწუხი), თოხი და განსაკუთრებით ჩაქუჩი, რომელიც იღვა ყველაზე უფრო ახლოს გრდემლთან, რომლის სამჯერ გრდემლზე დაკაუნების შემდეგ წარმოსთქვამდა ხელმძღვანელი შემდეგს: აჟირა შენ მოგვეცი შენი სიმაჯრე და ღონე ყველას აქ დამსწრეთ, მომავალ ახალ წლამდე და გვარიდე ყოველგვარ ფათერაკს, ხიფათს და სხვ... შემდეგ აქ მოტანილ ტაბლას იქვე მიიერთებდნენ, დაღვედნენ ღვინოს და შემდეგ წავიდოდნენ ქრისტიანულ ეკლესიაში წირვის მოსასმენად.

ეს ჩვეულება გასაბჭოების დროსაც სუფევდა გუდაუთას რაიონის ზოგიერთ განაპირა სოფლებში და ახლაც მოიპოვებინან ისეთი მოხუცები, რომლებიც ჩუმად ლოცულობენ, აქრაში, როგორც ჩვენები ჩუმად ეკლესიაში ლოცულობენ.

გარდა ამისა, სამკვედლოში აფხაზები ფიცს ღებულობდნენ და ყოველი დიდი გასაჭირის დროს უფრო მნიშვნელოვანი და დამაჯერებელი იყო სამკვედლოში მიღებული ფიცი, ვინემ ეკლესიაში. ფიცით აქ ტყუილზეც დაიფიცებდნენ აფხაზები, რადგან არ სწამდათ ხატის სიძლიერე ისე, როგორც სამკვედლოსი და ამიტომ სამკვედლოში თუ ვინმე ფიცს მიიღებდა და დაიფიცებდა იმაზე უფრო დასაჯერებელი აფხაზისათვის არაფერი არ იყო. ✕

მოვალეობა სამკვედლოს ხელმძღვანელისა გადადიოდა მამიდან უფროს შვილზე შთამომავლობით, ასე რომ სოფელში იყო იმდენი სამკვედლო, რამდენი მრავალრიცხოვანი სხვადასხვა გვარის მოსახლე იყო. თუ კი სოფელში მცირე რიცხოვანი გვარის მოსახლეობა იყო, მას რომელიმე დიდ გვართან რაიმე ნათესაური



კავშირი უნდა ქონოდა, რადგან თვითონ მცირე რიცხოვანი ჯგერძნული მოსახლეობას არ ჰქონდა საკუთარი სამკედლო.

გარდა ამისა „აერაში“, სამკედლოში მიყავდათ ავადმყოფები¹⁷ შესავედრებლად, რომელსაც ხელმძღვანელი დააჩოქებდა აერას წინაშე და შესთხოვდა „აფერას“ რათა მიეცა ავადმყოფისთვის მისი რკინის სიმაგრე და ღონე და განეკურნა ყოველივე სნეულებიდან. ამ ლოცვის დროსაც ავადმყოფის პატრონებს მოქონდათ ვულ-ღვიძლი, წამოგებული შამფურზე, ხაჭაპურები, ღვინო, რომელიც იქვე აერაში შეიკმებოდა და შეისმებოდა. შემდეგ ლოცვები გრძელდებოდა ავადმყოფის სახლში მთელი ნათესაობის წვეულება ნადიმობდნენ და დღესასწაულობდნენ. აერაში ლოცვა, რომელიც იყო მოწვეული ავადმყოფისათვის ერთგვარ დღესასწაულად იქცეოდა. ლოცვის წინ ხელმძღვანელი დალოცავდა დასაკლავ თხას, დააყენებდა მას პიოით აღმოსავლეთისაკენ და ისე დაკლავდა, „შელოცვილის“ ავადმყოფის ირგვლივ შემოვლებით. აღსანიშნავია ის, რომ აერაში ლოცვის თუ ფიცის დროს ხელმძღვანელი განსაკუთრებით „აერას“ სიმაგრეს—ძალას ყოველთვის იხსენიებდა. ახალწლის ლოცვის დროს მკედელი შესთხოვდა, რათა მოენიჭებია რკინის სიმაგრე. ფიცის დროსაც ისევ სიმაგრეზე შესთხოვდა. მაგალითად: „თუ კი დამნაშავეა დაარტყი შენი ძალა სიმაგრე“ და სამჯერ დააკაუნებდა სამკედურზე. ვინც ვიცულობდა თავის გასამართლებლად მასზე დაბრალებულ ბოროტებაზე, იგიც ასე გაიძაბოდა „აერას“ წინაშე: „თუ ვსტყუვი შენი ძლიერება და სიმაგრე დამეცეს თავზე და მან გამანადგუროსო“. კიდევ იხსენიებენ აფხაზეთში მეორე სალოცავს „ანხას“, რომელიც სადღაც გამოქვამულშია. ისეთი პიებრბოლური თვისებებს აწერენ, რომ მისი დაუნახავად ძნელი დასაჩერებელია: თითქოს ეს გამოქვამული ს. აქანდარის ახლოს გუდაუთის რაიონშია. იგი ისე ბრწყინავს და ელვარებს, რომ კაცი თვალს ვერ უჩერებსო, მაგრამ სამწუხაროდ, იქ ვერ შევძელი წასვლა დროს და ტრანსპორტის უქონლობის გამო“. ასე ამთავრებს თავის ცნობას პატივცემული ავტორი.

✦ ამასთან ერთად, ყურადღების ღირსია აწინდელი აფხაზეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი გადმონაშთები ძველი მელითონეობის შესახებ, რომლის ღრმა ტრადიციებზე მიუთითებს როგორც აფხაზეთის, ისე სამეგრელო-სამურზაყანოს ეთნი-

¹⁷ იგულისხმება სულით ავადმყოფები.



ური გარემოს წარმომადგენელთა ჩვენებანი. ამ მონათხრობთა მეცნიერული ანალიზის მიხედვით საესეებით უძველესი ხანები ქართველ ტომების ერთობლიობა მელითონეობისა და მასთან დაკავშირებული მოვლენების სფეროში. ამ ვითარებას კუთხური თავისებურებათა ფაქტები არა თუ ასუსტებს, პირიქით აძლიერებს და ამდიდრებს. ამ მომენტებს ჩვენ მივყავართ ერთი საწყისისაკენ, ინტეგრაციისა და არა დიფერენციაციის გზით. რომ ეს ასეა ამას ცხადყოფს ზემოხსენებული და აქ დასახელებული ფაქტიური მასალა. რომელსაც ავსებს აფხაზეთში გადასახლებულ მეგრულ მკედელთა ცნობები ამ საკითხის შესახებ, რომელსაც აქვე ურთავთ ტექსტუალურად ობიექტიურობისათვის:

ივანე ქოჩოს ძე თოლორაია, 85 წლისა (მერხეული, გუდაუთის რაიონი). „ჩინჯო სამურზაყანოელი ვარ, 75 წელია რაც აქ ვცხოვრობთ. მამა ზეინკალი მყავდა, თოფიში ჯვად რდუ—თოფის ეშაფხუნდით „შალაბითუ“. თოფიში გგმაჰკირალი რდუ, ირთუდუ, ხასილები უკუათუნდუ, ჭახრაკი ურთანდუ, ლულა უმარგუდუ ჟირი გირა-ს. ართი წვანდიშე დო ართ ჭინჯიშე ულუდუ ომარგებლო. შაშხანი ულუდუ ეშალალირი დო ორთინუანდუ ტყვიას მორძგვიშე (სურ. 21, 22).

ართი თოფის 8 მგფუნაფა ქლაჰკრდუდუ. ჭკადი მუდგენს უსვანდ რკინას, ორთუდუ ქვიშას დო გაგმილანდ. „შანთი“ რკინას გეგნოკჰირუნდუ ზომაშე, ნაწილნაწილ ქიმოფუნუნანდ ართი მაჟირას. თან ორთინუანდ დო, თან მიოფუნაფალი წამალს ორთუდუ (ერთი მიდუღება იქნებოდა სიგრძით — ერთი ციდა, ან 3 ვერშოკი). თოფი რდუ ლიბუ ფოლადი კინა. (ნაჰკერს აბრტყელებდა სიგანეთი 3 სმ-ით, შემდეგ ხვევით აკეთებდა თოფის ლულას ნაწილების მიდუღებით). უკული გაღეშე „ხოწუნდეს“ ქლიბიში ნერი იარალით. „მოღე“ თენა რდ თიში, სალაშინიცალო წვმინდანდ“.

აღნიშნული ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ აფხაზეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში ადგილი ჰქონდა იარალის (თოფი, დამბაჩა ფილთა) დამზადებას მკედლების მიერ. ისინი იყენებდნენ თოფის ლულების გაკეთების თავისებურ ხერხებს — რკინის გრეხვას. იარალის მოხელეს ერქვა „ზეინკალი“. თოფის ნაწილების მეგრული სახელებია: ფალია — თოფწამალიში ვიოლეაფალი, წოხოლეშე,



ხასილას უღუდუ; სვირი „რადიანი“ (ლულაზოლიანი), ლოკი (ზოლი) მეყუნდუ; წვანს უღუდუ „ღანკი“. ზენკა ბაჩას ჯობო, (ზეინკალი—აბჯრის მეტებელი, საბა) სანიშნო უღუდუ წობოლე დო ჯინს. კაქიში თოფიშ დუმა — კონდა-ხიში გიოდვალარი, ჯაში ორდუ.

იმავე პირის ჩვენებით ყველამ იცოდა აქ სამჭედლოს ლოცვა. ამას მჭედელი ახალ წელს ლოცულობდა, პირველ იანვარს: „დიდი ოხვამერი ორდ მესის. სამგარიო მიჯოხოდეს, ჩხუთი იხვამანდეს, ღეჯით ვეშიღებუდუ. საღვთო უჩქედეს კერი თუთი. სალორონთო-ირი თაშაფას კირიბით“. ახალწლის წინა ზუთშაბათს იყო „ხე-ხუჯიში“ ზვამა; „შელებური“ (განატეხი), ღერი სანთელი. კვერი ყვალამი, საკმელი, დო—ხაშილი გუჩით.

წმ. სოლომოში პატი რენია დო სიწყნარე დო სიმშვიდე ორდასია, უჩაში კოჩი თქუანდუ. ამ დღარი დღას ვაჩამათია ართიანს, „ვაშინერსია“. დაუქებაშ ბორჯიშა ქიმიიშენი, მიდეგუ ჰკად ოყვილურით, ზისხირიში ოწმაფუთი დო მიიხვამანდუ. დიო სანთერს გინულუანდ დიიხვამუდუ. წმ. სოლომო, რთხინთ მა დო ჩქიმი ჩილი დო სკუა, სინთელეს, შარა დო კოჩიშე, ჯაშე წყარიშე, დაჩხირიშე ქომიპატიათენი სინთელე ქიმემიჩე, 363 დღული დღა გამარჯვებული ქომუჩე. შემწეობა ქომუჩენი. შერწირენქ კერი თუს, ჩქიმი ოჯახიშა სინთელე ქიმემიჩენის! ქულამურიში წობოლე ორდ ბირგულდოშქუმალირი დო პიჯი ბეაეიოლიშე ურთუდუ. გოქი, ამ დროს, მარცხენა ხელით ეჭირა და თუ ვერ ამარებდა, მაშინ მას ეხმარებოდა უფროსი ვაჟი ამ „შეხვეწების“ დროს ნება ჰქონდა უფროს ვაჟს მიშეელებოდა მას. მერე დაკლავდნენ¹⁸. გზაანწყუნდეს ნისორს ირფერს: დუდი დო კუჩხი, შიგნეულობა, დედო, კვერი, სანთელი დო საკმელი. შკას „შელებური“ გეძდუ. მეორედ წავი-

¹⁸ ლოცვის წინ სალოცავი ჰერის თავზე საწირავი საკლავი ჯერ ცოცხლად უნდა მიეყვანათ, შემოველოთ სალოცავის თავზე და შემდეგ დაეკლათ. ამ ცერემონიის დროს მხოლოდ უფროსი კაცი „გამომლოცავი“ მიდიოდა, ხოლო შემდეგ მთელი ოჯახი — კაცება.



დოდა სამჭედლოში. ისევე დაგვაჩოქებდა, თან მიქონდა ახლა „ზედაში“ — კიქა ღვინო (ან ბოთლი) ისე იმ სიტყვებით იტყოდა. მოჭრიდა გულ-ღვიძლს ცოტცოტას და ყველას მიაწოდებდა. „ათეში უკული „ალებური“ რღუ ხორციში ჭკობუა“. თე ოსვამერიში ხორცი გარეშე კოჩს ვაჭკომედუ. მინახებამალი „ლახუტი“ მირგდეს — ირი კოჩს. უჩქედეს ხოლო გინოჩამა: მა, ათე კოჩქ ხოჯი მეფხირუ, წმ. სოლომის გობთხინქ თე ოჯკადირეს ქვდვძახას ჩქიმი სახელი. მართალი ქორე და, თავისუფალო ქვდიტე, დულა ქორედია (გოჭკირილო ბთქუანდით), სი ქალვარაფე ჩქიმი სახელი დო ქეენია. 1 აბაზის ქააჩუქენდ ქქკადუს. ათე ფარას ინა შხვაშო ვეხვარდ. ხვალე „მოღეში“ ოკიდეთ შილეზუდუ. გინმაჩამალი მასუმა წანას ოყვილურს ქიმიყონანდუ, აშო ვადმართასია თე ჭყალაქ დო დოყვილუნდუ. მუქამსთი კოჩი გოტირხუდუნი, ვეგნოჩანდეს. ჭკადი თქუანდუ: „წმ. სოლომო სქანი ძალათი, გოტირხუ, ქაპატი, ალება სიქიმეჩი!“. ათეს თქუანდ, ოფარეს ხეს მუსვანდ დო თავისუფალი რდუ. ოყვილურს მუ იყიდენდ „გითხივამანდეს“: 90 წლის წინანდელი გადაცემულები მინახავს, რომელთაგან ახლა კიდევ მოდიან „ალებაშა“ (ალებისთვინ). გადამცემელი არ ეტყოდა გამარჯვებას გადაცემულს ვიდრე „ალებული“ არ იყო, რათა თავად არ დაბრუნებოდა ეს გადაცემა. 3 ჯერ დაკრავდა კვერს და გადაცემდა.

— მუჰო ფურუ, დულა ონტუ რკინას — ხატი თაქ რე, ილორი თაქ რე, ჯვარი თაქ რე გილნაჭკადა დო ძალა გილუ დო თენა გამიწორია. მიმართავდა სამჭედლოს გადამცემი. მესამე კაცი ვინმე გაერეოდა მათ შორის და შეარიგებდა. ოთხი წელიწადი მაინც საჭირო იყო ცერემონიალის შესრულება, რომ „გავალი“ არ მოეტანა გადაცემას. სამთლებს 3-ს ქურაზე და სხვებს წაიღებდნენ და ეკლესიის კარზე აანთებდნენ (ხატიში კარს ქეკააჭუანდეს).

თავი მეხუთე

პართული რკინა, პართული ფოლადი.

საქართველო მელითონეობის ძველი ქვეყანაა¹. მისი მთა-ბარი უხვადაა მოფენილი სამთამადნო წარმოებისა და კვერით ხურობის ნივთიერი ნაშთებით. მადნეულის მოპოვებისა და დამუშავებისათვის ჩატარებულა ძველ დროში გრანდიოზული ხასიათისა და მოცულობის სამუშაოები. ჩვენს წინაშეა „გამოწველილი“ გულგამოცლილი „უმი ლითონის“ საბადოები — მარჯვეთ გამართული სავალი გზებით, ჰაერსადინარებით, სათადარიგო გასასვლელებით და უფათერაკო მუშაობისათვის ორიგინალური სახით — „გულთაბოძებით“ გამაგრებული. ჩანს, საბადოთაგან მადნეულის „გამოსაშიგნად“ უხმარიათ თავისებური ხერხები და საშუალებანი. იშვიათი ხელოვნებით შესრულებული კლდეში გამოკვეთილი მღვიმეებისა და ხუროთმოძღვრული ძეგლების მშენებლობას საქართველოში უთუოდ საფუძვლად ედვა მელითონეობასთან დაკავშირებით შემუშავებული ქვაბთა გამოკვეთის დიდი ტრადიციები და დაწინაურებული ლითონის იარაღები.

ძველი ქართული მელითონეობის მაღალ განვითარებას მოწმობს უშუალო, წარმოების ნაშთები: მადნის საწური და სადნობი აგრეგატების, საბერვლის და ცეცხლგამძლე თიხების ნაშთები, დაწურული ლითონის ლუგვები, გადადნობილი კვერები, ლითონური წიდები², ხელსაწყო იარაღის ნაშთები და რაც მთავარია, ლითონის

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, 1928.

² რკინის ძველი წარმოების ნაკვალავნი გველინებთან შემდეგი სახით: „რკინაწიდა“. იგი ორგვარია: ერთი მიღებულია რკინის მადნის დაწურვის შედეგად, მეორე — რკინის მქედლობის ნიადაგზე. პირველი წიდა ხასიათდება სიმძიმით, სიმკვრივით და მცირედად დასვრტილი „გვამით“, აქვს მუ-



დამუშავების მდიდარი კულტურა და მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია.

ეს ნივთიერი ნაშთები სრული სიცხადით მეტყველებენ მასზე, რომ მელითონეობა ქართველ ხალხს ოდიდან ზოდგამს და ეს ვითარება ფაქტიური, ცხადი ქეშმარიტებაა. ამას გვანიშნებს ზემოთ ციტირებული ხევისურული ნათქვამიც: „ვითა ცას ნამი და მიწას ბალახი ისე ჩვენ ქართველთ ლითონის ხელობა მოგვდგამ“-ს. ამ ხალხური ნათქვამის საფუძვლიანობა მტკიცდება საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მდიდარი და მრავალფეროვანი პოლიმეტალური მასალითაც, სადაც რკინას საბატიო ადგილი უჭირავს.

საერთოდ, შავი მეტალურგია მელითონეობის სხვა დარგებზე უმცროსია, მაგრამ არცერთ ლითონს არ ჰქონია ისეთი დიდი საწარმოო მნიშვნელობა და საყოველთაო გავრცელება, როგორც რკინას. ეს ბუნებრივიცაა—რკინას გააჩნია ისეთი თვისებები, რომლებიც აქცევდა მას მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის საგნად². რკინის ხანის დასაწყისს ემთხვევა თემურ-გვაროვნული წყობილებიდან კლასობრივ საზოგადოებაში გადასვლა.

მელითონეობის ესა თუ ის დარგი რომ განვითარდეს, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ნედლეული. რკინის წარმოების აღორძინებისათვის საქართველოში არსებობდა ყოველგვარი პირობები ნედლეულისა და საჭირო საწვავის სახით. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ქართველი ტომები ადრევე დაწაფებიან რკინის მეტალურგიას. ამჟამად მიკვლეული რკინის მადნეულის ძველი გამონამუშევარნი გვიჩვენებენ, რამდენად ფართო და ინტენსიური ხასიათი ჰქონია რკინის დამუშავებას ძველად საქართველოში.³

საყურადღებოა, რომ 1960 წელს არქეოლოგიური დაზვერვისას (ხელმძღვ. არქეოლოგი ი. გძელიშვილი), მდ. ჩოლოქისა და მის

ქო—ლურჯი ფერი. მეორე შედარებით მსუბუქია, ახასიათებს ერთობ „გაფუნჩული აგვამი“, რუხვი, მრუმე ფერი: საბერკელის შტკვირი (სოლინარი), იგი თიხისაა. მოყვანილობით და ზომით ნაირი სახის. ერთი წევა გამოწულია, მეორე — გამოუწვავი; ამოსალესი მიწა — აყალო, ცეცხლგამძლე, ძარღვიანი, სხვადასხვა ფერისა; ნახშირი, ხის; მადნის ნატეხები; ნაცარი; ქვიშა; კაქვი; ფერფლი და სხვა.

² ფრ. ვნგელსი, ოჯახისა და კერძო საკუთრების წარმოშობა, თბ. 1928; Л. Морган, Древнее общество, 1934; ი. ჯავახიშვილი, ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში. ენიშვი-ს მოამბე, ტ. I, გვ. 3.



მარცხენა შენაკად ოჩხამურის შესართავთან, სოფ. ფიჭვნარეს ქა-
ნახებთან, აღმოჩენილ იქნა სამსხვერპლო კერა, ხოლო ჯიხანჯვალის
და ცეცხლაურის საბჭოთა მეურნეობის მიდამოებში — რკინის
ძველი წარმოების საინტერესო ნივთიერი ნაშთები: „ქურა-ორმოე-
ბი“, რომელთა სიღრმე—სიგანე უდრიდა $1 \times 0,9$ მ-ს; გამომწვარი
ცეცხლგამძლე მიწის გორბები და სხვა. ისინი თარიღდებიან ძვ. წ.
VII—VI სს. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლო-
გიური მასალის შესწავლის საფუძველზე მკვლევართა შეხედულებით
ქართველ ტომებს რკინის გამოყენება დაუწყიათ დაახლოებით
ძვ. წ. II—I ათასწლეულის მიჯნაზე. ჯერჯერობით ეს ზღურბლი
საბოლოო არ არის და მოსალოდნელია მისი გადაწევა უფრო
ღრმად⁴.


როგორც ცნობილია, რკინის მალეზას ძველად, აწარმოებდნენ
რკინის მადნიდან, მისი პირდაპირი აღდგენით. თანამედროვე ტექ-
ნიკაში რკინის მიღების ეს წესი, ცივი ბერვის მეთოდადაა წოდე-
ბული⁵. ამისათვის რკინის მადანს წვრილად ფშვნიდნენ. ნაფშვენს
გაცხრილავდნენ, რეცხავდნენ და გაკაზმულს წურავდნენ რკინად.
პირველ ხანებში დასაწურაკად იყენებდნენ მიწის ორმოებს (შდრ.
სურ. 26). შემდეგში ღია ქურებს და ღუმელებს. პირველში ჰაერის
მიწოდება ბუნებრივი გზით მიმდინარეობდა, ისე როგორც ეს ხდე-
ბა საკირეში, მეორეში გამოყენებული იყო ხელის საბერვლები.
მესამისათვის კი ცხოველის, ჰაერისა და წყლის ენერგია. საწვავად
იხმარებოდა ხის ნახშირი, იგი, სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ჯი-
შის ხისა მზადდებოდა.⁶

4 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ს. კალანდაძე, გ. ლომ-
თათიძე, ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, სახ. უნივერსიტე-
ტეტის გამოცემა, თბ. 1959; რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხი-
სათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ. წ. ა. XIV—XVI სს.),
საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXII-B 1961, გვ. 211; ფ. თავაძე, თ. საყვარ-
ელიძე, ც. აბესაძე და თ. დვალი, სამთავროს სამაროვანზე მოპოვებუ-
ლი რკინის საბრძოლო იარაღს ჭიმიური მეტალოგრაფიული და ტექნოლოგიუ-
რი შესწავლა, „საქ. სახ. მუზეუმის მოამბე“, XVII—A, 1959.

⁵ აკად. ბაიკოვის აზრით, რკინის პირდაპირი აღდგენის წესი თანამედ-
როვეობის საყურადღებო პრობლემაა (იხ. А. А. Банков, Собрание трудов,
т. II, изд. АН. СССР., М.—Л., 1948. გვ. 357.



უწინ რკინას წურავდნენ უმეტეს შემთხვევაში ე. წ. „ქვანახედი“
 ლას“, წითელი რკინაქვისაგან («Красный железняк, Roteisen-
 stein»), რომელიც შედარებით, ყველაზე კარგ დასამუშავებელ მად-
 ნადაა მიჩნეული. რკინის მიღებას ახდენდნენ დაახლოებით 800°
 ტემპერატურაზე C-თ. როგორც ზემოთაც ითქვა, ცივი ბერვის მე-
 თოდს რკინის მისაღებად, სპეციალისტების აზრით, ახასიათებს
 სათბობის დიდი ხარჯი და მცირე წარმადობა (რკინის დანაკარგი
 20—30% აღწევს). მიუხედავად ამისა, ეს მეთოდი ბატონობდა
 თითქმის მე-XIX ს-დე. ცივბერვითი მეთოდის დაბალი ტექნიკური და
 ეკონომიური მონაცემების გამო გაიმარჯვა ახალმა მეთოდმა —
 ბრძმედითი წესმა. ე. ი. ჯერ მიიღება თუჯი და შემდეგ ფოლადი.
 თუ ამ წესს შეედარებთ წედისის 2 საფეხურიან რკინის დაწურ-
 ვის მეთოდს, დავინახავთ, რომ რკინის მიღების წედური ხერხი
 დაწინაურებულ ტექნიკას გულისხმობს და „რკინის კაცების“ დიდ
 გამოცდილებას ნიშნავს.



სურ. 26. აფრიკაში გავრცელებული ქურა—საბერვლები (პროფ. გ. ჩიტაიას მასალებიდან).

პირველ ხანებში, როგორც ითქვა, საყოველთაოდ გავრცელებული იყო თიხის ღუმელები (Rennfeuer) რკინის დასაწურავად. ისინი მიწაში ან სივრცეში გამართულ ორმოებს წარმოადგენდა. მათ ძირისაკენ უკეთდებოდა დახრილი ხერელი, დუდილის დროს რკინის წილის წარსადინებლად. ღუმელში იყრებოდა ნახშირი და შადანი ფენებად. ჰაერის დაბერვა ჯერ უბრალო სოლინარებით (მილებით) სწარმოებდა, მაგრამ შემდეგში ეს წესი შესცვალა ტყავის საბერვლებმა, სადაც დიდ როლს ასრულებდა კეცის „შტვირი“ (Соша, Düsen), (მდრ. სურ. 27), რომელსაც მალნალე სჭირდებოდა ცხვირზე მოდებული წილის მოშორება, რათა არ დახშოდა ჰაერის მისაწოდებელი სადინარი. გამდნარი ლითონის წმინდა მასა ძირს გროვდებოდა, ხოლო კუჭკუი და წიდა მისი, როგორც შედარებით მსუბუქი, მაღლა რჩებოდა, იქცეოდა ქაფად. ძირს დაშვებულ მდნარ რკინის მასას აღებდნენ მარწუხებით და კვერავდნენ გრდემლზე. მას აძლევენ ერთგვარ ფორმას. რომელსაც უწოდებდნენ დასავლეთ ევროპაში „Luppen“-ს, ანუ „Wolef“-ს („Lazem“ მას ქართულში შეეფარდება — „კვერი“, „ლუგვი“ (სურ. 24). ლუგვი რკინის დამუშავება, „მოქნა“, დახვეწა და გამაგრება დამოკიდებული იყო ტრადიციებით განმტკიცებულ ცოდნა-გამოცდილებაზე და პირადად რკინის მოხელის ნიჭსა და უნარზე.

როგორც წესი, ერთი წყება შადნის დაწურვის შემდეგ ღუმელს მოშლიდნენ და ძირს დამჯდარი რკინის კვერი ამოქონდათ და ამუშავებდნენ კვერქვეშ. შემდეგში ვხედავთ ერთგვარ რაციონალიზაციას რკინის შადნის დაწურვის ტექნიკაში. სწარმოებს მიწის ღუმელების მოპირკეთება—გამაგრება გრანიტის ქვებით. ასეთი ქვით მოზღუდული ორმოების დანგრევა უკვე უაზრო ხდება. ამიტომ ღუმელს უკეთებენ შუბლისკენ კარებს, აფარებული ქვისას, რომელსაც საჭირო შემთხვევაში ჩაოხსნიდნენ და ისე გამოქონდათ ლუგვი რკინა, ხოლო გვერდებზე შეყინულ წიდას ზოგს ამოამტვრევდნენ და ნაწილი თავისით ჩამოცვივოდა (სურ. 1).

საქართველოს ტერიტორიაზე პრიმიტიული რკინის საწური მიწის ორმოები და მიწისზედა ღუმელები ნაპოვნია ქობულეთას,

* В. ШМИДТ, დასახ. ნაშრომი. იგი მიუთითებს, რომ ამ სახის თიხის ღუმელებს იყენებდნენ ჯერ კიდევ 1800 წწ. შლუზვიასა, ტურთანგიასა და აღმოსავლეთ პრუსიაში-თ.



ბოლნისის, ყვირილის ხეობის, ჭუბერის ხეობის მიდამოებში, ესენი სხვადასხვა ხნისა და წარმოშობისანი არიან (დაახლოებით ძველ-ქართული IX ს. — ახ. წ. X ს., შდრ. სურ. 1, 2, 3, 4).

ძველი ქართული მეტალურგიის ხანდაზმულობას მრავალი ფაქტი მოწმობს: სამთამადნო წარმოებისა და რკინის დამუშავების ნივთიერი ნაშთები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები, მდიდარი ენობრივი მონაცემები და სხვა. ყოველივე ეს ამტკიცებს იმას, რომ რკინის დამუშავების კულტურამ ადრე მოიკიდა ფეხი ქართველი ხალხის ყოფაში და მიწათმოქმედებასთან ერთად მისი მეურნეობის მნიშვნელოვან დარგად იქცა.*

ძველ ქართულ წერილობით წყაროებსა და აქლანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაში შავი ლითონის ზოგად სახელად მიღებულია რკინა, რომლის სინონიმებია „კინა“ (მეგრ.), „ბერეჯ“ (სვან.), „აიხა“ (აფხ.).

მელითონე „რკინის კაცები“ და მოხელეები ნედლ, უჭედელ რკინას განარჩევდნენ ხარისხის და შინაგანი თვისებების მიხედვით. ამ შიშარტებით რკინა ზოგიერთი „რბილი“ ზოგიერთი—მჰნარტი“, და ზოგიერთიც „მაგარი“ იყო. რკინის მოხელენი თითოეულ მათგანს გარკვეული დანიშნულებით იყენებდნენ. მაგალითად რბილ რკინას ხმარობდნენ უფრო ისეთი საგნების გასაჭედად, როგორცაა: საზიდი ჯაჭვები, საქვაბე—საკიდელები, უწყვეტები, სამჭკლები, კარის ასაბმელები, შამფურები, ასტამ—საკეცურები და სხვა. მჰნარ ანუ ზომიერ რკინას ხმარობდნენ, უპირატესად, სამეურნეო ხასიათის იარაღების დასამზადებლად. მაგარი რკინისას ჰედდნენ — საბრძოლო, სანადირო, სახელოსნო და საერთოდ საგანგებო დანიშნულების ხელადს. ჰედვის დროს გათვალისწინებული იყო გასაჭედი საგნის კონკრეტული ფუნქციის შესაბამისი მასალის არჩევა და მისი მიმყოლობა კვერში. რბილი რკინა საერთოდ მიმყოლი იყო და მჰედლის კვერს ადვილად ემორჩილებოდა. „მჰნარი რკინა“, ტანმოქნილობით და „ბეწვიანობით“ ხასიათდებოდა. იგი ზომიერ-სინედლე-სიფიცხის შემკველად ითვლებოდა და მოხელენი არჩევდნენ „მჰნარ“ რკინას. მისგან ხელადიც კარგი გამოდიოდა. ამაზე მჰედლები იტყოდნენ: „წმინდა წყლისგან წმინდა ყინული დადგებაო“. რაც შეეხება მაგარ რკინას — იგი შედარებით ფიცხი და მყიფე აგებულების იყო, საკვერავად მძიმე და ძნელად მიმყოლი.



ხალხური დაკვირვებით, სხვადასხვა კლთხის რკინა სხვადასხვა თვისებისა იყო. მათ შორის სხვაობის მიზეზი წარმოსდგენსა, სარევეებისა, ნახშირისა და წურვის წესებიდან⁷. ამის კვალობაზე რკინის კაცები ანსხვაებდნენ რკინას წარმოების ადგილისა და სადაურობის მიხედვით⁸. ამბობენ: ოკრობული რკინა, წედური რკინა, ჭანური რკინა, რუსული რკინა და სხვა. საერთოდ, ერთწყება რკინას თვლიდნენ „შინაურად“, მეორეს — „გარეულად“. პირველში გულისხმობდნენ ადგილობრივს, საქართველოში დამზადებულ რკინას, ხოლო ყველა სხვას „უცხოურად“ თვლიდნენ. მათ შორის უპირატესობას, რა თქმა უნდა, შინაურ რკინას ანიჭებდნენ. გარეულ რკინას მაინცდამაინც დიდ პატივს არ ცემდნენ და მხოლოდ შინაური რკინის უქონლობისას ხმარობდნენ ხოლმე. ამბობდნენ: „შინაური რკინა მოქნილი და მიმყოლია, დაცდილი გვაქვს დუღილში, გაწვევსა და კვერში. გარეთული რკინის ავი და კარგი არ ვიცით, ჩვენ გემოზე ვერ ვიმორჩილებთ, გვიჭირს მისთვის ზნისაცვლა, ჩვენ წესს არ ვგუებათ“.


რკინის მოხელენი გულდასმით ითვისებდნენ საქედურა რკინის დამზადებისას როგორც სასარგებლო, ისე მანეუ მხარეებს და ამისათვის წინასწარი თავდარიგი ეჭირათ. „რკინა, როგორც მოიხდენს და შეიქმვენებს ისე უნდა მიდგომაო“. „თოიჯად“ იცოდნენ ამიტომ, მადნეულის ხასიათი და მისი გამომავლობა რკინად. „უში ლითონი“, ზოგიერთი გაჯაზმას მოითხოვდა, ზოგიერთი „გასარეველათა“ დართვას, ზოგიერთი კი „დაუხელავადაც“ კარგი გამოდიოდა. რკინის „მომწიფების“ საქმეში დიდ როლს ასრულებდა უწყვეტი და თანაზომიერი ბერვა. „უგულო“ ცეცხლი და „დამქდარი“ სიმხურვალე: „ყველამ გულიანმა გაიხარა, ცეცხლმა უგულომ“ და ისე წარმართავდნენ ლითონის დაწურვას, რომ ცეცხლი „თაკარი“ მთელ ტანში გაუჯდებოდა, შემოხვევდა ტოტს „მღვი-

⁷ საინტერესოა, რომ გამოჩენილი მეტალურგი პ. პ. ანოსოვი დაბლობებით ასეთსავე მოსაზრებას გამოსთქვამს. — რკინის ვარვისიანობა ფოლადად დამოკიდებულია უფრო მადნის თვისებასთან, ვიდრე მისი დამზადების მეთოდებთან (იხ. Пешкин, Павел Петрович Аносов, М., 1954, გვ. 121).

⁸ შტრ. Естественная История ископаемых тел Каия Плиния Секунда, СПб., 1819 გვ. 133. აქ პლინის მიერ ხახგასმულია ის გარემოება, რომ რკინათა შორის სხვაობა მრავალრიცხოვანია და, რომ ეს დამოკიდებულია მიწისა და ჭავისაგან.



მევეში“ დარიგებულ მადანს და „ჩაიხვევდა მას გულში“. ასევე
 ნის „დაყენებისათვის“ განსაზღვრული მნიშვნელობა
 „წურვის“ რეჟიმს, ნახშირს და განსაკუთრებით „ნაქვას“ (ბეგვა,
 ზელა). საერთოდ, კვერვის საშუალებით ლითონის მოქნა-გამაგრე-
 ბა ცნობილია ბევრ სხვა ხალხშიაც. ეს მეთოდი, შეიძლება გამო-
 ყენებული ყოფილიყო ადრევე—ბრინჯაოს ხანაში, როგორც ერთ-
 ერთი ხერხი ლითონის გამაგრებისა. ამასთან დაკავშირებით შმიდტა



სურ. 27. თიხის მიღები სოფ. პერევიდ.ნ (ყვირილას ტეობა).



ასახელებს საინტერესო ფაქტს: „კელტ-იბერთა მიერ მკვლელობა იყო რკინის დამუშავების თავისებური მეთოდი. ისინი რკინის კვერებს მიწაში მარხავდნენ და როცა დაიყენებოდა, შეუღებოდნენ მათ დამუშავებას, ჯრება-კვერვის გზით. ამ წესით ღუნვადი რკინა შოიქნებოდა და მაგრდებოდა. ამიტომ „გალის რკინას“ გულიც და კანიც ფოლადისა, ე. ი. მაგარი ჰქონდა“⁹.

† თუ რკინა ცუდად იწურებოდა, მასში ურევდნენ დანაყილ „ტუტუნს“, „ლილნარევ“ რკინაწიდას, ლითონის ჭერცლს, ყვითელ თირს (მიწა). ლილნარევი რკინაწიდა იგივე თუჯი იყო. ნაწილობრივ, ხოლო თუჯის ფხვნილი საერთოდ ქართული გამჭრელი იარაღის დამზადების საქმეში დიდ როლს ასრულებდა. მოხელე „რკინის კაცების“ შეხედულებით, ეს სართავი ელემენტი ქართული ფოლადის დამზადებაში აუცილებელ შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა. მასთან თუჯის ქვაბის ნამტვრევებს გაცვეთილ სახნისს დაურთავდნენ და ქურაში შეადუღებდნენ.

ამ საშუალებით აფოლადებდნენ რკინის სახნისს, თოხს, შერაქვს, საკოდელს და სხვა.

როგორც ცნობილია, რკინის „დაყენების“ საქმეში დიდ როლს ასრულებდა დუღილის პროცესში სხვადასხვა სადუღის ქმევა. „სადუღი“ იყო ერთგვარი „სანელებელი“. რკინის ცეცხლში ჩაწვისაგან დასაცავად და რკინის „მომწიფების“ წარსამართავად ბუნებრივი წესით. ქართველი მჭედლეები რკინის დამუშავებისას სმარობდნენ ნაირსახის „სადუღს“: „თირს“, „ნაფერს“, „კაეს“, „ტუტუნს“, „რკინაწიდას“, „ლექს“ ანუ „ლებს“, „აგურს, „ნაცარს“. მჭედლეების დაკვირვებით „სადუღი“ ერთნაირად აღბობდა „რკინის გულსა“ და „კანს“ და ამით „ტანისიმთელეს“ მატებდა მას. ასეთი რკინა კაი პურის ცომივით მოიზილებოდა, მაგრამ რკინისათვისა ხნის საცვლელად, თუ მას „თანდაყოლილი“ თვისებაც არ გააჩნდა, საკმარისი არ იყო ზემოაღნიშნული ზემოქმედება. ამიტომ მადუღულის ესა თუ ის სახე განსხვავებულ მიდგომას და მოვლას მოითხოვდა. საღი რკინას დაყენების საქმეში მცირედი მნიშვნელობა როდი ჰქონდა მოხელის პირად ნიჰსა და უნარს. ისე, როგორც ერთი და იმავე ფქვილისაგან ყველა დიასახლისს არ ძალუქს ერთნაირ

⁹ P. Шмидт. დასახ. ნაშრომი, გვ. 228.



რი გემოს პურის გამოცხობა, ისე ყველა „რკინის კაცს“ არ ეხერხებოდა ერთგვარი რკინის მადნისაგან, ერთნაირი ღირსებებისაგან დაწურვა. ამ მხრივ ტრადიციული წესებიდან დაუკვირვებელი და უმართებულო გადახვევა, ყოველთვის მარცხით თავდებოდა. ესა თუ ის მოხელე ხელმძღვანელობდა რა წინაპართა მიერ დადებულ წესებით, პირადი დაკვირვებისა და მიმხედარობის საშუალებით ზოგ რამეს თავად უმატებდა და საქმე წალმართად მიყავდა. ასეთ ვითარებაში ყალიბდებოდა ქართველი „რკინის კაცების“ ტრადიციული ცოდნა—გამოცდილება ლითონთა კერძოდ, რკინის დამორჩილების საქმეში.

რკინის ხალხური მეტალურგია სათავეს იღებს შორეულ წარსულში. ხანგრძლივი და ნაყოფიერი საწარმოო პრაქტიკის საფუძველზე, ძველი ქართული მელითონეობის სინამდვილეში გამომუშავდა საყურადღებო წესები კვერით ხურობისა. დღეს, გარკვეული თეორიული და პრაქტიკული ნიშნუნილობა აქვს იმ პრინციპებისა და ტექნოლოგიური მეთოდების გარკვევას, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ჩვენი წინაპრები რკინის დამუშავების საქმეში¹⁰.

ამ თვალსაზრისით, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული რკინის ნივთების მეტალოგრაფიულმა შესწავლამ, რასაც წინასწარ დასახული გეგმით თანმიმდევრულად ანხორციელებენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა და მეტალურგიული ინსტიტუტის მეცნიერული ძალები— პროფ. ფ. თავაძის ხელმძღვანელობით (უფროსი მეცნ. მუშაკების: თ. საყვარელიძის, ც. აბესაძის თ. დვალის, უშუალო მონაწილეობით), რკინის ჰედვის და დამორჩილების საყურადღებო მხარეები გამოავლინა. კერძოდ, ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგად გაიჩვენა, რომ რკინის ქართული „ხელადი“ დამზადებულია უმთავრესად რბილი და საშუალო სისალის ფოლადისაგან; რკინეული მასალა დამზადებულია ღია ქურაში ორ საფეხურიანი დამზადების წესით. „გაფიცხებისათვის“ ნახმარია თერმული დამუშავების ხერხები—„გამოხურვებითი კვერვა“ და წრთობა. ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს ნივთის გაჭედვას ორი, ცალკეულად დამზადებული ნაწილების შეერთების საშუალებით (იხ.

¹⁰ შდრ. Анастас Примовский-ს წერილი; „Ковачите Агупти в гр. Мадан“, Известия на Етнографокая Институт с Музей, кн. II, София, 1953.



საქ. მუზ. ეთნ. განყ. ლითონის კოლექცია): წალდი № 10—50/65, წალდი № 87—39/2; თოხი გურიიდან № 0; ქარჩი № 14—50/43; ცელი № 18—32/33 და სხვა.

რბილი ფოლადის მექანიკური თვისებების გასაღიღებლად გამოყენებულია, თერმული ხერხებს „ცემენტაციის“, ანუ დანახშირბადების წესი. ცხადია, რკინის მოხელე პირები მკაფიოდ არჩევდნენ იმ ცვლილებებს, რომელსაც იწვევდა რკინა-ფოლადის აგებულებაზე უცაბედი გაცივება—გახურება.

რკინის შედუღებაში მიღწეულია მაღალი დახელოვნება—შენადული ადგილი ზოგჯერ არც კი ემჩნევა, შეუიარაღებელი თვალით არ იხედება.

ხელადის შეკეთების ხაზით გამოყენებულია რიგი ხერხი: რკინის გასწორება, დაპირვა, დასადებლება, წადგმა, დალაგმვა, დაფოლადება, დაკერება და სხვა¹¹ (იხ. ძვ. რკინეულის შეკეთება).

ზოგიერთი გამჭრელი ხელადი გაჭედილია დასარჩულების (შუაში ტანის გასასქელებლად „ლოხმის“, ძვიფის დაყოლება) წესით.

ქართული ნახელავი ხელადის მიკროსტრუქტურაში შეიმჩნევა ფერიტის პოლიედრები (წვრილმარცვლოვანი კრისტალები). ასეთი აგებულება რკინისა აუმჯობესებდა მისი ტანის მოქნილობას და მამულობას კვერში. წვრილმარცვლოვანი კრისტალები უკეთ და უფრო მჭიდროდაა „გახვიცული“ ერთმანეთში, რაც რკინის „ბეწვიანობად“ ითვლება, ხალხური დაკვირვებით (იხ. ეთნოგრაფიული რკინის ნივთების მიკროსტრუქტურის სურათი, ტაბ. 1—7).

ეთნოგრაფიული ნივთების ქიმიური შედგენილობა, რომელიც განსაზღვრულია სპექტრული ანალიზით (ცხრ. № 1—5) შემდეგ სურათს იძლევა: ზოგიერთი ხელადი (ცელი, სასხლავი რაჭიდან) დიდი რაოდენობით შეიცავს მანგანუმს. მანგანუმის დიდი დოზა, თუ გავითვალისწინებთ რკინის მაღანში მანგანუმის გარევის წესს,

¹¹შვედლები და მეშვედური, ორთავენი მომხრენი აყენენ იმისა, რომ ძველი, მაგრამ გამოძვარი და ხელმარჯვე რკინის ხელადი რაიმე სახით კვლავ შეენარჩუნებიათ, ამას აღწევდნენ. ან მისი სახის ახალი ხელადის დამზადებით, ან ძველი ხელადის ძირეული შეკეთებით. ამ პროცესს „მომბა“ ეწოდებოდა. მოსაბმელად ძველი ხელადის „მუელი“ ნაწილი იხმარებოდა, ხოლო მისაბმელად ახალი, ძველი ნაწილის კვალობაზე გამოყვანილი ნაჭერი.



რაც ჩვეულებად ქონდათ რაჭის სარკინეთში, ადვილი ასახელებად
ხდება და სავსებით ემოწმება რეალურ ვითარებას.

რკინის ნივთების ქიმიური შედგენილობა ხასიათდება ძირითა-
დად სილიციუმის, ალუმინის, მაგნიუმის, კალციუმის, ნიკელის,
სპილენძის, მანგანუმის, კობალტისა და ქრომის შემცველობით (იხ.
ცხრ. № 1—5). არსად არ აღმოჩნდა ტიტანი, ფოსფორი და ვანადი-
უმი. ასევე, უმრავლეს შემთხვევაში, გამოირიქებულია კალა. იგი
კვალის სახით დმოწმებულია მხოლოდ ოთხ ნივთში (წალდი № 10—
50:65, საყუე № 61—39:19, თოხი გურიიდან (უნომრო), მაჯაგანი
№ 3—57:1).

ყურადღებას იქცევს მანგანუმის მაღალი შემცველობა აფხა-
ზეთის რკინის ნივთებში (წალდი № 10—50:65 (0,96%), თოხი
№ 14—51:17 (0,65%), ქარჩი № 14—51:13 (0,3%), საკვეთელი (1,50%).
დიდი რაოდენობით გვხვდება აგრეთვე მანგანუმი ორბელის გრდემ-
ლში (0,25%), გურიის თოხში (0,55%), თუშეთის სახნისში № 32—
32:1 (0,53—0,60%), ზემო ქარების ხელჩოში № 87—39:7 (0,3%),
კულბითის წალღში № 87—39:2 (0,65%), სახნისში № 1—49:1 ბორ-
ჯომის ხეობიდან (1,5%), ადიგენის შუბისპირში (0,45%) და ჰა-
ჯაგანში № 3—57:1 (0,50%).

ყველა ეს მინარევი, რასაკვირველია, რკინის მადნიდან არის
გადასული ლითონში. რაც შეეხება მანგანუმს, რომელიც მომეტე-
ბული რაოდენობით აღმოჩნდა რიგ ნივთებში, იგი შეგნებულად
უნდა იყოს შეტანილი კაზმში. როგორც ზემოთ აღინიშნა, მანგა-
ნუმს რაჭაში (წედისი) „ფაშას“ სახელით იცნობდნენ. იცოდნენ
მისი გავლენა რკინის თვისებებზე და ამიტომ მას საგანგებოდ ურე-
დნენ რკინის კაზმს.

რაც შეეხება დანარჩენ ელემენტებს (Al, Mg, Ca, Ni, CO, Cu, Cr
და Sn), რომლებიც მადნიდან არის გადასული ლითონში და მის
უნებლიე მინარევეს წარმოადგენს, ასეთი მცირე რაოდენობით რკი-
ნის თვისებებზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს¹².

ამგვარად, ეთნოგრაფიული რკინის ნივთების მეტალოგრაფიულ
შესწავლას იმ დასკვნამდე მიყვებით, რომ ძველი ქართული რკი-

¹² ფ. თაყაძე, თ. საყვარელიძე, ც. აბესაძე, თ. დვალის
ეთნოგრაფიული რკინის ნივთებს ქიმიური და მეტალოგრაფიული ანალიზის
შედეგები, თბ., 1962, ხელნაწერი.



ნის ხალხური მეტალურგია, თავისი არსებობის მთელ მანძილზე ერთიანი ტექნოლოგიური პროცესებით ხასიათდება და პრაქტიკულად თავისებურ სახეს ატარებს. ერთიანი საწყისიდან იღებს სათავეს და ბოლომდე ერთ „ტანიწყულად“ მოედინება. რკინის ხელადის აგებულება გვიჩვენებს, რომ მათ დამზადებისას გონივრულად არის გათვალისწინებული საგნის კონკრეტული ფუნქცია და ამის შესაბამისად მისი ფორმა, გამძლეობა და „მიმყოლობა“, რაც ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ საქართველოში რკინის დამორჩილების კულტურა ქართულ წიადაგზე ამოღულდა და გამოჩაყდა¹³. არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული რკინის ნივთების ურთიერთ დამთხვევები უეჭველსა ხდის ამ ჭეშმარიტებას (იხ. სურ. 17, 18).

ყოველივე ეს გაპირობებული იყო იმით, რომ ქართველი რკინის მოხელენი ვაჭარული ემპირიკოსები იყვნენ, რომელთაც წარმატებით შეიმუშავეს რკინის კვერვა-მოჭნისა და წრთობა-გაფიცხების თავისებური ხერხები. მასთან, საკმარისია დაუკვირდეს კაცი ქართულ მჭედლობაში ჩამოყალიბებულ ორიგინალურ წესებს, როგორცაა: „გაშუალებით დაფოლადება“, რკინის დუღილის მსვლელობის განსაზღვრა ცეცხლის ფერით, ლოჭვითი კვერვა და სხვა,

¹³ განათხარი თუ ეთნოგრაფიული რკინის ნივთების შესწავლის დროს, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ერთი მომენტი. ხელადის გაქედვის ქართული წესი ძველიდანვე იცავდა „გაშუალებით დაფოლადების“ ხერხს. რაც იმას ნიშნავდა, რომ ორკეც რკინის „საპირეს“, „საგულედ“ (შუაში) დაეტნეოდა ფოლადი და შემდეგ შეაღებდნენ პირს. ამ სახით აგებული ხელადის ტანი „გულფოლადიანი“ იყო და შესანიშნავი „ფხა“ და მკვეთელობა ახასიათებდა. ამასთან, დრეკადობა და სიფიცხე ზომიერი ჰქონდა. მუშაობის დროს პირი „უღამასდებოდა“, ვალესვა მისი ადვილი იყო.

ამიტომ, როდესაც ქართული რკინის ხელადის სიმაგრის საკითხს ვეხები და ანალიზი უჩვენებს მის გაქედვას ღობილი ფოლადისაგან, არ უნდა დავივიწყოთ „გაშუალებით“ დაფოლადების ფაქტი რკინის დაყენების საქმეში. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ მჭედლების შეხედულებით გასაქვდი რკინა საერთოდ, „მჭნარი“ უნდა იყოს ე. ი. არც ძლიერ რბილი, მაგრამ არც ერთობ ფიცხი. ბ. ა. კოლჩინი მართებულად შენიშნავს, როდესაც მსჯელობს ძველი რუსი მჭედლების მიერ მიღებული რკინის დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების შესახებ — ძველი რუსი მჭედლები მიმართავდნენ უფრო მარტივ და ეფექტურ ხერხებს ფოლადის მისაღებად. ისინი იყენებდნენ უფრო შედუღების დანახშირბადების წესებს (იხ. **Б. А. Колчин, Черная металлургия и металлообработка в древней руси**, М., 1953, გვ. 49—50).



რომ ადვილად დარწმუნდეს რკინის დამუშავების საქმეში რკინის კაცების მოწიფულობაში. ქართული რკინის ხელადი გამოიყენება იმითაც, რომ მასში შესანიშნავად არის გადაჭრილი ნივთის პრაქტიკულ და ესთეტიკურ მხარეთა ერთობა. ამის ნიმუშს წარმოადგენს დადგენილიანთა საქვაბე (სურ. 21).

დიდი და ძველი ტრადიციები ასაზრდოებდა ქართულ ხალხურ მელითონეობას. იგი წინაპართა მიერ ვავლებულ ორნატს „მწყაზრად“ მიყვებოდა შემდგომი აღმავლობისა და სრულყოფისაკენ.

ლითონთა და კერძოდ რკინის დამორჩილების ხელოვნებამ საქართველოში მკაფიოდ გამოკვეთა და ჩამოქნა თავისი სახე და საკუთარი „ხელი“. განსაკუთრებით შეიმჩნევა ეს გამჭრელი იარაღის მიმართ, რომელთა კეთილი თვისებები საყოველთაოდაა აღიარებული. იმერული „კალდომი“, ფშური სატევარი, ლაზურ-მეგრული დანა, „თბილისური ხმალი“¹⁴, გურულ-აჭარული „ყამა“, ხევსურული „დაშნა“ და რიგი სხვა ქართული რკინის ხელადი გამოირჩევა არა მარტო თავისი ფორმით, არამედ შინაარსითაც. ამქამად დაკარგული და დავიწყებას მიცემული ქართული სამართებლები ხომ საუკეთესონი იყო¹⁵.

ჩვენ ზემოთ სავანგებოდ აღვნიშნეთ ქართული რკინის ხელადის დამუშავების ერთ-ერთი საყურადღებო დამახასიათებელი თვისებებურება — „გაშუალებით დაფოლადების“ წესი. როგორც ეთნოგრაფიული მასალა მოწმობს, „გაშუალებით დაფოლადების“ მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მთლიანად ფოლადისაგან ნაქედი ხელადი ტექნოლოგიური და ფუნქციონალური თვალსაზრისით მიუღებელი იყო. მაგარი რკინა ანუ ფოლადი, როგორც ზემოთაც ითქვა, კვერვას ძნელად ემორჩილებოდა და მისი მოყვანა „თავისნებაზე“ ადვილი არ არის. თანაც ამგვარი ხელადი საერთოდ ფიცხი ტანისა გამოდის. მას მოქნილობა და „ბეწვიანობა“ აკლია. დარტყმისას ყინულივით გადატყდება ხოლმე¹⁶. ფიცხის დარბიე-

¹⁴ კ. ჩოლოყაშვილი, თბილისური ხმალი, საქ. სახ. მეზემის მოამბე. XIX-B, თბ., 1958.

¹⁵ პლ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი XIII-სა, თბ., 1936, გვ. 265. აღ. კოკლავაშვილი, მხატვრული ჯავარდენის ხელოვნება საქართველოში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 8—9, გვ. 83.

¹⁶ შდრ. აღ-ბირუნის შეხედულება, რომლის მიხედვითაც „ჯავარიანი“ ფოლადის უქონლობა რუსეთში იმით იყო გამოწვეული, რომ ეს ფოლადი ვერ



ლება შეიძლება, მაგრამ „მყიდვე“ რკინის მოქნა არ ხერხდება. ასევე მისი გამახვება და შემოკლება გასაკვირი იყო. ამიტომ ვფიქრობთ, ხელადი რომ ტანმოქნილი, უწყვეტი და მახვილი ყოფილიყო, გასაკვირად რკინას შუაში ფოლადს და აქეთ-იქით რკინას უქმნიდნენ. გული ფოლადისა იყო, კანი-რკინისა. პირველი წარმოადგენდა „ტვიფს“ (საგულავი, სარჩული) მეორე — „ვარეწანას“. სათანადო დამუშავების წყალობით, ამ სახით მოწყობილ რკინეულს ახსიათებდა უწყვეტი ტანი, ფიცხი გული, „მიმყოლი“ აგებულება და ძალზე მოქნილი და „ბეწვიანი გვამი“. მასთან, თითოეული განსხვავებული ფუნქციის მქონე ხელადი თავისებურ მიდგომას და სხვადასხვა სახის ტექნიკურ დამუშავებას მოითხოვდა. უფრო მეტიც — გარკვეულ შემთხვევაში, ერთი და იმავე ხელადის ცალკეული ნაწილები სხვადასხვა წესით მუშავდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით დახელოვნებასა და ზუსტი წესების დაცვას მოითხოვდა მახვილი იარაღების — ხმლების, სატევრების და დანების ქედვა. ამ საქმეში ზემოაღნიშნულ ტექნიკურ წესებთან ერთად დიდ როლს თამაშობდა როგორც მასალის ხარისხი, ისე მოხელის პირადი დახელოვნება და მომხმარებლის მაღალი მოთხოვნილება. რკინის მოხელე მკედლები—მეხმლე, მესატევრე, მედანე და სხვა უმთავრესად საზეინკლო საქმიანობას უთავსებდნენ ამ საქმეს, ან წმინდა მკედლის საქმარს წარმოადგენდა, მაგრამ მეიარაღე მკედელი ხელოსანი იყო და არა მეტალურგი. მეხმლემ სრულებით არ იცოდა უკედელი რკინის ნამდვილი წარმომავლობა და მან მხოლოდ გამოცდილებით იცოდა ამა თუ იმ მასალის გამომავლობა და გარგიციანობა.

სვანეთში, ნამურზა ნიგურტიანის ჩვენებით, „გაშუალებით“ დაფოლადებას მიმართავდნენ იმიტომ, რომ წმინდა ფოლადი ანუ „ყურჩი“ ერთობ ფიცხი იყო, განსაკუთრებით ნაღნობი ფოლადი („ლიპნე ყურჩი“) კევრის ცემას ვერ იტანდა, ტყდებოდა. ამიტომ ფოლადს და რკინას ერთმანეთში შეადუღებდნენ. კანი რკინისა იყო და გული ფოლადისა. ფოლადის ნაჭრებს იმის კვალობაზე, თუ რისთვის უნდოდათ, წინასწარ მოამზადებდნენ და დამარავ-

იტანდა იქაურ ზამთრის სციცეს (იხ. А. Белецкий, Глава „о железе“, Минералогического трактата Бируни, КСИИМК, вып. XXXIII, гл. 142.



ბული ჰქონდათ. ამ, შუა ჩასატნევე ნაპრებს სვანურად ეწოდებოდა „ძგიბი“. ჯერ სახელადე რკინას ორად გაათვისებდნენ, შუაში ურთავდნენ „ჰნგარს“ (ფოლადი, უურჩი), შემდეგ ამ წესით დამკრებულ რკინას და ფოლადს „დაშანთავდნენ“ და ამას მხურვალე მიკერის წესით („ლიმონჩხირნე“, სკ.) შეადლულებდნენ ქურაში¹⁷.

იმავე პირის შეხედულებით, გაშუალებით დაფოლადება აუცილებელია, სხვაგვარად გამჭრელი და ტანმოქნილი „ხელადი“ არ გამოვა. დაფოლადებისას ეს ძგიბი ფოლადისა მცირედით უნდა ჩასწიო პირისაკენ, ისე რომ მისი კიდე, ანუ ნაპირი გამოჩნდეს და მერე რომ შეადნობ რკინასა და ფოლადს, შეიძლება „დააყენო“ შერიგისად — არც უზომო ფიცხი იყოს და არც ნამეტანი რბილი. გახურება თანაზომიერად, კარგი ნახშირი, მარჯვეთ კვერვა და რაც მთავარია, რკინის „მომწიფება“ დუღილში და მისი მოსვლის სწორად და დროულად ამოცნობა იყო რკინის მოხელის „თავი“ საქმე. რბილ ფოლადს ნიორწყალში („ნიურწყალ“-ში) აწრთობდნენ, ძველად ცოდნით ამასთანავე შარდში წრთობა. დევს, სვანეთში დაცული გადმოცემით, მხოლოდ შარდში ნაწრთობი ისარი გმირავდა.

ნამურზას შეხედულებით საწრთობად კარგია წყაროს წყალი. თოვლში ნაწრთობი იარაღი „ტყაბუჩა“, იქნება ე. ი. არათანაბრად გაფიცხებული, ვინაიდან თოვლი სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა დროსა და ძალით ხვდება რკინეულს და მიტომაც გამოდის „ტყაბუჩა“, ქრელი.

„ზოგიერთ რკინეულს ვაწრთობდით, ვაფიცხებდით ქონში, ზოგიერთს კი სანთლით. ამისათვის პირზე მივაკრავდით სანთელს გულიანს, მოუკიდებდით და იგი ჩაყვებოდა ბოლომდე და გააფიცხებდა გამჭრელის პირს“. ამ წესით უფრო დანებსა და სატევრებს აწრთობდნენ ხოლმე. კარგ ნაწრთობზე იტყოდნენ „ფხად ქცეულა“-ო. ასევე, კარგ გალესილზე იტყოდნენ: პურის ფხა რომ „ეკიდება ხელს“, ისე ეკიდება მისი პირი ხელს“-ო.

†ძველი ქართული მეღვინეობისა და კერძოდ რკინის დამუშავების საკითხების კვლევა-ძიებისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმ სახელებისა და ტერმინების მიკვლევა-აღდგენას, რომელთაც იყენებდნენ ჩვენი წინაპრები მეღვინეობაში ამა თუ იმ მეტალურ-

¹⁷ შდრ. Б. Колчин, დასახ. ნაშრომი გვ. 53.



გიული ცნებებისა და საწარმოო პროცესის გამოსახატავად¹⁶. უღ-
ვოა, რომ ძველი ტერმინების სახით დაცულია რკინის შეღებვის
ობის ამსახველი საყურადღებო წესები.

ამ რიგის სიტყვიერ მანევრებლებად უნდა მივიჩნიოთ ის სახე-
ლები და სიტყვები, რომელნიც აქა-იქ დაცულია წერილობით ძეგ-
ლებსა და ხალხის ზეპირ გადმოცემებში.

ამ მიმართულებით რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დამო-
წმებულია საყურადღებო ცნობა უქანგავი რკინის სახელწოდების
შესახებ. იგი ქართველი ტომების ერთ-ერთ ძველ ეთნიკურ სახელ-
წოდებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მხედველობაში გვაქვს
სოფ. ჭიორის (ზემო რაჭა) მცხოვრებ ნინა ბიჭიას ასული რეხვია-
შვილის მიერ მოწოდებული შემდეგი ცნობა: „საწყალმა ბაბუამ
(ნანი შიუკას ძე რეხვიაშვილმა) იცოდა მოყოლა, რომ ჩემ მახსოვ-
რობაში-ო, ახლა რომაა ასე კი არ იყო. სულ ცოტა ათი სამკედლო
მანც იქნებოდაო. ერთობ სანაქებო რკინის მოხელეები სოლო-
ლანენთ კაცები იყვნენო. იმათთანა კაი მკედლები მთელ ზემო
რაჭაში არ იყო. თავად აკეთებდნენ ყველაკას, რაც რომ მაცხოვ-
რებლისათვის იყო სამჭირნო-ო. ისინი ჭედდნენ დანებს, სამართე-
ბლებს, „ჯაყვებს“, „ხანჯრებს“, „რხმლებს“, ლახვარებს ; მუჯირებს
და რაღაცა სხვა რკინუკებს. ამაებთვინ აქაური რკინა იყო-„ტო-
ბართინი“ ეტყოდნენ. შავი ფერის რკინუკა იყო-ო. იმათ, შუა რო
გაგებო კაცი სისხლი არ მოეწამლებოდაო, ქანგს არ იკიდებდა და
ქვეც კაა ჭრიდაო. ისეთი ფხა ქონდა, ხელს იპარავდაო“. სამწუხა-
როდ, მთხრობელს არ ანსოვს ბევრი სხვა ნათქვამი ამ საკითხის შე-
სახებ. ცხადია ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა ექნებოდა
იმის გაგებას, თუ რა გზით აღეწვდნენ ასეთი ხასიათის რკინის მი-
ღებას და, ან რატომ იყო იგი შესამჩნევად შავი ფერის. შეიძლება
ვივარაუდოთ, რომ „ტობართინი“ იყო წედური რკინის სახესხვა-
ობა, რომელსაც წურავდნენ ერთ-ერთი სახის რკინის მადნიდან.
საფიქრებელია, ეს იყო „დევიანაშირა“ — მადანი, ცნობილია, რომ

¹⁶ ამ მხრივ შდრ. „უმი რკინა“ (ქართ.) და Сырцовая стал. (რუს.), „ნაჭ-
დი რკინა, ნანაჭი რკინა“, „ყურუმო რკინა“ (მეგრ.) და „ყურჩი ბსრკ“ (სვან.)
„საწური ჭულბაქი“, სადული ჭილბაქი და სხვა.



„დევინახშირასეული“ რკინა შავი ფერისა და რჩეული „ფხვიერი“
სის“ იყო. ამ მადანს წედისში (რაქა) ხალასად წურავდნენ. მას ვა-
მამილირებელ სარეველს — „ფაშას“ არ ურთავდნენ, ვინაიდან უმი-
სოდაც მისგან საუკეთესო ფოლადი-რკინა გამოდიოდა.

ცნობილია, რომ უყანგავი რკინის მიღების მიზნით ხალიბები
(იგივე ხალდ-ქანები) რკინის მადანში ურევენენ დნობის დროს
„ცეცხლგამძლე ქვას“. სამთო საქმისა და მინერალოგიის კარგად
მცოდნე სპეციალისტის იე. მექმარიაშვილის შეხედულებით, „აქ-
ჟამად, რკინის მელითონეობაში იხმარება თიხოვან-კაქოვანი ქანი,
რომელიც წარმოადგენს სილიკატ-ალუმინურ შენაერთს. ამისი
მსგავსი წესები წედისის (რაქა) რკინის წარმოების არაქტიკაში ფარ-
თოდ იყო დანერგული. ისინი რამდენიმე სახის „სარეველს“ იცნობ-
დნენ, რომელთა საშუალებითაც სხვადასხვა ხარისხის რკინას წუ-
რავდნენ“. ამ მიმართულებით ყურადღებას აქცევს ის გარემოება,
რომ უყანგავი რკინის მიღების ძველი ხერხი ტრადიციების საფუ-
ძველზე არსებობას განაგრძობდა XIX საუკუნის პირველ ნახევრა-
მდე წედისის რკინის წარმოებაში, რასაც თვით უყანგავი რკინა-
სახელწოდების არსებობის ფაქტიც უნდა მოწმობდეს.

ამგვარად, ზემო რაქის ყოფაში დამოწმებული რკინის სახელი —
„ტობართინი“¹⁹, თავისი შინაარსითა და შორსმწვდომი ბნიშვნელო-
ბით, მრავალმხრივ საყურადღებო სიტყვა ჩანს (შდრ. რკინის არა-
ბული სახელი — „თბბზრ“, ცულის სპარსული სახელწოდება — „თა-
ბარ“, რუსული — „Топор“ და სხვა).

აღსანიშნავია, რომ რკინის კვერ-ქვეშ დამუშავების პროცესის
აღსანიშნავად იხმარებოდა რამდენიმე ტერმინი: კვერვა, ყევა, ნა-
ყვა, ზელა და მოქნა. ამ უყანასკნელის ნიადაგზე მიღებულია მიმ-
ღეობა „ქმნილი“: „... დედან იოვან და მეოზელ სავაქროდ შენდა
მოსცეს, ასილით რკინა ქნილი და ეტლის თუალი“... (იხუეკელა,
თ. კზ., ით). დაბადების ეს ადგილი ყურადღებას იქცევს იმ მხრივაც,
რომ რუსული ტექსტის სატყვის ადგილას ნაცვლად „რკინა-ქმნი-
ლისა“ წერია „Стальные изделия“. ეს გარემოება გვაფიქრებებს იმ
ამბავს, რომ ძველად ქართულში სახელი „ფოლადის“ ნაცვლად იხ-
მარებოდა „მაგარი რკინა“, ან უბრალოდ „რკინა“. მხოლოდ გარ-

¹⁹ აღსანიშნავია, რომ კენის სადალაოდ ხაზმარ რკინის შუბა ქართულად
„ტაბახი“ ეწოდება (აბა), მკო „თბბან“, „ყარათბან“.



კვეულ შემთხვევაში შეიძლება ტერმინი რკინა შეეცვალოს მელიმე მის ექვივალენტს. საერთოდ, რკინა „ქედილი“ ან „ქმნილი“ წარმოადგენდა ძველად ვაჭრობისა და ურთიერთობის ერთ-ერთ მთავარ საგანს.

რკინა რომ ნაჭრობით და ლიტრობით იზომებოდა, ამას მოწმობს XVII ს. ერთ-ერთი დოკუმენტი—Договорный статут города Эрзерума и цех. эрз. кузнец. სადაც აღნიშნულია, რომ: „Сколько-бы железн. изделий мы ни продавали“ кусками“ или „антрами“ (на вес) со всего за исключением заступов, обязуемся платить в пользу городской кружки: „...обязуемся внести за продажное железо кусками или антрами по паре с двух курушей.“²⁰

რკინის ლიტრობით გაცემა გვხვდება ადრეულ საბუთებშიც, მაგალითად, მე-XI ს. ნიკორწმინდის სიგელში²¹ სახელდებულად იხსენიება რკინის საზომად „ლიტრა“: „...ზნაკუას ეპოისძისაგან ვიყიდე ყანაჲ: ა: და მივეც ხარი ერთი, რკინა ლიტრა რვა (ლიტრა დაახლოებით უდრის 3.6 კგრ.)... ქველის ძისაგან ვიყიდე კაჩაეთს ყანაჲ: და კვებმელსა ა: მისთვის მივეც ფარი : ა: და სახნისი; ქუმელოანს ვიყიდე სგოჯაისძისაგან ყანაი : ა: და მივეც რკინაი და მატყლი დრამისა (დრამა 1,5 მან.): ლ: —საი...“ ამგვარად ირკვევა, რომ „რკინა“ წარმოადგენდა ალემ-მიცემის საგანს, რომლის საზომ ერთეულად ითვლებოდა „ლიტრა“ მასთან, რკინა შეიძლება ყოფილიყო „ქედილი“ ან უქედელი სახით.

დიდად საყურადღებია, რომ „რკინა“ ისევე, როგორც ვერცხლი და ოქრო, ერთ ხელნაწერ საბუთში ნახმარია ფულის მნიშვნელობით, რაც იშვიათია საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში. ეს საინტერესო საბუთი სათანადო განმარტებით გამოქვეყნებული აქვს ისტორიკოსს პროფ. ს. კაკაბაძეს. საბუთის პირს დაბეჭდილა ტექსტის მიხედვით აქვე ურთავთ: (ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმის ხელნაწ. № 486) „ქახალებმა ღმრთის თავს დე-ბითა და ყოველთა მის წმიდათა თავსდებობითა და წმიდისა გიორგის ვანისა თავს დებობითა და ბეჟანისა იაშვილისა თავსდებო-

²⁰ С. А. Егызаров, Исследования по истории учреждений в закавказье, ч. II, Казань, 1891, შესავალი XXIX.

²¹ თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, 1897, გვ. 43.



ბითა: და მისთა შვილთა ზვიადისა და გიორგისა: და მაყასა ლეკონულთა
 თთა ძმათა თავსდებობითა: მოგვიდე მე ქველმა ცოტნიამი ზღლირთაჲსა
 ბევროზამან და ჩვენთა შვილთა და მოძევალთა ყოველთაჲც. მოგვი-
 დე ვენა: [ხი ერთისა. საპალნისა. თქვენ, ზემსა განაყოფსა მამანა-
 სა ჩათავასა და გიგანისა და ქავთარასა და თვალასა და მამიასა და
 თქვენთა ძმისწულთა და თქვენთა შვილთა და მოძევალთა ყოველ-
 თავე მოგვიდე. ვეწათი მას ქამსა ოდეს შეიქმნა ასეთი ქამი: რომე.
 დედა შვილისა არ იხასდა და [მომეცი]თ თქვენ ფასი რაგვარაც
 გული შემიჯერდებოდა. ერთი ზროხა და ერთი [კო] ზაკი და თორ-
 მეტისა რკინისა: პური ასრე რომენ ლიტრა პური. ერთითა რკინათა
 იყო და ჩენა (sic) თროლი. მოგვეცი. ერთი თოჭი მოგვეცი. და
 ორი [ნ?] ყვიდ. ფეფური და სამისა ოკინისა. მარილი და მისა.
 მოწმე და შუამდგომელი არის ვახტაგა. მისურაძე და ვინც ესე
 წიგნი შეგიცვალოს შემცა იცვლება. რჯულისაგან. აქა და საუკუ-
 ნოსა. და იუდასამც ეწამება. მისი სული და მე მაყასა დამიწვრია
 და მოწამეც ვარ".²²

ამგვარად, საბუთის მიხედვით მკაფიოდ არის მოცემული „რკინა“ ფულისა და ფულის ერთეულის როლში, რაც რკინის დიდ მნიშვნელობასა და კულტურას ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება შევნიშნოთ: სახელი „რკინა“ გურიასა და ლენხუმში აღნიშნავდა არამართო რკინა-ლითონს, არამედ რკინის კულს და საერთოდ გამჭრელ ხელადს. ამ შემთხვევაში, შეიძლება ვიფიქროთ: კულის, გამჭრელი ხელადის მნიშვნელობით ხომ არ არის აქ ნახმარი ტერმინი — „რკინა?“ ამასთან, კითხვა იბადება რას წარმოადგენდა არსებითად თავისი ფორმა-შინაარსით ის რკინა, რომელიც ფულის როლს ასრულებდა? ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვაქვს ნიკორწმიდის სიგელისა და ასევე XVII ს. ერთ-ერთი საბუთის საფუძველზე, რომ რკინის ადებ-მიცემისას საზომ ერთეულად დასახელებულია „ლიტრა“, რომლის წონითი სიდიდე დაახლოებით შეადგენდა 3,6 კგრ. სამწუხაროთ გაურკვეველია მისი ფორმა-მოყვანილობა. ვიცით მხოლოდ, რომ შანთი რკინა, გრძლად გაკვანილ კუთხედ რკინას ეწოდება. ასევეა თხელსა და ბრტყელ ფურცელ რკინა-

²² ს. კაკაბაძე, სიტყვა რკინა ფულის მნიშვნელობით, „საისტორიო მოამბე“, წ. 11, 1924 გვ. 256. ამ საბუთზე მივვითთა პროფ. იასე ცინცაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.



ნას — „ფიცარი რკინა“, ხოლო მასზე თხელსა და ვიწროს ფარა“. ჩანს ფიცარი და ლამფარა თავის ფორმა მოყვანილობით ფუძელად დადებია მსგავსი სახის რკინის ფიცარს და ლამფას. ანუ ლამფარას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სინონიმური სახელები — „ნალფარა“, „ნალფურა და სხვა ფონეტიკური სახესხვაობაა „ლამფარასი“ და მან ცდუნებაში არ უნდა შეიყვანოს მკვლევარი, როდესაც მას მთხრობელი ერთ შემთხვევაში ეუბნება — სველი ნალუსმრისაგან ვამზადდებით „ნალფარა რკინას“-ო, ხოლო სხვა შემთხვევაში — „ნალფარა რკინისას“ ვაკეთებდით ხმლებს, სატევრებს, დანებს-ო. მეორე ნათქვამი, ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ „ნალფარა რკინა“ მხოლოდ ნალ-ლურსმისეული რკინა იყო. ცნება — „ნალფარა“ უფრო სწორად „ლამფარა“ წარმოადგენს გარკვეულ ფორმის მქონე რკინის აღმნიშვნელ ტერმინს. ცხადია, „ლამფარა“ შეიძლება ნალ-ლურსმისისაც იყოს, მაგრამ არა მუდამ. ამიტომ, როდესაც „გამჭრელი“ ხელადის დასამზადებლად ასახელებენ „ლამფარას“, ამით იმის თქმა სურთ, რომ თხელი და გრძლად გაყვანილა რკინის შოლტი — „ლამფარა“ მარჯვეა ასეთი იარაღის დასამზადებლად.

გარდა ამისა, არსებობდა კუთხედი, გრძლად გაყვანილი რკინის მცირე შორები, რომელთა სიგრძე უდრიდა საშუალოდ 20-25 სმ. სისქე — სიგანე — 5—6 სმ-ს, წონა უდრიდა 3—7 კგ-ს. ეს ზომები აღებულია ვარაუდით და იგი ემყარება, ძირითადად, აფხაზეთის ს. ეშერაში ნაპოვნ რკინის ზოდს, რომლის მოყვანილობა სწორედ ასეთია (იხ. სურ. 24), ხოლო სიდიდით უდრის სიგრძე 18.5; სიგანე — სისქე — 6 სმ. (ნაპოვნია რკინის ნივთებთან ერთად 1934 წ. ეშერში, გაერთიანებული ექსპედიციის მიერ)²³. რკინის ნახევარფაბრიკატები ნაპოვნია აგრეთვე მცხეთის სარკინეთის გათხრების დროს²⁴, 1954 წელს (ექსპედიციას ხელმძღვანელობდნენ არქეოლოგები ა. აფაქიძე და გ. გობეჯიშვილი). ჯერჯერობით სხვა

²³ შტრ. ნამურზა ნიგურაიანის ჩვენება: „როცა რკინის მადანი იწურებოდა წმინდა რკინა ძირს რჩებოდა, წიდა განზე მიდიოდა, როდესაც მდნარი რკინა „დამშვიდდებოდა“. დავერაქდნენ მას, გრძლად და კუთხედად გაიყვანდნენ. დაახლოებით სიგრძით 20—25 სმ. იქნებოდა. სიდიდე ლამოკდებულა იყო იმაზე, თუ რისთვის უნდოდათ“ (მესტია, სხვანეთი, 1960 წელი).

²⁴ ა. აფაქიძე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963. გვ. 206—214. ტაბ. LX.



ამ სახის მონაპოვარბ არ ჩანს, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ სულ მალე სხვა ნიმუშების მიკვლევის მოწმენი ვიქნებით და მაშინ უფრო კვებით შეიძლება ვიმსჯელოთ უქედელი რკინის საქართველოში არსებული ფორმების შესახებ, რომელთაგან მხოლოდ სახელები-ლა დარჩენილა და მათი სატყვისი რეალური საგნები საქმბარია.

საინტერესოა, რომ „ნედლი რკინის“ კვებები, რომელნიც სახმარად და საცვლელად მზადდებოდა დასავლეთის ქვეყნებში, ორი სახისა იყო. ერთს კუთხელი, ზემოხსენებული ქართული რკინის-კვერის სახე ჰქონდა და ზომა-წონითაც მას ემთხვევა, მეორე — რომბისებური მოყვანილობისა იყო, თხელი და მსუბუქი.

შმიტის შეხედულებით, პირველი შედარებით ადრეულ ხანებში Hallstadt-ში გვხვდება და მას სახელად Lappen“-სა და „Masseln“-ს უწოდებდნენ. მეორე ფორმა უფრო გვიან ხანებს — შემდეგ პერიოდს განეკუთვნება.

ზემოთ ითქვა, რომ შავი ლითონის აღსანიშნავად ქართულში იხმარება ზოგადი სახელი — რკინა. მაგრამ იგი შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა ხასიათისა და თვისების მქონე. სიმაგრის კვალობაზე, ქართველი რკინის მოხელები არჩევდნენ სამი ძირითადი სახის რკინას: რბილს, საშუალოსა და მაგარს. თავის მხრით თითოეული მათგანი იყოფოდა დროისა და ადგილის მიხედვით და ამის შესაბამისად ატარებდა განსხვავებულ სახელს. თავის დროზე გარკვეული სახის მაგარი რკინის აღსანიშნავად რკინის მეტალურგიაში ქართველ მელითონეებს უხმარიათ საყურადღებო ტერმინები: „ქანარი“, „შანარი“, „ხალდი“, „ბასრი“, „ყურჩ“; ფოლადი და სხვა. ეს უკანასკნელი სახელი სპარსული ჩანს და XI საუკუნეში უნდა იყოს დამკვიდრებული საქართველოში. საინტერესოა, რომ ტერმინი „ფოლადი“, ფულადი (მეგრ.), რუსული ტრანკრიპციით — „ბულატი“, ადრევე შესულა რუსეთის ცხოვრებაში. პეშკინის შეხედულებით²², ეს ტერმინი რუსულ ენაში პირველად გვხვდება — Слово о полку Игореве-ში. აქ პეშკინი იმოწმებს ხვარაზმელი ენციკლოპედისტის ბირუნის ნაშრომს, „რკინის შესახებ“²³, სადაც იგი მთელ შავ მეტალებს ოთხ სახედა ყოფს: „შაბურკან“ — უმი, ნე-

²² И. Пешкин, Павел Петрович Аносов, М., 1954, гл. 125, 133.
²³ ბირუნის ნაშრომის რუსული თარგმანი (об. Краткие сообщения. ИИМК, Вып. XXXIII). 1950,



დლი რკინა, „ნორმოხან“—ლუგვი რკინა; „ფულად“—მაგარი რკინა (რუსული ტრანსკრიპციით — „ბულატ“); „დუს“—თუჯი (გორც ჩანს, ამგვარ დაყოფას საფუძვლად უდევს რკინის მდგომარეობა. უნდა ითქვას, რომ მსგავსი განჯგუფება რკინისა, საერთოდ ბევრგან გვხვდება. ამ მხრივ ქართულ მელითონებაში, როგორც ითქვა, გაცილებით მეტი სახის შავი ლითონია ცნობილი რკინის ზოგადი ვაგებით. ქართველი „რკინის კაცები“ რკინას ანსხვავებდნენ როგორც თვისების, ისე ფორმა-მოყვანილობის მხრივაც. მაგალითად, ისინი რკინას ანსხვავებდნენ სიფიცის მიხედვით: ლბილი, „მჭნარი“, მაგარი; კვერში მიმყოლობის ხაზით — „ლეჩი“, მოქნილი; მკვეთელობის მიხედვით — „ფხიანი“, „ფრახი“, „ნელა“ (ზომაზე ლბილი); დამზადების მიხედვით — წმინდა რკინა, „ნაწლი რკინა“, „ნანაჭი რკინა“; ფორმის მიხედვით. — ფიცარი რკინა, შოლტი რკინა, შანთი რკინა, კვერი რკინა, მორი რკინა, „კუთხი“ რკინა, ლამფარა რკინა; ჭალი რკინა, და სხვ. ასევე, რკინას არჩევდნენ, როგორც ითქვა, შინაგანი ხასიათის მიხედვით: „შაწარი“ რკინა, „ხალდი“ რკინა, „ჭანარი რკინა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „შანთი“ იხმარება რამდენიმე მნიშვნელობით: შანთი — გახურებული—გავარყარებული რკინა; შანთი—წვრილი და გრძლად გაყვანილი რკინა (შდრ. „შალაბი“. მეგრ.), შანთი რკინა — საზომი ერთეული, სათვალავისათვის; შანთი—მაგარი, მტკიცე შეუღრეკელი (შდრ. „შანარი“ რკინა).

ქართული ფოლადი

ამჟამად ცნობილია ნაირ სახისა და დანიშნულების სხვადასხვა ფოლადი და ზეფოლადი. უახლოეს წარსულამდე, მხოლოდ ცივ-საბერვლიანი ქურით მიღებული ფოლადი იყო. ფაქტიურად იგი წარმოადგენდა მაგარ რკინას, რომელსაც უმატებდნენ სიფოლადეს, საჭიროების მიხედვით. სხვადასხვა საშუალებით, სახელდობრ: რკინას გაახურებდნენ ნახშირის ფხვნილთან ერთად. დუღილის დროს რკინას „აქმევდნენ“ სხვადასხვა ნივთიერებას (მინერალურ, ან ორგანულს) კაცი, სილა. თუჯის ნაფშვენი, რქის ნაფხეკი, შალის „ნარუჯი“ და სხვ... ამ მიზნით იყენებდნენ, აგრეთვე, წრთობას საგანგებო ხასიათის მასალების საშუალებით. ასე აღწევდნენ რკინის დანახშირბადებას, ანუ „ციმენტაციას“, რასაც გაფოლადება ეწოდება.

ამ სახით გაფოლადებულ რკინას მაღალი მექანიკური თვისებები გააჩნია. დანახშირბადებულ რკინას ეწოდებოდა ცემენტური ფოლადი. ეს საუკეთესო ფოლადი იყო XIX საუკუნემდე. ასეთი ფოლადის ხარისხი გაპირობებული იყო აგრეთვე ამა თუ იმ კუთხის ტექნიკური ხერხების თავისებურებითა და ნედლეულის ხასიათით. ამ ფოლადისაგან კეთდებოდა უმთავრესად გამჭრელი ანუ მახვილი იარაღი და სპეციალური ინსტრუმენტები.

სპეციალისტების შებენულებით დანახშირბადებული ფოლადი მთელ მასაში ერთგვაროვანი არ იყო. ამიტომ ინგლისელმა ოსტატმა, შეფელდმა, სცადა გერმეთიულად დახურულ ქოთანში (ტიგელი) ამ ფოლადის ზელახალი გადადნობა ნახშირთან ერთად 1500°C ტემპერატურაზე. შეურია მას მინის ფხვნილი, მიუმატა აგრეთვე გრაფიტისა და თუჯის ნაფშვენი და ძლიერი ბერვით მიიღო ახალი სახის ფოლადი — სხმული ფოლადი. რომლის მექანიკური თვისებები ჩვეულებრივ ფოლადზე უმჯობესი აღმოჩნდა. ეს იყო წინა საფეხური თუჯის შემდგომი გადამუშავებისა, მარტენიზაციის გზით. სხმული ფოლადის მისაღებად²⁷.

ამგვარად XIX ს. წარმოადგენს დიდი ძიების ხანას მაღალი ხარისხის ფოლადის მისაღებად. ამ მიმართულებით დიდი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ რუს მეცნიერს, ცნობილ მეტალურგს პავლე პეტრეს ძე ანოსოვს, რომელმაც მნიშვნელოვანი ცდებისა და ხანგრძლივი კვლევა-ძიების საშუალებით მიიღწია მაღალი ხარისხის ფოლადის მიღებას — რომელსაც იგი დიდხანს ეძებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში ფოლადის დიდი მოთხოვნილება შეიქმნა რუსეთსა და საერთოდ ევროპაში. ამან დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ სასწრაფოდ ვაეუმჯობესებიათ საბრძოლო იარაღის ხარისხი, მაღალი თვისების ფოლადის დაუფლების ბაზაზე. ასევე, აუცილებელი გახდა უცხო ზელოსნების ნაცვლად საკუთარის გაჩენა. ანოსოვი, რომელიც საუკეთესო მცოდნე იყო იპდროინდელი ქიმიის, მექანიკისა და სამთო საქმისა, ნერგავს ახალ მეთოდებს ფოლადის გამოღობის საქმეში, რომლითაც დაინტერესებული იყო მსოფლიოს მსხვილი სპეციალისტები. ისინი ვერ მიძხვდარიყვნენ იმ ამბავს. თუ როგორ არის შესაძლებელი რკინის გადასვლა ფოლადად და თუჯად. შევიცარიელმა სწავლულმა კარტენ-

²⁷ ინგ. ა. მექმარიაშვილი, ნარკვევები საქართველოს სამთო მეტალურგიის ისტორიიდან, ხელნაწერი, თბ., 1960, გვ. 56.



მა წამოაყენა თეორია რკინისაგან ფოლადისა და ჩუგუნის მოღების შესახებ, მაგრამ ვერ განსაზღვრა იგი ცდისეულად, ე. ი. რეალურად ხერხდება რკინის გაქვნივთვა ნახშირბადით, რაც მთავარი იყო ტექნიკის ვანკითარებამ თანდათან შესაძლებელი გახადა ძველი, პრიმიტიული აგრეგატების შეცვლა ახლით, უფრო სრულყოფილი და განვითარებული რკინის დამამუშავებელი ნაგებობანი და ტექნიკური აღჭურვილობა. დაიწყო ცივსაბერვლიანი ქურების ნაცვლად შახტური ქურების მოწყობა, რომელთაც კონუსური ფორმა ჰქონდათ. ასეთ ქურას, ცხადია ველარ დააკმაყოფილებდა ხელით ბერვის წესი. ნაცვლად ამისა, ბერკეტულ პრინციპზე დამყარებული მექანიზმი დაინერგა. მას ცხოველები ამოძრავებდნენ, უფრო გვიან კი ისიც წყლის ენერჯით შეიცვალა²⁹.

ხარისხიანი, მაგარი რკინის აღსანიშნავად იხმარებოდა სახელა „ბასრი“. გარკვეულ დროიდან (XII ს.) მის გვერდით ხდებდა — „ფოლადი“ „შელეწა კარი ბასრისა ფოლადისა“³⁰; „ვითარცა ფოლადსა მალნიტი მიიზიდავს და მიიკრავს“ (თიმარიანი, 197, 15).

როგორც ჩანს, იმ დროისათვის როდესაც ამირან დარეჯანიანი იწერებოდა, მაგარი რკინის აღმნიშვნელი სპარსული სახელი — „ფულად“-ი. ანუ „პულად“-ი³¹ საკმაოდ ცნობილი ყოფილა და კიდევაც მიტომ უხმარიათ ქართული სახელის „ბასრის“ გვერდით აკად. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით „ქართულად მჭრელ იარაღს ბასრი ეწოდება. იგი მოდის უძველესი, ნამდვილი ქართული ზმნისაგან — „სრევა“ და წარმოადგენს მის უსქესო მიმღეობას ე. ი. ეცნება უძველეს დროს ეკუთვნის, ისევე, როგორც ზემო განხილული ლახვარი“³². ამგვარად სახელი „ბასრი“ წმინდა ქართული ძირიდან მომდინარე სიტყვაა, რომელიც თავიდანვე იხმარება მკვეთე-

²⁹ ივ. И. Пешкин, Павел Петрович Аносов, Изд-во. Молодая гвардия, 1954, გვ. 86; Б. А. Коляни. Черная металлургия и металлообработка в древней руси, М., 1953, გვ. 49—54; В. В. Арндт Булат. „Искры науки“, 1929, № 1.

³⁰ И. Пешкин, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

³¹ შ. ხონელი. ამირან დარეჯანიანი, გამ. ზ. კიკინაძისა, თბ., 1896, გვ. 274.

³² Б. Миллер. Персидско-русский словарь, Госиздат. М., 1960.

³³ ივ. ჯავახიშვილი, 1939 წელს ხელოვნ. ისტ. სახლში წაკ. ლექციების ციკლიდან: „საქ. შატ კულტ. ისტორია, რვეული 1, გვ. 5.



ლობის, სიმაგრის აღმნიშვნელ „ტერმინად, მსგავსად იმისა, რაც „მახვისაგან“ მიღებულია — „მახვილი“, ლეხვისაგან „ლეხური“, ზმნა — „სრევა“-სგან წარმოსდგა — „ბასრი“ (შდრ. „მოსრა“, „სასარევი“, საბა). ბასრი სხვა მნიშვნელობითაც იხმარებოდა: „...ცუხე ხარ ნიკოლოზო, ნაგები ბასრის ქვითაო! რაც ნიკოლოზს მიერგო არ გაგონილა სხვისაო“ (მ. კედელაძე, მთიულეთის ფოლკლორი, რვ. № 5). აქ სიტყვა „ბასრი“ ნახმარია — მაგარი, სალი ქვის მნიშვნელობით. „...ხედ ეწერა, აქა ძეს აბჯარი საკვირველიო, ჯაჭვ-მუზარადი აღმასი, რხმალი ბასრისა, მჭრელიო“ (ვეფხ. ტყ. 1368); „ჩემი გაპკვეთს ზორცსა მათსა ზრმალი ბასრი, შუბი ახე“ (იქვე. 439). პირველ შემთხვევაში ბასრი — ფოლადის ექვივალენტია, მეორეში — მჭრელის, მაგარის.

საბას განმარტებით — „ფოლადი სხვათა ენაა, ქართულად ბასრი ჰქვიან“. იგივე აზრითაა ნახმარი ბასრი, სიტყვა — მასათის განმარტებისას — „მასათი“ არს ბასრისაგან (ფოლადისაგან, ნ. რ.) მსგავსი მაქურისა“ (საბა). „ბასრი“ შემდეგში გამოყენებულ იქნა სხვა მნიშვნელობით, სახელდობრ — მაღალი თვისების მკვეთელობისა და ფხიანობის აღსანიშნავად. სინამდვილეში, რკინის ხელადის „ფხა-აღმასი“ და მკვეთელობის განსაკუთრებული უნარი სწორედ ამა თუ იმ მასალის ხარისხზეა დამოკიდებული, რასაც რკინის მოხელენი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამ მიმართებით ცნება „ბასრი“, აზრობრივად აერთიანებს თავისში როგორც ერთს, ისე მეორე მნიშვნელობას, ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ერთი და იმავე მნიშვნელობის ორი სინონიმური ზოგადი ტერმინი — „ბასრი“ (ქართ.) და „ფოლად“ (სპარსული) გამოყენებულ იქნა სხვადასხვა კონკრეტული დანიშნულებით: ერთი — მაღალი სისალის რკინის აღსანიშნავად, მეორე — განსაკუთრებული ფხიანობისა და სამახვილის დამახასიათებლად.

ამგვარად, შეიძლება დავუშვათ, რომ ტერმინი — ფოლადის დამკვიდრებას ქართული მელითონეობის სინამდვილეში საფუძვლად უდევს არა სატყვისი ტერმინის უქონლობა, არამედ სულ სხვა მიზეზები. ამ ნიადაგზე იგი თანდათან იჭერს სატყვისი ქართული ტერმინების ადგილს და იქცევა მაგარი რკინის ზოგად სახელად. უნდა აღინიშნოს, რომ სპარსული სახელი „ფულადი“ რუსული ტრანსკრიპციით — „ბულატი“, სპეციალური ლიტერატურის გზით, დამკვიდრდა რუსულშიაც, სადაც ფოლადის ზოგად სახელად ტერ-



მანი Стаლნი“-ი დარჩა, ხოლო „ბულატი“, მაღალი მქონე ერთი სახის ფოლადის აღსანიშნავად იქნა გამოყენებული³³. ამასთან დაკავშირებით, უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინი — „ბულატი“-ს ხმარებას რუსულში თუ ერთგვარი საფუძველი მაინც გააჩნია³⁴, ქართულში მისი დანერგვა უსაფუძვლოა და სავსებით გაუმართლებელი. „ბულატის“ სატყვისი ქართულში არის „ფოლადი“, მაშ რა საჭიროა ახალი ცნების აღსანიშნავად ვინმაროთ ისევ ფოლადი ანუ მისი რუსული გამოთქმა — „ბულატი“. ბულატად ნაგულისხმევი მაგარი რკინის ფოლადის აღსანიშნავად, ქართულში შიშობევა შესანიშნავი ტერმინი — „ბასრი“, რომელიც ზედმიწევნით გამოხატავს მაგარი რკინის, ანუ ფოლადის ცხებას და ისტორიული საფუძველიც გააჩნია. მაშინ ფოლადის აღმნიშვნელი ქართული სახელი — „ბასრი“ — თავის ადგილს დაიკერდა და „ფოლადი“ ფოლადად დარჩებოდა³⁵.

ფოლადის საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ძველი ქართული მელითონეობის ზოგიერთი პრობლემა და არსებითი მხარე. ცნობილია, რომ ისტორიულმა ავბედობამ არაერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარი გაუბნია და დაუმარხა ქართველ ხალხს ლითონთა დამორჩილების დარგში მოპოვებულ პრავალსაუკუნოვანი გამოცდილებისა და მიღწევათა საუნჯიდან. ის რაც ვაღარჩა, მაინც ბევრის მთქმელი და შორსმწვდომი მნიშვნელობისაა.

ამ მიმართებით საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული მეტალურგიული ცნებანი და ტერმინები, რომელნიც ასახავენ ჩვენი ხალხის ძვალ-რბილში გამკდარ კვერით ხურობის საქმეს, განსაკუთრებულ ყურადღებასა და შესწავლას მოითხოვს.

³³ И Пешкин, Павел Петрович Аносов, М., 1931, გვ. 136.

³⁴ Б. А. Коачин, Черная металлургия и металлообработка в древней руси, М., 1953. იგი მიუთითებს: ძველი რუსული წერილობითი ძეგლების მიხედვით იხსენიება ფოლადის მნიშვნელობით ტერმინები — „Оцел“ და „Харалуг“-ი მე-12 საუკუნიდან (დასახ. ნაშრ. გვ. 49).

³⁵ სახელი „ბასრი“ საქ. ეთნოგრ. ყოფაში რამდენაშე მნიშვნელობით გვხვდება: იგი ნიშნავს ფოლადს, ქვის ჯიშს, „მკრელს“ და სხვ. მაგ., წინადადებაში — „იგ შეიქნა ვითა გვრდემლი ბასრი, რხმალი გაბასრული (როსტომიანი, ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია, 1949, 11, ს. ყუ ბ ა ნ ე ი შ ე ი ლ ი ს რ ე დ. 223), სხვა შემთხვევაში ფოლადსაც ნიშნავს და მაგარსაც. შდრ. ხომა ქვა. ფოლადი ჯიშის ქვა (თუშეთი). რომლისგანაც აკეთებენ საფუკაეებს, სალეს ხარტებსა და აფუარებს, (გ. ბ. კ. ო. რ. ი. ძ. ე, შინაშრ. წყ. მასალები, გვ. 80).



მაგალითისათვის შეიძლება დასახელებულ იქნას ფოლადის ქართული სახელი — „ჭანარი“, რომელიც საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინია და უკავშირდება მეღვინეობით განთქმულ ერთ-ერთი ქართველი ტომის — ჭანგბის სახელს.

როგორც ზემოთ ითქვა, ქართველი „რკინის კაკები“ არჩევდნენ ძირითადად სამი სახის რკინას — „რბილს“, „მქნარს“ და „მაგარს“, მაგრამ მათ სამივეს ერთი სახელით იხსენიებდნენ, რკინას უწოდებდნენ, ხოლო როდესაც სურდათ სიმაგრის მიხედვით რკინის ხარისხის ჩვენება — „რკინას“ განმსაზღვრელად უროთავდნენ რომელიმე მსაზღვრელს მაგალითად, ამბობდნენ: „რბილი“ რკინა, „მაგარ“ რკინა, „მქნარი“ რკინა, და სხვა. განსაკუთრებით მდიდარი ცნობები შემონახულა, რკინასთან დაკავშირებით, მთიულეთში, სადაც ეთნოგრ. მ. კედელაძის ჩვენებით რამდენიმე სახის რკინას იცნობდნენ. ესენი იყო: „მქნარი“ რკინა, „ბასრი“ რკინა, „ხალცი“ რკინა, „შანარი“ რკინა და „ჭანარი“ რკინა. მათ შორის — „მქნარი“ რკინა ყველაზე კეთილი თვისებისად ითვლებოდა. იგი კარგად ემორჩილებოდა მჭედლის კვერს და — „გასაწევადაც“ ადვილი იყო. ბასრი და შანარი რკინა ორივე ფიცხი და ხშელი ფოლადი იყო. მჭედლის კვერს ძნელად ემორჩილებოდა და გასაწევადაც მაგარი იყო. განსაკუთრებით „მყიფე“ იყო ბასრი რკინა. ამ მხრავ „ჭანარი“ და „ხალცი“ რკინა გაცილებით მიმყოლი და ტანმოქნილი იყო. ისინი ორივე წმინდა ფოლადი იყო. „ხალდს კიდევ ჭანარი სჯობდა. მჭედელ მათე ფილფანის (ს. ბერო ზ/სვანეთი) ჩვენებით ფოლადს სვანურად ეწოდება — „ქნარ“ (შდრ. „ჩალიკ“ ნიქარაძის ლექსიკონის მიხედვით³⁶), პარალელურად იხმარება — „ფულად“.

რბილი რკინის სახელად სვანებს „ქნარ“ აქვს, რკინის ზოგად სახელად კი „ბერეჯ“ „შბერეჯ“.

საყურადღებოა, რომ გურიის ეთნოგრაფიულ ყოფაში უკანასკნელ ხანებამდე შემორჩენა ფოლადის სახელად — „ჩარტი“, ხოლო ერწო-თიანეთის სინამდვილეში დღემდე იხმარება ფოლადის სახელად — „ქალიკი“, „ჩალიკი“. მაგალ. როდესაც სურდათ მაღალი ხარისხის ფოლადის აღნიშვნა, ამბობდნენ: „ქალიკით ფოლადია“-ო.

³⁶ И. И. Нижарадзе, Русско-Сванский словарь, Т., 1910.

³⁷ ცნობა ეკუთვნის აწ განსვენებულ, ხალხური მასალებისა და ეთნოგრ. კოლექციების ცნობილ შემკრებს გიორგი ლომთათიძეს.



ქიზიუში მოხელეთა ჩვენებით, ერთი სახის რკინას „ქაფი რკინა“
 ნა“ ეწოდება. იგი კარგ რკინად ითვლებოდა. დოც. სტეფანე მესხიანი
 თეშაშვილს ქალი რკინა განმარტებული აქვს, როგორც მორავის
 (ურმის ბორბლის, ნ. რ.) რკინა³⁸.

მესხეთში, ამჟამად დამოწმებული მასალის მიხედვით, მაგარი
 რკინის ანუ ფოლადის სახელად იხმარება: „ჩალიკი“, „ფოლადი“ და
 „ჯვარდანი“. მათგან, პირველი ტერმინი, სომეხი მკედლეების მიხედ-
 ვით, თურქული სიტყვაა, ჯავახელა მოხელეები ნიკო გოჩაშვილი-
 სა და გიო კაპტონაშვილის (სოფ. ვარევანი) ჩვენებით კი იგი ქარ-
 თული სახელია ფოლადისა და დღემდე იხმარება — „ჩალიტი“-ს
 ფორმით. მათივე აზრით, მაგარ რკინას თურქები „ფოლად“-ს უძა-
 ხიან და არა ჩალიტს. იმავე მესხეთში, სომხურ ეთნიკურ წრეში
 მაგარი და რბილი რკინის აღსანიშნავად იხმარებოდა, ქართულის
 წესზე — „ჩორ ერგათ“ (მაგარი, შშრალი რკინა) და „გაგუპ ერგათ“
 (რბილი, ნედლი რკინა), ხოლო საერთოდ ფოლადის აღმნიშვნელ
 ზოგად სახელად — „პოლბათი“ (მარქარ მათეოსის ძე აბრამიანი,
 ახალქალაქი). საქართველოში მოსახლე აზერბაიჯანელთა ჩვენე-
 ბითაც, „ფოლადი“ თურქულად მაგარ რკინას ნიშნავს საერთოდ.
 საკუთრივ, მაგარ რკინას — „ბიარქ, სართ დამირი“ ეწოდება, ხო-
 ლო რბილ რკინას — „თუმშახ დამირი“.

საინტერესოა, რომ ფოლადის ქართული სახელი „ქანარი“-ს
 პარალელები, ფონეტიკური სახესხვაობით, მეზობელ ჩრ. კავკასიის
 ხალხებშიაც გვხვდება. კერძოდ, ლეკები ფოლადს ეწოდებენ
 „ჩანნუ-სი||—ჩანან“- (კუმუხი, ლაკის რაიონი, ყიზრი მაგომედის ძე
 კოყლაევი, 80 წ.), ხოლო ავარულნი — „ჩარან“-ს. წმინდა რკინას
 კი ორიგენად „მახ“ ეწოდება. ეს უკანასკნელი სახელი უნდა უკავ-
 შირდებოდეს ქართულ „მეხს“-³⁹. (შდრ. მახათი).

³⁸ სტ. მენტეშაშვილი, ქიზიური ლექსიკონი. ტფ., 1941.

³⁹ მეხი, მეხის დაცემა, ქართველთა ძველი წარმოდგენით ნიშნავდა რკინის
 ლახვარს, რომლითაც წმ. გიორგი ლახვრავდა მაცდურთა და ბოროტ სულებს.
 ამიტომ ძლიერი სალოცავების კარზე მიქონდათ რკინის ბოილები („ბორხალი“-
 მუგრ.) და ალაგებდნენ ერთ ადგილას, რომელიც მათი რწმენით დამე მიქონ
 და წმ. გიორგის ზეცად და საჭიროებისამებრ ისროდა ზეციდან, მეხის სახით,
 ავი სულების მოსაშთობად. ამიტომ საქ. ეთნოგრ. სინამდვილეში დღემდე მიუ-
 თითებენ იმ ამბავს, რომ ნამეხარ ადგილას რომ გაჩიჩნო მიწა, იქ უთოდ
 რკინის ნაქერს იპოვნით სინამდვილეში ნამეხარში რკინის პოვნა დაკავშირებუ-
 ლია სულ სხვა მიზეზებთან, რასაც მეცნიერებაში თავის ახსნა აქვს.



ვინაიდან საკითხი ეხება ქართული ფოლადის ოდინდელ სახელწოდებასა და წარმომავლობას, საჭიროა ორი სიტყვით შევეხოთ ე. წ. „ჯავარდენს“, რომელიც ითვლება მხატვრული ფოლადის აღმნიშვნელ ქართულ სახელად.

ნ. ჩუბინაშვილი ამ სიტყვას შემდეგნაირად განმარტავს: „ჯავარდენი ფოლადის მასხალი, ფერად-ფერადად ტალღა, ან ზოლ-ზოლად ელვარება“-ო. სამწუხაროდ მას მითითებული არ აქვს წყარო. ამიტომ ძნელი ხდება ამ სახელის ნამდვილი მნიშვნელობის გარკვევა. მით უმეტეს რომ იგი საბას სრულებით არ აქვს ნახსენები. ჩანს მის დროს ეს ტერმინი უცნობი იყო, ან მხოლოდ რომელიღაც ვიწრო კუთხის დამახასიათებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში საეჭვოა გამორჩენოდა იგი საბას „ილეროს“ — განმარტებისას მაინც. საყურადღებოა, რომ ძველ წყაროებში ეს სახელი არ გვხვდება. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ ჩანს. თუ არ ვცდებით, პირველად ეს ტერმინი ლიტერატურაში⁴⁰ ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ დაამკვიდრა, ხოლო შემდეგ სპეციალისტებმაც საჭიროთ მიიჩნიეს მისი ხმარება⁴¹.

ჯავარდენის საკითხს ეხება ინჟინერ-მეტალურგი ალ. კოკლავაშვილი, მას მიაჩნია ჯავარდენი მალალი ხარისხის ფოლადის სახეობად, რომლის დამახასიათებელი თავისებურებაა — „წარმტაცი მრავალფეროვნებით მოლივლივე ნაყიში სამოდ წკრიალა ხმა და დიდი სისალე“.

1960 წელს მესხეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის მიერ სოფ. აწყურში ჩაწერილი მასალის მიხედვით (მთქმელი ვასილ ნიკოს ძე გვარამაძე 80 წ.), „ჯვარდანი პირველი ხარისხის ფოლადი იყო, იმას ამუშავებდნენ ლაზები, ეს ლაზები მოხელე და ძლიერ ნიჭიერი ხალხია. უბრალო რამისგან „სახსოვარს“ გამოიყვანდნენ, მოწითლრი, ლამაზი ხალხი იყო, ქართული ქალანაწი და ჩოხა-ახალუხი ეცვათ.

⁴⁰ იხ. კ. გამსახურდია, რჩეული თხზულებანი, ტ. 11, თბ., 1959, გვ. 481; ახალციხის მხარეში ს. უდეში ლ. ბარათაშვილის ცნობით იხმარება „ჯავარი“ სახელი შვებარის აღსანიშნავად. შვ. იტყვიან: ჯავა-ქარიანი კაცია, ე. ი. შვებარი, ჯავაქარიანი ქვა ხე და ა. შ.

ალ. კოკლავაშვილი, მხატვრული ჯავარდენის ხელოვნება საქართველოში, ეფრ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 8—9, 1961 წ.

⁴¹ ტერმინი — „ჯავარდენი“ გვხვდება ანა ბატონიშვილის მხითვის წიგნში შემდეგი სახით: „ფიშ-ბუხარა, შაბაქა ერთი მისის ჯავარდენის ათექმაშობა და მაყაშობა“ (იხ. საქ. საქ. სიძველენი, ტ. 111, 490, 10).



თავზე ჩაბალახი ეხურათ. შარვალი თურქული, განიერი ეცხმისა და ართვინისა და არტანუჯის მხარეს ცხოვრობდენ. სიმონ ბერიც გამიგონია რომ „ჯავარდანის“ ფოლადი მათი გამოგონილია. მე ისინი თათრები მეგონა, და თურმე ჩვენზე უფრო პირველი ქართველები ყოფილან. სიმონ ბერი, მგონი, ფალავანდიშვილი იყო. ვარძიაში იყო. იმან ისიც მითხრა, რომ საქართველოს პირველი ფოლადი ეს იყო. მთელ საომარ იარაღს ამისგან აკეთებდნენო. თურმე მწყემსებს ცეცხლი ენთოთ ქვაბულში. ჩაყოლია ღონიერ ცეცხლში მადნის ქვა. დამდნარა, მერე მოუძებნიათ ეს ქვა და ჯავარდანის ფოლადი ამისგან დაუწყიათ. მწყემს მოუგონია თურმე. ლაზური დანები (სურ. 16), ამ ფოლადის კეთდებოდაო, ადრე რკინა-ფოლადი სულ აქ მზადდებოდაო. მერე და მერე ღონღონისა და რუსეთის ფოლადი შემოდიოდაო. თურქებმა ეს ხელობა არ იკოდნენ. არაფერი გააჩნდათ ამისი. ლაზები აკეთებდნენ ყოლიფერს“-ო (იხ. მასალები მესხეთის ეთნოგრაფიისათვის, საქ. სახ. მუზეუმის ეთნოგრაფიკული მუზეუმის არქივი).

ეს ცნობები მრავალმხრივ იწვევს ინტერესს, ვნსაკუთრებით საყურადღებოა ლაზების, იგივე ჭანების მიერ ჯავარდანის ფოლადის დამზადების საკითხი. როგორც ცნობილია, ისტორიული საქართველოს თემები ჭოროხის ხეობაში ძველიდანვე მისდევდნენ სხვადასხვა ლითონების მოპოვებასა და დამუშავებას. ეს კუთხე ისტორიულად ძველი ქართული მეღვინეობის მძლავრი კერა და მისი ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შთავარი ბურჯი იყო. ალბათ ამითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ მტრის მასივი უპირატესად საქართველოს ამ ძარღვის გადასაჭრელად იყო განწყონილი. ასევე მოწინავე ქართველ მამულიშვილთ კარგად ჰქონდათ შეგნებულის საქართველოს ამ „ყელი“ ადგილის უდიდესი მნიშვნელობა და მათი ფარ-ხმალის ფხა-ალმასი და სიკისკასე აქ იწრთობოდა. ჭანთა სახელთან დაკავშირებული ფოლადის ქართული სახელწოდება „ქანარი“, რომელიც დღემდე ცხოვლად შემოინახა საქართველოსა და მის მეზობელ კუთხეებში, ამასვე მოწმობს. თვით ჯავარდანის საკითხი⁴² გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს ის გარემოება, რომ ეს

⁴² პ. კოლჩინის ახრით (იხ. Черная металлургия и металлообработка в древней Руси, М., 1953, ст. 30). ხორაზმელი სწავლული ალ-ბირუნის (მე-XI ს) ხაზს უსვამს „შაჰურჯანისა“ და ჯავარდაყრილი ფოლადის, ანუ ფარანდის სხვადასხვაობას და მიაჩნია ეს უკანასკნელი ტიგელის ფოლადად, რაც რთული და მუშავებით მიიღებოდა.

სახელი საბას ლექსიკონში შეტანილი არ არის და მას საფუძვლად ფართო საზოგადოება დღემდე არ იცნობს, ამ ტერმინის სიხალეზე უნდა მიუთითებდეს

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნები მიჩნეულია მაღალი თვისების გამჭრელი იარაღის დამამზადებელ ცენტრად. განსაკუთრებით ნაქები იყო, დამასკის სახელით ცნობილი აჭაური ხმლები, რომელთაც ათასგვარ უჩვეულო მოქმედებას მიაწერდნენ და მათი დამზადების წესებს საიდუმლოდ ინახავდნენ. ასეული წლების მანძილზე ამაოდ ცდილობდა ევროპა მიეგნო „დამასკური“ ფოლადის საიდუმლოებისათვის.

გამოჩენილი რუსი მეტალურგი პავლე პეტრეს ძე ანოსოვი, რომელმაც ფოლადის დამზადების ტექნიკას მეცნიერული საფუძველი ჩაუყარა და მით ფარდა ახადა „ბულატი“-ს საიდუმლოებას, ხაზგასმით მიუთითებს იმ გარემოებას, რომ ფაქტიურად დამასკი და სპარსეთი კი არ იყო „ბულატის“ სამშობლო, არამედ ინდოეთი, საიდანაც დამასკის ვზით, გაჰქონდათ იგი სხვადასხვა ქვეყნებში გასაყიდად. პეშკინი ამასთანავე ასახელებს არაბ გეოგრაფს (XII ს. ძ. წ.) ედრიზის, რომელიც ამბობს, რომ მის დროს ინდოელები განთქმული იყვნენ ფოლადის წარმოებით და სხვადასხვა მახვილების ჰედვითო. იგი დასკვნის: — შუა აზიის ახლანდელ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხები იცნობდნენ ფოლადს და მისი გამოდნობის კულტურას⁴³-ო. ანოსოვი აღიარებს იმ ფაქტს, რომ იარაღის დამზადების ხერხებითა და მოწინავე ტექნიკით აღმოსავლეთი უსწრებდა ევროპას თითქმის XIX ს. დასაწყისამდე. ამ ვითარებას ნიშანდობლივად უნდა ასახავდეს ის შეხედულება, რომელიც არსებობს ქართულ-კავკასიურ ხმლების შესახებ, რომელთაც ზოგიერთი „დამასკურის“ მიმბაძველობად თვლის, ზოგიერთიც ადგილობრივი წარმოშობის „დამასკად“, რაც იხსნება ცნება — „ჯავარდენი“-ს სხვადასხვა გაგების ფაქტით, ლექსიკოლოგ ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით — „ჯავარდენი“ ფოლადის მასხალი, ფერადფერადათ ტალდა, ან ზოლ-ზოლად ელვარება“-ა (იხ. ნ. ჩუბინაშვილის ქარ-

⁴³ „...ბულატს“ ხშირად უწოდებენ „ვეჯის“, რაც ნიშნავს კვრს, ბრტყლად გაყვანილ ფოლადის ფიცარს (სისქე — 0,25 სმ. დიამ. — 125 სმ. წონა დაახლოებით 900 გრ.), რომელსაც გამოსაჩენად შუაზე კრიდნენ ხოლმე. (იხ.

И. Пешкин, დასახ. ნაშრომი, გვ. 133).

თული ლექსიკონი თბ., 1960). ე. ი. ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით „ჯავარდენი“ რომელიმე სახის ფოლადი კი არ არის, არამედ ერთი რომელიმე მათგანის გარეგანი თვისებაა, სახელდობრ — „ნახკი“, „წყალჯავარი“ და ზედაპირის ტალღებრივი ელვარება. ლიტერატურაში მიღებული შეხედულების საფუძველზე ალ. კოკლავაშვილსულ სხვა განმარტებას იძლევა, მისი მიხედვით, ჯავარდენი მაღალ ხარისხის ფოლადია, რომელსაც ახასიათებს სახიანი ზედაპირი, წმინდა ეღერა და დიდი სისალე. რასაკვირველია, ძნელია იმის დადგენა, თუ რომელი ამ განმარტებათაგანია უფრო სწორი და მოთებული. საკითხში გარკვეულობის შეტანა შეეძლო იმ წინამძღვრებს, რომელსაც ემყარება ესა თუ ის განმარტება აღნიშნული სიტყვისა. სამწუხაროდ, არც ერთ შემთხვევაში ეს წყარო დასახელებული არ არის, რაც ძალზე აძნელებს სახელ „ჯავარდენის“ ნამდვილი მნიშვნელობის დადგენას.

უნდა „აღინიშნოს“, რომ ხალხური გაგებით (მესხეთის მხარე, ს. აწყური) „ჯვარდანი“ (ჯავარდენი, ნ. რ.) ეწოდებოდა პირველი ხარისხის ფოლადს, რომლისაგანაც, გადმოცემით, საომარ იარაღებსა ჭედავდნენ ლაზები.

სახელი „ჯვარდანი“ წარმოსდგება იქიდან, რომ ამ ფოლადისგან ამზადებდნენ „ჯვარ-დანებს“ (ჯვარის სახის დანებსა, მახვილებსა და ხმლებს). ამ ტიპის გამჭრელი იარაღის დამახასიათებელი იყო ჯვარდინი ტარი. (სწორ მხრებიანი კოტა). რაც გარეგნულად ჯვარის სახეს აძლევდა მათ. ეს ხალხური ახსნა-გაგება „ჯვარდენისა“ ყურადღებას იქცევს იმ მხრით, რომ სინამდვილეში, ძველი ქართული გამჭრელი საჭურვლის ერთ-ერთ თავისებურებას, განსაკუთრებით ხმლებისას, სწორად გამართული ტანი წარმოადგენდა. მართლაც ფრესკულ გამოხატულებათა მიხედვით ლაშა ვიორგის ხმალი ტარჯვრიანია და ერთი შეხედვით თვით ხმალიც ჯვარია. შესაძლებელია ასეთი მოყვანილობის „კოტა“ არა მარტო ხელის „საფარად“ იყო განკუთვნილი, ე. ი. მარტო პრაქტიკული მნიშვნელობა კი არ ქონდა, არამედ აპოტროფიული დანიშნულებაც. ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ანგარიში გაეწიოს „ჯავარდენის“ საკითხის კვლევა-ძიებისას ამ ხალხურ შეხედულებასაც.

იმავე ჯავარდენთან დაკავშირებით მესხეთში შეკრებილი მასალა ერთ საინტერესო ფაქტსაც ასახელებს: ლაზები ჯავარდენი-



საგან აკეთებდნენ თავისებური მოყვანილობის დანებს, რომელთაც „ლაზური დანა“ ეწოდებოდათ (იხ. სურ. 16). დაახლოებით ამ სანთ დანებს ბოლო დრომდე ამზადებდნენ აჭარაში. ეს დანები ცნობილია საქართველოში „აჭარული დანის“ სახელწოდებით, რომელთაც ბებუთებსაც ეძახიან. „ლაზური დანები“ ფორმა-მოყვანილობით ახლო ემსგავსებიან, ე. წ. სუმერული ტიპის დანებს და როგორც სიტყვიერი ცნობები მოწმობს, გამოირჩევიან თავისი სიმახვილით. „ფხით“ და სისალით. ამ სახის განათხარი, ძველი დანება დამოწმებულია სვანეთსა და აფხაზეთში.

საინტერესოა, რომ ქართველი მჭედლების შეხედულებათა ვაკრელი რკინის დამახასიათებელი ტანის მოქნილობა „ფხა“ „ალმასი“, წკრიალა ხმა და წყალ-ჯავარი დიდადაა დაკავშირებული საქედური მასალის ავ-კარგზე და განსაკუთრებით იმ „დედიშობილ“ თვისებაზე, რომელიც თითოეული კუთხის რკინას ახასიათებს. ეს ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ რკინის ხასიათი და ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო წარმოების წესებსა და ხერხებზე, არამედ იმ ნედლეულის თვისებაზეც, რომლისაგანაც დამზადებულია ესა. თუ ის რკინა. ამიტომ იყო, რომ წედისსა და ოკრიბაში რკინის მოხელენი უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ „სალი და უხადო“ რკინის დაწურვას, ხოლო დაწურვამდე მანდელის შერჩევას, გაკაზმვას. შავი ქვით გამდიდრებას, სავანგებო ნახშირით გამოდნობას⁴⁴ და დაწურული რკინის ლუგვის „ბრუნებითი“ კვერვას. ამგვარი საშუალებით აღწევდნენ „ღვედივით“ მოქნილი და ერბოვით „ჩამოსხმული“ საქედური რკინის მიღებას.

საქედური რკინისაგან ზეღადის გაცეთება იყო მეორე მნიშვნელოვანი ეტაპი ქართული ხალხური მეტალურგიისა რკინის დამორჩილების საქმეში. ჯერ კიდევ ძველად. ქართველთა წინაპრებმა: თუბალებმა, მოსინიკებმა, ხალიბებმა და ქანებმა. თავი ისახელეს მელითონეობის საქმეში და საქვეყნოდ გაითქვეს სახელი.

ამგვარად, ჯავარდენის გარეგნობა სავსებით ანალოგიურია ე. წ. „დამასკი“-სა, რომელსაც მასავით „წყალჯავარიანი“ პირისახე ახასიათებს. გამოდის, რომ ერთი და იმავე სახის ფოლადისათვის გამოყენებულია რამდენიმე სახელი—ბულატი (იგივე ფოლადი. ნ. რ.).

⁴⁴ ნახშირის როლი, და მნიშვნელობა ფოლადის მისაღებად მრავალმხრივია იხ. ამის შესახებ ინგლისელ მეტალურგის დ. პერსის ნაშრომი — Производство стали в Каталонских горах. გვ. 487. შტრ. А. Ф у л л о н, О выделке железа в сыродутных печах, СПб., 1819, გვ. 10.



დამასკი, ჯავარდენი. სახელთა ეს სიკრულე იმის შედეგია, რომ თვით ცნება „ჯავარდენი“, „ბულატი“, „დამასკი“ თავიდანვე განწყობა („გარსაგები“), რომელიც ყოველივე უცხოურს და გარეშეს ხშირად აზვიადებს, შინაურს კი „შენდობა“ არა აქვს. იყო მეორე უკიდურესობაც: მკვდელი და მემკვდური ორივე იმას ცდილობდა, რომ თავისი ხელობით შექმნილი, შინაური ხელადი უცხო სამოსით შეემკო, ან საქმით და ან სახელით. ამ ნიადაგზე ისეთ რამეს მიაწერდნენ მას, რაც სინამდვილეს არ შეეფერებოდა და ხშირად გაუგებრობას ჰქმნიდა. ამ ნიადაგზე ზოგჯერ საკუთარი დოვლათის ნაყოფი სხვისეულ წყალობად იქცეოდა. მაგალითად, თბილისელი მოხელეები ქართული ხმლის დამზადების საკითხთან დაკავშირებით, სწორად არ მოიქცნენ, როდესაც უჩვენებდნენ „ბულატის“ დამზადებისათვის ინდური რკინის. თურქული ფავნილის და სხვათა საჭიროებას, მაშინ როდესაც სინამდვილეში მათ ნიერ გამოყენებული მეთოდები და ტექნიკური საშუალებანი. „ბულატის“ ხმლების დასამზადებლად, არსებითად იყო ძველი ქართული ტრადიციების უშუალო გაგრძელება. ასევე, საჭირო მასალა აქვე მოიპოვებოდა და აუცილებელი სრულებითაც არ იყო მხოლოდ „სხვაგნითური“ რკინა-ფოლადის ნიადაგზე მუშაობა. ამიტომ მართებულად არ მიგვაჩნია აქედან წარმომდგარი, ლიტონ ჩვენებაზე დამყარებული, დაეჭვება. „ქართული ფოლადის“ წარმომავლობისა და თვითმყოფი კულტურის შესახებ. ჭანურ-„ხალიბური“ რკინა-ფოლადით დაწყებული და წედურ-ოკრიბული რკინა-ფოლადით დამთავრებული ქართული ხალხური მეტალურგია შემოქმედებითად ანვითარებდა და სრულყოფილს კმნიდა რკინის დამუშავების ხელოვნებას. ნუთუ ამის მანიშნებელი არ არის რკინა-ფოლადის ქართული სახელები — „ფუშ-ფოლადი“ (ფაშას ფოლადი), ჭანარი, ხალდი, ბასრი, ტობართინი, შანარი, მქნარი, ნანაჭი, ნაქდი და სხვა. განსაკუთრებით რკინის მიღების თავისებური და ორიგინალური წესები როგორცაა: შავი ქვის გარევა რკინის მადანში, მისი კაზმის სრულყოფილი წესები, შენადლული ფოლადის დამზადების თავისებური ხერხები და საპისოდ განკუთვნილი სადული ქურა და რიგი სხვა საშუალება.

ცნობილია, რომ რკინის მადანში პიროლუიზიტის შერევის წესი მხოლოდ გასული საუკუნის 80 წ. დაინერგა მეტალურგიაში,



მაშინ როდესაც ჩვენი წინაპრები მას წარმატებით იყენებდნენ რამდენიმე საუკუნით ადრე. ამ მიმართებით საქ. სახ. მუზეუმის სამეცნიერო სესიაზე კ. ჩოლოყაშვილმა⁴⁵ სამართლიანად განაკრიტიკა მცდარი აზრი პეშკინისა, რომელმაც „მოგვერდულად“ უარყო თბილისელ ხელოსანთა ცოდნა-გამოცდილება და შესაძლებლობა ვარგისიანი ცივი იარაღის დამზადების საქმეში და სრულიად უსაფუძვლოდ, ანგარიში არ გაუწია ოფიციალური ცნობების საწინააღმდეგო ჩვენებებს ამ საკითხზე. სინამდვილეში, საქართველოს ყოფაში გასული საუკუნის ბოლო ხანებამდე შემოინახა ცივი იარაღის დამზადების მაღალი ხელოვნება ძველი ტრადიციების საფუძველზე. ფაქტია, რომ XIX ს. ოცდაათიან წლებში, თბილისელმა მოხელეებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს რუსული ცივი იარაღის გაუმჯობესების საქმეში, რისთვისაც არა მარტო ქება და სახელი, არამედ ფულადი ჯილდოებიც კი დაიმსახურეს მეფის რუსეთის უმაღლესი ხელისუფლებისა, ამ საკითხის შესახებ უხვი მასალა გამოავლინა და მიუდგომლად გაანალიზა იგი საქ. სახ. მუზეუმის უფროსმა მ/თანამშრომელმა კ. ჩოლოყაშვილმა⁴⁶. ასევე, სპეციალური გამოკვლევა უძღვნა მას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ალ. კოჭლავაშვილმა⁴⁷.

ქართული ფოლადის საკითხს შეეხო, არქეოლოგიური მასალის მეცნიერული ანალიზის შედეგების საფუძველზე, ცნობილი ქართველი მეტალურგი პროფ. ფ. თავაძე, რომელმაც საყურადღებო დასკვნა გააკეთა ძველი ქართული მელითონეობის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის შესახებ⁴⁸.

⁴⁵ კ. ჩოლოყაშვილი, თბილისური ხმალი XIX ს., აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის III სამეცნიერო სესიის თეზისებო, თბ., 1955.

⁴⁶ კ. ჩოლოყაშვილი, თბილისური ხმლის ისტატიები, შურ. „მეცნიერება და ტექნიკა“, თბ., 1956, № 5.

⁴⁷ ალ. კოჭლავაშვილი, მხატვრული ჯავარდენის ხელოვნება საქართველოში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1961, № 8-9.

⁴⁸ ფ. თავაძე, თ. საყვარელიძე, ც. აბესაძე, თ. დვალა, სამთავროს სამართავანზე მოპოვებული რკინის საბრძოლო იარაღის ქიმ. მეტალ. და ტექნოლოგიური შესწავლა, საქ. სახ. მუზ. მოამბე, ტ. XVIII-A.



№	სვეთის დასახელება	თარი- ღი	სვეთის №	აღმოჩენის თარიღი და წელი	C	Si	Al	Mg	Cu	Ni	Co	Ti	Ca	Cr	Mn	P	V	Sb
1	სვეთი (ლაზური)	XIX ს	14-5117 (ჩიგ. №3)	კიკელიძის სვეთი 1951	0,10	0,05	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,10	0,01	აზ	0,01	0,01	0,10	-	აზ	აზ
2	წაღვი	XIX ს	10-5085 (ჩიგ. №6)	ბიხვიძის სვეთი 1940	0,19	0,05	-	-	-	0,10	0,015	-	0,01	0,01	0,06	-	-	0,10
3	თბი	XIX ს	(ჩიგ. №7)	ბეკუაძის 1956	0,17	0,20	-	-	-	0,10	0,015	-	0,01	0,01	0,05	-	-	აზ
4	თბი	XIX ს	14-5117 (ჩიგ. 9)	სვეთელი 1951	0,19	0,06	-	-	-	0,10	0,015	-	0,01	0,01	0,65	-	-	აზ
5	კახის (თბი)	XIX ს	14-5113 ჩიგ. №2	ს. ღვამი 1951	0,15	0,30	-	-	-	0,10	0,015	-	0,01	0,01	0,30	-	-	აზ
6	საფრთხი- ლო სვეთელი	XIX ს	(ჩიგ. №2,3)	სვეთელი 1951	0,18	0,05	-	-	-	0,10	0,01	-	0,01	0,01	1,30	-	-	აზ

*საქართველო ანალიზის სატარებელია ზედააღრუბრის ინსტიტუტის საქართველო ლაბორატორიაში მ. ხეხიაშვილის ხელმძღვანელობით. განსაზღვრულია რაოდენობითი ანალიზით ასევე ინსტიტუტის ანალიზის განყოფილებაში ლაბორატორიაში.

ცხრილი 2

14. 6. რეკონსტრუქცია

საფ. 1939

ნომერი	ნომერი	ნომერი	სახელი	წელი	C	Si	Al	Mg	Ca	Ni	CO	Ti	Cu	Cr	Mn	P	V	Sb
1	1939	XIX ს	18-18:11 (საფ. № 4)	ს. ქველი 1939	0,15 (20%) 0,16 (ქველი)	0,11	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,10	0,05	აზო	0,10	0,01	0,10	-	აზო	აზო
2	ნახევარი	XIX ს	(საფ. № 10)	ს. წყნისი 1940	0,17	0,05	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,05	0,015	აზო	0,10	0,01	0,10	-	-	-
3	მარწყვი	XIX ს	6:1-39:19 (საფ. № 1)	ს. წყნისი 1939	0,16	0,11	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,10	0,01	აზო	0,10	0,01	0,05	-	-	-
4	ცოლი	XIX ს	16-15:1 (საფ. № 21)	ს. კირია	0,15	0,08	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,15	0,015	აზო	0,10	0,01	0,01	-	-	-
5	სახელები	XIX ს	(საფ. № 20)	ს. კირია	0,12	0,08	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,15	0,015	აზო	0,10	0,01	0,05	-	-	-

ცხრილი 3

№	სადაც აღმოჩნდა	სადაც აღმოჩნდა	სადაც აღმოჩნდა	სადაც აღმოჩნდა	C	Si	Al	Mg	Ca	Ni	Co	Ti	Cu	Cr	Mn	P	V	Sm
1	სადაც აღმოჩნდა	XIX ს. (ჩრდ. № 15)	ს. რჩხვლი 1938 (სადაც აღმოჩნდა)	0,20	0,12	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,01	0,01	•	•	0,10	0,01	0,25	—	•	•
2	სადაც აღმოჩნდა	XIX ს. 61—30:19 (ჩრდ. № 18)	ს. სუჩხვი (სადაც აღმოჩნდა)	0,08	0,18	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,01	0,01	•	•	0,10	0,01	0,02	—	•	•
3	სადაც აღმოჩნდა	XIX ს. (ჩრდ. № 8)	სადაც აღმოჩნდა 1950	0,15	0,20	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,10	0,015	•	•	0,10	0,01	0,55	—	•	•
4	სადაც აღმოჩნდა	XIX ს. 70—08:1 (ჩრდ. № 19)	სადაც აღმოჩნდა	0,12	0,05	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,20	0,02	•	•	0,01	0,01	22	—	•	•
5	სადაც აღმოჩნდა	XIX ს. (ჩრდ. № 2)	ს. სანი 1941 (სადაც აღმოჩნდა)	0,20	0,08	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,18	0,01	•	•	0,10	0,01	0,25	—	•	•
6	სადაც აღმოჩნდა	XIX ს. 20—34:2 (ჩრდ. № 16)	სადაც აღმოჩნდა 1954	0,50	0,10	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,01	0,01	•	•	0,10	0,01	53	—	•	•



№№ რაიონი	სოფლის მეურნეობის ტიპი	საბაგი	სოფლის მეურნეობის ტიპი	საქონლის სახეობა და წელიწადი	C	Si	As	Mg	Ca	Ni	Co	Ti	Cu	Cr	Mn	P	V	
1	აფიქა	XIX ს.	(რეგ. № 28)	მბილახი 1948	0,22	0,05	კონტა	კონტა	კონტა	0,05	0,015	აზ	0,10	0,01	აზ	—	აზ	აზ
2	საბნობი	XIX ს.	32—32:1 (რეგ. № 24)	თუშეთი	0,19 0,12 0,12	0,01 0,35	კონტა	კონტა	კონტა	0,10	0,015	—	0,10	0,01	0,55 0,60	—	—	—
3	ბელაქი	XIX ს.	87—39:7 (რეგ. № 22)	ზენო	0,20	0,10	კონტა	კონტა	კონტა	0,01	0,02	—	0,10	0,01	0,30	—	—	—
4	წილვა	XIX ს.	87—39:2 (რეგ. № 19)	სოფ. კვლ. ნაძო	0,27	0,01	კონტა	კონტა	კონტა	0,01	აზ	—	0,10	0,01	0,65	—	—	—
5	თბილისი-თაში	XIX ს.	რეგ. № 3	ფრეშოს რ-ნი	—	0,01	კონტა	კონტა	კონტა	0,10	0,015	—	0,10	0,01	23	—	—	—
6	საბნობი	XIX ს.	1—49:1 (რეგ. № 17)	ბორჯომის ზეობა 1949	0,30	0,10	კონტა	კონტა	კონტა	0,01	0,01	—	0,10	0,01	1,5	—	—	—
7	შენიშნობა	XIX ს.	(რეგ. № 11)	აფიქა 1957	0,30	0,18	კონტა	კონტა	კონტა	0,10	0,015	—	0,10	0,01	0,45	—	—	—
8	ბოჭო	XIX ს.	27—12:44 (რეგ. № 12)	სოფ. შენაქო (თუშეთი)	0,16	0,11	კონტა	კონტა	კონტა	0,10	0,015	—	0,10	0,01	43	—	—	—

ცხრილი 3

№	სივრცის დასახელება	თარიღი	სივრცის №	აღმოჩენის ადგილი და წელი	C	Si	Al	Mg	Ca	Ni	Co	Ti	Cu	Cr	Mn	P	V	Sn
1	მანგანის	XIX ს	3 — 57:1 (ჩრდ. №27)	მანგანის თბილისში 1907 წ	0,96	0,16	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,10	0,015	აზო	0,10 √	0,01 √	0,50	—	აზო	11
2	მანგანის	XIX ს	3 — 56:1 (ჩრდ. №26)	მანგანის თბილისში 1906 წ	0,50	0,08	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,05	0,015	•	0,10 √	0,01 √	აზო	—	•	•
3	ჩვეუ	XIX ს	10 — 45 (ჩრდ. №14)	1945 წ	0,11	0,15	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,25	0,015	•	1,01 √	0,01 √	15	—	•	•
4	ბაზალტის	XIX ს	(ჩრდ. №5)		0,29	0,15	ცოტა	ცოტა	ცოტა	0,10	0,015	•	0,10 √	0,01 √	0,05	—	•	•

სენი სენიოვან წამოღებულ ჩანის ნაწილი და წყლის ქიმიური ანალიზის შედეგები (1956 წელი)

№	სამუშეოს დასახელება	SiO ₂	CaO	MgO	Al ₂ O ₃	Fe	FeO+Fe ₂ O ₃	P	S	C	Mn	P ₂ O ₅	SO ₄
1	წყა-1- ₁	66,61	1,5	2,53	—	8,38	2,73+9,3	0,01	0,01	—	0,13		
2	წყა-1- ₂	21,74	4,2	2,17	—	48,7	49,3+14,5	0,17	0,020	0,57	0,21		
3	წყა-1- ₃	74,9	2,25	1,54	—	7,8	0,72+10,5	0,018	0,01	—	0,11		
4	წყა-1- ₄	15,7	0,95	0,7	—	57,12	—*)	0,013	0,019	0,3	0,13		
5	წყა (მდინარის) 1- ₁	9,56	2,7	2,17	—	67,08	75,0+12,60	0,036	0,023	0,12	0,19		
6	(?) 1- ₂	70,8	0,90	0,7	11,95	5,04	—	0,13	0,018	0,18	—	1,48	1,12
7	წყა-მდინ. ძველი შინაბიდან. II- ₁	29,22	4,5	3,0	10,13	20,1	26,96+5,22	0,18	0,015	0,09	0,24		
8	წყა. ივრისიდან III- ₁	26,6	5,4	2,9	8,2	38,10	31,96+19,0	0,35	0,034	0,25	0,27		

შენიშვნა: ქიმიური ანალიზები ჩატარებულია 1956 წელს ჩუხთაის მუტალორეული ქარხნის ცენტრალური ქიმიური ლაბორატორიის მიერ და იფიციალური ცნობა ა. ი. ვაქლავაშვილთან ანბებს

$$*) \quad \begin{aligned} Fe + FeO &= 63,16 \\ Fe_2O_3 &= 11,57 \end{aligned}$$

ცხრილი 7

ზემო იმერეთიდან (სამეურს რ.) წამოღებული რკინის მადნებისა და წყვეტის ქიმიური ანალიზის შედეგები

№№	დასახელება	SiO ₂	CaO	MgO	Al ₂ O ₃	Fe	FeO+ Fe ₂ O ₃	P	S	C	MnO	P ₂ O ₅	SO ₂
1	მადნის (IV-1) თვედღეობი. უდაბო 26:1 წყლთან ფერხობი	20,7	20,7	1,2	1,05	*	**	0,86	0,063	0,51	0,22	2,17	1,07
2	წყვე (IV-2) სინჯულის სადამში	20,37	2,15	პრაი	1,99	—	68,00	—	—	—	0,78	2,17	1,07
3	წყვე (IV-3) სინჯულის ცხებ	37,30	1,50	კვარი	13,35	—	33,00	—	—	—	1,34	2,45	6,54
4	წყვე (IV-4) 2 კვადის ფერხობიდან, ს. მესობი	41,13	2,60	—	14,08	—	31,92	—	—	—	1,09	0,86	0,81
5	წყვე (IV-5) მარხანთაო მუ- რგის და სინჯულის შიხის	26,20	4,90	—	7,36	—	57,35	—	—	—	3-5	0,3	0,12
6	წყვე (IV-6) თვედღეობის დას. კვადის შიხის კვლახზე	26,12	3,0	—	8,20	—	56,92	—	—	—	2,07	2,12	0,10
7	წყვე (IV-7) სინჯულის ვულ- ნანკარევიდან	18,37	11,10	—	9,57	—	47,65	—	—	—	4-10	3,68	0,11

* FeO=29,06

** Fe₂O₃=31,47

შენიშვნა: ანალიზები IV-1-ის ვარჯი, ჩატარებულია ავსტრიის გეოლოგიური ქარხნის („ცენტროლიტი“) ქიმიურ ლაბორატორიაში, ხოლო IV-1 მადნში ჩატარების გეოლოგიური ქარხნის ცენტრალური ქიმიურ ლაბორატორიაში, ლაბორატორიების თვითნაირი ცნობები ა. ი. კოკლავაშვილის ინსტება.

ბუნების რაიონიდან წარღობული რკინის მადნისა და წყვეთის ნიმუშების ქიმიური ანალიზის შედეგები

№	დასახელება	SiO ₂	CaO	MgO	Al ₂ O ₃	Fe ₂ O ₃	SO ₃
1	წივი (ველითაძეძი პარტიის სფერის მისაღებელი მარცხი დამუშავ)	11,6	2,7	—	5,43	69,8	1,00
2	წივი (დამუშ-სეს, ხვედაში მისაღობის, ვის მარჯვენა მხარე)	9,6	2,12	—	6,12	74,0	3,2
3	წივი (დამუშ-სეს, ვილოვ, სფერის ვის 30 მმ მანძილზე)	23,7	3,7	—	7,7	55,3	7,0
4	წივი (ათამუნდან)	13,0	7,7	—	9,77	63,04	4,0
5	წივი (დამუშ-სეს, სფერისიდან ლაქსენ მისაღობი ვის)	6,72	3,05	—	5,06	78,2	3,05
6	წივი (დამუშ-სეს, ვილო, სფერისიდან მისაღობი ვისზე ვისის შიის)	7,0	5,02	—	9,18	73,9	3,84
7	წივი ათამუნდან	21,2	10,2	—	9,7	49,6	5,0
8	მადანი ათამუნდან	54,4	—	—	10,02	27,9	3,7
9	მადანი (დამუშ-სეს ძველი მდარობან)	1,02	—	—	10,06	84,02	5,25
10	მადანი (დამუშ-სეს ვილო, სფერისიდან 60 მ. მანძილზე ვილო შტობან)	6,9	3,9	—	—	84,0	3,3

შენიშვნა: ქიმიური ანალიზები 1956 წლის 26 ოქტომბერს ჩატარდა № 31 ქაბის ცენტრალურ ქიმიურ ლაბორატორიაში ვილო-ვილოს მიერ წარუბლის ხელმძღვანელობით. ლაბორატორიის ოფიციალური ცნობა № 543 მისება ა. ი. კოჭლავაძელოს.

თავი მეექვსე

რკინის კულტი

თქმულება—„კალვასელა“

მელითონეობის ღრმა კვალი ატყვია არა მარტო ნივთიერ ნა-
შთებს, არამედ იგი ღრმადაა აღბეჭდილი, როგორც ზემოთაც ით-
ქვა, ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების სფეროშიაც. ის გა-
რემოება, რომ რკინა მაგიური ხასიათის საგანს წარმოადგენს, გან-
საკუთრებული საიდუმლოებით მოსავს მის შემოქმედსა და მქე-
დელს. სამჭედლო ეს თავისებური სალოცავია, სადაც მოკრძალე-
ბა, მორიდება ისევე აუცილებელი იყო, როგორც საკულტო ად-
გილების მიმართ. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სამ-
ჭედლო გრდემლი, კვერი და მარწუხი ისეთივე ძალისა და მნიშვნელო-
ბისაა, როგორიც ქრისტიანთა ტაძარში ჯვარი. ესინი ნაწილიანი საგნე-
ბია და გვარის რომელიმე წევრი, როდესაც იგი გამოეყოფა ოჯახს და
შორს უხდება დასახლება, ამ წმინდა ნაწილიანი, ნაკურთხი საგნების
„ზიარების“ ნიშნად მათი მცირე ნაწილის იქ წაღება და ახალ იარა-
ღებში გადასხმა უხდება (იხ. ზემოთ ამის შესახებ, აფხაზურ სა-
წესო ჩვეულებების განხილვისას). ასევე, „რკინის კაცებს“ — რკი-
ნის მადნის მწურავებს რაჭაში ჰყავდათ თავისი მფარველი ანგელო-
ზი „მარიამ წმინდა“. რაც შეეხება რკინის კაცებს — მჭედლებს.
მათ ხომ საგანგებო საკულტო დღეობები ჰქონდათ დაწესებული
მფარველ ღვთაებათა სავედრებლად. მჭედელი ახლო იდგა ღვთაე-
ბათა სამყოფელ საკულტო ადგილებთან და ამიტომ ხალხი მას გან-
საკუთრებული ბუნების კაცად, ან ზშირად ზებუნებრივ ადამიანად,
ხან კეთილ და ხანაც ბოროტ ქმნილებად მიიჩნევდა ხოლმე. ამგვარი
მსოფლმხედველობის ნიადაგზე შეიქმნა ფრიალ საყურადღებო თქმუ-



ლებები და ლეგენდები პირველ მკვდელზე და მკვდლობის შემდეგონ ღმერთ-კაცებზე — შაში-ს, სოლამის, სოლომოს და ამირანის შესახებ. ამ მიმართებით აღსანიშნავია თქმულება „სირამკვდელზე“, „კალმახელაზე“ და სხვა. ეს უკანასკნელი თქმულება, რომელიც განეკუთვნება გურიის ეთნოგრაფიულ ყოფას, ორგანიულად უკავშირდება ამავე ხასიათის ზემოხსენებულ რაჭულ თქმულებას — სირა მკვდლის შესახებ.

ამირანის შესახებ თქმულებათა ციკლში. თქმულება — „კალმახელა“, იმდენად საინტერესო და ახალ მომენტებს შეიცავს, რომ საჭიროდ მივიჩნიეთ მისი აქ მოტანა მთლიანად, ვინაიდან „კალმახელაი“, იგივე სულკალმახი“, „სირა“, ბადრი, ამირანი (ქართ.), პრომეთე (ბერძნ.), აბირსკილი (აბხაზ.), ჰარამხუტუ (მეგრ.) და ქრისტიანული წმინდა გიორგი, „კვირიაცხოველი“ და სხვა წარმოდგენენ ერთი და იმავე საფუძველზე შექმნილ პერსონაჟებს, რომელთა კონკრეტული მოქმედება ასახავს ქართული მედიითანობის გარკვეულ ხასიათსა და თავისებურებას სხვადასხვა ეტაპზე.

გურული თქმულება — „კალმახელა“, ამას ცხადად მოწმობს: „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი მონადირე, უდაბური ტყის მფლობელი. იგი კაი ვაჟკაცი იყო, მარა მარტუაი უცოლწვილოთ ბერდებოდა. ტყეში დახეტიალობდა და ნადირობდა. ყოველთვის აი დაქონდა, შვილდნსარი და თხილის წკნელით დაღობილი კალათაი, ზურგზე დათვის ტყავის ბონჩა ქონდა მოკიდული. ამ კაცს კალმახელა ქვიოდა. მუუსვენარი კაცი იყო. რავარც ვითხარით ცოლი არ ყავდა მარა, მაგიორში ქალების დიდი მოყვარული იყო. ქალებსაც მოწონდათ კალმახელა და ზოგიერთი შესთა მასთან. ერთი მეწისქვილის ქალიშვილს კალმახელიდან ორი ბიჭი ბადრი და უსუფაი შეიძინა. მეწისქვილემ ბაღნები წყალში გადაყარა მოსაკლავათ. ჩემ ქალიშვილს ბუშები თუ გუთმხილდა სახელს გუთტებს და ეღარ გათხოვდებო. ბადრი და უსუფაი ანგელოზივით ბაღნები იყვნენ და წყალმა არ ჩაძირა. ერთმა მეთებზემ ორივე დეიჭირა და თავის სახში წეიყვანა. მეთებზის ცოლს ძანიალ მოეწონა მიყვანილი ბაღნები და იშვილა. მეთებზეს მარტუაი ერთი ქალიშვილი ყავდა და ბიჭების პოვნა მიზდა დიდი განძი იყო. ბადრიასა და უსუფას მეთებზის ცოლი თხის რძით ზრდიდა. ბაღნები ჩქარა იზდებოდნენ. კალმახელაი მის შვილებს ბადრიას და უსუფას არ იცნობდა. მეთებზემ ქე იცოდა კალმახელაი მისი შვილობილების მამა რუმ იყო, მარა არ ამხელდა. ბაღნები დარწმუნე-



ბული იყვნენ ჩვენი მამა მეთებზეაო. ასე გადიოდა დრო. მეთებზე თებზებს იჭერდა. კალმახელაი ნადირობდა. ერთ დღეს კალმახელამ დიდ ხანს იარა. ტყეში ერთი სამწვადეც ვერ იშოვნა, ვერაფერი მოკლა, შიმშილით კუჭი უხმებოდა და ნემეტარი რუმ დეილალა, ხრამის ნაპირას ხის ძირში ჩამოყვდა და მიეძინა. სიზმარში ხედავს უცხო ფრინველი მოფრინდა და მარცხენა მხარზე დააჯდა. ფრინველი უცბად კაცის ენაზე ალაპარაკდა. კალმახელავ თუ გინდა ბედნიერი იყო, ამ ხრამის ძირში მრინარე რუმბა იმას იჭით არ გადახვიდეთ თვარა დიდ გასაჭირში ჩავარდებიო. ამის თქმისთანავე, ფრინველი გაფრინდა, კალმახელას გველვიძა, მიიხედ-მეიხედა და ხრამის გაღმა კლდეში თვალი მოჰკრა ოქროსფერ სინათლეს და თანაც სიზმარი რომ მიეფლინა, იმ ჩიტის ნათქვამი მოაგონდა. კალმახელამ გადაწყვიტა რაც უნდა მომიკიდეს უნდა ვნახო იქინე რა სინათლეაო. კალმახელამ დელიმუვლა მგელივით და ნაგარიდან თვალეზბრილა მგელი გამევიდა. კალმახელაი შეაჯდა მგელს ზურგზე და ჯაგარში ჩაავლო ხელი. მგელმა კიდიკიდე გაყვა მთას, ჩვეიდა ხრამში და მდინარეში გეიყვნა კალმახელაი. მგელი აქეთ ვანევიდა. კალმახელა კი დარჩა გაღმა განათებული კლდის ძირში. კალმახელაი მგელთან და დათვთან დამეგობრებული იყო. იგინიც მონადირეებია და მონადირე მონადირეს არ ერჩისო. კლდის ძირას დარჩენილმა კალმახელამ იფიქრა, იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადაწყვიტა. ქვებს მოვზიდავ, ერთმანეთზე დავაწყობ კიბესავით და ასე ამულ გამოქვაბულში, სიდანაც სინათლე მოჩანსო, ქვების წყობა რომ დეიწყო, უხსენებელს მოკრა თვალი. კალმახელამ ქვას წამოავლო ხელი და უხსენებელისათვის უნდა ესროლა. მარია უხსენებელმა უთხრა კალმახელას — არ მომკლა და მიზანს მიგახწყვიებო. კალმახელამ ქვიანი ხელი დღუშვა და უხსენებელს უბრძანა: — „თუ ამ კლდის ნათელ გამოქვაბულამდე ასვლაში მომეხმარები არ მოგკლავო“. უხსენებელმა უპასუხა: — „იმ გამოქვაბულში ყველა ნადირთა მფლობელი დალი ცხოვრობს. მე მისი მცველთაგანი ვარ. რა კი სიცოცხლე მაჩუქე შენი მონა ვიქნებო ჩემი ღიცის თანახმად. ამ კლდეზე ასვლა კაცისაგან შეუძლებელი საქმეაო. აღი ამ მთაზე და დაუპირისპირდი გამოქვაბულს, ჩამულუშვი ბაწარი და ამ ბაწარს გამოქვაბულამდე ჩაყვიო“. დილას მზეი რუმ ამულა მაშინ გააკეთე აი საქმე თვარა. სხვა დროს დალოს ღვიძავს და მისი თვალეზბის შემოხედვას ველარ გადაურჩებიო. მძინარეს თუ მუუსწრებ ოქროს თმები შიაქერი და მერე შენი მორჩი-



ლი იქნებოა“. შენი სიტყვის სიმტკიცედ რას მაძღვეო, კითხვა კალმახელამ უხსენებელს“. უხსენებელმა უთხრა: — „ეგერ ჭკვეშ ჩემი მონაცვალ ტყავია და ჩემი სიტყვის საწინდარი იგი იყო-სო“. კალმახელამ უხსენებლის მონაცვალ ტყავი დაიგრია და წელზე შემოირტყა, ჭამარს ზემოთ. მერე უხსენებელს მუუბრუნდა და უთხრა: — „იცოდე თუ პილაატე შენ მონაცვალ ტყავს ჩემ ძაღლს დავაგლეჯებო და ამის გამო მთელ ტანზე მოუტრენელი მუწუკები გაგიჩთებოა“. უხსენებელმა უპასუხა: „ფიქრი ნუ გაქ ჩემი სიტყვა მუდამ გაუტეხელიაო“. კალმახელა მოშორდა უხსენებელს და შეუდგა აღმართს. იარა, იარა, იარა და მიადგა ერთ საცივს და დალილმა საცივის წყალით შუბლი შეიგრიალა. ვარსკვლავებს შეხვდა და მიხვდა რომ შუალამე დამდგარიყო. კალმახელას დევის ბლორინი მოესმა. შეშინდა. თუ ჩემი ძალა ახლა დევთან ბრძოლას მუანდომე დილას დალთან რაფერ ჩაეყვე ბაწარს დაღლილიო. მერე მუაგონდა გველის ტყავიმაქ წელზე შემორტყმულიო და დამ-შვიდდა. კალმახელაი პირდაპირ წევიდა იქითყენ სეითაც დევი ეგულეობდა. დევ ეცა თუ არა უხსენებლის სუნი ძუნძულ-ძუნძულთ გეიქცა. დევებს ნემეტანი ეშინოდათ უხსენებლისი. დაწვა კალმახელაი საცივის მახლობლად და დეიძინა. მისი ძაღლი ჯი ყარაულობდა მძინარე კალმახელას. იალონის ხანს გეველიძა კალმახელას და დეიწყო ფიქრი სად ვიშოვო ბაწარი დალის გამოქვაბულში ჩასაშვებადო. იარა, იარა და გევიდა ფთის მწვირვალზე. იქინე ბაწარს ვინ მუუტანდა. დაყდა დაღონებული ხის ძირას. უცფი იფიქრა მოი ჩემ ბედს ამ უხსენებლის ტყავს მივანდობო. ძაღლი მოშორებით მოყლეთ დაამბა. წელზე უხსენებლის ტყავი მოიძრო და კლდის წვერზე რომ ხე იდგა, იმის დაბლა ტოტზე ერთი თავით მიაბა. თვითონ მერე ბოლოს მოკიდა და მზის ამოსვლისთანავე დეეშვა დაბლა. უხსენებლის ტყავი ნელნელა გეიქიმა მარა ტყის ქალის გამოქვაბულის ჭერს ცოტათი დაცილდა დაბლა. კალმახელამ დაინახა გამოქვაბულში დათვის ტყავზე წამოწოლილი მძინარე ოქროს თმიანი ტყის ქალი. ისეუპა კალმახელამ და ჩახტა გამოქვაბულში. ტყის ქალს აფერი შეუტყვია. მთელი ღამის გან-

1 შტრ. გველის კელტი საქართველოს კუთხეებში (ნ. რეხვიასვილი, მზიერი, მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV-B. 1963), სადაც გველი მიწნულია კითლ, ადამიანის მფარველ არსებად.



მავლობაში ტყეში სიარულით და ნადირობით დაღალტულად ღრმად ეძინა. მკვდარი გეგონებოდა. კალმახელა მუუახლოვდა იქვე ილო ჭიბიდან გაღესილი დანა, თმების მოჭრა მუუენდომა, მარა ერთი შეწყვეტა ვერ მოაცილა. კალმახელამ იფიქრა: — დვეილუპე კაცი. სადაცაა გვიღვიძებს ქალი და მის ალერს ვერ ველირსები ისე მოგვკვდები, კლდეზე გადამაგდებს. მისი ერთი შეხედვა სპობს კაცსო. ატირდა კალმახელა, მისი ცრემლები დანას დვეწყვთა და დაჯანგა. კალმახელამ იფიქრა ჩემი საქმე მაინც დაღუპულია და ამ ჯანგიანი დანით ვცთი, ეგება ქე მოვჭრა თმები ტყის ქალსო. კალმახელამ ტყის ქალის თმები ხელში მეიქცია და ჯანგიანი დანიით ხელათ გადათიბა. ტყის ქალს არც კი გაღვიძებია, კალმახელამ დაწნა ტყის ქალის თმები და თავის ბოლჩაში ჩადო. მერე მოვიდა. ტყის ქალს გადაეხვია და აკოცა. ამისთანა სიამოვნება კალმახელას მანამდის არც ერთ ქალთან არ უგრძნია. მას ტყის ქალის ტანი ცუცხლივით შემოენთო. პაწე ხანს მერე გამეღვიძა ტყის ქალს და მიხთა, რაც ჭირდა. მან ტირილი დეიწყო. მისი ცრემლები მარგალიტებად ცვიოდა დაბლა გაბრუებულმა კალმახელამ აკრიფა ეს მარგალიტები, მარა ისი მძიმე-მძიმე იყო, რომ ისევ იქვე დაყარა. ბოლოს გულმობრუნებულმა ტყის ქალმა უთხრა: — „ჩემი ოქროსფერი თმები რუმ მივაქ ბოხჩით. მას ყოველ დილას დახედე და როცა გაშავდეს, მის მეორე დილას მომაკითხე და შენი ნაშიერი წეიყვანეო. თუ ქალი დარჩება, რაც გინდა დაარქვი, თუ ბიჭი დეიბადოს, მაშინ ამირანის მეტი სხვა სახელი არ უწოდოო. ახლა აგერ რომ ხედელია, იმას ჩაყევი და წყალთან გაგიყვანსო. აქეობასაკ იმით ამოდი, როცა მოხვიდეო. საიდუმლო გზა კი გასწავლე. მარა ახლა მითხარი შენ როგორ ამოდი, როგორ ამოდი, როგორ ამომეპარეო“. კალმახელამ ყორიფერი უამბო, მაგრამ უხსენებელი არ გასცა. არ თქვა თუ რაფერ ასწავლა მთის წვერისაკენ მიმავალი გზა და იქიდან გამოქვაბულში ჩამოშვება. კალმახელამ დატია გამოქვაბული და ხვრელის გზით გამევიდა მდინარის ნაპირას. მერე ისევ ავიდა მთაზე, უხსენებლის მონაცვალი ტყავი მოხსნა ხიდან, დამბული ძაღლი აუშვა და დაბრუნდა თავის სამყოფელში. ამის შემდეგ კალმახელაი ხშირად დადიოდა ტყის ქალთან, მიქონდა მა-

² ცნობალია რომ ზოგიერთი ხალხი ძველად მიმართავდა რკინის დამარხვას მიწაში, მასალის ზარისხის ამაღლების მიზნით.



შემდეგ ტყეში იშვიათად გამოდიოდა, მას თმებიც გაეზარდა. ფეხმძიმობის გამო მარჯვე მოძრაობის უნარი დაკარგა. კლდიდან კლდეზე ველარ ხდებოდა. კალმახელა ძველებურად დადიოდა მთაში და ბარად ნადირობდა და თებზაობდა. გვეიდა დრო. ერთ დილას კალმახელამ ჩვეულებრივად ამოალაგა დათვის ტყავის ქეჩხოში ჩალაგებული სხვადასხვა ნივთები და მათ შორის ტყის ქალის თმაი, რომელიც გაშაკებულიყო და ოქროსფერობის ნიშანწყალი აღარ შერჩენოდა. მოაგონდა კალმახელას ტყის ქალის ნათქვამი და მეორე დილას მასთან გაჩნდა. ტყის ქალის გვერდით პაწე ბიჭი იყო დაგორებული. ქალმა დეინახა კალმახელაი და უთხრა: „შენთვის ჩამიბარებია ჩვენი შვილი, გაზარდე მაგი, იმფერ ვარსკვლავზეა დაბადებული, ადამიანების კეთილდღეობისათვის მუდამ თავდადებული იქნებაო. ახლა წადი ირემი მოკალი და მის ნედლ ტყავში შეხვიე ჩვენი ამირანი და ისე წეიყვანე მეძუძურ ქალთანო“. კალმახელა ასე მოიქცა, ტყის ქალს საზუღამოდ დაემშვიდობა და პაწე ამირანი წამეიყვანა. კალმახელამ დატია ტყე და სოფელ-სოფელ დეიწყო სიარული მეძუძური ქალის მოსანახავად, მარა ყველა ვარს ეუბნებოდა. მშვიერი ამირანი ესე ყვიროდა, გეგონებოდა: ასი ჩვილი ბაღანაი ტირიან ერთადო. ბოლოს კალმახელას მოაგონდა მისი მეგობარი მეტებზე და მასთან წავიდა. მეტებზისას მარტო მისი ქალიშვილი იყო შინ, სხვა ყველა სტუმრათ წასულიყვნენ. მეტებზის ქალიშვილმა იცნო კალმახელაი, ბაღანაი ჩამოართვა და ძროხის რძით გააძლო. პაწე ამირანს დეეძინა. მალე მეტებზე დაბრუნდა. კალმახელამ უთხრა: — ჩემო ძმაო, ბიჭინა, ამ ჩემ შვილ გაბარებ გასაზრდელად. მაგიორში მის სარჩო თვეში ერთხელ ერთ ირემს, სამ შველს, ცხრა კურდღელს მოგართმეო. შენ ცოლს ჩემი შვილის ძიძაობისათვის წელიწადში ერთს ოქროს ცხვრის მატყლით მოქსოვილ ღაზლის თავშალს მუუტანო. მეტებზემ უთხრა — „ღვთის წყალობით ჩემ ოჯახს ყორიფელი ბევრი აქ“. შენა არც ნანადირევი და არც თავშალი არ გვინდა. ჩემს ამაგს ჩემი გაზრდილები ჩემს მოხუცებულებაში გადამიხთიანო“. ამ ლაპარაკში რომ იყვნენ, ბადრი და უსუფაიც შემოვიდნენ სახში. კალმახელამ შეხედა და რაცხა ეცნაურა, თუმცა თვალით არცაროის არ ენახა ისინი. ბადრიე და უსუფაი მიესალმენ ყველას და ერთი ბადე თებ-

2 შდრ. თქმულება ოქროს საწმისის შესახებ კოლხეთის მეფის აეტის კარზე.



ზებით საფსე შემოიტანეს სახში. პეტებზის ქალიშვილმა ბადრიას და უსუფას: — „მომილოცავს და მომილოცეთ ღმერთმა ახალი ძმა შეგვძინაო“. „სადაა მერეო, იკითხეს ბიკებნა“. „ეგვი ტყავში გახოვილს ძინავსო“. ბადრიამ და უსუფამ ტყავი ფრთხილათ გადაშალეს და პაწე ამირანი ნახეს, ორივე მიეფერა პაწე ამირანს, მერე უსუფაი გამევიდა გარეთ და თხილის ჯოხი შეპოიტანა. ამ ჯოხს მეორე თავში ბადრიამ მოკიდა ხელი და შვაზე გადატეხეს. ორივემ ერთად წამეიძახა: — „ღმერთო ასე გატეხე იგი, ვინც ჩვენს მესამე ძმას უღალატოსო“. კალმახელამ უყურა, უყურა, უყურა ბადრიას და უსუფას და ცრემლები მუადგა თვალეზზე. ბადრიე და უსუფაი თავის თავს და მეწისქვილის ქალიშვილს ზექალას მიაშსგავსა. მეთებზე მუუხთა კალმახელას ცრემლების მიხეზს და უთხრა: — „ჩემო ძმობილო, კალმახელა, ბადრიე და უსუფაიც შენი შვილებია, ორივე წყალს მოქონდა, დევიჭირე და გავზარდე. შენ აქამდე არ გეუბნებოდი, ვიფიქრე ეგებ არ გეიზარდონ და დამწუბრდება, მაშინ გავაცნობ, როცა გეიზარდებიან მეთქი. მე თითონ ვამომიციდია რა ძნელია შვილების მოშორება: ორი ქალიშვილი დევებმა წამართვეს და მათ კვალს ვერ მივაგენ, აი ერთი ქალიშვილი შემრჩა და ამ შენ სამ ვაჟიშვილს მას ძმებად უზრდი“. აგი რომ მესისმინა კალმახელამ თლათ კურცხალათ გადაიქცა. მისი შვილები ბადრიე, უსუფაი და მეთებზის ქალიშვილი ჩეიხუტა და თქვა: — „იმაზე დიდი უბედურება აფერია საკუთარ შვილებს შენ თითონ რომ ვერ ზრდიო და ვერც კი იცნობ მათო. რაკი ჩემი შვილების გამზრდელი ყოფილხარ შენი ქალიშვილიც ჩემ შვილათ მიმანჩიაო“. ბადრი და უსუფიც ტიროდნენ, მერე კალმახელას მოუბრუნდენ და უთხრეს: — „ჩვენი მამა ყოფილხარ, მარა ჩვენი მამობილი და დედობილი შენ თავს გვირჩევენია, მაგან განწირულები გადაგვარჩინა და გავგზარდა. შენ ჩვენი დედაც დაგიჩაგრავეს, თუ კაცი ხარ მოგვანახვიე და ჩვენ უპატრონებთ დედასო“. კალმახელი შეწუნდა ეშმაკის კურცხალი (არაყი) მეითხუა, პაწე ყანწი გააფსო და ფიცის სიტყვა თქვა: — „მე კალმახელი ცისა და ქვეყნისაგან შერისხული ვიყო. ჩემ დღეში ნადირი ვერ მოვკლა, მოზიდული შვილდი შვაში გამიტყდეს, მტრის ისარი გულზე დამესოს, მწყუროდეს წყლის ნაპირას წყალს ვერ მივსტვე, პურის გემო დამავიწყტეს თუე ჩემი შვილების და მათი დედის, მეწისქვილის ქალიშვილზე არ ვიზრუნო. ტყის ქალი კი თითონ ღმერთია და ჩემი ზრუნვა რა უნ-



და. ეს თქვა კალმახელამ თუ არა, ეშმაკის კურცხალი სულმოკლე-
 თქმელათ გადაყლაპა. სცვებმაც დეისხეს პაწიწვან ყანწებში ეშმაკი
 კურცხალი, გარდა ქალგებისა და ფიცი დასდეს ერთმანეთს არ უღა-
 ლატონ. არაყს რუმ სვამდენ, მოზრდილი ბაღანაის ტირილი გეიგო-
 ნეს. გარეთ გეიხედეს ვინ არის და რა ატირებსო, მარა გარეთ მყო-
 ფებს სახლიდან შემოესმათ ტირილის ხმა. გეიხედეს კუთხეში და
 რას ხედავენ, ნადირის ტყავში გახოული პაწე ამირანი ხუთი-
 ექვსი წლის ბაღანაის ხელა გაზრდილა, შემოხოული ტყავი გადაუ-
 შლია და ფეხმორთხმული დამჯდარა ზედ. მივიდენ მასთან, მიე-
 ლურსენ, მარა შენც არ მომიკვტე, პასუხი არ გასცა არც ერთს და
 არც ტირილი არ შეაჩერა. ტირის და ტირის ამირანი, შეეცოდათ
 ბიჭი და ყველა ატირდა. ბოლოს ამირანს ჩეეძინა. ყველამ გაჩერ-
 და და ერთმანეთს კითხეს, ან იმ ბიჭს რა ატირებდა, ან ჩვენ რა გვა-
 ბლავლებდაო? მეთებზის გოგომ უთხრა ივინს, — „ამირანს ნამ-
 დვილად მოშივდა, ჩვენ კი აი ვერ გუუგეთ და ისე მისი სიკოდეით
 ვტიროდითო. ასე იყო თუ ისე, ერთი რამ ცხადია. ამირანაი სწრა-
 ფად იზრდება და საკმელი არ უნდა მივაკლოთო. ავი თქვა თუ არა
 გვეიდა ახორში და ძროხის ნაწველი დიდი ქოთნით გამეიტანა. აღვი-
 ძეს ამირანაი, აღვიძეს, აღვიძეს, მარა ვერ გამოაღვიძეს. გვეიდა ხა-
 ნი და ამირანამ ისევლე ტირილი დეიწყო. მისმა დობილმა მეთე-
 ბზის ქალიშვილმა მელიამ ამირანას დიდი ქოთნით რძეი დაალეგია.
 ამირანამ ისევე მიიძინა. ასე ძილში იზრდებოდა ამირანა, იგი ერთი
 თვის ერთი წლისას გავდა, ერთი წლის კი 10 წლისას და ძალიან
 მალე დავაქკაცდა. იმ დღეს კალმახელამ რუმ გეიგო ბადრიე და
 უსუფაი ჩემი შვილებიაო, გადაწყვიტეს მათი დედა მეწისქვილის
 ქალიშვილი მონახათ. ადგნენ კალმახელაი, მეთებზე ბიჭინაი, ბა-
 დრიე და უსუფაი და წვეიდენ იმ მდინარისკენ, სადაც ბიჭინამ ბა-
 დრიე და უსუფაი ნახა წყალში ჩაცვენილები. აღმართში აყვენ
 მდინარეს და მალე წისქვილი გამოჩნათ, მის ახლოს თმაგაწიწილი
 ქალი იჯდა და ტიროდა. თეთრწვერა მოხუცებული ადგა მას თავზე
 და ეფერებოდა. ქალი ტირილს არ წყვეტდა. კალმახელამ იცნო მე-
 წისქვილე ჯახუნაი და მისი ქალიშვილი, ბადრის და უსუფაის დედა
 თუთაიე. ელდა მოეკიდა გულზე კალმახელას. მხლებლებს უთხრა:—
 თქვენ აქანაი იყავით, სანამ არ დაგიძახოთ მანამდე არ წამოხვიდეთ
 ჩემკენო. იგი მივიდა ჯახუნასთან და თუთაისთან. ორივემ იცნო;
 ქალმა ტირილი შეწყვიტა. მოხუცებულმა კალმახელას ჯოხი მოუ-



ქნია, მარა ხელი ჰაერში გუუჩერდა, ქალმა ქვაი მუუქნია, მარცხენა
 დაპირ ნასროლი ქვაი კალმახელას ფეხთან დავარდა და მსროლე-
 ლისკენ გამოგორდა. ყველა გაშეშთა. მაშინ კალმახელამ უთხრა ჯა-
 ხუნას და თუთაიას: — „მე თქვენ რამდენიმე წლის წინ ჩემი უგუნ-
 რებით მწუხარება მოგაყენეთ, ახლა კი სამუდამო სიხარული მო-
 გიტანეთ. თუთაიავ შენი შვილები ჯახუნამ წყალში რუმ ჩაყარა,
 ცოცხლებია და ახლა იგინს დაზრდილებს გიჩვენებთო. მათი ნიშ-
 ნები კარქათ მეიგონეთ და იმით იცნობთო“. კალმახელამ ბადრა
 და უსუფას დუუძახა, ორივე გამოიქცენ დედას და ბაბუას გადაე-
 ხვივნენ, იტირეს და იციუნეს. საწყალი თუთაია თლათ გიეს გავდა
 სიხარულით. მერე ყველაი ერთად ჯახუნის სახლში წვევიდნენ და
 ქეფი გამართეს. ეს იყო კალმახელაის და თუთაიეს ქორწილი. ჯა-
 ხუნამ რაც კი სადმე მოყვარე და მოკეთე ყავდა, ყველა დაპატიყა.
 სამი დღე და სამი ღამის განმავლობაში მისას სამას სამოცდასუთი⁴
 ირმის, ხორცი შეიჭამა, არც ღვინო და არც ეშმაკის კურცხალი არ
 დაკლია მოქეიფებებს. ჯახუნაის ცოლმა მისი შვილიშვილების ბა-
 დრიას და უსუფაის გადარჩენისა და გავრდისა ბიჭინაი იშვილა თუ-
 თაიემ. კი იძმო, ამის შემდეგ ამირანი გასაზრდელად ჯახუ-
 ნაისას წამეიყვანეს. მისმა ძმებმა ბადრიამ და უსუფაიმ თხოვეს დე-
 დამის—თუთაიას, „დედა, მართალია ამირანი შენი შვილი არ არის,
 მარა მამით ჩვენი ძმაა და გავვიზარდეთ. აი მიზეზიც რუმ არ იყოს,
 მაინც უნდა გაზარდო, სხვას როსსხვისი შვილი არ გვეზარდა, მა-
 შვინ ჩვენც ხომ დვეიღუბებოდიოთ. ღმერთს შეხედე და ისე მოიქე-
 ცო. ჩვენ სხვაითა უნდა გითხრათო!. თუთაიემ შვილებს უპასუ-
 ხა:—ჩემო შვილებო, თქვენი გაჩენის დღიდან თქვენს დაბრუნება-
 მდე ჩემი ცხოვრება ტანჯვა-წვალება იყო. რაკი ღმერთმა ინება და
 დამიბრუნდით, მარტო ამირანს კი არა, ასი შავისთანა რუმ იყოს,
 ყველას გავზრდი, ყველას დედობას გუუწევო. კალმახელამ უთხრა
 მის სიმამრს მეწისქვილე ჯახუნას: — „ჩვენო მამავ, ჩვენ კი გვეი-
 ხარეთ, მარა ჩვენი კეთილის მყოფელი ბიჭინაი რუმ გასაჭირშია,
 ამას შენ კი ატყობ მგონია. მთელი ღვინის დროს ხანდისხან გა-
 რეთ გამეიპარვოდა და ტიროდა ხომ ხედავდიო. ამის ორი ქალი-
 შვილი დევებს ყავს მოტაცებული და მათი ასავალ-დასავალი არ

⁴ შტრ. 3 363 ხელობის მფარველი „სოლოში“, წმ. გიორგი და „შაშვი“
 (აბზაზ.).



იცისო. ახლა გადავწყვიტე მივეხმარო და ქალიშვილები
ხეივანო“.

— „თუ ასეაო, უპასუხა ჩახუნამ — მე წამუვალ დევების ქვე-
ყანაში, გზას გაგაკლოვიებო, ცხრა წელიწადს ივინი ჩემი ბატონ-
ები იყვნენ, მერე ძლივათაო გამევეპარეო. პირდაპირ რუმ შევე-
ბათ, შეგვეპაემნ. ღამე უნდა მივეპაროთ და დღეი რუმ ჩეეძინებათ.
მაშინ უნდა დავცეთ თავზარიო“. სამივემ ერთმანეთს შეფიცა. აა-
სენეს ღმერთი და წვეიღენ. იარეს, იარეს, ბევრი იარეს თუ ცოტა
იარეს, ვევიღენ ერთ ტრიალ მინდორზე, სადაც ერთად-ერთი ძირი
ზე იდგა. ჩახუნამ და ბიჭინამ თქვა — „მთელი დღეა მოვდივარო,
უკვე დაღამდება და ჯობია მოვისვენოთო“. კალმახელამ უპასუხა. —
რაკი თქვენ ამბობთ, თვარა მე ჯერ დადლილობა არ მიგრძენიაო“.
დაედენ და დაისვენეს. ამ დროს შორს ბალახები შეიძრა, მზეზე
უხსენებლის ტანი აპრიალდა. ჩახუნამ და ბიჭინამ ხელკეტებს წა-
მუავლეს ხელი, მარა კალმახელამ ორივე შეაჩერა. იცნა, რომ ავი
იი უხსენებელი იყო, რუმლის მონაცვალი ტყავი წელზე ქონდა შე-
მოკრული და ახლა მისი კუთნილის სათხუარად მოსულიყო. კალ-
მახელამ უსიტყვოდ შეიძრო წელზე უხსენებლის მონაცვალი ტყა-
ვი და გადაუგდო უხსენებელს. უხსენებელმა გასინჯა ტყავი, დეისი-
სინა და წასვლა დააპირა, მარა უცფათ შეჩერდა — „რაკი ასე კარ-
ქათ შემინახე ჩემი ტყავი, ამიზა სამაგიეროთ ერთ სამსახურს კი-
დო გაგიწევო“. თქვენი თითო ისარი ჩემს შხამიან კბილში ჩააწეთ,
მერე ჰაერზე გააშვრეთ და როცა ბრძოლაში წახვიდეთ, მისი მო-
ხვედრით გზაზე ამართულ კდესაც გაარღვევთო, მარა ერთა
რამე დეიმასხოვრეთ, ისარ მოხვედრილ კდეს ერთი დღე-ღამის
განმავლობაში არ მიეჩახოთო. თვარა შეიძლება თავზე დაგენგრეთო.
სამივემ: კალმახელამ, ბიჭინამ და ჩახუნამ თითო ისრის წვერი უი-
სენებლის შხამიან კბილს შეახენ და ბალახზე დააწყვენ. უხსენებელი
გასრილდა და წვეიდა. კალმახელამ ახლა იგრძნო დაღალვა, მი-
ხვთა რომ უხსენებლის ტყავი ამავრებდა მას და იგიც მუავონდა,
რომ თუთათის ნასროლი ქვაი და ჩახუნაის მოღერებული კეტი
იმიზა არ მოხვდა მდინარის პირას, რომ უხსენებლის ტყავის ჯა-
დოსნურმა ძალამ იხსნა. სამივეს ხის ძირას ისე შავრად ჩეეძინაო,
რომ მეორე დიღამდე ბანდალი არ უქნიათ.

მეორე დიღას კალმახელაი, ბიჭინაი და ჩახუნაი ადგენ, ღელე-
ზე პირი დეიბანეს, საგზალი ბოხჩა ვახსნეს, ისაუზმეს, ისრები სა-



ისრეში ჩეიწყვეს და ამომავალ მზეს შეკლადღეს: — „მზეოკეპეცხელნი თუ ჩვენ კეთილ საქმეზე მივიდიოდეთ, შენ გაგვინათე გზა და მკვლარი ჩვენს მტრებს დუფუსე თვალი. არ დაგვიშრო წყალი, სიცივეში გაგვითბე ძვალი, გვიკურთხე ისარი და მარჯვენაი, ისებე ჩვენი ქვეყნად დარჩენაო. მუდამ დღე გვინათე, გვახარე და გვაბედნიერე“. ეს ლოცვა რომ მუათავეს. გუუდგენ გზას. იარენ, იარენ, იარენ და მიადგენ დევების საფლობელოს და ჩასაფრდენ. გარშემო ყორიფელი მღუმარე იყო. ცოცხალი არსება არ ჰქანობდა დევების შაშით. ცაში ფრინველიც კი არ ჩანდა. დევებს მუდამ სამყოფელად კდეები ამიერჩიათ. ჩვეულებრივ ქვეყანას დევების სამყოფელიდან შავი წყალი ყოფდა, რომელიც ისე ჩქარა მომდინარეობდა, რომ კაცს ნაფოტსავით დაატრიალებდა, ვინც ამ წყალს ჩაყლაპავდა, იგი მიიწამლებოდა. მოკტებოდა. აგი წყალი შავი იმიზა იყო, რომ დევების ნაბანავები იყო. შავ წყალს გაღმა მაღალი კტეები ჩანდა, რომლებსაც დევების ნაფეხურები კიბეებსავით აჩნდა. ერთ ადგილას შავი კვამლი ამრდიოდა. იქინე დევების საქმელებს ამზადებდენ. დევები უშიშრად ცხოვრობდენ, დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენს საფლობელოს ვერავინ ვერ მიეკარებაო. მდინარის გამოღმა ქალაში, დიდი ქვები ეყარა. ამ ქვებს ამეფარენ კალმახელი, ბიჭინაი და ჯახუნაი⁵. დეიწჯეს ფიქრი რაფერ შესულიყვნენ დევების გამოქვაბულებში. რაფერ მოენახათ და გამეეტაცუბიათ ბიჭინაის ქალიშვილები. ბევრი ფიქრის შემდეგ გეგმა შეადგინეს. მარა იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ თუ თელ ღამეს ქვებთან გაათენებდენ, შიორე დღეს არც ერთს ბრძოლის უნადი არ ექნებოდათ. ისევე უკან დაბრუნდნენ ერგანობაზე, შევიდნენ ტყეში და იქ ხის ძირას ღამის გათევა გადაწყვიტეს. შორიგან მგლების ღმუილი გეიგონეს. ხეებზე ასვლა ძნელი იყო, ყველა ხეი იმ სიმსხო იყო, რომ კაცი ხელს ვერ შემოუწვდენდა. ბიჭინამ და ჯახუნამ შეილდისრები მიმარჯვეს. კალმახელამ უთხრა იგინს, მე მონადირე ვარ და მგლებიც მონადირეებია. იგენი ჩვენ არაფერს დაგვიჩავენბენო, თქვენ ისრები არ ესროლოთ და მიყურეთ მე რავეწნაო. კალმახელამ მგელივით დეიღმულა, იგი სხვადასხვანაირად ღმუიოდა, მგლები მოახლოვდნენ, ღმუილი შეწყვიტეს და კაი შინაური ძაღლივით შემოეხვივნენ კალმახელას. გაკვირებული ბიჭინაი და ჯახუნაი სულგანაბული შეყურებდენ ამ საკვირველ ამბავს. მერმე კალმახელამ ერთი

⁵ საგულისხმოა, რომ სამთა ბრძოლა ამ შემთხვევაში ახლო წაავას ეფთხის-ტყაოსნის სამი გმირის: ტარეღის, ავთანდილის და ფრიდონის სამთაბრძოლას.



წყნარად დედამუილა და მგლები ცხვრებივით გეირკა და წვერდა სიღრმეში. ბიჭინაი და ჯახუნაი შაშისა და გაკვირვებისაგან წაქვედრ იღებდნენ. ამფერი ამბავი მათ ამბათაც არ გვეგონათ. შუალამე იქნებოდა, რომ კალმახელაი დაბრუნდა, სამი კონა ხმელი ბალახი შეიტანა ძირში, დაფარა, ამხანაგებს უთხრა: დაეწვეთ დევიძინოთო, კი მარა მგლებიო, კითხა ორივემ. — იგინი ჩვენი მეგობრებია და აფერს დაგვიშავებენ, ახლოსაც არ მოვლენ, რომ ძილი არ დაგვიფრთხოვნო, უპასუხა კალმახელამ. — ჩემო კალმახელა, შენ რაფერც გინდა, ისე იძინე. მე და ჯახუნაი მორიგეობით ვიძინებო და ერთმანეთს უყარაულლებოთ — თქვა მეთებზე ბიჭინამ, რაფერც გინდენო უპასუხა კალმახელამ და ჩეიძინა. მალე ბიჭინას და ჯახუნას ჩეეძინათ. იგინი კალმახელაის სიტყვამ და საქციელმა დეიმედა, თელი დამე მაგრაოთ იძინა სამივემ. დილას რომ გვიღვიძენ. იალონი იყო, პირიც არ დაუბანიათ, ისე წვევიდენ დეევბის სამფლობელოსკენ. გზაზე საცივის წყალი შეხვდათ, იქ შეჩერდენ მზის ამოსვლამდე. ამუვიდა თუ არა მზე, დილის ლოცვა შედღადეს, ხელ-პირი დეიბანეს, ნაჩქარევად ისაუზმეს და დაიმედებულეებმა გასწიეს დეევბთან საბრძოლველად, შავი მდინარის ქალაში ბაიბუთი არ ისმოდა. ყორიფელი ჩამკვდარიყო. მზის სხივებზე კტეები ნაცრისფრათ გამეიყურებოდენ. დილას დეევბს ჩვეულებრივად ეძინათ. ამ დროს კალმახელაი, ბიჭინაი და ჯახუნაი დეევბის სამყოფის გეგმას ადგენდნენ. იგენმა ერთხმად გადაწყვიტეს რამენაირად შავ მდინარეზე გასასვლელი ხიდი გაეკეთებინათ. სამივემ შვილდისარი და ისრები ერთი კლდის ძირში ჩაარქვეს. კლდე შეინძრა, სამი ვაკაკი გამოღმა ელოდებოდნენ, როის გადმოწობოდა კლდეი. მალე კტის ზედა წვერი შავი წყლის გამოღმა კიდეს დეეხეთქა და ხიდი გაკეთდა, კალმახელას მუაგონდა უხსენებელის სიტყვები, რასაც ჩემ შხამში ამოწებული ისარი მოხვდება. იმას ერთ დღე დამეს ნუ მიეკარებითო. ისევე ტყეში დაბრუნდენ სამივე და მთელი დღელამე იქ გაატარეს. დილას ისევე მუვიდენ შევიდნენ დეევბის ციხე ქალაქში, ყველა გამოქვაბული დაათვალიერეს, მარა ვერცერთი დევი ვერ ნახეს. ბოლოს კალმახელამ მათი საძინებელი გამოქვაბული მიაგნო, სადაც ყველა დევს მოეყარა თავი. თუ ისრებს ესროდენ, დეევბს ამით ვერ მოკლავდენ, გაღვიძებდნენ კია და მაშინ მაგინთან ბრძოლა ძვირი დაუჭდებოდათ. ისევე მოხერხება უნდა ეხმარათ. კალმახელაი რომ დეევბის საძინებელ გამოქვაბულს ეძებდა, ამ დროს ჯახუნაი და ბიჭინაი ბი-



ქინაის ქალიშვილების სამყოფელს ეძებდნენ და მიაკვლიეს, ვინც იქ
 ეს ორი ქალიშვილი დევებს ქვედა გამოქვაბულში მოეხვედნენ.
 საიდანაც მალა ვერ ამევიდოდენ. საქმელ-სასმელს კი აძლევდენ
 თურმე, ნანადირევ ფრინველს და წვრინმალ ცხოველებს უყრიდნენ
 და ცდილობდნენ გვესუქებიათ, მერე შეეჭამათ, მაგრამ დაჯავრიან-
 ნებულ გულებს რა გაასუქებდათ. ჯახუნაი კალმახელასთან გეიქცა
 და ქალების აღმოჩენა აცნობა. წრიალში თითქმის მალე დღეი გევი-
 და, თუ არ იჩქარებდნენ, მალე დაღამდებოდა და დევებიც გეიღვი-
 ძებდნენ. თუ ვინმე გამოქვაბულში ქალებთან ჩახტებოდა, ვეღარ
 ამევიდოდა. ისე ქალების ანოყვანა არ ხერხდებოდა, სხვაი სხვაი,
 მაგრამ ქალიშვილების მამა ბიჭინაი რა დღეში იქნებოდა, თქვენ
 წარმეიდგინეთ. სხვაი ვეფერი მეიფიქრეს, ბიჭინაის ბოღჩა, ტყავე-
 ბი ერთმანეთს სასწრაფოდ წააბეს, ერთი წვერი ქალების სამყო-
 ფელში ჩააგდეს. ქალებმა ხელი მოსკიდეს ჩაგდებულ დევებს და
 ერთი მეორის მიყოლებით ამევიდნენ ზევით. ბიჭინაი ერთი კი გა-
 დაეხვია თავის ქალიშვილებს, მერე ყველა სწრაფად გამევიდენ დე-
 ვების სამყოფელიდან და ტყეს შეათარეს თავი. საღამოს დევებს
 გაღვიძებოდათ. ეძებნათ თავიანთ ტყვე ქალები, რომ ვერ ნახეს,
 ადამიანის ნაკვალევს გამოყვენ და ტყეს მიადგენ და კვალი ებნათ,
 ღმუილი ვაიგონეს, იფიქრეს სადაც მგლებია, იქ ადამიანის სულა
 ვერ გაჰაჰანდებოთ. უკას მაინც არ დაბრუნდენ და იმ ალგისიკენ
 წავიდენ, საიდანაც პირველად მოიტაცეს ქალები. დილა რომ გა-
 თენდა, კალმახელაი, მისი აშხანაგები და ბიჭინას ორი ქალიშვილე-
 ბი ტყიდან გამოვიდენ და სახლისკენ გუუდგენ გზას, გზაზე მათ დე-
 ინახეს დევების ახალი ნაფეხურები. ბიჭინამ მუხლებზე დეიკრა
 ხელი, დევილუბე, დევები ნაზღვილად ჩემსას წევიდნენო. ჯახუნამ
 მოაგონა — როცა ქალიშვილები მოგტაცენ, მაშინ შენ სხვაგან
 ცხოვრობდი, დევებიც იქინე წევიდოდნენ და არა ახალ ოჯახშიო.
 ამით ბიჭინა ცოტა დაიმედდა, მარა ახალი უბედურება დაატყდა
 თავზე. დევებს ბიჭინას ძველ ნამოსახლარზე რომ აფერი დახვდე-
 ნოდათ, ისეველე უკან დაბრუნებულყვენ. კალმახელამ შენიშნა,
 რომ იგინი მალე ახლოს მევიდოდნენ, მათი მოსული ნაბიჯებისა-
 გან მიწა ზანჯარებდა. გაპარვაც არსად შეიძლებოდა, ვერ მოასწრებ-
 ლენ. ქალები სახლისკენ გააქციეს, თვითონ კი დევებს შეიხვდენ,
 ორი სამთავიანი დევი იყო, კალმახელამ თქვა ერთს მე გუმკლავდე-



პი, მეორეს თქვენ მუარეთო. მომავალ დევს შემოურბინა, ზღუდრე
 გზე შეახტა და სანამ დევი ხელებს მოკიდებდა, ექვსივე თვალს
 რით ამოთხარა. დაბრმავებული დევი საშინლად ღრიალებდა და თა-
 ვის მსხვერპლს ეძებდა. მეორე დევს, ჯახუნამ და ბიჭინამ გალებულ
 ხახაში ისრები დააყარეს. დევს ცრემლებიდან სისხლი სდიოდა.
 იქვე ჩაიყეცა. ბრმა დევი კი მიწაზე ქვებს ჰოტავდა და უაზროფ
 სრულობდა. საშინელი დაღლილება კალმახელაი, ბიჭინაი და
 ჯახუნაი თავიანთ სახლისკენ წვევიდნენ. დევებმა იმდენი არბენია იგი-
 ნი რომ ავად გახდენ და დიდხანს არც ერთს აღარ უტოცხლია. მათი
 ოჯახები თბლად დაჩნენ. ამირანი სწრაფად იზრდებოდა. იმის-
 თანა ძლიერი გამევიდა, რომ მასზე უფროსებსაც ერეოდა, როცა
 დევებმა გეიგეს ჩვენი მტრები კალმახელაი, ბიჭინაი, ჯახუნაი მო-
 ვკტარაო. იფიქრეს დაგვდგომია აღდგომაო და გამოემართნენ მათი
 ოჯახების საქებრად. დევები ერთ მდინარეს მიადგენ იქითა მხრი-
 დან, ამ მდინარის მეორე ნაპირას ბადრი და უსუფი ამირანთან ჭი-
 დაობაში ერთობოდნენ. ამირანმა იკითხა ხედავთ ეგერ რაფერ
 უზარმაზარი კამეჩები ფეხზე ამდგარი მოდიანო. ბადრიამ გეიხედა
 და უბასუხა, იგენი კამეჩები კი არა კაცი ჭამია დევებიო. ამირანი
 ეცა შვილდისარს, უსუფამ უთხრა — არ ისროლოო, დევს ისარი
 ვერ მოკლავ, ჯერ ჩვენ ვერ გვხედვენ და ისარი რომ ვესროლოთ
 ტყუილია გავაჯავრებთ, მოგვაგნებენ და შეგვეკამენო. ბადრიამ
 თქვა: — კაი იი იქნებოდა. აგერ რუმ დიდი ქვებია, აგენის წყალში
 ჩაყრა მდინარეში. მაგრამ ვერ დაძრენ. ამირანამ წამოუავლო
 ვები გზაკვალს და კარგავნო. ბადრიამ და უსუფამ ცადეს ქვების
 ჩაყრა მდინარეში, მაგრამ ვერ დაძრენ. ამირანამ წამოუავლო
 დიდვრან ლოდებს ხელი და წყალში ერთმანეთის მიყოლებით ჩაყა-
 რა, აღიდდა წყალი — ისე აღიდდა, რომ დევები ქე ჩეიმალენ
 შით, მიბრუნდენ-მობრუნდენ დევები და იმავე მხარეზე გევიდენ,
 საიდანაც ჩამევიდენ, დეიბნენ და უკულობით თავიანთ სახლისკენ
 წვევიდენ. ეგონათ კი რომ ბიჭინარის სახლკარის მოსაძებნათ მო-
 დიოდენ. ბადრიას და უსუფას ძალიან გაუყვირდათ ამირანის მიერ
 ძალონის გამოჩენა. იგინმა უთხრეს ამირანს: — ჩვენო ძმაო,
 ჩვენ შენისთანა ძალის ჯერე არცერთი სულიერი არ გეინახავსო.

• შდრ. ამირანის, ბადრისა და უსუფის სამთა ბრძოლა გველუშაქებთან.



თუ ქუთით ვიქნებით, დევებს ქე დავამარცხებთ და ამ ღვთისმშობელს
 ნილ ქვეყანაზე ჩვენ ვინლა შეგვაწუხებსო. ამირანი დაფიქრდა და
 უპასუხა: — დევები ჩვენ თავს აღარ დაგვანებებს, ჯობია ჩვენ თვი-
 თონ შუუტიოთ, სანამდი ჩვენს სახლკარს აგვიწიოკებდნო. გვეი-
 და ხანი და ამირანი დავაქვაცდა, მისი მომრევი აღარავინ შეინა-
 ხა, ბადრიას ერთი ხელით აქცევდა, მეორე ხელით კი უსუფას და-
 დობდა მიწაზე. ბადრი და უსუფი ორივე მაგარი ფალავნები იყვენ
 და მათ ამირანის მეტი კაცი ვერ ერეოდა. ერთ დღეს ამირანი, ბა-
 დრი და უსუფი წვიდენ დევების ქვეყანაში იგენის ასაწიოკებლად.
 მუუახლოვდნენ თუ არა დევების სამფლობელოს, ამირანმა დას-
 ძახა: — დევებო, თუ ვაქვაცები ხართ გამოდით და ვიბრძოლოთ
 მე ამირანი ჩემი ძმების თანხლებით მოვსულვარ თქვენს გასანად-
 გურებლადო. დევები გამოდგენ კტეებზე და ხარხარი მორთეს. წი-
 ნათ ჩვენ ვეძებდით საკბილოს და ახლა თითონ მოსულარიენო.
 ამირანმა აგი რუმ გეიგონა, გეეცინა და უთხრა: — აბა თუ ქა-
 ლა გაქვთ ვადმოხტიოთ. დევები გაგულისდენ და ვადმოხტენ. ბა-
 დრიე, უსუფაი და ამირანი განზე გახტენ. დევები კი რბილ მიწა-
 ში წელამდინ ჩეიფლენ. არიქა ჩემსკენო დუუძახა ამირანმა თავის
 ძმებს და კტეზე გვეიდენ. ამასობაში დევები, რაც მეტს ექანებო-
 დენ, უფრო ღრმად ეფლობოდენ რბილ მიწაში. ამირანმა ჩეუღ
 ხერხს მიმართა, მდინარეში დიდი ქეები ჩაყარა, წყალი დააგლბა,
 მდინარემ ვადარა. დევებს კისრამდე შემოადგა. იკადრეს დევებმა
 ყვირილი და ხვეწნა მუდარა: — ნუ დავჯახრობ და შენი მორ-
 ჩილები ვიქნებითო, მარა ამირანმა და მისმა ძმებმა არ დაუჯერეს
 იგენს, არ ენდვენ დევებს. ასე ჩეიძირა სამი დევი ლაფში. ამირანს
 და მის ძმებს ეგონათ ყველა დევი მოვკალიოთ. მარა მოტყუვდენ.
 ზოგიერთი დევები სანადიროთ იყვენ წასულეები. მგზავრობით და
 ქეების გორებით დაღალულებს დევების გამოქვაბულებში ეძინათ.
 ამირანს დიესიზმრა ვინცლა თეთრ წვერა მოხუცი გამეუცხადა და
 უთხრა: — ამირან შენ ვგონია ყორიფელი ვაქეთე? მთავარი დე-
 ვები ახლა ბრუნდებიან სახში, ადექი, შენი ძმებიც ვაადვიდე და
 საბრძოლველად მოემზადე, თვარა თუ დევებმა მდინარეებს მო-
 გისწროთ თქვენგან ბურღლაც არ დარჩებაო. ამირანამ გეიღვიძა
 და ძმებიც ვაადვიძა. წამოხტენ ირგვლივ, არაკაცი არ ჩანდა. მიწა
 კი ზანზარებდა. ბადრიამ თქვა: ახლა ჩვენ ჩვენი ხმლის მეტი აფე-
 რი გეიშველისო. უნდა მუახერხოთ, რომ დევებს მხრებზე შევაჯდეთ.



და მახვილი კეფაში ჩავეცხოთო, დევი როცა წიქცევა, მერე თეთრი
 ეული თავი ღრმათ ჩავკრათ ძირშიო, თვარა დევს რვა თავი
 დააქრა, და ერთი დაუტოვო, ყველა მოჭრილი თავს ამეიყრისო.
 ამ ლაპარაკში რუმ იყვენ, გამოჩნდა სამი დევი. სამივე ცხრა-ცხრა
 თავიანი.

მოდოდენ, ადამიანის ცოცხალი სუნი ეცათ მათ სამფლობე-
 ლოში. დევებმა წყლის კალაპოტის შეცვლა რომ შენიშნეს, მი-
 ზედენ რომ მათ ოჯახს კაი დღე არ ადგათ. შემოუხვიენ თუ არა მო-
 სახოვში და შემოუდგენ თუ არა აღმართს დევებმა, მათ კტეები-
 დან მხრებზე დაახტენ ამირანი, ბადრიე და უსუფაი და სატევარი
 ჩასტყდნ კეფაში ისე მაგრათ. რომ დევები წიქცენ, მერე სამივე
 ძმამ იშიშვლეს ხმლები, დევებს თავები დაჭრეს. დევების სისხლი
 ღელესავით მოდიოდა, ერთ დღე ორმოში ჩადიოდა. ორმო არ ივ-
 სებოდა. ამირანი და მისი ძმები მთელი დღის ბრძოლის შემდეგ ვახ-
 შმის სამზადისს შეუდგნენ: წვედენ ტყეში სანადიროთ, მოკლეს
 სამი ირემი და მადიანათ ივახშმეს. მალე სამავეს ტყეში ხის ძირას
 მიეძინათ, დილას დევების სამფლობელოსკენ წიქცდენ. წყალი ნა-
 წყულურში ჩამდგარიყო, დევებისთავეები და ტანები ეყარა დიფ
 მინდორზე, მათი სისხლი დაშშრალიყო და წითელ ტალახივით ზი-
 დაპირი მოდიდებოდა. უსუფამ დეინახა, რომ სისხლიანი ორმოდან
 სამი მოზრდილი მატლი ამოცოცდა და იგინს მოკვლა დუღუპირა.
 ამირანმა უთხრა: — არ გრცხვენია უსუფავ. დევებთან ნათმარი
 ვაკაკი ჭაებს მისდევ პაწე ბადანასავითო — უსუფას შერტყვა, მი-
 ტლი ვეშაპათ გეიზდებო. ასე გამიგონია ჩემი დედობილიდანო. მა-
 რა რაკი დარწმუნებული არ იყო, ამიზა არც მან მოკლა მატლები და
 ამირანს გაყვა. შევიდენ დევების გამოქვაბულებში, გახსნეს სალა-
 როები, დატვირთეს დევების ჯორ-აქლემები და წამევიდნენ სა-
 ხლისკენ. უცფათ წინ მომავალი ჯორი შეჩერდა. გეიხედენ და რას
 ხედავენ. სამი უზარმაზარი ვეშაპი მეიზლაზნებიან. ამირანმა მიხთა
 მისი შესთომა, მარა გვიან იყო. არც ძმებმა არ წამოუქადნეს, რეი-
 ზა არ დაგვიჯერე და მატლები რეიზა არ დაგვახოკიევი, ვეშაპები
 თვალებს აბრიალებდენ. ერთ წუთში ვეშაპებმა დააღეს ხახა და
 თითომ თითო ძმა გადაყლაპა ამირანს ვეშაპის მუცელში საშინლად
 დაცხა. ვეშაპის მოაგული თანდათან ვიწროვდებოდა, ამირანმა მხრებ-
 ზე მაგარა ოწოლა იგრძნო. მიხთა გმირი ამირანი, ომ ვეშაპი მო-
 ნელებას უპირებდა და თუ მოხერხებას არ გამეიჩენდა, მალე ძვლებს
 დუუმტვრეკოა და მოკლავდა. ამირანმა იძრო დანა და ვეშაპს გულ-



ში ჩასცა შეიგნიდან, იფეთქა სისხლმა და ამირანი ვეშაპის სისხლში მთლად დასველებული, სისხლის ტალღამ ვეშაპის პირიდან გამოდგომოდა მოაგდო, ამირანის ჩამულაპავმა ვეშაპმა ნელნელა დახუჭა თვალები და ყბა ყბაზე უძღურად დაადვა. უსუფამ მეორე ვეშაპს გვერდი გამოჭრა სატევრით და ისე გამევიდა, ბადრი კი დიდხანს იბრძოდა ვეშაპის მუცელში და ძმები გარედან რუმ არ მიხმარებოდნენ. მეინელებდა ვეშაპი, ბადრის გადამულაპავ ვეშაპს ამირანმა წვერმახვილი ეკლის სარი ჩაარჭო თავში. უსუფაი კი ყბაში შუუხტა და შეიგნით ჩეხვა დუუწყო მისი სატევრით. ვეშაპი რომ კვდებოდა. ამირანმა ორი სარი ჯვარედინად გადაუყენა ყბებს შუაში, შიგ შეიხედა და დეინახა უსუფას ცოცხალმკვტარი ბადრი⁷ ზურგზე შეეკიდებია და ვეშაპის მუცლიდან გამოქონდა. თურმე ბადრიე უდანოთ ჩავარდნილა ვეშაპის ყბაში და ჟიარალოთ რას მუახერხებდა სამივე ვეშაპმა თქვენი ტირი წეიდო. სამივე ძმაი ამირანი, ბადრიე და უსუფაი გამარჯვებული გამევიდენ ბრძოლაში. მარა ვაი ამ გამარჯვებას: არც ერთს ძალა და ღონე არ ქონდა. ძლივით იღვენ ფეხზე. ახლა იკანს დევები და ვეშაპები კი არა, მგონია პაწე ბაღნებიც კი მიერევიდენ. წამევიდენ სამივე ტყეში. აქეთ იქით ამირანი და უსუფი იღვენენ. შვაში ბადრიე შეიყენეს და კაი მაგარი მთვრლები რუმ იქნებიან, ისე მიბანცალობენ. ნაშუაღამევს მივიდენ სახში და კვტრებივით დეეყარენ. ქალებმა დათვის ტყავები გადახურეს და სამი დღის განმავლობაში უცდიდენ მათ გაღვიძებას. ბოლოს ვაჟაკებმა გამეიღვიძეს და საქმელი მეითხოვეს. ქალებმა ირმის რძე, ირმის ხორცი და ტყის ხილი მიართვეს. ამირანი, ბადრი და უსუფაი მგელოვით ეტაკენ საქმელს ბადრმა და უსუფამ თითო ირემი შეჭამეს, ამირანმა კი სამი ირემი ძვლებიანათ დახრა. დევები, ცხადია მთლათ არ გაწვევტილა. მარა იმ დიდი ბრძოლის შემდეგ ამირანის სამშობლოს ველარ ეკარებოდენ. ბიჭინას ქალიშვილები დათხოვედენ. ძმობილებმა დიდი ქორწილი გადაუქადეს — მალე ბადრიმ და უსუფამ საკუთარი ოჯახები შექმნეს და წისკვილის ანლოს დასახლდენ. ამირანმა მოხეტიალე ცხოვრება ირწია, მამასავით მხარზე შეილდისარი ქონდა გადაკიდებული და ნადირობდა ტყეში. იგი თავის ნანადირევს ყველას უყოფთა, ვინც კი შეხვდენ-

⁷ შტრ. გველეშაპის შიერ მკვარის გადაყლაპვის ძველი ხალხური გადმოცემები.



ბოდა. ხანდახან სოფელ-სოფელ დადიოდა და ხალხს სხვადასხვა ხე-
 ლობას ასწავლიდა, ვალში არავის არ რჩებოდა. ერთ დღეს წვიმა
 ამინდში ნანადირევით ზურგზე მოკიდებული სოფელში შევიდა. წა-
 ფხული იყო მარა წვიმდა. ამირანი ერთ ქოხში შევიდა, მასპინძლე-
 ბი კუთხეში დამკლარიყვნენ და ლოცულობდნენ „ღმერთო მოგვე-
 კაი დარი აღარ გვინდა ტალახიო, პური ვერ გამოგვიცხვია, გარეო
 ლპება ბალახიო“, ამირანმა უთხრა მათ, ერთი ნატეხი პური მომი-
 ტანეთ და მაგიორში ერთ სამწვადის გარდა ამ ირმის ხორცი სულ
 თქვენი იყოსო. ავდარში პურის გამოცხობა ვის გუუგონიაო. მზე
 არ აცხუნებს და პური რაით გამოგიცხობო — უპასუხა მასპინძელ-
 მა. იმ დროს პურს მზეზედგახურებულ კეცებზე აცხობდნენ. ამირან-
 მა იცოდა ეს და მასპინძელს აფერი არ უპასუხა. ამირანმა ჯარგვა-
 ლაის შუა გული აალაგებია, მუტანია ერთი ქვა და კერიათ დაადვა.
 გარეთ ოჯახიშვილი ახალგაზრდა ბიჭი გუუშვა ხის ტოტების მო-
 სატანათ, დააწყო ხის ხმელი ნამტვრევები და ცოტა ხმელი თივა
 დააყარა. მერე მასპინძლებს გაშუუტხადა, რაც მოხდეს დაუკირ-
 დით, ისწავლეთ და არც კი შეშინდეთ. მასპინძლებს გეციონათ
 გულში, ამ მოხადირემ რა სასწაული მოახთინოს, რომ წვენ ვაგვი-
 კვირდესო. ამირანმა აიღო კაყის ნატეხი, თავის რკინის ტარიანი და-
 ნა დაკრა ტარიოთ, ზედ გამხმარი აბედი მიაშველა. ნაპერწკლებმა
 ცეცხლი გაუჩინა აბედს. აბედიდან თივას მოეკიდა, თივიდან კი ხმელ
 შეშებს მოედო და ალი ავარდა. მასპინძლებს ასეთი რამე ტყეში
 ენახათ⁸ და ღვთის გაჩენილათ თვლიდნენ. კაცს თუ შეეცლო ამისთა-
 ნა რამის გაჩენა, აი არ წარმოედგინათ. შიშისაგან ხმა გაკმენდილე-
 ბი იღვნენ. ამირანმა კეცები მოინდომა და ცეცხლზე გადაადვა,
 მერე გახურებულ კეცზე პურის ცომი დააკრა, ცეცხლს მიაფიცხა
 გამოსაცხობად. მალე პური გამოცხვია. სუფრა გაშალეს, ამირანმა
 ირმის ხორციდან წვადები შეწვა და ჭამას შეუდგა, თან მასპინ-
 ძლებიც მიიწვია სუფრაზე. მასპინძლებს ცეცხლზე გამომცხვარი პუ-
 რი და მწვადები ძალიან მოეწონათ. — შენ მონადირე გვეგონე,
 თურმე ხორცშესხმული ღმერთი ყოფილხარო⁹ — უთხრეს ამირანს.
 ამირანმა არაფერი არ უპასუხა. როცა ჭამა სმას მორჩა, მასპინძლებ-

⁸ შღრ. ცეცხლის გამოგონება ბუნებრივი ცეცხლის მიხედვით (არსებული შეხედულება).

⁹ შღრ. ამირანი-ღვთის ნათლულია, ღვთისაგან აქვს „ძღვეა“.



მა უთხრეს, ცეცხლის გაჩენა და მოხმარება რომ გვასწავლიყვნენ, ცეცხლი რომ მოგვიშინაურე, ამის სასყიდლად რას მოითხოვდნენ? რანამ უპასუხა ჩემთვის გადახდა იგი იქნება, ცეცხლის გაჩენას მის შენახვას და მოხმარებას, რაც ბევრ ხალხს ასწავლითო. ადგა და გამევიდა. გავიდა რამდენიმე დღე. ამირანი, მექოთნეები და მელოქეები სოფლის შუა გულში შეკრებილიყვნენ და ლოცულობდნენ: მზეო გამოშთი, გამოშთი, გამოგვიწვი ქოთნები და დოქები. შეიბრაღე ჩვენი ცოღშვალი, ჩვენი მოხუცები და ჩვენ შეგვიბრაღე ნუ მოგვკლავ შიმშილითო. ამირანი მივიდა და კითხა: — რა გაგკირვებიათ, რა გაწუხებთო. უპასუხეს — ღრუბლიანი დღეები დაგვიდგა, მზე არ ჩანს და ქოთნები გამოუწვავი გვრჩებაო. ამირანმა კითხა: — თქვენს შორის რომელია ყველაზე ღარიბი და ბევრი შვილებიანო, ერთი ნაადრევათ გათეთრებული მექოთნე გამოეყო ხალხს და უპასუხა: 12 შვილი მყავს, ჩემ ავლა-დიდებას ერთი ჯარგვალი და ქოთნების გასაშრობი კარავია. ამირანმა უთხრა შენსას წამიყვანეო — წვედენ ერთად. ამირანმა წიოელი მიწა მუახელია მექოთნეს, გააკეთა ქოთნების და დოქების გამოსაწვავი ქუჩა და შეანთო ცეცხლი¹⁰. ამირანმა მედოქებს და მექოთნეებს ასწავლა ცეცხლზე თიხის ქურჭლის გამოწვა, მექოთნეებმა და მედოქეებმა კითხეს ამირანს: — ამ ღვთიური საქმის გასამრჯელოთ რას ინებებო? ამირანმა უპასუხა: — ცეცხლის გაჩენა, შენახვა და მოხმარებას, რაც უფრო ბევრ ადამიანს ასწავლით, ეს უფრო მეტი დაფასება იქნება ჩემი, ვიდრე რაიმე გასამრჯელო. ამირანი ერთხელ გაზაფხულზე ნაგრიან მინდორზე მიდიოდა, დეინახა ერთი კაცის ხელები ჩაფრენოდა ხმელ ბუჩქებს და დიდი გაკირვებით თხრიდა. ამირანი მიუახლოვდა, მიესალმა და მის მუშაობას თვალყურს ადევნებდა, ქუჩქებს ამომთხრელმა უთხრა: — რავარც გარეგნობაზე გეტყობა ღონიერი კაცი უნდა იყო. მომეხმარე საყანე ალაგის გაწმენდაში და როცა მოსაეაღს ვეიღებ, შენც გიწილაღებო. ამირანმა უპასუხა: — მე შენი მოსავალი არ მინდა, ისე კი მოგეხმარები, რაც საყანედ გინდა, იმის ირგვლივ თოხით ფართე კვალი გააკეთე და მიწას ბუჩქებიდან მე გაგინთავისუფლებო. მეყანემ იფიქრა დაუჯერებ და რას ვკარგავო, შემოავლო საყანე ადგილას ფართე კვალი, დაბრუნდა ამირანთან, ამირანი ადგა შევიდა ყანაში, რკინის დანის ტარი გაკრა კაუს, მიაშველა აბეღი და ხმელ

¹⁰ შღრ. ამირანი, როგორც ყველა ხელობის მომგონი და მფარველი.



ბუჩქებს აქა იქ ცეცხლი გაუჩინა. მეყანე ხელაპყრობილი ლოცვით
 ამირანს, რომელმაც მისი მძიმე შრომა ღვთაებრივ ცეცხლს
 ნდო. ამირანი დეემწვიდობა. მეყანე კაცმა წასვლის წინ უთხრა
 ამირანს:—რა საჩუქარი კადრო ამ დიდი დახმარებისათვისო. შენი
 საჩუქარი მე არ მინდა, ჩემი დიდი დაფასება ის იქნება თუ ცეცხ-
 ლის გაჩენას, შენახვას და მოხმარებას ბევრს ასწავლიო. გავდა ხა-
 ნი, ნადირობიდან ბრუნდებოდა. სამკვდლოში მავარი ხმაური
 იყო. შევიდა ნახა მკვდლები ცივ რკინას ჰედავდენ ოფლი ღვა-
 რად დიოდა მკვდლებს, ზაგრამ ხმლის გამოქედვას კიდო დიდი ხა-
 ნი აქტა. ამირანმა უთხრა მკვდლებს: — ასე მუშაობით შორს
 ვერ წახვალთ და ბევრს ვერაფელს გააკეთებთო. ამირანმა მკვდ-
ლების დახმარებით საბერძიანი ქურა გააკეთა; დიდი ხე მოჭრა,
 დაანახშირა და ნახშირის ნამტვრევები ჩაყარა ქურაში. გაკრა კვეს-
 აბედს და ცეცხლი დააგვიგოზა. მკვდლები შეშინდენ და გაკვირვე-
 ბული უყურებდენ ამირანს. ამირანმა ეილო რკინა, ჩადვა ცეცხლში
 და დაუბერა, რკინა გაწითლდა. ამირანმა მაშინ ამეილო გაწითლე-
 ბული რკინა და პაწე უროთი კაი ხმალი გამეიყვანა. მკვდლებმა
 თქვეს: რაცღა ხორცშესხმული ღმერთია აგი, ამირანი ყოფილაო.
 ამირანმა დაავალა მკვდლებს:—ცეცხლის გაჩენა, შენახვა და მო-
 ხმარა ყველას ასწავლეთო და ჩემი წასვლამდე ერთი ჩემი შესაფე-
 რისი ხმალი გამიკეთეთო. დაფაცურდენ მკვდლები და დეიწყეს
 ხმლის კეთება. ისე მავრა მუშაობდენ მკვდლები, რომ ოფლი ღვა-
 რად დიოდა. ამირანი მოეხმარა ჰედლებს დაჰკრა ურო გრდემლს
 და თელი ქვეყანა შეაზანზარა. მალე გააკეთა ამირანმა ახალი ხმა-
 ლი და იგი წვიდა სამოგზავროთ. ბევრი იარა თუ ცოტა იარა. ამი-
 რანმა, მიადგა უღრან ტყეს. შევიდა შიო, ერებდა ირემს, უნდოდა
 მწვადი ეჭამა, მავრამ დიდხანს ვერ მიავნო ნადირის კვალს. ბოლოს
 გევიდა პატარა რგვალ მინდორზე. იქ შვაში დიდი ხე იდგა, ძირს
 წყარო მოჩუხჩუხებდა. ამირანმა ტორით წყალი ამეილო და შესვა.
 დაღლილობამ სულ გაუარა, მუხლიც გუუმაგრდა, მარა იმისანაი მო-
 შივდა, რომ კელამ ხელები დეიჭამა. ამირანს რომ მოშივდებოდა,
 ან ძილი მოერევოდა, ნამეტარი უჭირდა, ვერ ითმენდა. მარა თუ
 ნამძინარევი და ჭმული იყო, მაშინ მისი მომრევი ქვეყანაზე არავინ

11 აქაც ამირანი ჩანს, როგორც მკვდლობის მფარველი და დამხმარე კე-
 თილი ძალა.



არ იყო. მინდორის ჩაპირას ამირანმა შევლი დეინახა, გევიკი და დეიჭირა. არ მოკლა, გაუშვით, ამირანს ქალის შეკვივლება მხოლოდ სმა, შეიხედა. რას ხედავს, ნამდვილი მშეთ უნახავი დვას მისი შიშა ახლოს. ამირანი გაშეშდა. შევლს ხელი გუუშვა და ქალისკენ მიხდაუნებურად გადადგა ნაბიჯი. ქალმა უკან დეიხია და ზუით ეიწია, ქალის ფეხებსა და მიწას შორის ღრუბელი გაშთა, მერე ცისკენ ღრუბლის კიბე ეიმართა, ქალი კი ნელა ადიოდა ამ კიბეზე და თან შევლისათვის მარჯვენა ყურში მარცხენა ხელი ნოეკიდებია და შევლი იმ მშეთუნახავ ქალს ცაში მიყავდა. შევლი მორჩილათ მიყობოდა. — ვინა ხარ და რა ქვიანო? კითხა ამირანმა — მე ვარ კამარი, მამაჩემი ღრუბლების და ქექა ქუხილის მფლობელია. ეს შევლი ჩემი მუდმივი თანამგზავრია. რაკი ჩემი თხოვნა შემისრულე და შევლი ცოცხალი გადაარჩინე, სტუმრად გაპტივობ. ეგერ რომ დილა მუხაა, იმის წვერზე ადი თან აიტანე მოკლული კურდღელი და ხის წვერზე მჯდომ არწივს მიართვი. არწივი მარებზე შეგისვამს და ჩემთან ამოგყვანს. ეს გააკეთე მაშინ, როცა ცა მთლად მოწმენდილი იქნება. მამაჩემს ერიდე, იგი იქინია, საცა ღრუბელი განდებო. ამირანმა ყორიფელი ეს მისმინა და შიმშილიც დაავიწყდა. შევიდა ტყეში, მოკლა კურდღელი აუტანა მუხაზე არწივს, არწივმა კურდღელი ჩქარა შექამა, შეისვა ზურგზე ამირანი და მალლა ცაში აიჭრა, ღრუბლის კოშკთან მიიყვანა, შემდეგ დატოვა იქ და წამოვიდა. კამარამ რომ ამირანი დაინახა, ძალიან გუუხარდა, კოშკში შეიბატეა. ამირანმა უთხრა კამარას: — დამავალე რაც ვინდა ოლონდ ჩემი ცოლი გახდით, კამარა დათანხმდა. მარა უთხრა, მამაჩემმა რუმ გევიგოს ჩვენი სიყვარულის ამბავი, მომისულებს და შენ ხომ თლად მოგკლავსო. ახლა შენ წაი სიდან მოსულხარ და მერე მე მოგნახავ და შენთან მოალო. ამირანმა უთხრა მე დეკებთან ნაბრძოლი ვარ, არსად არ წავალ ისე. თუ შენ ჩემთან არ წამოდიო, მამაშენის მე არ მეშინიაო. კამარაი დიეტანხმა წაყოლოდა ცოლად იმავე დღესვე. მარა ერთი უბედურება შეემთხვათ, კამარაი მზითვებს რომ ალაგებდა, ერთი თიხის ჯამი კატამ გადმოვადო სუფრიდან და გატყდა. ამ თიხის ჯამის გატეხამ იშხელა ხმაი ქნა, რომ თელი ცაი შეანჯანჯარა, არიქა გევიქცეთო თქვა კამარაიმ. თვარა მამაჩემიც მოა ამ ხმაურობაზეო. კოშკის გარეთ არწივი მონახეს კამარიე მზითებით და ამირანი შეასხდენ ზურგზე არწივს და ვაფრინდენ დედამიწისკენ, მიწაზე კი ფეხის დაბიჯება მოასწრეს კი.



თოფი გეისროლესო. კამარის მამა თავის სალდათებით გამეფდნენ
 მისი ქალიშვილის წამომყვან ამირანს. პირველი ისარი კამარის
 მამ იმ მუხას ტყორცნა, რომელზედაც არწივი აჯდა მანამდე, მუ-
 ხას ცეცხლი გუუჩნდა და წვიმა რომ არ წამოსულიყო, თლათ დეი-
 წვებოდა. ამირანმა იხმო თავისი ძმათ ნაფიცები. გვიმართა საშინელი
 ბრძოლა კამარის მამის ლაშქარსა და ამირანის მომხრეებს შორის.
 ამირანის მომხრეებს კამარის მამის მომხრეებმა ვერაფერი ვერ
 დააკლეს. ამირანი მაინც ძალიან დეილალა. დასუსტებული დეეგდო
 იმ მუხის ძირას, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა. აგი ციდან დუ-
 ნახავს კამარის მამას, უფიქრია ახლა უშოვი დროს ჩემს ნაძალა-
 დევ სიძესო და უსროლია ელვის ისარი, ელვამ ამირანს გუუგმირა.
 კამარიამ აგი რუმ დაინახა, მამა მისი დაწყევლა, ბევრი იტირა. კა-
 მარიამ ბევრი ეძება უკტავების წამალი. ბოლოს წყაროს ნაპირას
 ნახა ოქროს ბალახი, დანაყა თეთრი ქვით და გულზე დაადვა. ამი-
 რანი ნელ-ნელა მოცოცხლდა და ადგა. მიხთა რაშიც იყო საქმე.
 ადგა, კამარს მადლობა უთხრა, გადიეხვია და აყოცა. კამარამ უთხრა
 მე ისე ვარ შეჩოული ცაში ცხოვრებას, რომ უმისობა არ შემიძლია.
 ხანდისხან შენ როცა სანადიროთ წახვალ. მე ცაში წავალ მამაჩემს
 შემოვირიგებ. ხან მასთან ვიქნები, მოუვლი და უფრო მეტად შენ-
 თან დავრჩებიო. ამირანი დიეთანხმა და უთხრა: ჩვენ როცა ერთაათ
 ვართ, ხომ ერთად ვართ, მარა როცა შორი შორს ვართ, გულთ მა-
 ინც ერთად ვართო ოღონდ შენ კარგად მყავდე და შენი დროები-
 თი სიშორის სიმწუხარეს არად ჩავთვლიო. ამირანი დაემშვიდობა
 კამარს, შეხვედრის დრო დანიშნეს და თავისი გზით წევიდ-წამე-
 ვიდენ. კამარი ცაში ამაღლდა. ამირანი წამევიდა მისი ძველი
 მეგობრების მოსანახულებლად. ჯერ ძმები: ბადრი და უსუფაი ნა-
 ხა, მერე მედოქეებს გაუარა, ბოლოს კი მკედლები ნახა. მკედლე-
 ბი ამაყობდენ თავიანთი ღონით. ამირანმა იცოდა ეს, სამ ოთხ მკე-
 დელს ერთად დიეჭიდებოდა და აქცევდა ჰედლებს. ჰედლები თან-
 დათან უკმაყოფილოები ხთებოდენ — მოვა მიგვანგრეეს, გვაბურ-
 თავეს, თავის ძალას საქვეყნოდ აჩენს, ჩვენ კი არც სახელი
 შეგვრჩა და არც მოსვენებული ცხოვრება. ამირანი ნამეტანი მი-
 ზეზიანია, ღმერთი მაგას მოგვაშორებდეს. შესაწირავად თითო ძრო-
 ხას დავკლავთო, ჩიოდენ ჰედლები. ჰედლების საყვედური იოსე
 ქრისტემ გეიგონა და ჰედლებთან მისულ ამირანს გააცნო თავი.
 უთხრა:—მე შენი ნათლია იოსე ქრისტე ვარო, იცოდე ეს ქვეყანა



ტანჯვისათვის არის გაჩენილი, რომ კაცი ზეცაში საცხოვრებელი მოემზადოსო. შენ ცთილოფ აქ კაცი ადვილათ გუუტყურობდა ცხოვრობდეს, ეს არ ვარგა, ჩემს მოხაზულს ნუ გადაცემბიო. ამირანმა უპასუხა — კაი ბუღუა მყოლიხარ, მარა რა სათქმელია კაცის საგანგებოთ დატანჯვაო, თუ რამე შემეძლება, კაცს ვაჭირვებაში მოვეხმარებდი, აბა რათ მინდა ეს ძალა, ღონე და გონებაო. ქრისტეს ეწყინა ასეთი პასუხი, თან დარწმუნდა, ამირანს თავი განზრახვაზე ხელს ვერ ავალბიეფო. ქრისტემ უთხრა ამირანს: თუ შენ ღონიერი ხარ, ჰედლებს კი ნუ ეჭიდავები, ისეთი ჯაჭვი გაქედე: ასამჭედელმა ვერ გაწყვიტოსო. ამირანმა დაიწყო ჯაჭვების გაქედვა და ძანიალი გრძელი ჯაჭვი გამოჭედა. ერთ მხარეზე მან მოკიდა ხელები, მეორე მხარეზე კი ასი ჰედელი ჩააფრინდა ამ ჯაჭვს. ჯაჭვი არ გაწყდა, ამირანმა ხუმრობით შეუშვა ხელი ჯაჭვს და ჰედლებმა ცხვირპირი დეიმტვირეს. ქრისტემ უთხრა ამირანს: — ჩემო მონათლულო, მკლავის ძალა კი გაქ, მარა მუხლიც თუ ასეთი გაქ, ნამდვილი გოლიათი მაშინ ყოფილხარო, აქიდან სვანეთის მთებზე ფეხით თუ ახვალ, დედამიწაზე მეფობა შენთვის დამილოციოო. ამირანმა უპასუხა: — ბუღუა ჩემო ამფერი გამოსთა, რაცლა კაი ნიშანი არ უნდა იყოსო, რაკი ჩემი ბუღუაი ხარ, ამასაც შეგისრულე და კილო ერთი თხოვნის შესრულებაზეც არ გეტყვი ვარსო. ამირანმა ჭოროხის პირიდან სვანეთის მთებამდის სამ დღეში შეუსვენებლად გეიარა გზაი, მასთან იოსე ქრისტე და სამას სამოცდა ხუთი ჰედელი მიყობოდენ ცხენებით. ამირანი შეჩერდა, ევიდა სვანეთის მთებში და იქიდან გადმოსძახა იოსე ქრისტეს: — კიდევ რას მოითხოვ ჩემგანო. ქრისტემ უბრძანა — იყავ მორჩილი ჩემი ყველაფერშიო. ამირანმა უპასუხა — ამას ვერ შეგისრულე, მე ვერც ერთ დმეროს ვერ დევმორჩილებიო, ჩემი მიზანი ხალხისათვის თავისუფალი სამსახურიო. ეს თქვა და იქვე მიეძინა. ქრისტეს ბრძანებით სამას სამოცდა ხუთმა მჭედელმა ამირანი მის მიერ გაქედლი¹² ჯაჭვით მიაბეს კტეებზე ხელებით და ფეხებით. შორი ახლოს გულის გასანთქაო მისი ხმალი დუღუდვეს და ქრისტეს ბრძანებით მის ირგვლივ მთები ყინულით დეიფარა რომ კაცთაგანი ახლოს ვერ მიკარებოდა. ქრისტემ და მჭედლებმა ასე მიატეს ამირანი კტეებში დაბმული. გა-

¹² 365 რიცხვი აქ სიმბოლოური მნიშვნელობითაა აღებული. საგულისხმოა, რომ ამირანი მის მიერ გაქედალი ჯაჭვითაა დაბმული.



მეელვობა ამირანს, მარა რა გამეელვობა, ვაი მაგისტანა გაღვიძებას. მიხთა რაშიც მოტყუვდა. ჯაჭვი გასწია, გამოსწია, მარა მისი ურთიერთობა ხელით გაქედდის, თითო მკლავის ან ფეხის გაქნევით რაფეხი გასწივდა. ამირანს ჩამოუქროლა არწივმა. შეხედა, მოეწონა და არ იკადრა ჩანისკარტება და მშიერი წვევიდა, ჩამუუქროლა ორბმა, არც იმან იკადრა ამირანის სისხლის დაღვრა, ჩამუუქროლა სვავმა და პირდაპირ გულში ჩაკრა ნისკარტი, გამოწუა სისხლი და გაფრინდა. ასე განაგრძობს სვავი ყოველდღე. კამარამ გვიან გვიგო ამირანის გასაქირი. იგი ოქროს ფრთიან ჩიტად გადაქცევა ყოველ დღით და სვავი რომ ახალ ჭრილობას მიაყენებს ამირანს — ჩიტად გადაქცეული კამარაი უკვტავების ბალახს აფენს ჭრილობაზე და ხელად ურჩენს. ეს უკვტავების ბალახი ამირანის სასმელ საქმელის მაგიერია.

ამირანი მოუსვენრად იბრძვის ჯაჭვების დასაწყვეტად. ყინულიდან ჩამოსული წყალი ჯანგავს ჯაჭვს და თანდათან თხელდება. ბევრმა სცადა ამირანის მთაში პოვნა და მისი განთავისუფლება, მარა ჯერე კაციშვილმა ვერ მიაგნო იგი. ამირანის მეგობრები დარწმუნებული არიან ჯაჭვს გაწყვეტს და მაშინ ყველა ბედნიერი იქნება¹³.

¹³ თქმულება — „კალმახელა“ ჩაწერა გ. ვ ბ რ ა ლ ი ძ ე მ 1938 წ. გურიაში.

დსკ 35 ა

რკინამ გადამწყვეტი როლი შეასრულა კაცობრიობის წინსვლის საქმეში. დიდია და არსებითი მისი მნიშვნელობა თანამედროვე სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც. ამიტომ რკინის დამორჩილების საკითხი აქტუალური პრობლემაა და კულტურის ისტორიის მკვლევართა ცხოველ ინტერესს იწვევს.

განსაკუთრებული მსჯელობის საგანს წარმოადგენს საკითხი მის შესახებ თუ როდის, სად და ვის მიერ იქნა მიკვლეული რკინის დამორჩილების და ხელოვნების საიდუმლოება. ერთი, თუ რამდენიმე სათავე აქვს რკინის კულტურას.

ამ საკითხების შესახებ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი ფიქრობენ, რომ რკინის წარმოებას წინ უძღოდა თვითნაბადი ლითონების — სპილენძისა და ოქროს დამუშავების კულტურა, რომელმაც პირდაპირ მიაყენა ადამიანი რკინის ხელოვნებას. მეორეთა მიხედვით ფერადი ლითონების დამუშავება, რომელიც ძირითადად ემყარებოდა ცივი კვერვის წესს, ვერ გახდებოდა რკინის დამუშავების პირდაპირი საფუძველი, ვინაიდან ეს უკანასკნელი მოითხოვდა გასხვავებულ მიდგომასა და ტექნიკურ ხერხებს ცხელი კვერვისათვის. ზოგიერთი კიდევ იმ აზრისაა, რომ ხელოვნური წესით რკინის მიღების საიდუმლოებას ადამიანმა მიიღწია მეტეორიტული, ბუნებრივი რკინის გაცნობის საშუალებით.

ამ მოსაზრებათა ჰიპოთეზური ხასიათი სავსებით აშკარაა. ცხადია კვლევა-ძიების ამგვარი მცდარი გზა გაუმართლებელია მეთოდოლოგიურად. იგი უგულებელყოფს საკითხის დიალექტიკურ მატერიალისტურ ახსნას, რომლის მიხედვითაც რკინის მეტალურგიის აღმოცენება-განვითარებას საფუძვლად ედვა საზოგადოების სოციალ-ეკონომიური განვითარების გარკვეულ საფეხურზე, მზარდი სამეურნეო მოთხოვნილებით გამოწვეული აუცილებლობა.



როგორც ცნობილია, ადამიანთა წინათობების მიერ შრომითი პროცესში მოპოვებული ცოდნა-გამოცდილება ივსება და ტრენინგდება მომდევნო თაობის საწარმოო მიღწევებით. ამ მიმართულებით, რკინის დამორჩილების საიდუმლოებისათვის უნდა მიეგნოთ იქ, სადაც ამისათვის მომწიფებული იყო საჭირო ობიექტური პირობები — ნედლეული, საწვავი, საწარმოო საშუალებათა განვითარების დონე და სოციალ-ეკონომიური ფაქტორები. მასთან, უნდა ვსცნოთ, რომ ეს უდიდესი საკაცობრიო მონაპოვარი ერთი რომელიმე ქვეყნისა, ან ხალხის „მხოლოდშობილ“ მიღწევად არ ჩაითვლება.

უნდა დაუშვათ, რომ რკინის დამორჩილების ერთ-ერთ ძირითად და უძველეს კერას წარმოადგენდა წინა აზია. ქართველ ტომებში მელითონეობის კულტურამ ადრევე მოიკიდა ფეხი და განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ამას მოწმობენ როგორც ნავთიერი, ისე წერილობითი წყაროება — რკინის ძველი წარმოების ნაშთები: მოხდილი საბადოები, გამონამუშევარი მადნეულის ნარჩენები, წარმოების „წიდეები“, მადნის საწური და სადნობი ქურები, თიხის „სოლინარები“ (საბერვლისა), ცეცხლგამძლე მიწება, ნახშირი და რაც მთავარია, რკინის ძველი წარმოების, მამაპაპურა ტრადიციების გამგრძელებელი, 19 საუკ. 80-იან წლებამდე რეალურად მომქმედი რკინის საწარმოების არსებობის ფაქტები — წედისსა, ოკრიბასა, ბოლნისსა, მესტიასა და აფხაზეთში, ძველ ლურსმული წერილობითი წყაროების ტექსტებისა და ებრაელთა „დაბადების“ მითითებანი, ბერძნულ-რომაული და ბიზანტიური მწერლობის ცნობები და ეროვნული ლიტერატურული ჩვენებანი. აგრეთვე, ქართველი ხალხის ყოფასა და წესჩვეულებაში შემონახული რკინის წარმოებასთან დაკავშირებული მდიდარი ტერმინოლოგია და თქმულება-გადმოცემები.

ისტორიულად რკინის წარმოებას საქართველოში განაპირობებდა მრავლად წარმოდგენილი წიაღისეული — რკინის მადნის საბადოები. რომელთა განლაგება სამხრეთითა და ჩრდილოეთით ჰქმნიდა ორ ძირითად — მთავარ და მცირე კავკასიონის მადნეულთა სისტემას. გარდა ამისა, აღნიშნულ საბადოთა ჯაჭვში შედიოდა რიგი სხვა მცირე საბადოების წყება, მათ შორის შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლში მოქცეული მაგნიტური რკინის მადანი — რკინაქვიშის სახით.



უკანასკნელ ხანებში საქართველოს მიწა-წყალზე ჩატარებული გეოლოგიური და არქეოლოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე მოვლინებულია „მოსდილი“ და „გამოწველილი“ მრავალი რკინის საბადო და წარმოების უბანი — ძველი „სარკინენი“. ამ ძეგლების მეცნიერული შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ რკინის დამუშავებას აქ მკვიდრი ნიადაგი გააჩნდა და ქართველი ხალხის ყოფაში აღრევე მოიკიდა ფეხი. რკინის წარმოების მოცულობა და ინტენსივობა, რომელსაც თავის დროისათვის საკმაოდ განვითარებული და ფართო ხასიათი ჰქონდა, ყოველთვის ერთნაირი გაქანებისა და თანაბარი სიმძლავრისა არ იყო. მას გააჩნდა თავისი აღიდებისა და დაცხრომის განსაზღვრული პერიოდები, რაც გამოწვეული იყო ქვეყნის სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარა ცვლილებებით და საერთო ისტორიული ვითარებით.

ფაქტობრივ მონაცემების მიხედვით რკინის დამუშავების კულტურა თავს იჩენს ჯერ კიდევ შუაბრინჯაოს ხანაში. ძ. წ. X საუკუნიდან იგი ფართო ხასიათს იღებს და მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგი ხდება. რკინის დამუშავება ქართველი ხალხის ნიადავ დამახასიათებელ ხელობას წარმოადგენს. ასურული ლურსმული ტექსტების, ებრაული „დაბადების“ ჩვენებით და ბერძნულ-რომაული, ბიზანტიური მწერლობის ცნობებით, ქართველთა წინაპრები — ტაბაღები, მუსკები, მოსინიკები და ხალიბები განთქმული იყვნენ თავისი მელითონეობით, ძველი კულტურული ქვეყნების თვალში ისინი ითვლებოდნენ ლითონის საუკეთესო მოხელეებად. მათი ნახელავი რკინა-რვალის „ხელადი“ სხვა ქვეყნის ნაწარმისაგან გამოირჩეოდა და შორს ჰქონდა სახელი გავარდნილი. გარკვეულ ვითარებაში ლითონის საგნები წარმოადგენდა მათი საგარეო ვაჭრობისა და აღებ-მიცემის ერთ-ერთ მთავარ საგანს.

შემდეგში ქართველმა ხალხმა, რომელსაც მამა-პაპათაგან მოდგამდა ლითონთა დამზადება, წინაპართა ეს მიღწევები, მელითონეობის დარგში, კიდევ უფრო განავრცო და ახალ სიმაღლეზე აიყვანა.

ხანგრძლივი საწარმოო გამოცდილებისა და ემპირიული ცოდნის საშუალებით ხალხურმა მელითონეობამ რკინის დამორჩილების ხელოვნების დარგში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. გამოუმუშავდა ბევრი ისეთი ტექნიკური ხერხი და საწარმოო საშუა-



ლება, რომელთაც აქვთ გარკვეული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ამ მიმართებით ქართული ხალხური მეღვინეობის განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ემპირიული გამოცდილებიანიადაგზე მის მიერ შემუშავებული და გამოყენებული საშუალება მაგარი რკინის, ანუ ფოლადის მიღებისა, რკინის წარმოების ეს საყურადღებო და თავისებური ხერხი იმაში მდგომარეობდა, რომ დასაწურავ რკინის მადანში გარკვეული პროპორციით (1/4) ურევდნენ მარგანეცს („ფაშას“) და ამ გზით ღებულობდნენ მაღალი ხარისხის რკინას. აღნიშნული წესი განსაკუთრებით წარმატებით გამოიყენებოდა რკინის წარმოების ერთ-ერთ ძირითად და ძველ უბანში — რაჭის სარკინეთში.

თუ გავითვალისწინებთ მარგანეცის უდიდეს როლს სხვადასხვა ფოლადის შემუშავების საქმეში, ნათელი გახდება ძველი ქართული მეღვინეობის შორსმწვდომი მნიშვნელობა და მოწიფულობა რკინის დამორჩილების ხელოვნებაში.

რკინის წარმოების ხალხური წესი XIX საუკ. 80-იან წლებამდე რეალურად მოქმედი სარკინეების (— წედისი, საწირე, მესტია, ხოპი, ბოლნისი) მიხედვით შემდეგ სურათს წარმოადგენს: ნებაცოფლობის საფუძველზე დგება ამხანაგობა, რომელიც ემყარება თანასწორობის პრინციპებს და ძირითადად ამოდის კოლექტიური საწყისებიდან. წარმოების მარტივი წესი და ტექნიკური აღჭურვილობა განაპირობებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის მარტივ კოოპერაციას, რკინის წარმოება ნახევრად სასაქონლო ხასიათს ატარებს. ნაწარმი მზადდება საკუთარი მოხმარებისა და აღებ-მიცემის მიზნით.

„სარკინეები“, როგორც მეღვინეობის რაიონები, ითვლებიან საქვეყნო მნიშვნელობის უბნებად, რომლითაც დაინტერესებულია საზოგადოების ფართო მასები, გაბატონებული კლასები და სახელმწიფო.

ფაქტიური მონაცემების მიხედვით, ძველად საქართველოში რკინის დამუშავება სწარმოებდა სრული ციკლით — დაწყებული მადნის მოპოვებით გათავებული მისი რკინად დაწურვით და მიღებული რკინისაგან „ხელადის“ დამზადებით. რკინის წარმოება შეიცავდა რამდენიმე საფეხურსა და ცალკეულ პროცესს. პირველი ეტაპი წარმოადგენდა მადნეულის მოპოვებას, მეორე — მადნეულის დაწურვას რკინად, მესამე — რკინეული „ხელადის“ დამზადებას —



კედვას, რკინის დაწურვას წინ უძღოდა მოპოვებული მადნის რეგულაცია, გაფიცება, დაფშვანა, გაკაზმვა, აწყვა და დარიგება ული „ხელადის“ გაქედვას — „ლუგვი რკინის“ გადადნობა, წმინდა რკინად დახალასება და „მოქნა“, „შექცევით ვაკერვა“ და საქედურ რკინად „დაყენება“. სულ ბოლო პროცესს კი „ხელადის“ გაქედვა-გასრულება შეადგენდა.

რკინის წარმოებისათვის განკუთვნილ ნაგებობას წარმოადგენდა „სარკინე ქობი“; დანადგარს — საბეგველი, „გამოსახურვებელი“, რკინის საწური და სადნობი აგრეგატები — „საქუმლი“, „ბოვი“ (ქულბაქი), „თორხე“, „მღვიმევი“, „საბერველი“, „სოლინარი“; აღჭურვილობას — გრდემლი, ხელკვერი, მარწუხი, ნიჩაბი და სხვა. ხელსაწყოებს — არმანი, სალითენე, ხელნავი, სამჩქვრევი და სხვა. მადნეულის სარევეს — „ტურტუნი“, სადული მიწა, სილა, კაქვი; დამხმარე საშუალებებს — „ლები“, „ფერილი“, რკინაწიდა, ნაცარი, ცეცხლგამძლე მიწები, ნახშირის რეში; საწვავს — ხის ნახშირი სხვადასხვა ხასიათისა და ხის ჯიშისა.

რკინის მოხელეების დაკვირვებით, რკინის დაწურვის და დაყენების საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ნახშირი, სანახშირედ იყენებდნენ სხვადასხვა ჯიშის ხეს. რკინის რამდენადაც თითოეული საფეხურისათვის იხმარებოდა განსხვავებული ხასიათის ხის ნახშირი, მადნის დასაწურად უპირატესობას აძლევდნენ მალალი სიმსურვალის მავარ ნახშირს, რკინის სადნობად — ნაშუალო სიმსურვალის ზომიერ ნახშირს, ხელადის გასაქედად — რამდენადაც სიმსურვალის რბილ ნახშირს.

სალი, უზადო რკინის და ფოლადის შემუშავებას ეხმარებოდა მთელი რიგი ფაქტორები: მადნის ჯიში, მისი გარჩევა, გაკაზმვა, დარიგება, უწყვეტი ბერვა, ხშირი გამოწიღვა, ნახშირი, „უკვლო ცეცხლი“, გამჭდარი სიმსურვალე, თანაზომიერი ტემპერატურა, რკინის „გამოცხობისა“ და მომწიფების დროულად ამოცნობა და რაც მთავარია, სარევი მარჯანეცი („ფაშა“), სადული მიწა, „ტურტუნი“ და ზოგიერთი გამყანავები.

ასევე, რკინისა და ფოლადის ხელადის ხარისხზე გარკვეულ გავლენას ახდენდა — რკინის „წასწრება“ ცეცხლში, წესიერი „დაწლომა“, თანაზომიერი „რქენა“, განხურვების რეჟიმი, ნახშირი, „შექცევით ვერვა“, წმინდად მოქნა, „გამშუალებით დაფოლადება“.



რთული წრთობა და „მისაბუნებად“ „დაყენება“. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რკინის მოხელის პირად უნარს და ტრადიციული გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენებას.

„უქედელ“ რკინას აძლევენ სხვადასხვა ფორმას: თუ იგი ბრტყელი და გრძლად გაყვანილი იყო, ეწოდებოდა „ფიცარი“ რკინა; ამავე სახის, მაგრამ შედარებით თხელი აგებულების რკინას — „შოლტი რკინა“. შოლტზე უთხელეს — „ლამფარა“ რკინა; ხოლო ლამფარაზე თხელს — „ფასტია“ რკინა ეწოდებოდა. ასევე, სქელ და კუთხედად მოყვანილ, ან მომრგვალებული სახის რკინას „ზოდი“ — კვერი ერქვა, ბოლო წვრილსა და გრძლად გაყვანილ რკინას — შალაბი, შანთი. მასზე წვრილსა და თანაბრად გაყვანილს — „კეტი“, „ჩხირა“ რკინა ეწოდებოდა. თავის მხრით თითოეული მათგანი სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობისა იყო.

სამასალე უქედი რკინა იზომებოდა შანთობით და ლიტრობით. შანთი უდრიდა დაახლოებით 35 კგრამს, ლიტრა — 3,6 კილოგრამს. XI ს. ნიკორწმინდის სიგელის მიხედვით რკინა „უქედელი“ და „ქედელი“ წარმოადგენს ალუმ-მიცემის საშუალებას, ხოლო XVII საუკ. ერთი საბუთის მიხედვით იგი დასახელებულია ფულის ერთეულად.

საკუდურ რკინას განარჩევენ როგორც შინაგანი ხასიათით, ისე წარმოების წესებისა და სადაურობის მიხედვით. ამ მხრივ რკინა შეიძლება იყოს: რბილი, მკნარი, მაგარი, ბასრი, ყურჩი, მყიფე, მოქნილი, ლენჩი — თვისებით; ნაწური, ნანაჭი, ნაქდი, და ნაფური — წარმოების წესით; ჭანარი, ხალდი, შანარი, ტობართინი — ეთნიურად; წედური, ოკრიბული, ქართული, შინაური, გარეთული — სადაურობის მიხედვით და სხვა.

ქართული ხალხური მელითონეობა იცნობდა რკინაზე ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებას. ამ მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა წრთობას. იგი ათვლებოდა ძირეული ხასიათის საშუალებად რკინის დაყენების საქმეში. რკინის დაყენება ნებისმიერად საკმაოდ რთულსა და ძნელ საქმეს წარმოადგენს. წრთობა საერთოდ ნიშნავს რკინეულის გაწაფვას, სასურველ სიმაგრეზე დაყენებას და ფხა-ალმასის განმტკიცებას, რკინის მექანიკური თვისებების გაუმჯობესებას.



წრთობის როლი და მნიშვნელობა თავიდანვე სწორად დასაზღვრავთ და განუსაზღვრავთ ჩვენს წინაპრებს. ამისათვის მკვლევარს შავებიათ კიდევ წრთობის წესები და საერთო კანონები. მაგალითად, რბილი რკინა თუ გამაგრებას საჭიროებდა, მას ცავე სითხეში აწრთობდნენ, ხოლო როდესაც მაგარი რკინის დარბილება სურდათ, მას ნელთბილ წყალში აწრთობდნენ. ამასთანავე, ამ მიზნით იყენებდნენ ცეცხლთან მშრალად ჩამოღობობის ხერხს. საწრთობად იყენებდნენ სხვადასხვა ნივთიერებას: წყალი, ზეთი, ქონი, სანთელი, ნავთი, ნიორწყალი, შარდი, სისხლი, ცვილი, და სხვა.

სველი და ღია წრთობის პარალელურად არსებობდა მშრალად, დახურული სახის წრთობა. მაგალითად, მეფე ვახტანგ VI-ს სახელით ცნობილ ხელნაწერში ორმაგი წრთობის ეს წესია აღწერილი, რომელიც სკოდნიათ XVII საუკუნეში, რაც ემთხვევა ხალხური წრთობის იმ სახეს, რომელსაც ეწოდება „ღველფში“, (ცხელ ნაცარში) წრთობა. განსხვავება მხოლოდ იმასშია, რომ პირველ შემთხვევაში წრთობა გერმეტიულად დახურულ ყუთში მიმდინარეობს, მეორე შემთხვევაში — ღიად.

წრთობილის გამოსაცნობად დადგენილი იყო საგანგებო სანიშნოები, სახელდობრ საგნის ნაწრთობ ზედაპირზე წარმომდგარი „გასაზრკვა“ ანუ „წყალი“, რომელიც ძირითადად სამი ფერისა იყო: „ლურჯი“, „თეთრი“, „ოქროსფერი“. პირველი — სიფიცხის მაჩვენებელი ფერი იყო, მეორე — სირბილის, მესამე — ზომიერი წრთობისა. მასთან სხვადასხვა ხასიათის რკინეულს განსხვავებული წრთობა უნდოდა. მაგალითად, გამკრელ იარაღს მხოლოდ ზაფხულ კედდნენ და მას საგანგებოდ აწრთობდნენ. წრთობისათვის დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ მაწრთობელ ნივთიერებას. გახურებისა და წყლის დაცემის რეჟიმს, საწრთობი საგნის ხასიათს და წლის დროს.

ქართული ხალხური მკვლელობის დამახასიათებელ ნაცად ხერხს წარმოადგენდა აგრეთვე — „გაშუალებით დაფოლალება“.

გაშუალებით დაფოლალება ეწოდებოდა „გამკრელი“ რკინეულის გაკვეთვას შემდეგი წესით: სახელად რკინის „დედანს“ ვაკობიტების შემდეგ ორტოლად მოხრიდნენ. შუაში ჩაურთავდნენ ფოლადის საგულავს — „ძგიფს“ და სათანადო მოკეცვის შემდეგ პირს შეუმტკიცებდნენ სათანადო წესების დაცვით. ამ სახით დამზადებული ხელადი ტანმოქნილი, „უწყვეტი“, მიმყოლი და ფხია-



ნი გამოდიოდა. ვინაიდან ხალხის შეხედულებით, ხმარების ცეროვალში ცესში მას „გარეწანები“ (გვერდები) რკინისა ელესებოდა. პირი უალმასდებოდა და მარჯვედ ასრულებდა თავის საქმეს. „გაშუალებით დაფოლადებას“ მოითხოვდა, პირველ რიგში, „გამპრკული“ იარაღი: ხმლები, სატევრები, სამართებლები, ცულები, ცელუბი, ნამგლები და რიგი სხვა სამეურნეო, საბრძოლო და საოჯახო დანიშნულების საგნები. ამიტომ განათხარი, თუ ეთნოგრაფიული საგნების ანალიზის დროს ანგარიში უნდა გაეწიოს ამ ფაქტს და სინჯი აღებული უნდა იქნას ტანის შესაბამის ადგილიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ „გაშუალებით დაფოლადების“ გარდა, ცნობილი იყო „ზედებული და „დალაგმული“ დაფოლადება. ეს უფრო ძველ ნახმარ რკინეულს ჰქირდებოდა. წმინდა ფოლადის ინსტრუმენტი და გამპრკული იარაღი „ყინჩი“, ფიცხი და „ლენჩი“ გამოდიოდა.

მოქნილი, მიმყოლი საჭედური რკინის შემუშავებაში გარკვეული ადგილი ეჭირა — „შექცევით კვერვას“. კვერვა იმავე როლს ასრულებდა რკინის მიმართ, რასაც თელვა, მოქნა ასრულებს ნაბღისა და ტყავის მიმართ.

„რკინის კაცები“ გაწაფული ემპირიკოსები იყვნენ. საკმაოდ იცნობდნენ თერმიული და მექანიკური მოქმედების გავლენას რკინაზე. ხელმძღვანელობდნენ რა ტრადიციული გამოცდილებით, ბეჯითად იყენებდნენ მამაპაპურ მიღწევებს რკინის ტექნოლოგიაში. ამან მკაფიოდ გამოკვეთა რკინის ხელოვნების თავისებური, ქართული „ხელი“ და რიგი საყურადღებო მეტალურგიული დაკვირვება — რკინის დუღილის განსაზღვრა ცეცხლის ფერით, რკინის „მოშწიფების“ ამოცნობა ნაპერწყალთა მოწყვეტის მიხედვით, წრთობის შეტყობა ნაწრთობ ზედაპირზე წარმომდგარი „გასარკვის“ ფერით, რკინის ხელადის „ლოჭვა—გრება“ ტანის სიმტკიცისათვის და სხვა.

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებულია ძველი რკინეულის გადამუშავების საფუძველზე, საჭედური, ახალი რკინის მიღება. ამ მიზნით რკინის „ანჯარს“ (ჯართს) წვრილად ფშვნიდნენ, მასში შეურევდნენ „რკინიქვას“, რკინაწიდას და მადნეულის წესზე წურავდნენ რკინად, რკინის საწურ „ბოვში“. ამ სახით მიღებულ რკინას ეწოდებოდა — „ნანაჭი რკინა“.



სახელი „ნანაქი“ წარმოადგენს მიმღებობას და იგი „ნაქვი“
 ზმნისაგან უნდა იყოს მიღებული. „ნაქვა“, „ლაქვა“, „ლოქვა“
 შნავს გრეხას, წმასნას. საკიდლის, ანუ საქვაბეს მეგრული სახელი —
 „ნაქა“, „ლანქა“, ამავე ძირიდან ნაწარმოები სახელი ჩანს (შდრ.
 ლოქინის ხევი, თბილისის აღმოს.).

ამავე წესით ღებულობენ მეორე სახის რკინას, რომელსაც
 ეწოდებოდა „ნაქლი“ რკინა. ნაქლი რკინის მისაღებად იყენებდნენ
 მდინისკული რკინის წურვის დროს დაშთენილ წიდას, რომელსაც
 თან მიყვებოდა წმინდა რკინა — „ლილი“. ამ ღილიან წიდას წვრი-
 ლად ფშვნიდნენ, მასში გარკვეული ზომით ურევდნენ თუჯის
 ქვაბის ნაბტვრეებს, ფერილს (რკინის ქერცლი კვერვის დროს რომ
 ცვივოდა), წიდას, ქვაკაქს და იმავე სახით წურავდნენ რკინის სა-
 წურ „ბოვში“. ამ გზით მიღებულ ახალ რკინას ეწოდებოდა —
 „ნაქლი რკინა“. იგი საუკეთესო თვისებისა იყო და მისგან ნაქელი
 ხელადი მაღალი ღირსების გამოდოდა. „ნაქლი“ რკინის მიღებას
 პროცესს — „მონაქვდა“ ეწოდებოდა. სახელი — „ნაქლი“ ფონე-
 ტიკური სახესხვაობა უნდა იყოს „ნაწლისა“, რაც თავის მხრით ნი-
 შნავს „დაწლომილს“, „გამოწიღულს“, დაწმენდილს და დახალასე-
 ბულს.

ძველი რკინეულისაგან მიღებული საქედური რკინის მესამე
 სახეს წარმოადგენდა — „ნალფარა“ რკინა, რომელსაც ამავე წესით
 იღებდნენ ძველი ნალ-ლურსმნის გადამუშავებით. ნალ-ფარა ანუ
 ნალფურა რკინა იხმარებოდა დანებისა და ზოგიერთი გამჭრელი
 იარაღის (ნაშვალი, მაჯაგანი, სარისველი) დასამზადებლად. რკი-
 ნეული ხელადის ქანგისაგან დასაცავად მიმართავდნენ შემდეგ
 ღონისძიებას: ახალ გაქვდილ ხელადს შალის ნაჭრით და ნახშირის
 რეშით გაფერავდნენ, ცაცხვის ჯოხით ზედაპირს მოულოპავდნენ,
 შემდეგ ნელთბილსა და „ოფლიანს“ სიმინდის, ან ქერის ქატოში
 ჩაფლავდნენ და ამ სახით რამდენიმე ხანს ინახავდნენ. შემდეგ ამო-
 იღებდნენ და ხმარებამდე მშრალ ადგილას ათავსებდნენ.

ხალხური დაკვირვებით, ზოგიერთი რკინეული ნაქვებად იყან-
 გებოდა, ზოგი კი მალე იკიდებდა ქანგს. ეს დამოკიდებული იყო
 რკინის ხასიათზე, მოვლა-დაცვისა და ხმარების წესებზე.

ქართული ხალხური მეღითონეობის საყურადღებო მიღწევად
 ჩაითვლება სხვადასხვა თვისების ცეცხლგამძლე თიხების შერჩევა
 და გამოყენება რკინის წარმოებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია, თავი-
 სებური, აზრმახვილი ხერხი — ნაირსახის თიხისაგან რამდენიმე



ფენოვანი (5—6) სოლინარების (საბერკლის მიღების) შექმნის რკინის ჩასაწერი ფილის ამოღესვა. ეს საშუალება ჩანს, გაპრობებული. იყო მაღალი ტემპერატურის ამტანი მიწის კეცის საპრობებით. იგი გამართლებას პპოვებს თანამედროვე მეტალურგიაში.

როგორც ცნობილია, წიორსახისა და ხასიათის თიხები და მათი კომბინაციური შეერთება მაღალი ტემპერატურის ამტანობით ხასიათდება და დღესაც გამოიყენება.

XIX საუკუნე წარმოადგენს მაღალი ხარისხის ფოლადის დაზადების ძიების ხანას. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის გამოჩენილ რუს მკვლევარს, ცნობილ მეტალურგს პავლე პეტრეს ჰე ანოსოვს. მან ხანგრძლივი ცდებისა და კვლევა-ძიებით მიაღწია სასურველ შედეგს, რითაც საფუძველი ჩაუყარა სპეციალური ხასიათის სხვადასხვა ფოლადის შემუშავების საქმეს. ანოსოვი, რომელიც იმდროინდელი ქიმიისა, მექანიკისა და სამთო საქმის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა, ნერგავს ახალ მეთოდებს ფოლადის მიღების დარგში, რითაც დაინტერესებული იყო მსოფლიოს დიდი სპეციალისტები. ამ მიმართულებით ყურადღებას იქცევს რუსი სპეციალისტების დაინტერესება ფოლადის დამზადების ქართული წესებით. რამდენადაც საქართველო მიჩნეული იყო მაღალი თვისების ცივი იარაღის დამზადების მნიშვნელოვან კერად. რომელმაც უკანასკნელ ხანებამდე შემოინახა ამ ხასიათის რკინეული იარაღის დამუშავების წესები.

ძველი ქართული რკინის „ხელადის“ ქიმიურ-ტექნოლოგიური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ისინი დამზადებულია რბილი და ზომიერი ფოლადისაგან ღია ქურაში, ცივი ბერვის წესით. რკინეულის გაფიცებისათვის გამოყენებულია თერმიული ხერხები — გამოსურვებითი კვრვა, წრთობა, ცემენტაცია (დანახშირბადების წესი). მის მიკროსტრუქტურაში შეიმჩნევა პერიტის პოლიედრება. ასეთი აგებულება რკინის ხელადს მეტ მოქნილობასა და მიმყოლობას აძლევდა, რაც, ხალხური დაკვირვებით, რკინის წერილ „ბეწვიანობით“ აიხსნებოდა.

სპექტრული ანალიზის მიხედვით, აღნიშნული ნივთების შემადგენლობა შეიცავს მანგანუმს. იგი შეგნებულად არას შეტანილი ლითონში. შეიმჩნევა ზოგიერთი მინარევიც — სილიციუმი, ალუმინი, კალციუმი, ნიკელი, სპილენძი და სხვა (ცხრ. № 1—5).

როგორც განათხარი, ისე ეთნოგრაფიული რკინის ხელადის მეტალოგრაფიული შესწავლა გვიჩვენებს, რომ ისინი, ძირითადად



გაქედილია ერთიანი ტექნოლოგიური პრინციპებისა და ხედვით, ამასთან ახასიათებთ ფორმა-შინაარსის სისავსე.

რკინის დამორჩილების კულტურას საქართველოში მოწმობს მრავალი უტყუარი ფაქტი. უკანასკნელ ხანებში სავსე გეოლოგიური, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგად, გამოვლინებულია რკინის წარმოების ნივთიერი ნაშთები: გამოწამლული რკინის საბადოები—„სარკინე“, „მზიური“, „ქვაწითელი“, „ხეხმელა“, „ჯიშრა“, „ნაჯანგევი“ და სხვა. რკინის წარმოების უბნები — „სარკინეები“: ქართლისა — ბოლნისის სარკინე ქედების ჯგუფი, „გძელი მინდორი“, ძამას ხეობა; იმერეთისა — „ძიროვანი“, „მადნის სერი“, „ნაჯანგევი“; რაჭისა — რიკეულა, კანკახი, ჯეჯორა; გურიისა—ვაკისჯვარი, სუფსა—ნატანების წყალთა შუა სანაპირო; აფხაზეთისა — ბზიბისა და კოდორის ზემო ხეობა; სვანეთისა—ჭუბერი, ცანა, ქვ. ივარი, რკინის მთა; ლეჩხუმისა — წითელი მთა, ნაქულბაქევი; სამეგრელოსი — ქანიწყლისა და ოჩხამურის სათავეები და სხვა, სარკინე ქოხები: (რაჭა, იმერეთი, ქვემო ქართლი, ზემო სვანეთი), მადნის „საფიცხებელი“ (გამოსახურვებელი) სახუმილები. „ლურჯი მონასტრის“, „ათაშენისა“, „ბაღდადისა“ (ძვ. წ. ა. IV ს.), რკინის საწური და სადნობი „ბოვები“ ბოლნისში — სორჯუს, ათაშენს, საკოლიას, რკინითის სანახების (ძვ. წ. VI); ქობულეთში ცეცხლაურისა და ჯიხანჯორის სანახებში (ძვ. წ. VII—VI სს); სვანეთში — შიბარის, (ახ. წ. X ს); ქვემო ქართლის, იმერეთის და რაჭის ყოფაში XIX ს-ში რეალურად მოქმედი რკინის წარმოება, სარკინე ცენტრებსა და უბნებში დაშთენილი რკინის წარმოების უშუალო მუწყებლები: მადნეული კაზმი, ნახშირი, წიდა, საბერვლეს სასულე მილები — სოლინარები, ცეცხლგამძლე მიწის გუნდები, ნაცარი, ფერილი, თიხის ქურქელი, ქვის ხელსაწყო, რკინის ლუგები (აფხაზეთი, წებელდა), ნახევარნაშადი (მცხეთის „სარკინე“) და რაც მთავარია, რკინის მადნის რამდენიმე ჯაშის მინერალოგიური და ფიზიკური თავისებურების ცოდნა, მათი გარჩევა, სახელწოდებანი, რკინის წარმოებასთან დაკავშირებული მდიდარი ტერმინოლოგია, ძველი კლასიკური ქვეყნების მწერალთა ცნობები და უშუალო მითითებანი ქართველი ტომების მელითონეობის შესახებ გვიჩვენებს, რომ წარმოების ეს დარგი ფართოდ ყოფილა წარმოდგენილი ჩვენი ხალხის სამეურნეო ცხოვრებაში. ღრმად გამჯდარი ჩანს იგი მის სულიერ



სამყაროშიაც. საგულისხმოა, რომ რკინა და რკინეული მკრეღი. „ნაწილიან“ საგნად ითვლება, ხოლო მკვდელი რკინის მკვდელი ლოვნებისა და მაგიური ქმედების საიდუმლოებათმცოდნედ. რომელსაც ეს ხელობა თვით ღვთაებისაგან აქვს გადაცემული. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ საქართველოს თემებში ცნობდნენ 363 ხელობის გამჩენ, მკვდლობის მფარველ ღვთაებას სხვადასხვა სახელწოდებით: „სოლომო“, „სოლან“-ი, „შამგ“, „წმ. გიორგი“, წმ. კობალა“, „ამირანი“-², „თობელი“ და სხვა. უკანასკნელი სახელწოდება დამოწმებულია ქიზიყისა და მესხეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში. ასევე, ახალციხის სომხურ ეთნიურ წრეში — „ოფელ-თოფელის“ სახით. სახელი — „თობელი“ გვიჩვენებს, რომ მკვლ ქართულ ეთნიურ სახელებთან დაკავშირებულია არა მარტო ლითონების, არამედ მკვდლობის მფარველ ღვთაებათა სახელწოდება, რაც იმას მოწმობს, რომ ქართველ ხალხში მელითონეობა კერძოდ. რკინის დამუშავება „თავისიანი“ იყო. ამასვე ამტკიცებს მკვდლობასთან დაკავშირებული მთელი წყება თქმულებანი და გადმოცემები. ყოველივე ეს ნათლად მოწმობს რკინის დამუშავების თვითმყოფ კულტურას ქართველ ხალხში.

¹ სხანთა ბრძენით, რკინა-სპილენძის მკვდლობის მფარველად ითვლებოდა „ჯგირავი“ (იგივე წმ. გიორგი) და „სოლან“-ი, მაგრამ ქალი მკვდლების მშველელი ლამარია იყო (ს. იფრაღი, რადენ თეიმურაზისძე და დ. უანი). გურული თქმულების მიხედვით, ამირანი ითვლება პირველ მკვდლად. რომელმაც ასწავლა მკვდელთ-მკვდლობა, მეკეცეთ-კეცის გამოწვა, კაცთ — ხელოვნურად ცეცხლის გაჩენის წესი და მხენელ-მთესველს — ახოს ალებას ხერხი. ამავე თქმულების მიხედვით ამირანის მიხედვითა ცა-ღრუბლის ღვთაების ასული კამარი, იგი ზენაარია, ამირანი კი, როგორც საერთოდ მკვდლობის მფარველი ღვთაებანი. — ქვენაარად ჩანს, რომელსაც ქრისტეს განკარგულებით 363 მკვდელი დააბაძს, მისი ხელით, გაკვდილი ქაქვით, კაცასონის ქედზე.

ВЫВОДЫ

Железо сыграло решительную роль в прогрессе человечества.

Большим и существенным является его значение и в современной хозяйственной и общественной жизни. Поэтому вопрос овладения человечеством способами обработки железа весьма актуальная проблема, вызывающая живой интерес среди историков культуры.

Предметом специального и всестороннего обсуждения является вопрос о том, когда, где и кем был опознан секрет искусства обработки железа и железной руды? Существовал один или несколько очагов зачатия культуры железа? В этих вопросах мнения ученых расходятся. Одни полагают, что производству железа предшествовала культура обработки самородных металлов — меди и золота, которая прямым путем привела человека к искусству обработки железа.

По мнению же других, обработка цветных металлов, которая по существу опиралась на правила холоднойковки, не могла стать непосредственной основой обработки железа, ибо она требовала другого подхода и других технических приемов для горячейковки. Некоторые считали, что секрет добывания железа искусственным путем человек познал посредством ознакомления метеорного, природного железа.

Гипотетический характер этих взглядов, доводящий нас до идеалистических выводов, вполне понятен, так как такой путь исследования является ошибочным и не имеет методологического оправдания. Он игнорирует диалектико-материалистическое объяснение вопроса, согласно которому основой зарождения и развития металлургии железа, на определенной степени социально-экономического развития общества, яви-

лась необходимость, вызванная растущими хозяйственными потребностями.

Как известно, добытые в процессе труда предшествующими поколениями, опыт и знание расширялись и углублялись производственными достижениями последующего поколения. С учетом этого принципа, секрет обработки железа люди могли открыть только там, где существовали созревшие условия — сырье, горючее, соответствующий уровень развития производственных средств и социально-экономические факторы.

Вместе с этим нужно признать, что это величайшее завоевание человечества, не является «моногенным» достижением одного народа или одной определенной страны.

Необходимо предположить, что одним из основных и древнейшим очагом обработки железа, представляла Передняя Азия. В грузинских племенах культура обработки и добыча металла развивалась гораздо ранее, чем в некоторых других племенах древнего мира, и достигла высокого уровня, о чем свидетельствуют, как вещественные, так и письменные источники. К первому принадлежат использованные месторождения, шлаки (sidebi) производства, остатки выработанной руды, процеживающие и плавильные горни, глиняные трубы («соинареби»), кузнечный мех, огнеупорные земли, уголь, и, самое главное, факты существования действующих до 80-х годов прошлого столетия в разных местностях Грузии (Цедиси, Окриба, Болниси, Местия и Абхазия), очагов производства железа, продолжавшие прадедовские традиции.

Не менее важным являются указания ассирийских клинописных текстов и библии, известия греко-римских и византийских письменных источников, сведения древнегрузинской литературы и сохранившиеся в быту и обрядах грузинского народа богатая терминология, связанная с производством железа.

Производству железа в Грузии исторически обуславливало существование полиметаллических месторождений во многих местах этой страны, распределение которых с юга и севера создавало две главные системы залежи руд — главного и малого Кавказа. Кроме того, в цепи указанных месторождений входила группа целого ряда малых месторождений, в том числе залежи магнитного железа, в пределах восточбережной зоны Черного моря, в виде песчанистой руды.



В последние годы на территории Грузии, на основе геолого-минералогических и археологических изысканий, выявлены многие использованные («мохдили») месторождения железа, а также древние участки его производства («саркинени»).


При научном изучении этих памятников выясняется, что обработка железа («ркинис даморчилеба» — буквально означает — «подчинение железа») здесь имела вековое основание и рано утвердилась в быту грузинского народа. Объем и интенсивность производства железа, которое для своего времени имело развитый и широкий характер, не всегда было одинакового размаха и равномерной мощности. Оно имело определенные периоды своего подъема и спада, что было вызвано изменениями происходившими в хозяйственной и общественной жизни страны, а также общенсторическими обстоятельствами.

По фактическим данным следы культуры обработки железа обнаруживаются еще в эпоху средней бронзы. С X века до н. э. она принимает широкий характер и становится значительной отраслью хозяйства. С тех пор обработка железа является характерным ремеслом грузинского народа.

По указаниям ассирийских клинописных текстов и Библии, а также по извещениям греко-римской и византийской письменности предки грузин, — Табали, Мосиники, Муски и Халиби были известны, — своей металлургией. Жители культурных стран древнего мира их считали наилучшими мастерами обработки металла. Железо-медное изделие («хелади») этих племен отличалось своими высокими качествами от изделий других стран и их слава достигла в далекие уголки тогдашнего мира. В определенных условиях железные изделия являлись главными товарами внешней и внутренней торговли. Впоследствии грузинский народ, которому издревле характерна была культура обработки металла, усовершенствовало достижения в отрасли металлургии, еще более широко распространил и возвел их на новую высокую ступень.

Путем многовекового производственного опыта и эмпирических знаний, народная металлургия достигла больших успехов в отрасли искусства обработки железа и железной руды.

В этом отношении особенным достижением грузинской металлургии надо считать средство получения твердого железа или стали, выработанное на почве эмпирического опыта. Это замечательный и до высшей степени своеобразный прием заключается в том, что в руде до его процеживания или



филтрации примешивали марганец (paša) в определенной пропорции (количеством $\frac{1}{4}$) и таким путем получали высококачественное железо. Этот способ, гораздо раньше до его внедрения в современной металлургии научным путем, с большим успехом использовался особенно в одном и древнем районе — рачинской Саркиети.

Если предусмотрим величайшую роль марганца в деле выработки разных сортов стали, то станет ясным далекоперспективное значение и зрелость древнегрузинской металлургии в искусстве обработки железа.

До 80-х годов XIX века по реально действующим очагам добычи и обработки железа, — Цедиси, Сацире, Местия, Хопи, Болниси, — народный способ производства этого металла представляет следующую картину: на добровольной основе создавалось сообщество, которое опиралось на принципы равенства и в основном вытекало из коллективных начал.

Простой способ производства и его соответствующее техническое оборудование обусловили простую кооперацию. Производство железа носит полутоварный характер.

По фактическим данным в те времена в Грузии обработка железа производилась полным циклом — начиная с добычи руды и кончая его процеживанием, превращением руды в железо и изготовлением изделий из чистого, обработанного материала.

Производство железа имело три ступени: 1) добывание железной руды, 2) выделение из руды железа, 3) выковывание из железа готового изделия. Каждый из этих ступеней содержал отдельные процессы. К процеживанию, или филтрации железа предшествовала разборка («гарчева»), термическая сушка (garicxeba), разрыхление (daršvna), шихтовка («казмва» и «гаказмва»), обмерка (ačqva) и подготовка металла к процеживанию («даригеба»), а ковке изделий — переплавка слиток («лугви ркинис гададноба»), рафинирование («дахаласеба») и зачищение (токпа), возвратная ковка (šekcevit'i kverva) и придание ковкости („sačedur r̄inad dage-neba“).

Самым конечным процессом являлась выковывание и завершение изделия.

Помещением для производства железа служила «Хижина для железа» (sar̄kine koxi); к установкам принадлежали: камень для раздробления руды („маднеулис сабегвели“), нагреватель („гамосахуребели“), фильтр (sačuri) и плавильные агрегаты — топка („саецхлури“, „сахумили“, вагранка (bovi и kulbaqi),

„торне“ (torne), плавильная печь (myvimevi), мех („сабервели“), „солинари“ (глиняная труба для меха); к орудиям — наковальня („грелми“), молоток („хелькверн“), клещи (mag-cixi), лопатка („ничаби“) и др.

К приборам — „армани“ (деревянный шкаф), „салитвие“ (деревянная посуда для металла), „самчкверви“ (samčkvtevi — веник из прутьев для окропления);

К шихте („саревеби“) — „тутуни“ (внешне подобно кузнечному шлаку, имела серый цвет), „садуги миша“ (səduyi miša — физически представлял собой нечто подобное земле, желтоватого цвета, чистый, бесцветный и притом рассычатый), песок, кремень.

К вспомогательным средствам — „леби“ (синеватая земля) железная пыль „периди“, железо — шлак (gkina čida), зола, огнеупорные земли, осадок угля („решн нахшири“); к горючим — древесный уголь разного характера.

По наблюдениям грузинских народных мастеров-металлургов в деле плавки железной руды и в получении качественного железа значительную роль играл уголь, изготовленный из разных пород древесины. Для каждой фазы обработки железа употреблялся уголь определенного характера. Для процеживания руды преимущество давали твердому углю высокой жары, а для сковки изделия — мягкий уголь низкой жары.

Выработку качественного, бездефектного железа и стали способствовал целый ряд факторов: физические свойства и состав руды, его разработка, шихтовка, удачное приготовление руды к процеживанию, непрерывное воздушное дутье, частое зашлакование, качество угля, мощность и чистота огня («угуло цецхли»), сосредоточенный жар, равномерная температура, точное определение длительности технологического цикла и признаков готовности продукции и, главное, существование в шихте высококачественного марганца (пиролузит), без чего по наблюдению мастеров железа («ркинс кацеби»), получилось бы обычное железо, негодное дляковки — слишком мягкое или слишком хрупкое (следовательно, из составных элементов шихты первостепенное значение имел марганец высокого качества), «тутуни» и некоторые окислители.

На качество железа и стали определенное влияние оказывали также точное соблюдение режима проковки металла,

нормальное рафинирование, соразмерная поверхностная ковка (გკეპა), режим прогрева, посредственное насталивание, сложная закалка и «установка» металла соответственно его природе, способность и умение мастера и наконец, творческое использование традиционного опыта.

Некованному железу давали разные формы: если оно имело плоскую и продолговатую форму, называли «пицари ркина» (picaṛi ḡkina) — досчатое железо; такому же но более тонкому железу — «шолти ркина»; — тоньше «шолты» — «лампара ркина» (lapara ḡkina); а тоншей лампара — называлось «фасты ркина» (pasti ḡkina), фигурное железо (железо угловое, равнобокое и железо округлой формы) называлось «зоди» (слиток), или «квери», а мелкое железо — «шалаби», «шанти» (ṣanti). Тоньше и равномерно удлиненное железо называлось — «кети» и «чхири». Каждый из них своей стороны был разной величины и формы.

Мерой сырцевого, некованного, железа служили «шанти» (ṣanti) и «литра». «Шанти» равнялось приблизительно 35 кгр., литра — 3,6 кгр.

Согласно одного древнегрузинского исторического документа, известного под именем «никорцминдис сигели», в XI веке кованное (ṣediḡi) и некованное (nṣedeli) железо являлось предметом купли-продажи, а в другом документе (XVII в.) оно именуется как денежная единица.

Ковочное железо (saṣedari ḡkina) отличалось как внутренним характером, а также его способом обработки и местом происхождения. В этом отношении железо могло быть легким, нормальным (mṣnari) твердым, «басри» (железо — сталь), курчи (qurṣi — вид сванской стали), ломким, упругим, неупругим («ленчи»), «нацури» (naṣur! — железо полученное непосредственно из руды), «наначи» (nanaṣi — железо полученное из старых железных предметов), «начди» (naṣdi — изготовлялось из отходов металла, после выплавки руды), «напури» (napuri — изготовлялось из разного железного лома) — по способу производства; «чанари» (ṣanari), «халди», «шанари», «тобартини» (tobartini) — по этническим признакам; цедисским, грузинским, домашним, иногородным — по месту происхождения и др.

Грузинская народная металлургия владела разными средствами воздействия на железо. Из этих средств большое



Основной текст
написан в
рукописи

значение придавалось закалке, так как она являлась основным, характерным средством в деле обработки, или «закалки» железа. Получение железа нужного качества являлось довольно сложной и тяжелой процедурой. Под закалкой, вообще, подразумевалась разработка (gaçarva) железа посредством разных веществ, придания ему нужной твердости, упрочнения резки, улучшения механических свойств.

Самого начала правильно оценены роль и значение закалки. Только этим можно объяснить, что грузинские металлурги издревле создали правила и общие законы закалки. Например, мягкое железо, если оно требовало упрочнения, закаляли в холодной воде, а когда хотели смягчения твердого железа, его закаляли в полунагретой воде.

С этой же целью применяли метод сухого смягчения железа посредством огня. Для закалки использовали разные вещества: воду, масло, жир, воск, керосин, воду чеснока (niorçqali), мочу, кровь и т. д.

Параллельно мокрой и открытой закалки существовала закалка в сухом, закрытом виде. Например, в рукописном документе (XVII в.), известного под именем царя Вахтанга VI, приведено такое правило: закалочные предметы помещать в чугунной коробке, где их покрывать золой (зола эта получалась из подошвенного нагара). После этого коробку, щели которой замазывали глиной, закрывали герметически и в таком виде ставили на огонь и накаливали до красноты. Такой способ двойной закалки, использованной в XVII веке, совпадает с тем народным способом закалки, которая называется «ковка в горячей золе» (yvelpşiçrtoba). Разница только в том, что в первом случае закалка происходит в герметически закрытой коробке, в другом случае — в открытом виде. Показателем определения степени закалки служила зеркальная поверхность («гасарква»), или появляющиеся «вода» разного цвета на поверхности железа, которая в основном была трех цветов: синяя, белая и золотого цвета. Первый цвет являлся показателем ломкости, второй — мягкости, а третий — умеренной закалки. Кроме того разнохарактерное железное изделие требовало разнообразную закалку.

При закалке большое значение придавали вспомогательным (закаляющим) факторам, — режиму нагрева и времени года. Например, режущее орудие ковали только летом. В летний же период изготовляли и крупные вещи.

Характерным приемом грузинского народного кузнечества являлось так же «посредственное насталивание».

Посредственным насталиванием называласьковка режущих орудий следующим способом: «дедани» («оригинал» — слиток железа определенной формы, непосредственный материал для изделий), после легкой обработки («гакопитеба») загибали на две ровные части, между которыми помещали стальную сердцевину (sagulavi, zgipi) и после обрезки лишних частей ковали края по установленному способу. В таком виде изготовленное изделие имело законченную форму, бездефектную, компактный корпус высокой остроты и являлось удачным орудием труда.

По мнению народа, высокое качество такого изделия объясняется, главным образом, тем, что оно в процессе работы под влиянием стали приобретало максимальную остроту и прекрасно выполняло свою функцию. Посредственному насталиванию требовалось, в первую очередь «режущие (ga ħreli) оружия и орудия — шашки, кинжалы, ножи, бритвы, топоры, косы, серпы и ряд других предметов боевого, хозяйственного и бытового значения. Поэтому при анализе раскопочных и этнографических предметов были приняты во внимание вышеуказанные факты и взяты пробы из разных частей железных изделий.

Кроме посредственного насталивания, известно было — «накладное» («здебули») и «далагмули» насталивание. Эти способы больше всего использовались при обработке старых, использованных железных вещей. Инструмент выходил ломкий и неупругий.

При выработке легко-обрабатываемого ковочного железа определенное место занимало «возвратнаяковка». Ковка по отношению железа выполняла такую же роль, как, например, вяление по отношению войлока и кожи.

Мастера железа («ркине кацеби» — «люди железа») были опытные эмпирики. Они достаточно знали характер влияния термического и механического воздействия на железо. Руководствуясь традиционным опытом, они усердно и разумно использовали достижение своих предков в технологии железа; это способствовало формированию отличительных черт, весьма своеобразную манеру грузинских рукоделей в народном искусстве обработки железа. Не случайно, что грузинская «рука» в металлургии древнего мира заслужила всеобщую славу. Тот факт, что грузинские кузнецы с древнейших

времен владели развитыми способами плавки и обработки железа, прекрасно знали характер разных руд, а также точно определяли количества железа в руде, употребляли разные варочные материалы («садугеби») и примеси («сареви масала») для получения высококачественного железа; посредством особых примет («отлучение искр», цвет огня, цвет воды на поверхности железа), определяли ход процесса плавки и степень закалки, применяли метод деформации (ločva—grəxa — крутка) для усиления твердости и красоты железного изделия, имели богатую металлургическую терминологию и т. д., говорит о величайших успехах, глубине познаний и оригинальности наших предков в деле добычи и обработки железа.

В этнографическом быте Грузии засвидетельствован способ получения нового, ковочного железа из старых железных предметов. С этой целью мелко раздробляли железный лом, ančari, čarti) примешивали железняк (gkini kva) и железистый шлак в последствии эту смесь бросали в вагранку для плавки. Полученное таким путем железо называли «наначи ркина» (nanači rkina).

Нам кажется, что слово «наначи» (является причастием) происходит от глагола «начва» (načva), «начва»(načva), «лачва» (lačva), «лочва» (ločva) и означает кручение, прессование (жомание). Повидимому менгрельское название «нача» (nača) —цепь над очагом для подвески котла, или «ланча» (lanča) происходит из того же корня.

Таким же способом получали железо другого вида, под названием «начди ркина» (načdi rkina). Для получения такого железа использовали шлак оставшийся при плавке рудного железа, который (шлак) содержал определенное количество чистого железа — «гили» (Yili). Этот шлак также дробили мелко и добавляли в определенном количестве осколок чугуниного котла, «перили» (perlli — железная пыль), шлак другого сорта, кремь (kva kaža) и процеживали в вагранке обычным способом. Таким путем полученное новое железо называлось «начди ркина» (načdi rkina.) Оно было более лучшего качества а полученное из него кованное изделие имело высокое достоинство. Процесс получения «начди ркина» называлось «моначвда» (monačvda). Термин «начди» (načdi), наверно, является фонетической разновидностью слова «нациди» (načidi), что со своей стороны

означает «дацдома» (daçdoma - зашлакование, ^{очистление} рафинирование).

Третий вид — железа, получаемое из старых (изношенных) предметов представляло железо под названием «налпара» (nalpara) или «налпура» (nalpuga), которое получали вышеуказанным способом из подков и гвоздей. Железо «налпара» использовывали для изготовления режущих орудий (серп, коса, «маджгани» и т. д.).

Для предохранения железных предметов от ржавчины применялись следующее премы новокованное изделие очищали шерстяным лоскутом и угольным песком, палкой липы полировали ее поверхность, после чего, помещали в полутеплом и влажном состоянии в кукурузные или ячменные струби и так хранили некоторое время. В последствии изделие вынимали, обсыпали сухой золой и в таком виде хранили до использования.

По опыту народа, одни железные вещи долго не ржавели немного, а другие ржавели быстро. Это зависело от характера и от правил хранения и использования железа.

Важнейшим достижением грузинской народной металлургии является подбор и использование разных огнеупорных глин в производстве железа. В этом отношении самым значительным является своеобразный, остроумный прием изготовления из разнокачественной глины «солинари» (трубы для меха) в несколько (5—6) слоев и обмазка ее посредством разных глин «фили» (pili). Использование этого средства, как видно, было вызвано потребностью иметь высокожароупорной глины. Оно себя оправдало и применяется в современной металлургии.

Как известно, глины разного вида и характера, а также их комбинированное соединение имеют высокожароупорные свойства. Способ, связанный с этим свойством глины, до сих пор успешно применяется.


XIX век представляет эпоху исканий высококачественных сортов стали. В этом деле большую заслугу имеет русский исследователь, известный металлург Павел Петрович Аносов. Он после длительных опытов и исследований достиг желаемых результатов, благодаря чему, заложил твердый фундамент в технологию разноразной стали. Аносов, являющийся наилучшим знатоком химии, механики и горного дела своей эпохи, насаждает новые методы в отрасли выработки стали, чем заинтересованы были многие крупные европейские специалисты. В этом направлении обращает на себя вни-

мание заинтересованность русских специалистов в отношении грузинских способов изготовления стали, поскольку Грузия являлась значительным очагом производства холодного оружия, хранивший до последнего времени секретные способы изготовления железного холодного оружия.

В результате химико-технологического анализа древнегрузинских железных изделий выясняется, что они изготовлены из мягкой нормальной стали в открытом сырродутом горне. Для придания ломкости, использовывали термические приемы — нагревательная ковка, закалка, цементация, способ науглероживания. В их микроструктуре замечается полимеры термита. Такое строение железного изделия давало большую упругость и свойства легкообрабатываемости, что по наблюдению народа, объясняется «тонковолокнистостью» железа.

По спектральному анализу установлено, что древнегрузинские железные вещи содержат марганец. Оно обдуманно, внесено в состав металла. В его же составе выявлены и некоторые другие примеси — силициум, алюминий, кальций, медь и др. (тб. № 1—5), но они своим малым количеством не могли оказать влияния на металл.

Металлографическое изучение как раскопочного, так и этнографического железного изделия, показывает, что в Грузии существовала высокая культура обработки железа. Это подтверждается и выявлениями в результате геологического исследования, вещественными остатками производства железа: использованные месторождения — «Саркине», «Мзиури», «Квацителы», «Хехемела», «Джишра», «Наджангева» и др., участки производства железа — «Саркинеоби»; картлийская группа хребтов с железными месторождениями: «Грдзели миндори», «Ущелье Дзама»; имеретинский—Дзировани, Наджангеви, рачинское — Рицеула, Чанчахи, Джеджори; гурийское Вакиджвари, супса натанебское межводное побережье абхазский Верхние ущелья Бзиби, Кодори; сванские — Чубери, Цана, Нижи Ипари, Ркинис Мта (Железная гора); лечхумский — «Шители мта» (Красногор), Накулбакеви; мингрельское — истоки Чанисцхали и Очхомури и др., железные избы (Рача. Имерети, Нижи. Картли, Верхн. Сванети); печи для нагревания руда синего монастыря, аташенская и багдадская (IV в. до н. э.); железоплавильные и процеживательные горны в Болниси — окрестностях Соруджи, Аташени, Сакогиа и Ркинимта (VI в. до н. э.) в Кобулету — в окрестностях Цецхлиаури и Джиханджури (VII—VI вв. до н. э.), в Сванети и Шхибарский (X в. н. э.); реально дейст-



вующие очаги производства железа XIX века в Нижн. Кар-
ли, Имерети и Раче; непосредственные археологические до-
казатели, найденные в древних очагах производства железа: уголь, шлак, надувальные трубы («солинареби») меха, крицы
огнеупорных земель, зола, железн. пыль («перпли»), глиня-
ная посуда, каменный прибор, железные слитки (Абхазия,
Цебелда), полуизделия и, что самое главное, примеры
знания и умения отличать минеральные и физические своеоб-
разия нескольких пород руды; богатая терминология связан-
ная с производством железа и сообщения писателей класси-
ческих стран, особенно их непосредственные указания отно-
сительно металлургии грузинских племен.

Таким образом, как вещественные памятники, отобража-
ющие сущность древнегрузинской металлургии, так и соот-
ветствующие письменные документы, терминологические и
этнографические материалы, ярко свидетельствуют, что куль-
тура обработки железа носила самобытный характер среди
грузинских племен.

ტერმინთა საძიებელი

- აბელი 234, 235
 აიხა ზლოუ 157
 აიხა 177
 აკაკარ 165
 ალუბა, ალუბული 155, 156, 163, 171
 ალიზი 75, 138
 ალმასდება 108.
 ამალან 156
 ამღონ 144
 ამირანი 217, 229, 231, 236,
 ამშთა 162
 ანხა 168
 ანხათუა 162
 ანჯარი 124
 ანჯარი რკინა 129
 ავირა 160, 162, 164, 165, 168, 168
 არვანი 85
 არწივი 236, 239
 ასტამი 150, 177
 ასტამ-საყეცური 177
 აფთარი ცული 142
 აულო მიწა 59, 92
 აყირთა 163
 აჩაში 160
 აჩაჩა 143
 აჩუან 134
 აწიე 163
 აჭარული დანა 205
 ახამუხი 160, 165
 ახარაზდა 162
 ახათშა 160
 ახო 142
 ახოს ალუბა 34
 ახქია 162
 ახქიხრა 163
-
- ბადრი 217, 222, 237
 ბარბარეში 141
 ბარჯუი 68
- ბასრი რკინა 193, 196, 198, 204
 ბაღდადი 49
 ბეზუთი 104, 109
 ბევეა 179
 ბედენის რკინა 42
 ბერეე—ბერეე 78, 177, 199
 ბეწვიანი რკინა 186
 ბეჭელი 137
 ბზიკის ფერი 104; 106
 ბიარეკ 200
 ბიდილა 81, 85
 ბიკინა 221, 227, 228, 232
 ბოვი 66, 74, 75
 ბოლნური რკინა 58
 ბორზალი 155
 ბოუვი 85
 ბოძალი 155
 ბრინჯაო 12, 21, 29
 ბრინჯაოს რგოლი 17
 ბრპენი 77
 ბრუნეზით კვერვა 205
 " მოქნა 108
 ბრამელი 59, 74, 86
 ბუბა 52, 65
 ბუნაგი 144
-
- ჯადაცემა სამკედლოში 154, 156
 ჯავალი 171
 ჯავუქ ერგათ 200
 ჯაკვერვა რკინის 101
 ჯაკობიტებული რკინა 82
 გამართული " 131
 გამთხლული " 73
 გამომლოცველი 154, 155, 160
 გამოსაწილი 60
 გამოსვენა 132
 გამოწველი 172
 გამოხურებით კვერვა 181
 გამკრელი ხელადი 191, 192



განატები 53
 გარეთელი რკინა 178
 გარეწანა 186
 გარსაგები 206
 გარჩევა მადნის 45
 გაფიცება " 181
 გაფიცებული მადანი 75
 გაფოლადება 194
 გაფოლადებული რკინა 195
 გაფუნჯული გვაში 49
 გაშვალებით დაფოლადება 184, 185
 გაწითლებული რკინა 235
 გახიკელობა რკინის 111
 გელ-მარწყხი 139
 გერინაფა 101, 105
 გეჯა 138, 148
 გვარჯილა 77
 გვრდები 151
 გიბუა 100
 გიშერი 51
 გლდემი 88
 გუმნარუი 166
 გორი 16
 გოფურაფა 100
 გრდემლი 86, 89, 139
 გრძელი მინდორი 45, 49
 გულთაბოძი 172
 გურულ-აქარული ყაბა 185
 გურდემლი 88
 გურგუსალი 94

დაბრძმედა რკინის 175
 დაბრძმედილი რკინა 75
 დაგრეხილი რკინა 140
 დადნობილი რკინა 75
 დაკეპილი 75
 დაკერებული რკინა 131
 დაკეპნილი რკინა 106
 დაკვერილი " 146
 დაკვერციხილი 143
 დაკირწყული 95
 დამასკური რკ. 205, 206
 დამბაჩა 100, 106, 107
 დამზნა 140, 142
 დამჯდარი სიმხურვალე 178

ღანა 106, 107
 " " აქარული 100, 109
 " " ბებუთი 104
 " " გაქედლილი 98
 " " კვარაცხელიასი 97, 107
 " " ლაზური 56, 111
 " " წელსაყიდი 97, 104

დანაკვა 110
 დანის გაქედვა 101, 105
 დარიგებული მადანი 10
 დაპირება 150
 დასარჩულება რკინის 132
 დაუნჯება " 33
 დაწდა " 73, 130
 დახელვა " 81
 დგვემლი " 88
 დედო " 153
 დევი 219, 227, 229, 231
 დევინახშირა 81
 " რკინა 189
 " მადანი 188
 დერგი 166
 დიდრიპში 162
 დუსი 194
 დლეუმი 88

ენო 138, 145
 ელვის ისარი 237
 ელრა 162
 ეშმაკის კურცხალი 222

ვადაზე დადგა რკინა 139
 ვარდისფერი წყალი 104
 ვერცხლი 14, 21
 ვერცხლის მკედელი 107
 ვეშაპ. 231, 232

ხალტა 135, 145
 ზეგული 59
 ზედაშე 153
 ზედაში 171
 ზეზეული 139
 ზელა რკინის 179
 ზეკალა 222
 ზინდანი 88, 89, 139



ზინდიკარი 88
 ზოდი რკინა 82, 145
 ზუმბა 141, 144

თავისიანი 33
 თავარი ცეცხლი 178
 თანაფა 162
 თაფლისფერი წყალი 104
 თბილისური ხმალი 185
 თეგვი 137, 141
 თეთრად გაფცქვნა 141
 თეთრი ქვა 237
 თეთრი წყალი 106
 თითბერი 24
 თირი 180
 თიხის გამორჩევა 89
 " მოქნა 93
 " მოცომვა 93
 თოიჯად 178
 თორნე რკინისაი 75
 თოფი 100, 106, 178
 თოფის ლულა 101
 " ფეხი 101
 " ფიალა 101
 თოფის შვილდი 101
 " წამალა 101
 თოხი 109, 180
 თუბალმუკედელი 20
 თუთია 24, 224
 თუმშაბ დემირ 200
 თუჯი 134, 180
 თუჯის გადამუშავება 23
 თუჯის ფხენილი 180
 თუჯის ქვაბი 180
 " წარმოება 24

ბარალი 141
 ბარალის დამზადება 107
 ბლეკრო 201
 ბმერული კალდამი 185
 ბრეკ უირეზშიოტი 161
 ბრონფარად 146
 ბრმის რქა 105
 ბსარი 101

კაცი 95
 კაზმი 64
 კაღილა 134
 კათბა 81
 კაილა 134
 კალა 21
 კალა 21
 კალმახელა 217, 227, 228, 229
 კამარა 236, 239
 კამარი 237
 კამარწები 85
 კარის ასამბელი 177
 კაფი 180, 233, 234
 კერა 12
 კერია 233
 კეცი 233
 კეცის შილი 49
 კეცის პურკელი 92
 კვერვა 179
 " კეცვით 35, 108
 " შექცევით 110
 " ზელა 110
 კვერი 17, 85, 70, 82, 89, 109, 129
 " რკინა 194
 კვერით ზურო 15, 72
 კვერის დავკრა 137
 კვერში გამოღობა 71
 კვირიაცხოველი 217
 კიბორჩხი 137
 კილოები 60
 კინა 26, 177
 კირწყალი 76
 კისერი 53
 "კიკო" 143
 კლიტე-ბოქლომი 107
 კობიკი 81
 კოლბოხები 22
 კოტა 143, 204
 კოწიწი 75
 კუთხი რკინა 194
 კუჩხა 162

ლაბშირა 163
 ლაგვანი 166



რაზური დანა 185, 205
 რამი 94, 138
 რაღვერა 130
 რამფურა 192
 რამფარა რკინა 194
 რაევიარდი 58
 რაფერნახ 162
 რაფეხა 95
 რაშკლიარ 78
 რახვარი 188, 196
 რახრი 93
 რახუტი 166, 171
 რეკი 180
 რენჩი რკინა 109, 194
 რესური 177
 რითონი 6, 14, 81, 177
 რითონის აწყვეა 81
 " დამორჩილება 8, 33
 " დამუშავება 13, 18, 20, 107
 " დარიგება 60
 " კვერები 33
 " მოჭრელება 34
 " ქერცილი 180
 " წარმოება 31
 " ჩამოსხმა 27
 რიმონჩხირე 187
 რიტრა 190, 196
 რიპნე ყურჩი 186
 როჭვა-კვერვა 184
 როხმა 182
 რულა თოფის 94, 100
 რუგვი 70, 85, 175, 176
 რუგვი რკინა 12, 81, 194

 შავარი რკინა 13, 24, 177, 193, 199
 შალანი 77, 180
 შაღნეულის ნაშთები 18, 28
 " საღნობი ქურა 28
 " გამოწველა 13
 " საბადოები 9, 28
 " საწური ქურა 28
 შაღნის აწყვეა 80
 " დარიგება 59
 " გაკაზმა 80

" გამოწველა 39, 79
 " გაცხადება 80
 " მაძიებელი 71
 " მზიდავი 71
 " მოხრელი 71
 " მკაზმავა 72
 " საწური ქურა 57
 შაკურხური 162
 შალახიტი 56
 შანგანა 139
 შარანგი 139
 შარიამ წმინდა 216
 შალაკური წალი 106
 შაყელის ფერა წყალი 106
 შარძალი 94
 შახ(ი) 200
 შახვილი 9, 197, 231
 შეგრული დანა 101
 შეღოქე 234, 237
 შელითონე 9, 10, 13, 18, 19, 20, 29
 შემჭედური 93, 135, 140
 შენახშირე 72
 შესატევრე 186
 შეტეორიტული რკინან, 240
 შეურთე 72
 შექვაბე 145
 შექოთნე 234
 შეყანე 235
 შეშტერი 405
 შეძუბური ქალი 221
 შეხი 200
 შეხატური 162
 შეხმლე 186
 შხა რკინა 82
 შხეთუნახავი 236
 შთა კვირიანა 42
 მიღუღება 131
 მიმყოლი რკინა 108
 მოკალა 133
 მოკეცვით კვერვა 144
 მომწიფება 64, 70
 მონაჭღვა 129
 შომიწული 84
 მომორილი 137



შორგალა 133
 შორი რკინა 194
 შორკინული საბადოები 34
 მოსინა 133
 მოქნილი რკინა 100, 178, 194
 მოლე 169, 171
 მოხალვა 81
 მოხდილი საბადო 44
 მურა რკინა 41, 43
 მური 89
 მუში 22
 მუჯირა 188
 მღვიმევი 75, 77, 178
 მყიფე რკინა 180
 მწურავები 72
 მწყაზარი 185
 მკედელი 107, 180, 237
 მკნარი რკინა 177, 196, 206

ნაგრინი მინდორი 234
 ნადირმთმფლობელი 218
 ნადული რკინა 148
 ნავლი 148
 ნაკოდარა 141
 ნაკურთხი 216
 ნალფარა 122, 192
 ნალფარას რკინა 122, 130
 „ დანა 122
 „ სატევეარი 192
 „ ხმალი 192
 ნალბანდი 145, 148, 149
 ნალი 149
 ნამგალი 109
 ნამზადი 110
 ნანაჭი რკინა 123, 206
 ნაფერი 180
 ნაფურა რკინა 130
 ნაშკიდარა 51
 ნაციარი 180
 ნაწიდი რკინა 130, 194
 ნაწური რკინა 129
 ნაკდი „ 129, 206
 ნაკვა რკინის 110, 179
 ნახელავი რკინა 12
 ნახურები „ 130

ნახუი 204
 ნაჯახი 139
 ნელი რკინა 98, 193
 ნორმოხანი(ი) 194
 ობსიდიანი 58
 ოკრიბული რკინა 178
 ონორცხვე 166
 ორპირი რკ; 85
 ორნატი 185
 ოსმალის რკინა 143
 ოფლიანი რკინა 132
 ოქრო 11, 21, 240
 ოქროს ბალახი 237
 ოქროს მოპოვება 11
 ოქროს ფრთიანი ჩიტი 239

პაიკა 86
 პერი 59
 პირის ხვეწა 100
 პირს არ მოკიდებდა 131
 პირტობიანი 95
 პოლბათ 200
 პრომოთე 217

ფანგა 81
 ფინი ღორონთი 162

რვალი 15, 21
 რკინა 5, 6, 9, 10, 12, 13, 17, 20, 25,
 30, 178, 240
 რკინა ადრეული 29
 „ ამისური 10
 „ ბეწვიანი 177, 185
 რკინა გავარვარებული 185
 „ გალისა 180
 „ გამკრელი 101
 „ გაყვანილი 82
 „ გაწითლებული 235
 „ გახურებული 112
 „ ზომიერი 177
 „ თუჯი 70
 „ თურქული 100
 „ კვერი 81
 „ კუთხედი 191
 „ მაგარი 14, 25, 177, 189



- „ მაგნიტური 41
- „ მიშოლი 178, 184
- „ მოქნილი 101, 108
- „ მყიფე 177
- „ მუნარი 177, 199
- „ რბილი 177, 193, 194, 199
- „ რუსული 178
- „ სადანე 101
- „ საჭედური 81, 205
- „ სახელადე 108
- „ სპილენძი 19
- „ სხვაგნითური 33
- „ ტანმოქნილი 177
- „ უზადო 205
- „ უფანგავი 24
- „ უჭედელი 27, 30, 190
- „ ფიცარი 109
- „ ფიცხი 177
- რკინა ქვიშა 10
- „ ქმნილი 190
- „ ღვედივით მოქნილი 205
- „ ღუნვადი 180
- „ შინაური 71, 78
- „ ჩამოსხმული 205
- „ წედური 178
- „ რკინაწილა 13, 39, 41, 180
- „ კედელი 21, 31, 190
- „ ხალდი 199
- „ ხალიბური 24, 25
- რკინეული 25
- რკინოვანი 42
- რკინის ბეგვა 179
- „ გაღაბმა 137
- „ ვადადულება 138
- „ გადაყერება 131
- „ გადაშვება 81
- „ გაკაზმა 178
- „ გაყერვა 137, 180
- „ გამაბვა 180
- „ გამოღნობა 11
- „ გამოშავლობა 100
- „ გამოსადნობელი 7
- „ გამოპირვა 131, 132
- „ გამოსაწვავი 57

- „ გამოსახურებელი 74
- „ გამოწყვება 139, 144
- რკინის გამოტმა 133
- „ გამოხურება 81
- „ გამსაღებელი 72
- „ გაყდნთვა 196
- „ გასწორება 196
- „ გაფიცება 98, 104, 187
- „ გაფჩხნა 132
- „ გაწევა 178
- „ გაქედვა 137
- „ გახურება 98
- „ გრეხა 180
- „ გული 105
- „ გუნდა 61
- „ დაყერება 175, 178, 182
- „ დაღაგმვა 182
- „ დამორჩილება 9, 10, 180,
- „ დამუშაება 12, 16, 24, 25, 131
- „ დაპირვა 182
- „ დართვა 36
- „ დასადებლება 182
- „ დათოღადება 11, 12
- „ დაქნა 110
- „ დაშანთვა 187
- „ დაყენება 105, 179, 180
- „ დაწურვა 45, 181, 182
- „ დნობა 23
- „ დუღილი 106, 184
- „ ეტლი 8
- „ ზელა 189
- რკინის ზნის ცვლა 109, 178, 180
- „ ზოდი 156
- „ თოფი 100
- „ თოხი 180
- „ იარალი 7, 14, 20
- „ კანი 105, 180
- „ „რკინის კაცი“ 25, 36, 89, 10, 180, 199
- „ კვერვა 180, 184, 189
- „ ლუგვი 28
- „ მადანი 21,, 25, 42, 181
- „ მთა 47, 56, 80
- „ მიღება 13



„ მოთელვა 110	საბევეი მადნის 81
180, 187	საბერკელი 49, 139
„ მორი 75, 82	საბერკლის ტყავი 95
„ მოსვლა 64, 65, 187	საბერი 85
„ მოქნა 71, 98, 110, 176, 189	საეაზე 109
„ მოხელე 20, 107	სალითენე მარხილი 77
„ ნაფერი 180	საგზებელი კერა 74, 86
„ ნაყვა 189	საგულავი რკინის 186
„ ნაჭვა 179	სადნობი 73
„ ნაწარმი 10	სადელი მიწა 81, 112
„ ნახევარფაბრიკატი 192	სადელის კმევა 18
„ ნედლეული 21	სათვალე 65, 139
„ პროდუქტი 9	საქვეთელი 139
რკინის ეგზეა 189	საქიდელი 139
„ საბაღოები 32	საქმეველი 166
„ საკიდელი 96	სახმილი რკინის 7, 77
„ საკოდელი 180	საკოდელი 109, 180, 137, 144
„ სარევები 178	საკოდი იარაღი 80
„ საწური 91	სალითენე ქობი 77
„ საწური ლუმელი 10	სალითონე კურკული 72, 77
„ სახნისი 180	სალოცავი 141
„ სინედლე 177	სალექი ტანი 95
„ სიფიცხე 104	სამასალე რკინა 82, 100
„ ტანის სიმთელე 180	სამპედლო 219
„ ფხა-ალმასი 205	სამთო წარმოება 29
„ შედღელება 106	სამუშაო იარაღი 107
„ შემოება 186	„სამჩიოს“ მიწა 93
„ შემღშეება 11	სამხეთო 149
„ შოლტი 100, 192	სანაქებო რკინა 188
„ შუქი 145	სანგი 85
„ წადგმა 182	სანელეებლო 180, 181
„ წარმოება 7, 10, 11, 21, 32	საპალნე 191
„ წერაქვი 180	საკმილი 74
„ წრთობა ოქროს ფერზე 186	სარევი ქვა 23, 81
„ კედლა 6, 181	სარკინე 20, 27, 28, 29, 31, 67, 84
„ კმევა 194	სარკინე გორა 27
„ ხელადი 181	სარკინეთი 56
„ ხელობა 15, 21	სარჯელი 75
„ ხელოვნება 240	სასულე 85
„ ხმა 106	სასულე სტვირი 90
„ ხონი 101	სატარე რქა 104, 137, 139, 144
„ რლილი 129	სასტვირე მიწა 93
„ როფე 85	„ კალაპოტი 94
„ რქის ნაღბევი 194	საფეთქებელი 141
	საფერხული 85



საფიცებელი კა 85
 საფხეკი 109
 საქებაე 177
 საქლეში 145
 სამუალო რკინა 193
 საჩხვერი 64, 65, 88, 95
 საჩხრეკი 145
 საჩხრიალო 104
 საძირე საგნები 154
 საქედერი რკინა 68, 75, 178
 სახშილი 75, 78
 სახნისი გუთნისა 143
 სირა მკედელი 217
 სისხლის პურის კამა 152
 სრევა 196
 სოლამი 152, 162, 217
 სოლინარი 66, 90, 91, 95
 სელის საქევი 95, 145
 სპილენძი 5, 20, 22, 106, 240
 სტეირი 95
 „ ჩამოქნილი 94, 95

ტელეპში 162
 ტიტანიტი 45
 ტობართინი 25, 188, 206
 ტორი 235
 ტუტუნი 8, 180
 ტყაბუნა რკინა 187
 ტყვია 21
 ტყისთავი 53
 ტუუბი ვასასელები 80

უბრად ნაჰედი 140
 უპელო ცეცხლა 178
 უქტაების ბალახი 239
 „ წამალი 237
 უმარყო რკინა 139
 უში ლითონი 41, 172, 178
 „ რკინა 44
 უმპრახი 151
 ურო 85, 235
 უფანგავი რკინა 188, 189
 უფშური 150
 უცხო რკინა 178
 „ ფრინველი 218

უწვებები 177
 უწვები რკინა 70
 უღელი 150
 უქედელი რკინა 83, 166
 უნმარი „ 44
 უხსენებელი 218, 227
 უხსენებლის ტყავი 219
 ფალია 169
 ფარად 148
 ფარეში 132
 ფასტი 82, 130
 ფაშა 22, 23, 183, 189
 ფაშა ფოლადი 206
 ფერილი 129, 132
 ფეშტი 82
 ფთიანი ცული 136
 ფილათა 100
 ფილთის კონდახი 100
 „ საქეესი 100
 „ ფეხი 100
 „ ფიალა 100
 „ ღარი 100
 „ ძირი 100
 ფიცარი რკინა 110, 137, 192, 194
 ფიცის დაღება 89
 ფიცის ხელადი 130, 144, 185
 ფოლადი 14, 65, 180, 194, 200
 „ დამასკური 200
 „ თურქული 100
 „ ინგლისური 110
 „ ინდური 8
 „ რკინა 109

ფოლადის დამანთვა 187
 ფოლადუანი რკინა 81
 ფრახი 194
 ფრჩხილა 104
 ფურჩი რკინა 131
 ფუშფოლადი 206
 ფხა-ალმასი 137, 141, 189, 197
 ფხათ ქეეული რკინა 187
 ფხიანი რკინა 24, 108, 194

ქაისხეური 144
 ქართული რკინა 185
 ქართული საბერეველი 70



ქართული ფოლადი 22, 206
 " ცუდი 136
 ქარჩი 131, 141
 ქასური 139
 ქეთილი 89
 ქვაკაცა 81
 ქვაწითელა რკინა 40, 175
 ქვეშადაები 86
 ქვიშა შადანი 11, 45
 ქვიჯა 88
 ქლიბი 20, 104
 ქულბაქი 50, 76, 89
 " სადნობი 85
 საწერი 81
 "ქურა"—ორმოები 78, 144, 174, 180
 ქურა-საბერველი 145
 ქურა საწერი 58
 " საკედური 86
 ქუმირ 88
 ქურთეში 88
 ქურთემული 89
 ქურტა 89
 ქურტე 89
 ღანკი-სანიშნე 100, 170
 ღარკაიე ზის 100
 ღიღნარევი წიდა 180
 ღორეჩო 139
 ღორღი 142
 ღოჭი 170
 ღრუდანი აგური 25
 ღუნვადი რკინა 180
 ღუჭიანი 28
 ღრუბლის კოშკი 236
 უაბერკუცი 165
 უაირი 149
 უელი ადგილი 202
 უვალბ 89
 უვან 89
 უვითელი თირი 180
 უვინჩი 107
 უბუა 137, 144
 უუნწი 140
 უურუმე რკინა 87, 109
 უურჩი " 186, 193

უერწი 104
 შავი ლითონი 194
 შავი მდინარე 227
 შავი ქვა 25
 შავი წყალი 226
 შალაბი 82, 159, 194
 შალის ნარეჯი 194
 შანარი 25
 შანარი რკინა 194, 199
 შანთი 82, 83, 109, 194
 შაბურკანი-ი 193
 შაში 162, 163, 164, 165, 166
 შაშის რკინა 165
 " შამფური 160
 შეთაბუნებული 80
 შეკონვილი 141
 შეღებული 170
 შემობერტყვა 136
 შემოსმორტყვა 95
 შემეზარადებული 124
 შიგნიგული 100
 შოლტი რკინა 33, 82, 194
 შრამელი 66, 89
 შტვირი 49, 86, 133
 ჩაკვერცხა 137
 ჩალახვა 146
 ჩალიკი 199, 200
 ჩალბი 139, 148
 ჩამოლობა 138
 ჩამოსხმული 148
 ჩამოქნილი 95
 ჩანწე 200
 ჩარექა 137
 ჩარიტი 199
 ჩასავალი 65
 ჩაულახავი 136
 ჩაღვენთილი 59
 ჩაუწეება 131
 ჩაქედული 144
 ჩეკი 135, 141
 ჩეჩმა 139, 144
 ჩიბუკი 110
 ჩლიქი 148
 ჩონინა 134

ჩორბრგათ 200

ჩუანი 134

ჩუგლუბი 88

ცელი 109

ცეცხლგამძლე თიხა 90, 92

„ ქვა 10

ცეცხლზე ჩამოღობა 104

ცეცხლთ საგზებელი 74

ცეცხლის ფერი 64

ცივი ბერვა 24

„ იარაღი 107

„ კვერა 240

ციკვერა მკედელი 145

ცივსაბერგლიანი ქურა 194

ცილივის გაღრუბა 155

ცილივანთ ნამოქმედარი 35

ცული 109, 139

ცხვი 81, 144

ცხელი კვერა 240

ცხოველი ნაპრწყალი 105

ძგიბი 187

ძგიფი 186

ძგიფის დაყოლება 182

წალა 133

წალდი 16, 109, 139

წალდელა 136, 141

წასწრება 138

წედისის რკინა 12

წედური რკინა 178

„ ფოლადი 26

წერაქვი 80, 139, 109, 180

წესდადებულება 140

წიალისეულის გამოკოდეა 28

წიდა 41, 148

წითელი რკინაქვა 175

წმინდა რკინა 194

„ ფოლადი 186

წროთობა 100, 106, 126, 138, 141

„ ნიორწყალში 187

„ რთული 108

„ შარდში 187

წროთობის გამოცნობა 159

წურვის რევიმი 179

წყალის დაცემა 101

წყლის მიცემა 106

წყალჩავარი 204, 205

წყარიში გეშქუმალა 101

ხალასი გვაში 70

ხალასი რკინა 114

ხალდი 193, 206

„ რკინა 194

ხალიბური რკინა 10, 11

ხალღეს 26

ხატის კარი 156

ხელადი 33, 61, 78, 97, 104, 109

ხელადის დამზადება 112

ხელეჩი 144, 145

ხელი 146

ხელყვერი 85, 155

ხელმარჯვე ხელადი 131

ხელობა 108

ხელუა 151

ხელჭურჭელი 84, 89, 139

ხენცელა 139

ხეხუციში ხვამა 160

ხუ ხვამა 160, 161

ხვამა 162, 161

ხმალი 106, 235

ხმლის გამოკედვა 235

ხორხმარწყუხი 85

ხოშარი 101

ხოწი 145

ხოწუა 169

ხრელი 132

ხელა 57, 76

ქალი რკინა 194

ქალიცი 199

ქანარი 25, 193, 199, 202, 206

ქანური 178

ქედეა 130

ქედლები 238

ქედლიანთ კუთხე 106

ქედური ნახელავი 96



ქნარი რკინა 187, 194
" ფოლადი 187
" უურჩი 187
კობოსანი 139, 145

ჯეზრდენი 201, 203, 204, 206
ჯანგარა 133
ჯანგიანი 133, 220
ჯანგს არ იკიდებს 188
ჯანყი 133

ჯარგვალი 232, 234
ჯაყუების კელვა 188
ჯაყუები 104, 177, 238, 239
ჯახუნა 223, 227, 228, 229
ჯეარდანი 200, 204
ჯვარი სახის შახვილი 204
ჯვარი სახის ხმალი 204
ჯირილი 93
ჯიჭური 109
ჯღარდალა 133








ქართული
ბიბლიოთეკა




ქართული
საქმიანობა

0 5 6 7 8 9 0







1




2




3








4













5









6



















შინაარსი

შესავალი 83

თავი პირველი

რკინის წარმოება, ნედლეულის კერები, საბადოები, რკინის ძველი წარმოების ნაშთები, მადნის მოპოვება და დამუშავება, წარმოების ტექნიკური აღჭურვილობა . . . 38

თავი მეორე

რკინის დამზადება, მადნის დაწურვა რკინად, შრამელი—სარკინე ქოხი, დანადგარი—საწური „ბოვი“, სახმილი, დეიშევი, სოლინარი, ცეცხლგამძლე მიწები 66

თავი მესამე

რკინის „დაბრძმება“. მომწიფება, დაყენება, ნაკვა, მოქნა, დაგვარება, წრთობა, ნაკლი რკინა, ნანაკი რკინა 97

თავი მეოთხე

რკინის ჰედვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ტექსტები) ✓ 135

თავი მესხეთე

ქართული რკინა, ქარიული ფოლადი 172

თავი მეექვსე

რკინის კულტი. თქმულება—„კალმახელა“. 216

დასკენა 240

Выводы 252

ტერმინთა საძიებელი 264

ტაბულები 275

დაბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

რედაქტორი გ. ჩიბაია

გამომცემლობის რედაქტორი შ. პაატაშვილი

ხატვარი გ. ნადირაძე

ტიპრედაქტორი ნ. ბოკერია

კორექტორი ლ. ჯაფარიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.7.1964; ქალაქის ზომა 60×92¹/₁₆;
ნაბეჭდი თაბახი 17,44; საალრიცხო-საგამომცემლო
თაბახი 4,46; უფ 02776; ტირაჟი 1000; შეკვეთა 321;
ფასი 1 მან. 19 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
Издательство «Мецниереба», Тбилиси, ул. Дзержинского № 8

გამომცემლობა „მეცნიერების“ სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
Типография Издательства «Мецниереба», Тбилиси, ул. Г. Табидзе № 3/5

